სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

დაგეგმვისა და განვითარების სამსახური

2016 წლის ანგარიში

ბუნებრივი რესურსების დაცვა


დაცული ტერიტორიების სისტემაში გამოვლენილი სამართალდარღვევები

დაცული ტერიტორიების სისტემაში (597556 ჰა) დაცული ტერიტორიების სააგენტო მართავს 490131,4 ჰა ტერიტორიას ანუ საქართველოს დაცული ტერიტორიების 82%, სადაც დაცვის სამსახურში დასაქმებულია 354 თანამშრომელი, მათ შორის 255 რეინჯერი და უფროსი რეინჯერი. რეინჯერებზე სამართავად მოდის საშუალოდ 1802 ჰა ტერიტორია.

საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულია 2532 საკონტროლო რეიდი. 43909 - ჯერ ჩატარდა პატრულირება. პატრულირების დროს გავლილმა საშუალო მანძილმა შეადგინა 872092 კმ მათ შორის ფეხით 414622 კმ, ცხენით 92886 კმ, ავტოტრანსპორტით 858192 კმ, კვადროციკლით 6550 კმ, წყლის ტრანსპორტით 7350კმ. აღნიშნულის შესაბამისად დაცვის სამსახურის თანამშრომლები ფეხითა და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით ყოველდღიურად საშუალოდ გაიარა 13.7 კმ.

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2016 წლის მონაცემებით გამოვლენილი და სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემულია 425 სამართალდარღვევის ფაქტი აღნიშნული ფაქტიდან 415 ადმინისტრაციულისა და 10 სისხლის სამართლის სამართალდარღვევისა ფაქტია.

გამოვლენილი ფაქტები სამართალდარღვევების მიხედვით შემდეგია 10 - თევზაობის წესების დარღვევა, - 106 უკანონო ჭრა, 9 - უკანონო ნადირობა, 81 - უკანონო ძოვება, 107 - ნადიროების წესების დარღვევა, 15 - თევზაობის წესების დარღვევა 97 - სხვადასხვა სამართალდაღვევა. 2016 წლის განმავლობაში დამნაშავებზე გამოვლინდა 184,84 მ³-ზე უკანონო ჭრა.



ყველაზე მეტი გამოვლენილი სასამართლოზე გადაცემული უკანონო ქმედებები დაფიქსირდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკის ადმინისტრაციაში სადაც დაფიქსირდა 111 სამართალდარღვევის ფაქტი. შემდგომ მოდის კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია სადაც დაფიქსირდა გამოვლენილი 40 სამართალდარღვევის ფაქტი. უკანონოდ მოჭრილი ყველაზე მეტი 87,99მ³-ის მოცულობის ხე-ტყე დამრღვევებზე გამოვლენილი მოდის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაზე. შემდგომ მოდის კოლხეთის ეროვნული პარკისა ადმინისტრაციის ტერიტორია, სადაც უკანონო ჭრაზე გამოვლინდა 16,88 მ³ ოდენობის ხე-ტყე.

უკანონო ქმედებები არ გამოვლენილა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიებზე. ყვლაზე მეტი სამართალდარღვევები 147 ფაქტი გამოვლინდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიებზე. ყველაზე მეტი ნადირობის წესების დარღვევის 58 ფაქტი გამოვლინდა ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე. ხოლო ძოვების წესების ყველაზე მეტი 26 ფაქტი გამოვლინდა ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორიაზე. ყველაზე მეტი ნადირობის 4 ფაქტი ლაგოდეხის ნაკრძალის ადმინისტრაციის მიერ გამოვლინდა. ყველაზე მეტი სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტი გამოვლინდა ლაგოდეხის ნაკრძალის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე სადაც 4 ფაქტი დაფიქსირდა ნადირობაზე. ყველაზე მეტი უკანონო ჭრების 57 ფაქტი 120,31მ³- ზე გამოვლინდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამოვლენილ სამართალდაღვევებიდან ფოტოხაფანგის დახმარებით გამოვლენილია, 12 ნადირობის, 1 იარაღით გადაადგილების, 1 ხე-ტყის უკანონო ტრასპორტირების და 1 უკანონო ჭრის ფაქტები.

დაცულ და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე 2016 წელს დაფიქსირდა ხანძრების 9 ფაქტი მათ შორის 2-ჯერ ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის საზღვართან ბუფერულ ზონაში 3 ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საზღვართან და ბუფერულ ზონაში და 2-ჯერ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ერთხელ ჯავახეთის დაცული ტერიტორიებზე და ერთხელ მაჭახელას ეროვნული პარკის ტერიტორია. სადაც მინდვრებში და ტყეებში დაიწვა მხოლოდ გამხმარი ბალახი და ხის ტოტები. ხანძრების შედეგად ტყეები არ დაზიანებულა.

აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორიაზე ხის ადმინისტრაციულ შენობას გაუჩნდა ხანძარი სადაც შენობის გარკვეული ნაწილი ცეცხლისგან დაზიანდა მეხნძრეებისა და აჯამეთის აღკვეთილის თანამშრომლების მიერ ხანძრის ჩაქრობის შედეგად შენობის ძირითადი ნაწილი გადარჩა და შემდგომ შეკეთდა.

<u>ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა</u>


ადგილობრივი მოსახლეობის ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით 2016 წლის მონაცემებით ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცემულია 17353,1მ³ ხე-ტყე მათ შორის 16967მ³-ზე მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყე და 366,1 მ³ I ხარისხის ხე-ტყე გაიცა ნეძვის აღკვეთილიდან

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ მოსახლეობაზე. ყველაზე მეტი 8039,6 მ³ მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყე გაიცა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან ხოლო შემდგომ 2124,9 მ³ მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყე გაიცა თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან. დაცული ტერიტორიების გარშემო მცხოვრები მოსახლეობიდან მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყით დაკმაყოფილდა დაახლოებით 2830 ოჯახი. I ხარისხის ხე-ტყით დაკმაყოფილდა დაახლოებით 92 ოჯახი.


დაცულ ტერიტორიებზე არსებული (ჯავახეთის დაცული ტერიტორიები) საძოვრებიის სარგებლობიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 37756.94 ლ.

სამეცნიერო კვლევა/მონიტორინგი


სააგენტოს მიერ მუდმივად წარმოებს არსებული ბუნებრივი რესურსის რიცხოვნობის შესახებ მონაცემების შეგროვება, რათა ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას არსებული რესურსის შესახებ, ასევე მათი ზრდისა და კლების ტენდენციებზე. სააგენტომ 2014 წლის განმავლობაში მოახდინა ტერიტორიული ადმინისტრაციების მიერ შეგროვილი და მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და ერთიანი მონაცემების მომზადება ფლორისა და ფაუნის რიცხოვნობის შესახებ. ეს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:




სურ. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2015 გავრცელებული ცხოველების რიცხოვნობა 2016 წლის იანვრის თვის მონაცემებით.



სურ. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2015 გავრცელებული ცხოველების რიცხოვნობა 2016 წლის იანვრის თვის მონაცემებით.



სურ. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2015 გავრცელებული ფრინველების რიცხოვნობა 2016 წლის იანვრის თვის მონაცემებით.



სურ. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2016 გავრცელებული ცხოველების რიცხოვნობა 2017 წლის იანვრის თვის მონაცემებით.

ყველა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ მომზადებულია 2015 წლის „ბუნების მატიანეები“, რომლების ელექტრონული ვერსიები წარმოდგენილია სააგენტოში.

ადმინისტრაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადებულია ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე რეინტროდუცირებული ჯეირნებისა და ბორჯომ-ხარაგაულში რეინტროდუცირებული ნიამორების შესახებ. 2013 წელს WWF-ის დახმარებით განხორციელდა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან **ჯეირნის** რეინტროდუქცია. ამ ჯერზე გამოიყვანეს რეინტროდუქციის სხვა მეთოდი - ინდივიდები პირდაპირ ველზე გაუშვეს. 2 მათგანს მიმაგრებული აქვს სატელიტური საყელო, რომელიც იძლევა საშუალებას მათი გადაადგილების ტრაექტორიის კომპიუტერში ასახვას და მონიტორინგის წარმოებას. ყოველთვიურ ანგარიშებში განთავსებულია ინფორმაცია ჯეირნების გადაადგილების მარშუტებზე შეხვედრიანობისა და ნამატის შესახებ. უკანასკნელი ანგარიშების მიხედვით ჯეირნების რეინტროდუქცია წარმატებულია, რადგანაც ჯეირნების რიცხვი დაახლოებით 30 უახლოვდება ნანახი ნამატის მიხედვით. შედეგად, ფიქსირდება 10 ინდივიდიანი და ზოგჯერ 20 ინდივიანი ჯგუფების გადაადგილება, შეწყვილების პერიოდში, კი ფიქსირდება ამ ჯგუფების დაშლა და მეტწილად ცალკეულ ინდივიდებაზდ გადაადგილება. გადამცემი საყელოები საშუალებას იძლევა ჯეირნების გადაადგილება იქნას დადგენილი. #19393 ქურციკის, რომლის გადამცემი საყელოდან სიგნალები მოდიოდა 11 იანვარს ნანახი სამუხის ველზე აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს მართლაც იქნა ნანახი გადამცემი საყელო და მასთან ერთად ქურციკის ძვლებიც. იგი 10 და 20 ინდივიდიან შემდგარ ჯგუფთან ერთადაც მოძრაობდა.

სატელიტური გადამცემით აღჭურვილი #19394 ქურციკი სხვა ქურციკებთან ერთად დაწყვილების პერიოდის გამო მოძრაობს 2-3 ინდივიდიან ჯგუფებთან. ერთად მარტის თვეში მოძრაობდა სამუხის ველზე და პანტიშარას ხეობაში. თვის განმავლობაში რამოდენიმეჯერ იქნა ნანახი 2-3 ინდივიდიანი ჯეირნების ჯგუფები, განსხვავებით **იანვარ-თებერვლისაგან**. მათი სამოძრაო მარშრუტები შედარებით შეცვლილია ცხვრის ფარების გამო და მოძრაობენ სამუხის ველის შუა ნაწილში, ძირთადად არხის ნაპირებში, სადაც ბალახი არ არის ცხვრისგან გადაძოვილი.

2016 წლის **აპრილის თვეში** ქურციკების ძირითადი ნაწილი კვლავაც სამუხის შუა ნაწილში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ ხორბლის ყანაში იმყოფებოდნენ. საკვებისა და წყლის პრობლემის არარსებობის გამო ქურციკებს არ ესაჭიროებოდათ დიდი მანძილის დაფარვა, ამიტომ დღე-ღამის განმავლობაში უმნიშვნელო, რამდენიმე კილომეტრიან გადაადგილებას ახორციელებენ. ქურციკების 9-10 ინდივიდისგან შემდგარი ჯგუფი ყოველდღე, დილის საათებში ხსენებულ ხორბლის ყანაში გადაადგილდებოდა, ხოლო შუადღით წყლის დალევის შემდეგ ბრუნდებოდნენ სამუხის ველის შედარებით მაღალბალახიან ადგილებში ე.წ. ყორუღებში. გამომდინარე იქიდან, რომ ხორბლის ყანა მდებარეობს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, პერიოდულად ყანის მეპატრონეები ცდილობენ ქურციკების ყანიდან გამორეკვას, მიუხედავად ამისა ქურციკები არ გრძნობენ არანაირ დისკომფორტს და დილის საათებს ისევ ხორბლის ჯეჯილში ატარებენ. აღნიშნული 9 ქურციკიდან 3 მამალი, ხოლო 6 დედალი ინდივიდია, რომელთა გაზრდილი მუცლები მათ

მაკეობაზე მეტყველებს. რაც შეეხება ქურციკების სხვა ჯგუფებს, რამოდენიმე ინდივიდი გვხვდება სამუხის ველის შედარებით ზედა ნაწილში, თუმცა აღნიშნულ ჯგუფში უმეტესად მამლები ფიქსირდებიან.


ისინი თავს არიდებდენ ცხვრის ფარების სამოძრაო მარშუტებს და გვხვდებოდნენ ისეთ ადგილებში სადაც ცხვარი არ მოძრაობს.

2016 წლის 4 ოქტომბერს აზერბაიჯანიდან ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს კიდევ გადმოეცა ქურციკების 4 მდედრი ინდივიდი, რომლებიც სასაზღვრო ხაზიდან გამოუშვეს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისკენ.

მომდევნო დღეებში კი ისინი სამუხის ველზე ქურციკების 9 ინდივიდთან ერთად დავაფიქსირეთ. ამ პერიოდისთვის ქურციკების საარსებო გარემოში შემორჩენილი იყო გამხმარი ბალახოვანი მცენარეები, რაც საკმარის საკვებ ბაზას წარმოადგენდა ქურციკებისთვის. საკმარისი იყო სასმელი წყალიც. აქედან გამომდინარე მათ არ შეუცვლიათ სამოძრაო ადგილები და ფიქსირდებოდნენ მათთვის ჩვეულ ადგილებში:

აგვისტოს და სექტემბრის თვეში ქურციკების ძირითადი ნაწილი კვლავაც სამუხის ველზე ცენტრალურ ნაწილში გადაადგილდებოდა. აგვისტოს დასაწყისში კარგად გამოჩნდნენ მდედრი ქურციკები და მათთან ერთად ახალგაზრდა ინდივიდებიც, რომლებიც თავისი ზომებით ცოტათიღა ჩამორჩებოდნენ დედებს, მაგრამ მომდევნო დღეებში ძლიერი სიცხეების გამო ქურციკების ძირითადი ნაწილი ხშირად შემოდიოდა პანტიშარის ხეობაში. ამ ტერიტორიაზე არსებული მაღალი გადამხმარი მაღალი ჩალის გამო კი ადმინისტრაციის თანამშრომლები, მესაზღვრეები და აქ გადაადგილებული სხვა პირები მათ ვეღარ ნახულობდნენ. ამიტომ მათი სურათების გადაღება აგვისტოს თვეში ვერ ხერხდებოდა.

ზაფხულის ძლიერი სიცხეების და გვალვების გამო სამუხის ველზე ბალახოვანი საფარველი მთლიანად გადამხმარია. ასევე ის წყალიც დამშრალია სადაც ჯეირნები წინა თვეებში მიდიოდნენ დასარწყულებლად. ამის გამო ამ ტერიტორიაზე რეინჯერები და მესაზღვრეები მათ ვეღარ ნახულობდნენ. წყლისა და საკვების ძიებაში მათ გადმოინაცვლეს ალესილების მიმართულებით და შემოვიდნენ იქ არსებულ ხეობებში. თუმცა სექტემბრის თვის ბოლო რიცხვებში ისევ სამუხის გაშლილ ველებზე გადაინაცვლეს და შესაძლებელი გახდა მათთვის სურათების გადაღება.




ნოემბერში კარგი საკვები ბაზის და სასმელი წყლის არსებობის გამო, ქურციკებს არ შეუცვლიათ სამოძრაო ადგილები და ფიქსირდებოდნენ ისევ სამუხის ველის შუა ნაწილში.

დეკემბერშიც - კვლავ ფიქსირდებოდნენ მათთვის ჩვეულ ადგილებში, კერძოდ კი სამუხის ველის შუა ნაწილში.

ნიამორი - ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ნიამორის ვოლიერში დღეისათვის ვოლიერში არის 5 ინდივიდი, მათ შორის 2 მამრი და 3 მდედრი. ნიამორების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ნიამორების მომსახურებისათვის დაქირავებულია ვეტერინარი. მიმდინარე წლის 20 მარტს გარდაიცვალა ერთი მამრი ნიამორი ხანდაზმულობით. დაწესებული აქვთ 24 საათიანი მორიგეობა, დღეგამოშვებით ნიამორებზე მეთვალყურეობისა და მათი მოვლის მიზნით. მათ მიერ ყოველდღიურად ხდება ვოლიერის დასუფთავება და დღეში სამჯერადად საკვების მიწოდება. მიზანშეწონილია რეინტროდუცირებულ ნიამორებს შეემატოს ასევე ახალი ინდივიდები, რათა მიღწეული იქნას წარმატება. ნიამორების ვოლიერში შესაკეთებელია თავშესაფრები და სადგომები. სახურავიდან ჩამოდის წყალი. მუშავდება ერთიანი ინფორმაცია მოწოდებული ადმინისტრაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ნიამორი

პოპულაციის საერთო მდგომარეობა: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში 2016 წლის სექტემბრის თვის მდგომარეობით იყო ნიამორის 7 ინდივიდი, მათ შორის 4 მამრი და 3 მდედრი, მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში დაიღუპა ამა წლის მაისის თვეში დაბადებული 2 ინდივიდი. ვეტერინარის დასკვნით „კუჭის აშლილობით“. სექტემბრის თვის მდგომარეობით ვოლიერში 5 ინდივიდია, მათ შორის 2 მამრი და 3 მდედრი. ვოლიერს უვლის 2 მომვლელი, რომელთაც აქვთ 24 საათიანი მორიგეობა, ნიამორზე მეთვალყურეობისა და მათი მოვლის მიზნით. მათ მიერ ყოველდღიურად ხდება ვოლიერის დასუფთავება და დღეში სამჯერადად საკვების მიწოდება.





ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს საქართველოს “წითელი ნუსხის” ცხოველების მონიტორინგი. სახეობათა კონსერვაციის ცენრის “ნაკრესის”


მრავალკომპონენტიანი პროექტი, საქართველოს “წითელ ნუსხაში” შემავალი სახეობების ინდივიდების რაოდენობის დასადგენად, ამ ეტაპზე დაიწყო ფოცხვერის მონიტორინგი, ფოტოხაფანგების გამოყენებით.

იმ ადგილებში სადაც მოხდა ფოტოხაფანგების დამონტაჟება გადაღებული იქნა ფოცხვერის რამდენიმე ფოტო, რის შემდეგაც მოხდა ფოტოების ანალიზი და გამოვლინდა რომ ამ ეტაპზე დაფიქსირებულია ფოცხვერის სამი სხვადასხვა ინდივიდი. კერძოდ, ერთი ინდივიდი ლიკნის ტერიტორიაზე, ერთი ზორეთის და ერთი წინუბნის ტერიტორიაზე. აღნიშნული პროექტი დამთავრდა მიმდინარე წლის 20 აპრილს.


მომზადებულია 2000-2016 წლის განმავლობაში საქართველოს დაცული ტერიტორიებზე განხორციელებული სამეცნიერო კვლევების ნუსხა, მოხდა მათი აღრიცხვა, რაც გამოსახულია გრაფიკულად.




დიაგრამა 2. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2000- 2016 წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო კვლევები




დიაგრამა 3. 2016 წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო კვლევები ადმინისტრაციების მიხედვით



დიაგრამა 4. დაცულ ტერიტორიებზე 2016 წელს ჩატარებული სამეცნიერო კვლევების სტატისტიკა დარგების მიხედვით



დიაგრამა 5. დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების სტატისტიკა 2000 -2016 წლის მონაცემებით



სურ. 16 წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო კვლევები მიმართულების მიხედვით

ანალიზი: აღნიშნული გრაფიკიდან ჩანს, რომ სამეცნიერო კვლევების რაოდენობის მიხედვით მათი მაქსიმალური მაჩვენებელი 2016 წლის მონაცემებით გამოვლინდა, რომ სამეცნიერო კვლევების დარგების მიხედვით ზოოლოგიურ (განსაკუთრებით ენტომოლოგიური და ძუძუმწოვრების კვლევები) და ბოტანიკურ კვლევებს უკავიათ დომინანტი მდგომარეობა, ხოლო რაოდენობრივად კოლხეთის ეროვნული პარკი ლიდერობს, სადაც 8 ნებართვაა გაცემული სამეცნიერო კვლევის წარმოებაზე, ხოლო შემდგომ ჯავახეთის, ვაშლოვანის და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები.

მომზადდა 2016 წლის „მავნებლებთან ბრძოლის პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს წლის განმავლობაში შემდგომ ღონისძიებებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მაჭახელას, მტირალას და კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებული ბზის ალურას (*Cedalima perspectalis*) წინააღმდეგ ბიოლოგიური პრეპარატები, უახლოეს მომავალში განხორციელდება კოლხური ბზის შეწამლვა. ასევე, შეძენილია ფერომონები ყაზბეგის და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკების წიწვოვან ტყეებში გავრცელებული ქერქიწამიების წინააღმდეგ გამოსაყენებლად.

ალგეთის და ყაზბეგის ეროვნული პარკების და კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე ჩატარდა ფონური კვლევები ალგეთის და ყაზბეგის ეროვნული პარკის, ასევე კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე. შედეგად შეიქმნა ფლორისტული და ფაუნისტური სისტემატიკური სიები და გავრცელების არეალები, რომლებიც დადებულია რუკებზე, მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს „წითელი ნუსხის“ ცხოველები და ფრინველები: მურა დათვი, კავკასიური ციყვი, ფოცხვერი, ფასკუნჯი, დალის ხვლიკი, წავი.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

2016 წლის განმავლობაში საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით დაცული ტერიტორიების სააგენტოს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრები, ლექცია-სემინარები, ტრენინგები, ეკო-გაკვეთილები ველზე, დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო ეკო-ტურები და სხვა სახის გარემოსდაცვითი აქტივობები.

სოციოლოგიური გამოკითხვა

2016 წელს დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სოციოლოგიური კვლევის ცენტრის ,,გორბის”-ს მიერ მომზადებული - ,,საზოგადოებრივი აღქმისა და გავლენის მონიტორინგისა და შეფასების კითხვარის საშუალებით”.

საქართველოს დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონის მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვა საშუალებას გვაძლევს ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- მოსახლეობის ცნობიერება;
- მოსახლეობის შიში და მოლოდინი დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში;
- სარგებელი და ზარალი;
- მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი;
- დაცული ტერიტორიის განვითარების პროცესში, მენეჯმენტის გეგმაში მონაწილეობა, აღიქვამენ თუ არა ისინი, რომ წარმოადგენენ სამენეჯმენტო პროცესის შემადგენელ ნაწილს.

ალგეთის, აჯამეთის, ბაწარას, ბორჯომ-ხარაგაულის, ვაშლოვანის, თბილისი, თუშეთის, კინტრიშის, კოლხეთის, ლაგოდეხის, მარიამჯვარის, მაჭახელას, მტირალას, იმერეთის მღვიმეების, სამეგრელოს ბუნების ძეგლების კომპლექსის და ოკაცეს ბუნების ძეგლების, ქობულეთის, ყაზბეგის, ჯავახეთის და ჭაჭუნას დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ გამოიკითხა 100 რესპოდენტი. სულ 1900 რესპოდენტი. პასუხები დამუშავდა დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

მომზადდა ვაშლოვანის, თუშეთის, ჯავახეთის, მტირალას და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების სალაშქრო რუკები.

მოხალისეები დაცულ ტერიტორიებზე

15 ივლისიდან 15 აგვისტომდე ლაგოდეხის, ბორჯომ-ხარაგაულის, მტირალას, თუშეთის და ოკაცეს დაცულ ტერიტორიებზე თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების პირველი კურსის სტუდენტების მოხალისეთა პროგრამა განხორციელდა. უკვე მეოთხე წელია მოხალისეთა პროგრამის ფარგლებში სტუდენტები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 10-10 დღის განმავლობაში კარვებში საველე პირობებში ცხოვრობენ. სტუდენტები გაეცნენ დაცული ტერიტორიების სპეციფიკას, მონაწილეობას იღებდნენ ტურისტული ზონების მოწესრიგებაში, მონაწილეობდნენ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაში, ჩართულები იყვნენ რეინჯერებთან ერთად ყოველდღიურ საქმიანობაში და ასევე ეხმარებიან ადგილობრივ მოსახელობას.

დაცული ტერიტორიების სააგენტო სტუდენტებთან თანამშრომლობით საფუძველს უყრის პრაქტიკული განათლების ინოვაციურ მიდგომას. პროგრამა უზრუნველყოფს ახალგაზრდების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას.

2016 წელს მოხალისეთა პროგრამაში დაცულ ტერიტორიებზე აგრარული და თავისუფალი უნივერსიტეტების 800-მდე პირველკურსელმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

„აღმოაჩინე და შეიყვარე დაცული ტერიტორიები“

2016 წელს დაცული ტერიტორიების სააგენტომ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს გაეროს ასოციაციასთან (UNAG), ფონდ ALPE-სთან და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განხორციელდა პროექტი „აღმოაჩინე და შეიყვარე დაცული ტერიტორიები“. პროექტი 1 თვის მანძილზე გრძელდებოდა. მასში მონაწილეობა 30-მდე სტუდენტმა მიიღო. პროექტის ფარგლებში მონაწილეებს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელმა მარიამ თათარაშვილმა თბილისის ახალგაზრდული ცენტრის სტუდენტებს ლექციები შემდეგ თემებზე წაუკითხა:

- საქართველოს დაცული ტერიტორიები;
- ტყე და დაცული ტერიტორიები;
- ბიომრავალფეროვნება დაცულ ტერიტორიებზე;
- ეკოტურიზმი საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე.

პროექტის დასკვნითი ღონისძიება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში გაიმართა, ვიზიტორთა ცენტრის საკონფერენციო დარბაზში პროექტის ფარგლებში, მონაწილეების მიერ დაწერილი ესეების განხილვა გაიმართა. ესეები თემაზე „რას განვავითარებდი დაცულ ტერიტორიებზე“ მომზადდა. ღონისძიების ბოლოს მონაწილეებს სერთიფიკატები გადაეცათ და ბუნების შემეცნებით ბილიკზე ეკო-ტურში მიიღეს მონაწილეობა.






პირველი ეკო საგანმანათლებლო წიგნი დაცული ტერიტორიების თემატიკით:

ორგანიზაცია GLEN (Global Education Network of Young Europeans) - ის პროგრამის ფარგლებში, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებს სამი მოხალისე Julia Böttger, Emmanuelle Chevallier და Raphaela Holzer ესტუმრა. მოხალისეებთან ერთად მომზადდა საბავშვო, ეკო - საგანმანათლებლო ილუსტრირებული წიგნი „ნინოს თავგადასავალი ლაგოდეხის ტყეში“, რომელიც დაეხმარება ბავშვებს როგორც ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების, ასევე აქ მობინადრე ფლორისა და ფაუნის იშვიათი წარმომადგენლების გაცნობაში. წიგნის მიზანია

გააღვიძოს ბავშვებში ბუნებისადმი სიყვარულის გრძნობა, გაზარდოს საზოგადოების ჩართულობა და პასუხისმგებლობა ბუნებისადმი. ადმინისტრაციის დახმარებით მოძიებულ იქნა ფონდი „ქეა სამხრეთ კავკასიაში“, რომლის დაფინანსებით დაიბეჭდა წიგნი და გავრცელდება სკოლებში.






ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში:

Glen - ის მოხალისის მიერ მომზადდა კონცეფცია ეროვნულ პარკში 100 მეტრიანი გარემოს შემეცნებითი ბილიკის მოწყობაზე, პროექტის ბიუჯეტი 1300 ევროს შეადგენს. თანხის შეგროვება მოხდა ინტერნეტ გვერდის საშუალებით შემოწირულობებით, რის მეშვეობითაც ეროვნული პარკის თანამშრომლების და GLEN მოხალისის ხელმძღვანელობით მოეწყო ბუნების შემეცნებითი ბილიკი. ბილიკის არსებობა მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებისა და ეკო-განათლებისათვის.





„დედამიწის საათი“

მასშტაბურად აღინიშნა დედამიწის საათი ალგეთის, აჯამეთის, ვაშლოვანის, თუშეთის, ლაგოდეხის, კოლხეთის, მაჭახელას, მტირალას, იმერეთის მღვიმეების, ყაზბეგის და ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მიერ, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკიც შეუერთდა დედამიწის საათის აღნიშვნას, 1 საათის მანძილზე ადმინისტრაციულ შენობასა და ეზოში გამოირთო ელექტროენერგია, საღამოს მუსიკალურად აფორმებდა მუსიკალური ბენდი: “Guardian Brothers”.



ალგეთის ეროვნული პარკი



ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი



აჯამეთის აღკვეთილი



ჯავახეთის დაცული ტერიტორიები



ყაზბეგის ეროვნული პარკი



იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები



ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები



მტირალას ეროვნული პარკი



მაჭახელას ეროვნული პარკი



კოლხეთის ეროვნული პარკი



ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები



თუშეთის დაცული ტერიტორიები

2016 წლის 16 თებერვალს „საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014-2020“-ს საგანმანათლებლო ჯგუფის სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების ეკო-განათლებისა და ინტერპრეტაციის უფროსი სპეციალისტი მარიამ თათარაშვილი.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი შეუერთდა ქალაქ ბორჯომში, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო კონცერტს, სადაც მაყურებელმა ეროვნული პარკის მიერ მომზადებული გარემოსდაცვითი შინაარსის ვიდეორგოლიც ნახა.

<u>„რა? სად? როდის?“</u>

მთელი საქართველოს მასშტაბით ტერიტორიული ადმინისტრაციების მიერ სკოლებში ტარდება თამაში „რა? სად? როდის?“ დაცული ტერიტორიების თემატიკით, რომლის ძირითადი მიზანია დაცულ ტერიტორიებზე და მის ბიომრავალფეროვნებაზე ცნობიერების ამაღლება.

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში თებერვლის და მარტის თვეებში მიმდინარეობდა მომზადება “რა? სად? როდის?“ თამაშისათვის. კერძოდ დაბა მანგლისის, სოფ. თონეთის და სოფ. ორბეთის საჯარო სკოლებში შეირჩა გუნდები, რომლებთანაც მოწყობილი იქნა შეხვედრები. ასევე მიმდინარეობს აღნიშნული ჯგუფების დატრენინგება.
2016 წლის 27 მაისს მანგლისის, თონეთის და ორბეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის“. თამაშის კითხვები ძირითადად დაფუძნებული იყო გარემოსდაცვით და ალგეთის ეროვნულ პარკთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეჯიბრში გაიმარჯვა მანგლისის საჯარო სკოლამ.
ადმინისტრაციის ინიციატივით 28-29 მაისს SPPA - „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველოს“ ფარგლებში და ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის მხარდაჭერით ინტელექტუალურ შეჯიბრში „რა? სად? როდის?“ მონაწილე 17 მოსწავლისათვის მოეწყო ორდღიანი ტური ყაზბეგის ეროვნულ პარკსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში პროექტი "ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების გავრცელება ეროვნული პარკის რეგიონში" უკვე მეორე წელია მიმდინარეობს. წელს პროექტში ჩართულია 45 საჯარო სკოლა. ყველა სკოლის გუნდს ჩაუტარდათ პრეზენტაციები, რის შემდეგაც „რა? სად? როდის?“ თამაშით გამოვლინდა გამარჯვებულები. ყველა მუნიციპალიტეტის გამარჯვებულ გუნდს გადაეცა აწყურის საზაფხულო ბანაკის საგზურები. ბორჯომ-ხარგაულის ეროვნული პარკის პროექტი „ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების გავრცელება ეროვნული პარკის რეგიონში“ აწყურის საზაფხულო ბანაკით დასრულდა. მათ ჩაუტარდათ სემინარები და ტრენინგები გარემოს დაცვაზე, მოხალისეობაზე, ეფექტურ კომუნიკაციაზე და ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებაზე. მოეწყო ასევე ლაშქრობა და

ნიამორების რეინტროდუქციის პროექტის გაცნობა, რეინჯერის ერთი დღე - პროგრამა „ნორჩი რეინჯერიდან“ და ბევრი საინტერესო ეკო-თამაში, რაც დაეხმარება მათ გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაში.

ბანაკი დასრულდა თუმცა მონაწილეები უკვე ეროვნული პარკის „მწვანე ელჩები“ არიან და აქ მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას გამოიყენებენ მათ რეგიონში, სოფელსა თუ ქალაქში, როგორც თანატოლ განმანათლებლები. პროექტს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ამერიკის მშვიდობის კორპუსის ფინანსური დახმარებით უკვე მეორე წელია ახორციელებს. წელს პროექტში სულ ჩართული იყო 264 მოსწავლე.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ 7 ივნისს ქ. დედოფლისწყაროში რაიონის საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა ინტელექტუალური თამაშის - ,,რა? სად? როდის?“ საგაზაფხულო სერიის დასკვნითი ტური.

თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ ზემო და ქვემო ალვანის სკოლებში ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“. თამაშში მონაწილეობდნენ მე-8 და მე-10 კლასის მოსწავლეები.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ ქობულეთის საჯარო სკოლების ბავშვებისთვის მოაწყო ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“.

მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა თამაში „რა? სად? როდის?“ 3 შეხვედრა. ვიქტორინაში მონაწილეობას ღებულობდნენ სოფ. ჩიქუნეთისა, სოფ. აჭარის აღმართის, სოფ. ჩხუტუნეთისა და სოფ. ქედქედის საჯარო სკოლის მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეები.


მარიამჯვარის ნაკრძალის ადმინისტრაციის მიერ 23 ნოემბერს საგარეჯოს კულტურის სახლის მცირე დარბაზში ინტელექტუალური თამაში - „რა? სად? როდის?“ გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღეს ქ. საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის, სოფ: პატარძეულის და კაკაბეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.გამოვლინდნენ გამარჯვებულები, პირველ ადგილზე გავიდა ქ. საგარეჯოს №1 საჯარო სკოლა, მეორე ადგილის მფლობელი გახდა კაკაბეთის საჯარო სკოლა, ხოლო მესამე ადგილი პატარძეულის საჯარო სკოლამ მოიპოვა. ყველა მონაწილე გუნდს სიგელები გადაეცათ. პროექტის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და საქართველოს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია.

მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? თამაშში მონაწილეობას ღებულობდნენ 4 სკოლის მოსწავლეები, ნახევარფინალში გაიმარჯვეს ჩაქვის #1 საჯარო სკოლამ და სოფ. გორგაძეების საჯარო სკოლამ.

ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ 10 თებერვალს ჩატარებულ იქნა ქობულეთის ფარნავაზის სახელობის საერო სკოლის ეკოკლუბის წევრებისათვის თამაში ,,რა, სად, როდის“? ხოლო 11 ნოემბერი - ენერგოეფექტურობის დღესთან დაკავშირებით ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბრის საჯარო სკოლაში ჩატარებული იქნა თამაში ,,რა, სად, როდის“


ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ სკოლებში საინფორმაციო შეხვედრების დროს მიღებული ინფორმაციის უკეთ გააზრების, ასევე ყაზბეგის ეროვნული პარკისა და მისი ადმინისტრაციის საქმიანობის უკეთ წარმოჩენის მიზნით რაიონის ყველა საჯარო სკოლაში მოეწყო “რა? სად? როდის?” ტიპის ინტელექტუალური შეჯიბრებები, რომელიც ძირითადად ეკოლოგიასა და დაცული ტერიტორიის თემატიკას მიეძღვნა; გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ ექსკურსიით, მათ მოინახულეს სათაფლიას ეროვნული პარკი და მარტვილის კანიონები; შეჯიბრებები ჩატარდა როგორც სკოლების შიგნით, ასევე სკოლებს შორისაც. ამგვარი შეჯიბრებები გაიმართება ყოველწლიურად, წელიწადში ერთხელ.

სულ 2016 წლის განმავლობაში ლექცია-სემინარი გარემოს დაცვისა და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის თემატიკით ჩაუტარდა 81 151-მდე მოსწავლესა და სტუდენტს, ჩართული იყო 4 855-მდე პედაგოგი და ჩატარდა შეხვედრა 13 928 ადგილობრივ მოსახლესთან. ჩატარდა 853 ლექცია-სემინარი და 615 მოსახლეობასთან შეხვედრა. მოეწყო 208 კვირეული, 124 მწვანე აქცია, 2 805 ეკო ტური და 175 დასუფთავების აქცია.




2016 წლის განმავლობაში სულ გარემოსდაცვით აქტივობებში ჩაერთო 100 884 ადამიანი.

ტერიტორიული ადმინისტრაციების მიხედვით ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართულ ადამიანთა რიცხოვნობა შემდეგნაირად გამოიყურება:




ეკოტურიზმი

2016 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებს ესტუმრა 734 874 ვიზიტორი, რაც წინა 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით (518 218 ვიზიტორი) 42%-ით არის გაზრდილი. აქედან ქართველი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის - 58% (424 397), ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 42% -ს (310 477 ვიზიტორი).




დიაგრამა 1. ვიზიტორთა რაოდენობა წლების მიხედვით 2007-2016წწ




დიაგრამა2. ვიზიტორთა რაოდენობა თვეების მიხედვით 2016 წ.

2016 წლის მონაცემებით, 2015 წლის მონაცემებთან შედარებით შემოსავლების რაოდენობა გაზრდილია 45%-ით. 2016 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 2 313 697 ლარი, 2015 წლის შემოსავლებმა კი 1 589 756 ლარი.




დიაგრამა 3. ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2015-2016წწ.



დიაგრამა 4. შემოსავლები დაცული ტერიტორიების მიხედვით 2016წ.

ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლი ადმინისტრაციების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად: იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია - 57%, მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია 33%, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია - 3%, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია 2%, , კოლხეთის ეროვნულ პარკის ადმინისტრაცია - 2%. შემოსავლების 4% ნაწილდება ლაგოდეხის, მტირალას, თუშეთის, ჭაჭუნას, ჯავახეთის, კინტრიშისა და ქობულეთის დაცულ ტერიტორიების ადმინისტრაციებს შორის.




დიაგრამა 5. ვიზიტორთა რაოდენობა დაცული ტერიტორიების მიხედვით

2016 წლის მონაცემებით ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა პრომეთესა და სათაფლიას მღვიმეებს, ყაზბეგის ეროვნულ პარკს, მარტვილის კანიონს, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკსა და ოკაცეს კანიონს.

საერთაშორისო ვიზიტორების სტატისტიკა

უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა 2015 წელთან შედარებით გაზრდილია 71%-ით. დაცულ ტერიტორიებს 2016 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა რუსეთიდან 25%, ისრაელიდან 16%, პოლონეთიდან 7%, უკრაინიდან 6%, გერმანიიდან 5%.
მტირალას, პრომეთეს, ყაზბეგის, მარტვილისა და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა აღემატება ქართველ ვიზიტორთა რაოდენობას.



დიაგრამა 6. საერთაშორისო ვიზიტორები 2016 წ.

ტურისტული ტარიფების განახლება

დაცულ ტერიტორიებზე ტურისტულ მომსახურებებზე მომხმარებელთა მოთხოვნისა და არსებული ბაზრის კვლევის საფუძველზე, ტურისტული სერვისის გაუმჯობესების მიზნით განახლდა ტურისტულ მომსახურებებზე არსებული ტარიფები. განახლებული სახით განთავსდა სერვისების და ტარიფების შესახებ ინფორმაცია დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებგვერდზე

თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან

შემუშავდა მტირალას, მაჭახელას, კინტრიშის, ბორჯომ-ხარაგაულისა და ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ტურიზმის განვითარების სტრატეგიები, რომლის ფარგლებშიც გაიმართა სამუშაო შეხვედრები როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოში ასევე ტერიტორიულ ადმინისტრაციებში.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მრჩეველთა საბჭოს ინიციატივით საბჭოში აჭარის ტერიტორიაზე არსებული დაცული ტერიტორიების წარმომადგენელიც გაწევრიანდა, სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით სამუშაო შეხვედრები სამ თვეში ერთხელ გაიმართება.

2016 წლის 29-30 სექტემბერს ბიზნეს ჯორჯიას ინიციატივით მოეწყო ბიზნეს ფორუმი ტურიზმის ინდუსტრია 2016, სადაც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, ეკოტურიზმის ასოციაციის, კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ჯომარდობის ეროვნული ფედერაციის, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან და საქართველოს ტურიზმის ასოციაციასთან ერთად დაცული ტერიტორიების სააგენტოც იღებდა მონაწილეობას, მხარეებმა განიხილეს ტურიზმის სფეროში არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და დაისახა მათი გადაჭრის შესაძლო გზები.

დაცული ტერიტორიების სააგენტომ მონაწილეობა მიიღო ტურისტული კომპანია Discover Georgia”-ს სტაჟირება დამთავრებული სტუდენტების სერტიფიკატებით დაჯილდოების ღონისძიებაში, დაცული ტერიტორიების შესახებ ბროშურებისა და სხვა საინფორმაციო მასალების წარმოდგენის სახით.

პრომეთეს ვიზიტორთა ცენტრში ვიზიტორთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტებსა და გიდებს ჩაუტარდათ ტრენინგი ეფექტიან მომსახურებასა და კომუნიკაციაში.

13-28 აპრილს ექსპერტი ვიზიტორთა ცენტრების სივრცის მოწყობის საკითხებში, ჰენრიკე გესსინკი იმყოფებოდა ლაგოდეხის, ვაშლოვანის, ბორჯომ-ხარაგაულის, იმერეთის მღვიმეების,


მტირალას, ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე, მოინახულა ვიზიტორთა ცენტრები და ტურისტული ინფრასტრუქტურა შემდგომში რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.
დაიგეგმა და მომზადდა ტექნიკური რეგლამენტის „საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ“ გათვალისწინებით საინფორმაციო და მიმართულების მაჩვენებელი დაფების შესახებ ინფორმაცია დაცული ტერიტორიების მიხედვით, რომლის მიხედვითაც დამზადდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა.







დაცული ტერიტორიების სააგენტო წარდგა ადგილობრივ, თბილისისა და ბათუმის ტურიზმის საერთაშორისო გამოფენებზე. გამოფენებზე, ვიზიტორთა დაინტერესებისა და მოზიდვის მიზნით, დაცული ტერიტორიების სააგენტომ წარადგინა საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობა - დაცული ტერიტორიები და არსებული ტურისტული სერვისები.


ვიზიტორთა გამოკითხვის შედეგები















როგორ ტურებს ანიჭებენ უპირატესობას
22%
3%
16%
5%
54%
საფეხმავლო
სანაოსნო
სამანქანო
საცხენოსნო
კომბინირებული



რამდენად მისაღებია ტურისტული მომსახურების ფასები
15%
15%
70%
დაბალი
საშუალო
მაღალი



რამდენად მისაღებია ტურისტული ინფრასტრუქტურა
42%
56%
2%
კარგია
ცუდია
საჭიროებს გაუმჯობესებას



გაქვთ თუ არა სურვილი მომავალშიც მოინახულოთ საქართველოს სხვა დაცული ტერიტორია
2%
17%
81%
არა
არ ვიცი
კი


ინფორმაციის წყარო
2%
35%
37%
7%
19%
ჟურნალ-გაზეთები
ინტერნეტი
პირადი რეკომენდაცია
რადიო/ ტელევიზია
ტურისტული სააგენტოები


ბუნებაში მოგზაურობისას რას ანიჭებთ უპირატესობას?
7%
0%
22%
14%
57%
მარტივ მაგრამ სრულფასოვან ინფრასტრუქტურას
გადაადგილების საშუალებების არსებობას
სისუფთავეს
სრულყოფილ კომფორტს


სად გირჩევნიათ ღამის გათევა?
14%
34%
18%
34%
კარავი
ტურისტული თავშესაფარი
საოჯახო სასტუმრო
ვიზიტორთა ცენტრი


როგორ შეაფასებდით გიდების მომსახურებას
0%
30%
70%
კარგი
საშუალო
ცუდი


ტურისტული მომსახურების ხარისხი
2%
34%
64%
მაღალი
საშუალო
დაბალი

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

რეინჯერთა ინდივიდუალური და ჯგუფური პატრულირების მარშრუტების გადახედვა და კორექტირება. 2016 წლის იანვრის თვეში მოხდა რეინჯერთა არსებული ინდივიდუალური და ჯგუფური საპატრულო მარშრუტების გადახედვა, რომლის შედეგადაც მათი კორექტირება არ ჩაითვალა საჭიროდ.

ალგეთის ეროვნული პარკისათვის სამშვილდისა და დაშბაშის კანიონების შემოერთების შემდეგ გადაიხედა სამანქანო საპატრულო მარშრუტები და არსებულ მარშრუტებს დაემატა ორი საპატრულო მარშრუტი.

2016 წლის პირველ კვარტალში ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მოხდა ანთროპოგენური ზეგავლენის მქონე ადგილების განსაზღვრა და რუკაზე დატანა.

2016 წლის მარტის, ივნისის, სექტემბრის და დეკემბრის თვეებში ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორისა და დაცვის განყოფილების უფროსის მიერ ჩატარებული იქნა რეინჯერებისთვის „კანონაღსრულებასთან“ დაკავშირებით ტრენინგები. ასევე დაცვის განყოფილების თანამშრომლებისათვის მაისის თვეში ჩვენი ადმინისტრაციის რეინჯერებს ჩაუტარდათ დაგეგმილი თრენინგები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ყველა რეინჯერმა.





ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ ყოველი კვირის დასაწყისში სააგენტოს მიეწოდება სიტყვიერად (ტელეფონით) ინფორმაცია გასული კვირის განმავლობაში გამოვლენილ დარღვევებზე, ამასთან შესაბამისად ერთიან ბაზაში იტვირთება.

2016 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით ყოველთვიურად ხდებოდა პატრულირების მარშრუტების და სარეინჯეროების მოულოდნელი შემოწმება, გეგმის შედგენა-განსაზღვრა და ადმინისტრაციის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცება. ყოველთვიურად ხდებოდა საპატრული მარშრუტების შედგენა-გადაცემა რეინჯერებისათვის. წლის დასაწყისიდან დღემდე შესრულებულია შემდეგი საპატრულო მარშრუტები: პატრულირება:

- ✓ 2117 მოულოდნელი რეიდი: 134 გავლილი კმ.

- ✓ ფეხით: 20184 კმ ავტომანქანით: 30834 კმ ცხენით: 5092 კმ

2016 წლის 1 აპრილიდან 30 მაისის ჩათვლით ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის 2015 წლის 31 მარტის №9 ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის თანახმად, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში შემავალ ყველა სარეინჯეროში ჩატარდა საგაზაფხულო გეგმიური რევიზია. რევიზიების შედეგად ყველა სარეინჯეროში გამოვლინდა 6,7 კუბური მეტრი უკანონო ჭრა. აღნიშნული ქმედებით გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 1709,21ლარი.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის 19 ოქტომბრის 1 27 და 11 ნოემბრის #29 ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების თანახმად, ალგეთის ეროვნულ პარკის ცხრავე სარეინჯეროში 19 ოქტომბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდა საშემოდგომო გეგმიური რევიზია. რევიზიის შედეგად გამოვლინდა 4,51 კუბური მეტრი უკანონო ჭრა. ზიანმა შეადგინა 1949,47 ლარი.

2016 წლის 3 მაისიდან 30 მაისის ჩათვლით ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის 2015 წლის 28 აპრილის №5 ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის თანახმად, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში შემავალ ყველა სარეინჯეროში ჩატარდა საგაზაფხულო საკონტროლო რევიზია. რევიზიის შედეგად ყველა სარეინჯეროში გამოვლინდა 2,2კუბური მეტრი უკანონო ჭრა. აღნიშნული ქმედებით გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 371,74ლარი. ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის 18 ოქტომბრის 1 20 ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების თანახმად, ალგეთის ეროვნულ პარკის ცხრავე სარეინჯეროში 22 ნოემბრიდან 9 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა საშემოდგომო გეგმიური რევიზია. რევიზიის შედეგად გამოვლინდა 1,73 კუბური მეტრი უკანონო ჭრა. ზიანმა შეადგინა 913,57ლარი.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში შემავალი სარეინჯეროებებში მიმდინარე წლის აპრილის, მაისის და ივნისის თვეებში მოხდა საშეშე მერქნითი რესურსების არსებული მარაგის შეფასება, გამოსაყოფი ტყეკაფების ადგილების იდენტიფიცირება კვარტლების განსაზღვრით.2016 წლის მაისის და ივნისის თვეებში ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მოხდა გამოსაყოფი ტყეკაფების ადგილების იდენტიფიცირება შემდეგი კვარტლების განსაზღვრებით: #6,13,16,19,21,29,30,31,35,38,47,48,50,51,53,54,55,56,57,58.

ტყეკაფების გამოყოფამდე 2016 წლის მაისის და ივნისის თვეებში ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობა გამოსაყოფი ტყეკაფების განსაზღვრისათვის.

მიმდინარე წლის ივნისა და ივლისის თვეებში მოხდა გამოსაყოფი ტყეკაფების წინასწარი დათვალიერება და დათვალიერების დოკუმენტების მომზადება.

ივლისის და აგვისტოს თვეებში მოხდა 20 ტყეკაფის გამოყოფა, მასალების შესაბამის ფორმაში (დოკუმენტში) შეტანა და დაცვის განყოფილების მიერ მასალების წარდგენა ადმინისტრაციაში.

მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში 694 კბ.მ. გამოყოფილი ტყეკაფების მონაცემები აიტვირთა მერქნული რესურსების მართვის ერთიან მონაცემთა ბაზაში და 1 სექტემბრიდან დაიწყო საშეშე მერქნის ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცემა.

2016 წლის განმავლობაში ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს საშეშე მერქნის გაცემა ადგილობრივ მოსახლეობაზე. 2016 წლის განმავლობაში გაცემულია 623,7 კუბური მეტრი საშეშე მერქანი.

მაისის-ივლისის თვეებში ჩატარდა ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდებარე ტყეების დათვალიერება, ჭრაგავლილი ადგილების ბუნებრივი განახლების მდგომარეობის ზოგადი შეფასება, რის შედეგადაც ეროვნული პარკის ტერიტორიაზე კრიტიკული ადგილები არ დაფიქსირებულა.

აპრილის თვეში ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში შემოწმებული იქნა შესაბამისი ტექნიკა და აღჭურვილობა მისი ვარგისიანობაზე და ასევე დაცვის განყოფილების თანამშრომლებისათვის ჩატარდა ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებისათვის ინსრუქტაჟი.

მიმდინარე წლის ივნისის-სექტემბრის თვეებში ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გაძლიერებული იქნა პატრულირება ხანძრის შესაძლო გავრცელების ადგილებში.

2016 წლის აპრილის თვეში, წლიური სამოქმედო გეგმის მიხედვით, ჩატარდა რეინჯერთა ტრენინგი ხანძარსაშიში პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით. ერთდღიანი ტრენინგი ჩაატარეს ადმინისტრაციის დირექტორმა და დაცვის განყოფილების უფროსმა.

2016 წლის განმავლობაში, ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დაფიქსირდა ნადირის მიერ პირუტყვის დაზიანების 16 ფაქტი. 2016 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით რუკაზე დატანილია პოტენციური ბრაკონიერობის ადგილები და შესაბამისად საპატრულო მარშრუტები მიმართულია აღნიშნული ტერიტორიისაკენ. შედეგად გაიზარდა დაცვის სამსახურის ეფექტურობა.

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაზე რიცხული 30 ფოტოხაფანგი არის გამართულ სამუშაო მდგომარეობაში.

სამეცნიერო საქმიანობა

2015 წლის „ბუნების მატიანე“ იანვრის თვეში წარდგენილია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

მეტეოროლოგიური დაკვირვება ხდება მხოლოდ ვიზუალურად შესაბამისი ხელსაწყოების უქონლობის გამო. თუმცა ადმინისტრაცია ყოველდღიურად აკეთებს ჩანაწერს ამინდის პროგნოზის დაყრდნობით.

2016 წლის განმავლობაში არასისტემატური მოვლენები ზვავების, წყალდიდობების, წყალმოვარდნების და სხვა მოვლენების სახით არ დაფიქსირებულა.


2016 წლის განმავლობაში რეინჯრების მიერ წარმოდგენილი ყოველკვირეული ინფორმაციის და ფოტოხაფანგების მიერ დაფიქსირებულ მასალების საფუძველზე ხდებოდა აღნიშნული ინფორმაციის შეჯამება და დამუშავება. ეროვნული პარკის #33 დაფიქსირდა გარეული ღორის გახშირებული სიკვდილიანობის ფაქტები ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო. ინფორმაცია ზემოაღნიშნულის შესახებ გაგზავნილია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში, რის შემდგომ სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლების მიერ გადამოწმდა ტერიტორია და გარეული ღორების სიკვდილიანობა ინფექციებით ან ვირუსული დაავადებებით არ დადასტურდა.


ეროვნული პარკის გავრცელებულ მცენარეთა შორის არის აღნიშნულია **რელიქტიური მცენარეთა 7 სახეობა:** აღმოსავლური ნაძვი, კავკასიური სოჭი, კავკასიური ფიჭვი, აღმოსავლური წიფელი, იფანი, მაღალმთის მუხა, ქართული ნეკერჩხალი, ასევე **ენდემური მცენარეების 7 სახეობა:** ქართული მედგარა, მაღალმთის ბოყვი, ქართული ზამბახი, ქართული თხილი, ხარაძის მაჩიტა, ქართული კოწახური და ფურისულა. **საქართველოს „წითელი ნუსხის“მერქნიანი მცენარეების 6 სახეობა:** მაღალმთის მუხა, კაკლის ხე, თელა, მცირენაყოფიანი ბალამწარა, ქართული ნეკერჩხალი და აკაკის ხე - დაფიქსირებულია სამშვილდეს კანიონის ტერიტორიაზე.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაცვის სამსახურის მიერ სისტემატიურად მიმდინარეობს საქართველოს „წითელი ნუსხის“ ცხოველთა მონიტორინგი. აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდება ადმინისტრაციას, სადაც ხდება ინფორმაციის დამუშავება, დაჯამება. ასევე საქართველოს „წითელი ნუსხის“ ცხოველების დაკვირვებაში მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა დამონტაჟებული ფოტოხაფანგები.

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ფაუნის სპეციალური კვლევის შედეგად დაფიქსირდა 40-43 სახეობის ძუძუმწოვარი, მათ შორის **საქართველოს „წითელი ნუსხის“ 6 სახეობა:** კავკასიური ციყვი, მურა დათვი, ფოცხვერი, წავი, ნერინგის ბრუცა, ამიერკავკასიური ზაზუნა, ასევე აღსანიშნავია **კავკასიური ენდემების 6 სახეობა:** კავკასიური ბიგა, ვოლნუხინის მცირეკავკასიური ბიგა, კავკასიური თხუნელა, მცირეაზიური მემინდვრია, ბუჩქნარის მემინდვრია, დაღესტნური მემინდვრია.


საქართველოს „წითელი ნუსხის“ ცხოველთა გავრცელების არეალი






ალგეთის ეროვნული პარკის "წითელი ნუსხის" ცხოველების სახეობათა რაოდენობა 2016 წლის განმავლობაში

2016 წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის მიერ შეგროვილი და წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე მიმდინარეობდა მსხვილი ძუძუმწოვრების მონიტორინგი, არაეალის დადგენა, აღრიცხვა და რიცხოვნობის დინამიკის გრაფიკების აგება.




ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული ძუძუმწოვრების სახეობათა რაოდენობა 2016 წლის განმავლობაში

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მობინადრე და გადამფრენ ფრინველებზე განხორციელდა დაკვირვება, შეძლებისდაგვარად მათი გავრცელების არეალისა და გადაფრენის მიმართულებების შესწავლა, მომზადდა რუკები მათი არეალებით.



ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ შექმნილია ფაუნის და ფლორის ფოტოარქივი ადმინისტრაციისათვის და ასევე სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში მასალების გადასაგზავნათ.

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე განხორციელდა საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი 5 სახეობის (სვავი, კავკასიური როჭო, მთის არწივი, ორბი, ველის კაკაჩა) ფრინველის მონიტორინგი, აღრიცხა და მოხდა მათი გავრცელების არეალების დადგენა.



ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ შექმნილია ფაუნის და ფლორის ფოტოარქივი ადმინისტრაციისათვის და ასევე სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში მასალების გადასაგზავნათ.





მიმდინარე წლის მაისის-აგვისტოს თვეებში ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ტყის იშვიათი ეკოსისტემების მონიტორინგი.

1. დაშბაშის და სამშვილდეს კანიონები წარმოადგენენ იშვიათი და ბიომრავლფეროვნებით გამორჩეულ ხეობებს. სამშვილდის კანიონისათვის დამახასიათებელია საქართველოს „წითელი ნუსხის“ მცენარეები, კერძოდ ქართული ნეკერჩხალი.
2. დაშბაშის კანიონი გამორჩეულია არსებულ ციცაბო ფერდობებზე თვალწარმტაცი ჩანჩქერებით.
3. ალგეთის ეროვნული პარკის თრიალეთის უბნის მე-3 კვარტალში ხშირად გვხვდება ტანმაღალი და დიდი დიამეტრის მქონე გოლიათი ხეები. აღნიშნული კვარტალი გამორჩეულია ამ მხრივ და საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას.

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თრიალეთის უბნის 21-ე კვარტალში მოწყობილია მუდმივი სანიმუშო ფართობი, სადაც მიმდინარეობს მონაცემების შეგროვება-აღება.

მიმდინარე წლის ივნისის და ივლისის თვეებში ალგეთის ეროვნული პარკის მთელს ტერიტორიაზე, ჩატარდა ტყის პათოლოგიური გამოკვლევები მავნებლებისა და დაავადებების მოსალოდნელი გავრცელების არეალის, დასახლების ინტენსივობისა და ადგილმდებარეობის ზუსტი განსაზღვრის მიზნით. გამოკვლევამ აჩვენა რომ, ალგეთის ეროვნული პარკის მთელ ტერიტორიაზე ძირითადი მავნებელია ნაძვის დიდი ლაფანჭამია (***Dendroctonus micans Kugel***)-ძველი კერები, ხოლო მეორადი მავნებლებიდან აღინიშნება: მბეჭდავი ქერქიჭამია (***Ips typographus***), ნაძვის კრიფალი (***Cryphalus abietus***) და ნაძვის დიდი შავი ხარაბუზა (***Monochamus urrusovi Fisch***). სოკოვანი დაავადებებიდან აღსანიშნავია: ვერხვის აბედა სოკო (***Phellinus tremulae***) და წიფლის სოკო (***Pleurotus ostreatus***). ქერქიჭამიების მიერ: ექვსკბილა ქერქიჭამია (***Ips sexdentatus***) და მბეჭდავი ქერქიჭამია ***(Ips typographus***) დაზიანებულია წიწვოვანი ტყეების (ნაძვი,სოჭი, ფიჭვი) დაახლოებით 3 ჰა, რაც გასულ წელთან შედარებით მეტია. კერძოდ ეროვნული პარკის #27-ე და 43-ე კვარტლებში დაფიქსირებულია ფიჭვის და ნაძვის ხმობის ფაქტები. დაზიანებულ ადგილებში ნანახი იქნა მავნებლის შემდეგი სტადიები: კვერცხი, მატლი და ხოჭო, დაზიანების ხასიათი: ხეების სრული ხმობა (წიწვის ხმობა და ქერქის აცვენა).

ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ინვაზიური სახეობები 2016 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა.

ინფორმაციის გროვდებოდა ტურისტული ბილიკების მიმდებარე ტერიტორიაზე და გეგმარებით ტურისტულ ბილიკებზე არსებული მცენარეების და მობინადრე ცხოველების შესახებ.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სამოქმედო გეგმის მიხედვით 2016 წლის განმავლობაში, მზადდება და წარედგინება ადმინისტრაციასყოველთვიური, კვარტალური და წლიური კვლევა-მონიტორინგის საქმიანობის ანგარიში.

2016 წლის იანვრის თვეში მომზადდა და წარედგინა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეროვნულ პარკში არსებული ბუნების მატიანებში მოთავსებული ინფორმაციის მონაცემები.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ეწყობოდა შეხვედრები და საუბრები დაწესებულებებში და ასევე შესაბამისი ლიტერატურის და საინფორმაციო მასალების მიწოდება. იანვრის თვეში დაწესებულებებს გადაეცა 2016 წლის დაცული ტერიტორიების, კერძოდ ალგეთის ეროვნული პარკის, კალენდრები.

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ თებერვლის და სექტემბრის თვეებში მომზადდა ეკო-საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ასახულია საჯარო სკოლებში ჩასატარებელი ღონისძიებები: ლექცია-სემინარები გარემოსდაცვით საკითხებზე; ღია გაკვეთილებისა და ეკო-ტურების ჩატარება; ნორჩ რეინჯერთა ჯგუფებთან მუშაობა; დალაგება-დასუფთავების აქციებში მონაწილეობა და ბუნებრივი განახლების ხელისშემწყობ ღონისძიებებში მონაწილეობა.

მიმდინარე წლის მაისის თვეში დაბა მანგლისის საჯარო სკოლის დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისათვის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა ეკო-გაკვეთილი გარემოსდაცვითი თემატიკით, ასევე ოქტომბრის თვეში ღია გაკვეთილი ჩატარდა სოფ. ორბეთის მოსწავლეებისათვის.

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ თებერვლის და მარტის თვეებში მომზადდა ნორჩ რეინჯერთა პროგრამა და დაბა მანგლისის საჯარო სკოლის მე-7 კლასში ჩამოყალიბდა ახალი ნორჩ რეინჯერთა ჯგუფი.

2016 წლის მარტის-მაისის და ასევე სექტემბრის-ოქტომბრის თვეებში ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ დაბა მანგლისის, სოფ. თონეთის და სოფ. ორბეთის მოსწავლეებისა

და მასწავლებლებისათვის ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება. პარკის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს, რათა მოხდეს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება რეგიონში, რომელიც მიღწეული იქნება სხვადასხვა გარემოსდაცვითი ღონისძიებების ორგანიზებით და მოსახლეობის ჩართულობით ამ ღონისძიებებში.




აღნიშნული ქმედება ჩატარდა ივლისის თვეში ეროვნული პარკის მე-40 კვარტლის ტერიტორიაზე განხორციელდა დასუფთავების აქცია. აქციაში მონაწილეობა მიიღეს კინტრიშის, ყაზბეგის და მანგლისის სკოლების სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებმა. ასევე დასუფთავების აქცია ჩატარდა ოქტომბრის თვეში ეროვნული პარკის 58-ე კვარტლის (ტბა „ოცნება“-ს) ტერიტორიაზე, სადაც მონაწილეობა მიიღეს ადმინისტრაციის თანამშრომლებმა.

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ინიციატივით და ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით 2016 წლის ივლისის თვეში განხორციელდა ეკო-ბანაკის მოწყობა. ბანაკი მოეწყო კინტრიშის, ყაზბეგის და მანგლისის სკოლების სხვადასხვა ასაკის მოსწავლეების მონაწილეობით.





ალგეთის ეროვნული პარკის მიერ აღინიშნა მწვანე დღეები „მწვანე კალენდრის“ მიხედვით:

- 2 თებერვალს სოფ. თონეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდათ ლექცია თემაზე: „2 თებერვალი - ჭარბტენიანი ტერიტორიების დღეა.“ მოსწავლეები გაეცნენ საქართველოს სხვადასხვა ჭარბტენიან დაცულ ტერიტორიებს.
- 21 მარტს, ტყის დღესთან დაკავშირებით, ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა შეხვედრა დაბა მანგლისის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან.
- 1 აპრილს სოფ. ორბეთის საჯარო სკოლაში ჩატარდა ნახატების კონკურსი ფრინველთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.


- 19 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით დაბა მანგლისის, სოფ. თონეთის და სოფ. ორბეთის საჯარო სკოლებში, ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიებების კვირეული.
- 23 მაისს ბიომრავალფეროვნების დღესთან დაკავშირებით სოფ. ორბეთის საჯარო სკოლაში ჩატარდა ლექცია/სემინარი თემაზე „22 მაისი-ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეა.“.
- 5 ივნისს გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით , ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჩატარდა ეკო-ტური, სადაც მონაწილეობა მიიღო დაბა მანგლისის საჯარო სკოლის 21 მოსწავლემ და მასწავლებელმა.
- 4-5 ოქტომბერს დაბა მანგლისის საჯარო სკოლაში ჩატარდა ნახატების კონკურსი ცხოველთა დაცვის დღესთან დაკავშირებით.
- მეტყევის და ტყის დაცვის დღესთან დაკავშირებით დაბა მანგლისის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან მოეწყო საუბრები ეროვნული პარკის ადმინისტრაციის რეინჯერებთან.

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ 2016 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით ეწყობოდა შეხვედრები ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და ასევე დაბა მანგლისის და ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდებარე სოფლების მოსახლეობასთან. მათ მიეწოდათ ინფორმაცია დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის, დაცვის რეჟიმის და სხვა მათვის საინტერესო საკითხებზე.





2016 წლის განმავლობაში ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ეწყობოდა შეხვედრები და საუბრები საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2015 წლის სექტემბრის თვეში შეიქმნა ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაცია, რომელთანაც ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ასევე აქტიურად თანამშრომლობს.



ღონისძიებები ალგეთის ეროვნულ პარკში

ეკოტურიზმი

2016 წლის განმავლობაში ალგეთის ეროვნული პარკს ესტუმრა 16 076 ვიზიტორი, მათ შორის 15 494 ქართველი და 582 უცხოელი. (48% ქალი, 52% კაცი). 2015 წელთან შედარებით (8030 ვიზიტორი) ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 100%-ით.

2016 წლის ივლისის თვეში ალგეთის ეროვნული პარკისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში სოციალურ და პოლიტიკურ მენიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ოცდათვრამეტი სტუდენტი გაეცნო მარკირების სტანდარტებს, GPS -ის მოხმარებას და პრაქტიკულად მოახდინეს მიღებული ცოდნის გამოყენება ველზე. მონიშნეს ორი ახალი „არსენას გამოქვაბული“ და „დედოფლის წყაროს ბილიკი“ და განაახლეს „სამეფო ქედის“ ბილიკი.

აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

იანვრის თვეში დაცვის განყოფილების მიერ აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაციისათვის განისაზღვრა ანთროპოგენური ზეგავლენის მქონე ადგილები სამართალდარღვევების ტიპების მიხედვით და მოხდა მათი რუკაზე დატანა.

გასულ წელში დაცვის სამსახურის უფროსისა და უფროსი რეინჯერის მიერ ადმინისტრაციაში მოეწყო რეინჯერთა ტრეინინგი სამართალდარღვევათა ოქმებისა და სხვა კანონაღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ. გრძელდება გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები.

გასული წლის მარტის თვეში ადმინისტრაციის თანამშრომლებს დაურიგდათ ზაფხულისა და ზამთრის ახალი უნიფორმები. აგრეთვე გასული წლის ივლისის თვეში ადმინისტრაციის დირექტორმა, დაცვის განყოფილების უფროსმა და უფროსმა რეინჯერმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გაიარა დაცული ტერიტორიების თანამშრომელთა გადამზადების პროგრამა.

გასული წლის მარტი-აპრილის თვეში აჯამეთის აღკვეთილის სამივე უბნებზე ჩატარდა საგაზაფხულო გეგმიური და საკონტროლო რევიზიები, რევიზიების მასალები გადაცემულია დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის.

გასული წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში აღკვეთილის ყველა უბნებზე ჩატარდა საშემოდგომო გეგმიური და საკონტროლო რევიზიები. ღევიზიის მასალები გადაცემულია დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის.

აჯამეთის აღკვეთილის სამივე უბნებზე შერჩეული გვაქვს სათესლე იმერული ჯიშის მუხისა და ძელქვის ხეები საიდანაც მოვახდინეთ დაახლოებით 800 კგ. რკოს შეგროვება, რომელიც ამჟამად ინახება კაპრონის მეშოკებში და ჩაფლული გვაქვს სილაში მშრალ და გრილ ადგილზე. ძელქვის თესლის შეგროვება ვერ მოხერხდა, რადგანაც მსხმოიარობა იყო ძალიან მცირე, ხოლო თესლის შეგროვების დროს ნოემბრის თვეში იყო ძლიერი ქარები, რამაც გამოიწვია თესლის გაფანტვა. გასული წლის დეკემბრისა და მიმდინარე წლის იანვრის თვეში დასრულდა იმერული და ქართული ჯიშის მუხისა და ძელქვის სანერგე ფართობების შეღობვა:

1. აჯამეთის უბნის კვარტალი №25-26 _ 9 ჰა. (მუხა)
2. ობჩის უბნის კვარტალი №12 _ 0.6 ჰა. (მუხა)
3. აჯამეთის უბნის კვარტალი №11 _ 0.6 ჰა (ძელქვა)
4. აჯამეთის უბნის კვარტალი №12 _ 0.6 ჰა (ძელქვა)

გასულ 2013-2016 წლებში აჯამეთის აღკვეთილიდან არ მომხდარა მიმდებარე სოფლების მოსახლეობაზე საშეშე მერქნის გამოყოფა. ამ პერიოდის განმავლობაში აღკვეთილის მთელ ტერიტორიაძე დაგროვდა მოთხრილ-მოტეხილი და ნამცვენი საშეშე ხე-ტყე, რაც ტერიტორიაზე იწვევს ჩახერგილობას და აუცილებელია მიმდინარე წელში მისი გაწმენდა.

ხანძრების მართვა


რეგულარულად ვახდენთ ადმინისტრაციაზე რიცხული 2 ერთეული სახანძრო ინვენტარის ვარგისიანობის შემოწმებას და არის გამართულ მდგომარეობაში.


გასულ წელში აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორიაზე ხანძრების გაჩენის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

ყველა რეინჯერს დაცვის სამსახურის უფროსისა და უბნის უფროსი რეინჯერის მიერ ჩაუტარდათ შესაბამისი ინსტრუქტაჟები ხანძრებთან დაკავშირებით.
გასული წლის განმავლობაში აღკვეთილის მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან სისტემატიურად ვატარებდით შეხვედრებს სახანძრო ღონისძიებებთან დაკავშირებით.
გასულ პერიოდში აღკვეთილის ტერიტორიაზე ხანძრების გაჩენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

სამეცნიერო საქმიანობა

მომზადებულია 2015 წლის ,,ბუნების მატიანე”
იანვრის თვეში იქნა შევსებული და სააგენტოში გადაგზავნილი 2015 წლის სტატისტიკური ფორმების ფლორისა და ფაუნის რიცხოვნობის შესახებ.
ყოველთვიურად მიმდინარეობს ნადირ-ფრინველის აღწერა და მონაცემთა შეჯამება.





დიაგრ. ცხოველების და ფრინველების რიცხოვნობა 2016 წელს აჯამეთის აღკვეთილში


ადმინისტრაცია აწარმოებს ადამიანისა და მტაცებლების კონფლიქტების აღრიცხვას. გასულ წელს მხოლოდ 1 შემთხვევა დაფიქსირდა.
მზადდება კვლევა-მონიტორინგის საქმიანობის ყოველთვიური, ყოველკვარტალური, 6 თვის და წლიური ანგარიში.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაციას 2016 წლის განმავლობაში შეხვედრა ჰქონდა ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების 19 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან, სადაც ჩატარდა ლექცია თემაზე: ,,მსოფლიო ტყეების სტატისტიკა და საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნება“.

მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარდა 13 შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, სადაც მონაწილეობას იღებდა 240 ადამიანი.

2016 წლის განმავლობაში აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულ ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩაერთო 1115 ადამიანი, მათ შორის 535 მოსწავლე, 245 პედაგოგი, 240 ადგილობრივი მოსახლე;



ღონისძიებები აჯამეთის აღკვეთილში

ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

დაცვის განყოფილება შედგება 13-თანამშრომლისგან: 1-დაცვის განყოფილების უფროსი, 2-უბნის უფროსი რეინჯერი, 1 ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი და 9-რეინჯერი. 2-რეინჯერი მიმაგრებულია ბაბანეურის ნაკრძალზე ,3-რეინჯერი ბაწარის ნაკრძალზე, 4-რეინჯერი ილტოს აღკვეთილზე. მორიგეობას ახორციელებენ ილტოს უბანზე 2-2 რეინჯერი ერთი კვირით, ბაწარის უბანზე ღამით 1 რეინჯერი, დღისით 2 რეინჯერი, ბაბანეურის უბანზე ყოველდღიურად. დაცვის განყოფილებას ემსახურება 3 ავტომანქანა- დეფენდერი (GA-039-PA) , ნისან-პიკაპი (GA-038-PA) და VAZ- 2110 (GA-052-PA) .

2016 წლის 12 თვის განმავლობაში ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების დაცვის განყოფილების თანამშრომლები საქმიანობას ახორციელებდნენ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. სისტემატურად მიმდინარეობს ტერიტორიებზე არსებული ინფრასტრუქტურის

მოვლა-პატრონობა. სისტემატიურად იწმინდებოდა რეინჯერთა სადგურის ეზოები, კეთდება საგანმანათლებლო და საპატრულო ბილიკები, აღდგენა ხდება საცალფეხო ხიდების.

პატრულირება და რეიდები

რეინჯერები პატრულირებას ახორციელებენ დამტკიცებული საპატრულო მარშუტების მიხედვით.

სულ 12 თვის განმავლობაში რეინჯერების მიერ ჩატარებულ იქნა 1692 საპატრულო გასვლა. პატრულირებისას ფეხით გავლილია დაახლოებით 13354 კმ, მანქანებით გავლილია 42808 კმ. დამტკიცებული მოულოდნელი რეიდების გრაფიკით საპატრულო ჯგუფის მიერ ჩატარდა 152-ჯერ მოულოდნელი რეიდი. რეიდს ატარებდა დაცვის განყოფილების უფროსი, უბნის უფროს რეინჯერთან და რეინჯერებთან ერთად. რეიდის შედეგად დაფიქსირდა 15 სამართალდარღვევა, აქედან 2 სისხლის სამართლის საქმე, რომელიც გადაეგზავნა შ.ს.ს. ახმეტის რაიონულ სამმართველოს და 13 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, რაზეც შესაბამისად გაფორმდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები.

დაცვის განყოფილების უფროსის და უბნის უფროსი რეინჯერების მიერ 171-ჯერ იქნა შემოწმებული რეინჯერთა საქმიანობა. გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის შეუსრულებლობა დაფიქსირდა ერთხებაწარას ნაკრძალის და ილტოს აღკვეთილის რეინჯერთა სადგურებზე რეინჯერთა ღამის მორიგეობა შემოწმდა 40-ჯერ. მორიგეობის მიტოვებას ადგილი არ ჰქონია.

რევიზიების ჩატარება

ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე ჩატარდა საგაზაფხულო გეგმიური რევიზიები, საგაზაფხულო საკონტროლო რევიზიები, საშემოდგომო გეგმიური და საშემოდგომო საკონტროლო რევიზიები.

2016 წლის 21 ივნისიდან 30 ივნისამდე ბაწარას ნაკრძალში ახალი კადრის მიღებასთან დაკავშირებით ბაწარას ნაკრძალის 1 და 3 უბანზე ჩატარდა არაგეგმიური რევიზიები

ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

მარტის თვეში მოხდა ადმინისტრაციაში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის-ცეცხლმაქრები, მისასხურებელი აპარატები, მეხანძრის უნიფორმა, ნაჯახები, ნიჩბები, ბარები, ფორცხები, ფიწალი, ცულები - შემოწმება და მოყვანილ იქნა მზადყოფნაში.

დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარეობს ხანძარსაშიში უბნების დათვალიერება და ტარდება პრევენციული ღონისძიებები.

ბრაკონიერობის წინააღმდეგ გატარებული პრევენციული ღონისძიებები

12 თვის განმავლობაში გამოვლენილია 15 სამართალდარღვევა, 6 ბაწარას ნაკრძალში, 5 ილტოს აღკვეთილში და 3 ბაბანეურის ნაკრძალში. 2 სამართალდარღვევა,რომელიც იყო სისხლის სამართლის დანაშაული გადაეცა შ.ს.ს ახმეტის რაიონულ სამმართველოს, ხოლო 13 სამართალდარღვევაზე დაიწერა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმები

სამივე დაცულ ტერიტორიაზე დაყენებულია ფოტოხაფანგები. ადმინისტრაციაში არსებული 17 ფოტოხაფანგიდან 6 დაყენდა ილტოს უბანზე, 3 ბაწარას უბანზე, 3 ბაბანეურის უბანზე. 5 ფოტოხაფანგი გამოუსადეგარია. მიმდინარეობს ფოტოხაფანგების შემოწმება.

ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ჩატარდა 87-ჯერ მოსახლეობასთან შეხვედრა. შეხვედრები ხდება გეგმის მიხედვით და პერნამენტულად. შევხვდით დაახლოებით 803 ადამიანს. ძირითადად საუბარი მიმდინარეობს დაცული ტერიტორიების მნიშვნელობასა და საჭიროებაზე.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

2016 წლის განმავლობაში ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა შემდეგი ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობები: მომზადდა 2 პრეზენტაცია - „ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიები“ და „გარემოს დაბინძურება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით“.


დასუფთავების აქცია ჩატარდა 3-ჯერ .

„კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდთან“ ერთად ჩატარდა 2 გამწვანების აქცია, დაირგო 44 ძირი მარადმწვანე ხე.

გამწვანების აქცია ჩატარდა 4-ჯერ, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. საკობიანოს, სოფ. ბირკიანის და სოფ. მატანის 1-2 საჯარო სკოლებში დაირგო დაახლოებით 75 ძირი მარადმწვანე ხე.

ეკო-გაკვეთილები ჩატარდა ახმეტის მუნიციპალიტეტის 13 სკოლაში. ეკო-გაკვეთილების თემა იყო დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა, ბაწარა-ბაბანეურის ნაკრძალის და ილტოს აღკვეთილის ფლორა და ფაუნა, გარემოს დაბინძურება და პოლიეთილენის პროდუქტით მიყენებული ზიანი გარემოზე.

87-ჯერ ჩატარდა შეხვედრები დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობასთან. შეხვედრებს დაესწრო დაახლოებით 803 ადამიანი. შეხვედრის მიზანი იყო დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის და მათი პრობლემების გამოვლენა. შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა მათი პრობლემები, რაც მდგომარეობს შეშით და საძოვრებით უზრუნველყოფაში, ნადირობის თევზაობის აკრძალვაში და წაბლის და ტყის სხვა კენკროვნების მოპოვების შეზღუდვაში. განსაკუთრებით პრობლემურია სოფელ ბაბანეურის და არგოხის მოსახლეობის მოთხოვნა ზეხმელი, მოთხრილ-მოტეხილი და ნაყარი შეშის გამოტანაზე და საქონლის ძოვებაზე ბაბანეურის ნაკრძალში, რაც მუდმივ დავას იწვევს ადგილობრივ მოსახლეობასა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის.



ღონისძიებები ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი

<u>დაცვის განყოფილების</u>

2016 წლის 12 თვის განმავლობაში დაცვის განყოფილების თანამშრომლები სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ქმედებებს ახორციელებდნენ, სისტემატიურად მიმდინარეობდა ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის (საგუშაგო, თავშესაფარი და სხვა) დაცვა-მოვლაზე კონტროლი, პერიოდულად სუფთავდებოდა თავშესაფრები და მიმდებარე ტერიტორია. აბასთუმნის, ზანავის, მარელისის უბნებზე არსებულ მცველთა თავშესაფრებს, ხერგილებს და საპიკნიკე ადგილებს ესაჭიროებათ განახლება-შეკეთება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2016 წელს დასრულდა წინუბნის, ზორეთის მცველთა თავშესაფრების და ზანავის უბანზე არსებული მცველთა საგუშაგოს შეკეთება, აწყურის უბანზე აშენდა მცველთა თავშესაფარი და ნეძვის აღკვეთილში საგუშაგო.


2016 წელს უფროსი რეინჯერების და რეინჯერების მიერ ერთობლივად მიმდინარეობს არსებული საპატრულო მარშუტების გადახედვა (საფეხმავლო, საავტომობილო), საჭიროების შემთხვევაში კორექტირების მიზნით. არსებული პროცესის დასრულების შემდგომ მოხდება მარშუტების ხელახალი დამტკიცება, GPS ტრეკების აღება და რუკაზე დატანა.

ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის საპატრულო შემუშავება და დამტკიცება.

უბნის უფროს რეინჯერებთან და რეინჯერებთან ერთად მიმდინარეობს ქცია-ტაბაწყურის საპატრულო მარშუტების (საფეხმავლო, საავტომობილო) მარშუტების შემუშავება, როგორც საზაფხულო, ასევე ზამთრის რომელიც წლის ბოლოს დასრულდება.

2016 წლის თებერვლის თვეში შემუშავდა დაცვის სტრატეგია, რომლის შესრულება დაიწყება ეტაპობრივად. დაცვის განყოფილების თანამშრომლების მიერ იდენტიფიცირებულ რისკ ადგილებზე უკანონო ჭრების გამოვლენა-აღკვეთის მიზნით ღამის საათებში წინასწარ შერჩეულ ჯგუფების მიერ მიმდინარეობდა პერიოდული პატრულირება-მორიგეობები, ხოლო აპრილის თვიდან ნადირობის და თევზაობის აღკვეთა-გამოვლენის მიზნით სხვადასხვა უბნებიდან გამოცდილ რეინჯერთა ჯგუფები პერიოდულად ერთვებოდნენ დაგეგმილი და მოულოდნელი რეიდებში, გარდა აღნიშნულისა ეტაპობრივად მოხდა ფოტოხაფანგების რისკ ადგილებზე მონტაჟი, რამაც გარკვეული შედეგებიც გამოიღო.

დაცვის განყოფილების თანამშრომლების ტერიტორიების პატრულირება- კონტროლისა, 12 თვის მდგომარეობით გამოვლენილი იქნა სხვდასხვა სახის დარღვევები, კერძოდ: შედგენილია 147 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი - მ.შ. 57 ოქმი ხე-ტყის უკანონო ჭრაზე; 38 ოქმი ნადირობის წესების დარღვევაზე; 20 ოქმი იარაღით გადაადგილებაზე, 4 ოქმი თევზჭერის წესების დარღვევაზე, 4 ოქმი დანაგვიანებაზე, 1 ოქმი ხე-ტყის უკანონო ტრასპორტირებაზე, 2 ოქმი უკანონო ძოვებაზე, 21 ოქმი რეჟიმის სხვადასხვა დარღვევაზე მ.შ. 1 ოქმი სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევაზე.



შ

დ

900-00 ლარი იარაღით უკანონო გადაადგილებაზე, 2000-00 ლარი ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირებაზე, 100 ლარი სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევაზე, 80-00 ლარი დანაგვიანებაზე, 140-00 ლარი უკანონო ძოვებაზე და 420-00 ლარი რეჟიმის სხვადასხვა დარღვევებზე, ხოლო 13 ნადირობის წესების დარღვევის, 11 იარაღით გადაადგილების, 3 თევზჭერის და 8 რეჟიმის დარღვევის ფაქტებიდან სასამართლოს მიერ დამრღვევებს გამოეცხადათ სიტყვიერი შენიშვნები, ასევე 14 ოქმი უკანონო ჭრებზე დამრღვევებს გამოეცხადათ სიტყვიერი შენიშვნები და დაეკისრათ ზიანი, 3 ნადირობის წესების დარღვევაზე სამართალწარმოება შეწყდა.

გამოვლენილი ტყის უკანონო მჭრელების მიერ მოცულობით 120,31მ^3 გარემოზე მიყენებულმა ზიანის თანხამ შეადგინა 15101-65 ლარმა, საიდანაც დაკისრებულია 14296-91ლარი.

გამოვლენილ სამართალდაღვევებიდან ფოტოხაფანგის დახმარებით გამოვლენილია, 19 ნადირობის, 9 იარაღით გადაადგილების, 1 ხე-ტყის უკანონო ტრასპორტირების და 1 უკანონო ჭრის ფაქტები. გარდა აღნიშნულისა ბორჯომის შსს სამმართველოზე დამრღვევების გამოვლენა-დადგენის მიზნით გადაცემულია 13 ა.ს.ფაქტი 47,80მ^3 უკანონო ჭრაზე.

ღსანიშნავია ის გარემოება, რომ მ/წლის 31 მაისს გამოვლენილ ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტთან დაკავშირებით ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და სოფ. ბანიხევის მოსახლეობას შორის წარმოიშვა ქონფლიქტი, რასაც მოჰყვა სამსახურეობრივი ავტომანქანების დაზიანება და სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქმის წარმოება იმთავითვე დაიწყო ბორჯომის შსს სამმართველომ. კონფლიქტში მონაწილე ერთ პირის მიმართ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და მიეცა 1 (ერთი) წელი პირობითი მსჯავრი, ხოლო როგორც ჩვენთვის ცნობილია ინციდენტში მონაწილე სხვა 2 (ორ) მოქალაეს გაუფორმდა განრიდება.

ასევე ნაკრძალის და ბორჯომის უბნის უფროს რეინჯერს, ამავე სოფ. ბანიხევში ფიზიკურად გაუსწორდნენ, რაზედაც დამნაშავე დაკავებულია და სახდელს იხდის სასჯელ აღსრულების შესაბამის დაწესებულებაში.





რეინჯერთა ტრენინგები კანონაღსრულებასთან დაკავშირებით.2016 წლის თებერვლის თვეში ადმინსტრაციის მიერ, უბნის უფროს რეინჯერებს და რეინჯერებს ჩაუტარდათ კანონაღსრულებასთან და მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების წარმოებასთან დაკავშირებით ტრენინგები, ხოლო აგვისტოს თვეში ჩაუტარდათ ახალ თანამშრომლებს.




ყოველი კვირის დასაწყისში სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სიტყვიერად მიეწოდება ინფორმაცია გასული კვირაში დაფიქსირებულ დარღვევებზე.

გეგმიური საგაზაფხულო და საკონტროლო რევიზიები:

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის 01.04.№7§1 და 21.10.№19§1 ბრძანებებით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ტყის მასივებსი ჩატარებული იქნა გეგმიური საგაზაფხულო და საშემოდგომო რევიზიები, სადაც შერჩევის წესით ჩართულნი იყვნენე სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოდან ინსპექტირების სამსახური.

გეგმიური რევიზიებით გამოვლინდა:


აბასთუმნის უბანი - 37,28მ^3 უკანონო ჭრა, აწყურის უბანი 3,87მ^3 უკანონო ჭრა, ბორჯომის უბანი 34,48მ^3 უკანონო ჭრა, ზანავის უბანი 56,52მ^3 უკანონო ჭრა, მარელისის უბანი 2,52მ^3 ნუნისის უბანი 6,25მ^3 უკანონო ჭრა, ნეძვის აღკვეთილი 58,12მ^3 უკანონო ჭრა.

სულ გეგმიური რევიზიებით გამოვლინდა 206,11მ^3 უკანონო ჭრა, საიდანაც 23,42მ^3 -ზე შედგენილია ოქმები სამართალდარღვევების მიმართ.

გარდა უკანონო ჭრებისა რევიზიის პერიოდში რიგ უბნებზე (აბასთუმანი, აწყური, ნაკრძალი, ზანავი, მარელისი) გამოვლინდა ქარქცეული მოთხრილ მოტეხილი დიდი ოდენობის ხე-ტყე, რაც ერთის მხრივ ხანძარსაშიშ მდგომარეობის მაღალი რისკის მქონე გარემოებაა, ხოლო მეორეს მხრივ სხადასხვა დაავადების გავრცელების კერა გახდეს.




მთლიანად 2016 წლის 12 თვის მდგომარეობით უკანონო ჭრამ შეადგინა 348,66 მ^3, საიდანაც გამოვლენილია დამრღვევები 120,31მ^3 -ზე. 34%.



2014-2016 წლის უკანონო ჭრების სტატისტიკა

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის უბნებზე ტრადიციულ გამოყენების ზონაში ყოველწლიურად ერთიდაიგივე ტერიტორიაზე გამოიყოფა მერქნითი რესურსი, მიუხედავად აღნიშნულისა მოზარდ-აღმონაცენი საკმარისად მოდის, თუმცა მარაგები საკმაოდ შემცირდა. ადგილობრივ მოსახლეობა კი მუდმივად ითხოვს, როგორც ახლო მდებარე ტერიტორიაზე ხე-ტყის გამოყოფას, ასევე ტყის ზედა სარტყელში, რომელიც ან ნაკრძალია, ან არატრადიციული გამოყენების ზონაა, სადაც ტყის რესურსი საკმარისად არის. აღნიშნული საკითხი მუდმივ ქონფლიქტურ მდგომარეობას იწვევს ეროვნული პარკის თანამშრომლებსა და ადგილობრივ მოსახლეობის შორის.

მაისის თვეში ადგილობრივ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ თანამშრომლებთან მოხდა შეხვედრა, სადაც დასმული იქნა პრობლემური საკითხები, კერძოდ არსებული მარაგების სიმცირეზე და სატყეო გზების გაწმენდა-შეკეთების საკითხი.

2016 წელს გამოყოფილი ტყეკაფებიდან ათვისებულია 80-90% მერქნული რესურის.

2016წელს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის და ნეძვის აღკვეთილის ტერიტორიაზე, გამოყოფილია სოციალური ჭრის წესით 10396,05მ^3 მერქნული რესურსი, მ.შ. 807,31მ^3 I ხარისხის მერქანი, რომელიც ატვირთულია მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

2016 წლის ტყეკაფებიდან 12 თვის პერიოდში გაცემულია (ტყიდან გამოტანილი) 73,72 მ^3 I ხარისხის და 7157,63მ^3 II ხარისხის მერქნული რესურსი. სულ ტყიდან გამოტანილია **7231,35მ^3,** გარდა აღნიშნულისა 2016 წელს გაცემულია (ტყიდან გამოტანილი) 2014 წლის ტყეკაფებიდან 22,95მ^3 II ხარისხის მერქნული რესურსი, ხოლო 2015წლის ტყეკაფებიდან 292,36მ^3 I ხარისხის და 859,06მ^3 II ხარისხის მერქნული რესურსი.

სულ 2016 წელს გაცემულია (ტყიდან გამოტანილი) 366,08მ^3 I ხარისხის და 8039,64მ^3 II ხარისხის მერქნული რესურსი.





ჭრაგავლილი ადგილების უმეტეს ტერიტორიაზე მოზარდ-აღმონაცენი საკმარისად მოდის, ტყეკაფების უმეტესობა გასაწმენდია ტოტებისა და ნარჩენებისაგ მიუხედავად მოსახლეობის მოთხოვნისა, ეროვნული პარკის ტრადიციულ გამოყენების ზონის გარკვეულ ადგილებში ტყეკაფების გამოყოფა მიზანშეწონილი არ არის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ბუნებრივი განახკლების პროცესს.

აუცილებელია მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად მოხდეს ტრადიციული გამოყენების ზონის შესწავლა, ვინაიდან რაც დრო გადის მით უფრო შეუძლებელი ხდება ტყეკაფების გამოყოფა მარაგების სიმცირის გამო, თუმცა სხვა ალტერნატივაც ამ დროისათვის არ არსებობობს მოსახლეობის სათბობი რესურსით უზრუნველსაყოფად.

ტყეებში არსებული გზების (სახანძრო, საპატრულო და სხვა) საჭიროებს მუხლუხიანი ტექნიკით გაწმენდას, განსაკუთრებით აუცილებლობას წარმოადგენს ტყეკაფებში მისასვლელი გზების გაწმენდა აბასთუმნის, ბორჯომის, ზანავის და ნეძვის აღკვეთილის ტერიტორიებზე, ასევე აუცილებელია გაიწმინდოს სატყეო გზები ,,ლომის მთა'', ,,სამეცხვარეოს'' მიმართულებებით, სადაც გადის ტურისტული მარშუტები და უბნებზე არსებული სახანძრო გზები, რომელიც ნალექისა და ქარის შედეგად ჩახერგილია.

აღნიშნულზე ინფორმაცია ცნობილია, როგორც სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსათვის, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისათვის.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამსრომლების მიერ შეიმუშავდა ხანძრის მართვის გეგმა, თუმცა აღსანიშნავია, რომ კარგი იქნება თუ სამომავლოდ აღნიშნულ პროცესში ჩართულნი იქნებიან მოწვეული ექსპერტები ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად (მუნიციპალიტეტი, შსს, სამინისტრო და სხვა.).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გასულ წელს ამერიკის სატყეო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ბორჯომში ჩატარდა სემინარი, სადაც სსიპ დაცული ტერიტოროების სააგენტო, სატყეო სააგენტოს, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან ერთად განხილული იქნა ბორჯომ-ბაკურიანის ტყის რაიონის ,, ტყის ხანძრების მართვის'' გეგმა, თუმცა დღემდე აღნიშნული გეგმა არ დამტკიცებულა.

ივნისის თვეში შემოწმებული იქნა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, რის შედეგადაც ირკვევა, რომ ადმინისტრაციაში მდებარე მინი ხანძარსაწინააღმდეგო (ორი) აღჭურვილობა, რომლებიც დაზიანებულია, კერძოდ დაზიანებულია შემწოვი ტუმბო (კლაპნები), რის შედეგადაც ვერ ხდება წყლის რეზერვუარში წყლის ამოტუმბვით შევსება, ხოლო აწყურის

უბანზე რიცხულ მინიხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობას დაუზიანდა გალვანური ელემენტი (აკუმულიატორი), ასევე დაზიანებულია ბენზო ხერხები, რომლებსაც სჭირდებათ ჯაჭვი და სახელურების დამჭერი ზამბარა. A

კარგ მდგომარეობაში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა (ზურგჩანთა, ცეცხლმაქრი, პულასკი, წერქვი, თოხი, ფოცხი, ბარი და ა.შ.), მოყვანილია





მზადყოფნაში.ივლისის პირველ ნახევარში დაცვის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ხანძარსაწინაარმდეგო ღონისძიებებზე ინსტრუქტაჟი.

ხანძარსაშიში პერიოდში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების თანამშრომლები მეტი სიხშირით პატრულირებდნენ ხანზარსაშიშ უბნებზე.

ასევე ტერიტორიაზე მომთაბარ მწყემსებს დაურიგდათ სარგარანტიო ხელწერილები ხაძარსაწინააღმდეგო წესების დაცვის მიზნით, სადაც მითითებულია საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ხანძრის აღმოჩენის შემთხვევისას დროულად ინფორმაციის მოწოდების მიზნით, გარდა აღნიშნულისა ვიზიტორტა მომსახურების სპეციალისტები ტერიტორიაზე შემსვლელ ვიზიტორებს აფრთხილებდნენ დაიცვან ხანზარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, ძირითად შესასვლელებში და თავშესაფრებში გაიკვრა ინფორმაცია ცეცხლის მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებსი დანთების მიზნით.

მ/ წლის 02 მარტს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ზანავის უბნის კვ№4-ში გაურკვეველ ვითარებაში გაჩნდა ხანძარი, რომელიც გავრცელებული იყო დაახლოებით 1,5ჰა ფართობზე. ხანძრის შედეგად დაიწვა ჰუმუსოვანი საფარი, ჩამოცვენილი ხმელი ფოთლები და ხეებიდან მოტეხილი ტოტები. ხანძრის ლოკალიზება მოხადა იმავე დღეს ეროვნული პარკის და სამცხე-ჯავახეთის საგანგებო სიტუაციების სახანძრო სამაშველო სამსახურის თანამშრომლების მიერ, ხოლო ხანძრის ლიკვიდირება მოხდა მეორე დღეს.

სამწუხაროდ აღნიშნულ ხანძარს ემსხვერპლა დ. ახალდაბის ასაკოვანი მოსახლე. ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს ბორჯომის შსს სამმართველო.

მ/წლის ივნისის თვეში *CNF* -ის დაფინანსებით დაიწყო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტრადიციულ გამოყენების ზონაში, კერძოდ მთა ,,სამეცხვარეო'' საძოვრების შესწავლა, სადაც ჩართულნი იყვნენ ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტი და რეინჯერები, რაც შეეხება ქცია-ტაბაწყირზე არსებულ საძოვრების შესწავლას დღემდე არ მომხდარა, რომელიც რჩება საკმაოდ პრობლემურ საკითხად.

ივნისი თვეში უფროს რეინჯერებს და რეინჯერებს დაურიგდათ შესაბამისი ფორმები, რომლებშიც შეტანილი იქნება პირუტყვის რაოდენობაზე და სადგომებზე დეტალური ინფორმაცია. ადმინისტრაციაში შემოსული ინფორმაციით 2016 წელს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ალპურ საძოვრებზე ბინადრობდა 4627 სული ჩლიქოსანი პირუტყვი, რაც გასულ წელთან შედარებით 497 სულით ნაკლებია.

მუნიციპალიტეტი	პირუტყვის რაოდენობა	მწყემსების ბინების რა-ბა
ადიგენი	1680	29
ახალციხე	778	23
ბორჯომი	50	1
ხარაგაული	1269	21
ბაღდათი	850	8
სულ:	***4627***	***82***

დაცვის განყოფილების თანამშრომლების მიერ პატრულირების პერიოდში სისტემატურად მოწმდება მწყემსების დროებითი სადგომები, ასევე მწყემსებთან მოხდა გასაუბრება და დაურიგდათ ხელწერილები არალეგალური ქმედებების პრევენციის მიზნით.

გარდა აღნიშნულისა ჩატარდა მწყემსების მოულოდნელი შემოწმებები, რითაც გამოვლინდა რიგი სამართალდარღვევის ფაქტები, როგორიცაა დანაგვიანება და იაღაღით უკანონო გადაადგილება.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დაცვის განყოფილება აქტიურად აგრძელებს ფოტოხაფანგების გამოყენებას ბროკონიერობის გამოვლენის მიზნით. სეზონურობის და რისკ ფაქტორების მიხედვით უბნებზე და სარეინჯეროებზე პერიოდულად ხდებოდა ფოტოხაფანგების მონტაჟი, რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო.

12 თვის პერიოდში ტერიტორიაზე დამონტაჟებული ფოტოხაფანგების დახმარებით გამოვლინდა უკანონო ჭრის 1, ნადირობის წესების დარღვევის 19, იარაღით გადაადგილების 9 ფაქტი და ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების 1 ფაქტი.

უბნებსა და სარეინჯეროებზე დამონტაჟებულ ფოტოხაფანგებზე მიმდინარეობს მუდმივი კონტროლი, როგორც უფროსი რეინჯერების და რეინჯერების, ასევე დაცვის განყოფილების უფროსის, მოადგილის და ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტის მიერ.

ფოტოხაფანგებით გადაღებული ფოტო და ვიდეომასალა ინახება ადმინისტრაციაში შესაბამის ბაზაში, ასევე ეგზავნება სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

2016 წლის 12 თვის მდგომარეობით ფოტოხაფანგები გადანაწილებულია - აბასთუმნის უბანი 3; აწყურის უბანი 3; ნაკრძალის და ბორჯომის უბანი 7; ზანავის უბანზე 2; ქვიშხეთის უბნებზე1; ნეძვის აღკვეთილში 3; ნუნისის უბანზე 3; საქონდრია-ლაშურის უბანზე 3; მარელისის უბანზე 4; ადმინისტრაციის მიერ სხვადასხვა უბნებზე მონიტორინგის მიზნით დამონტაჟებულია 17 ფოტოხაფანგი მ.შ 9 GSM (გადამცემი).

დაზიანებული და ხმარებისათვის გამოუსადეგარია 12 ერთეული ფოტოხაფანგი.წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკების მიხედვით ხორციელდებოდა უბნების მოულოდნელი შემოვლა-შემოწმებები, ასევე ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანების თანახმად დაცვის განყოფილების თანამშრომლებს (დაცვის განყოფილების უფროსი, მოადგილე, უბნის უფროსი რეინჯერი) პერიოდულად შერჩევის წესით, დაგვევალა უბნებზე თანამშრომლების სამსახურებრივი მოვალეობის ეფექტურად შესრულების მონიტორინგი, რომლის შედეგები წარმოდგენილია ადმინისტრაციაში. გარდა აღნიშნულისა დაწესებულია ღამის შემოვლები რისკ ადგილებში ხე-ტყის უკანონო ჭრების აღკვეთა-გამოვლენის მიზნით.

თებერვალ-მარტის თვეში ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანების თანახმად აწყურის უბნის კვ№80-ში ჩატარდა არაგეგმიური (მოულოდნელი) რევიზია, სადაც უკანონო ჭრები არ გამოვლენილა.

გასული წლის ბოლოს არასამთავრობო ორგანიზაცია NAKRES-ის დახმარებით შემუშავდა ნადირ-ფრინველის აღრიცხვის ახალი სისტემა, რომლის შესახებ იანვრის თვეში ბუნებრივი რესურსების მართვის უფროსი სპეციალისტის მიერ, უბნის უფროს რეინჯერებს და რეინჯერებს ჩაუტარდათ ტრენინგები მონიტორინგის ახალ სისტემაზე, ასევე წინასწარ შემუშავდა ფორმები, სადაც რეინჯერების მიერ ასახული იფორმაციის დამუშავება და შეტანა ხდება ერთიან მონაცემთა ბაზაში.

2016 წლის 17 თებერვლის ,,ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად დამტკიცდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის, ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის და ნეძვის აღკვეთილის საზღვრები, თუმცა მოსახლეობას კუთვნილი მიწის ფართობების დარეგისტრირების მიზნით მაინც ექმნებად პრობლემა, ასევე სააქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 მაისის №217 დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი ,,ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი''-ს შესახებ, რაც შეეხება ,,გოდერძის ნამარხი ტყის'' ბუნების ძეგლის საზღვრების საველე სამუშაოები დასრულებულია, დამტკიცება კი ამ დროისათვის არ მომხდარა.





სამეცნიერო კვლევა


იანვრის თვეში სააგენტოს მიეწოდა 2015 წლის „ბუნების მატიანე“, სადაც დეტალურად არის აღწერილი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დაარსების, კლიმატური პირობების, ნიადაგების, ფლორისა და ფაუნის, თანამშრომლებისა და ყველა იმ პროექტისა და საქმიანობის შესახებ რაც მიმდინარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში. მატიანე წარდგენილია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

გასული წლის ნოემბრის თვეში, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში დამონტაჟდა ახალი მინი მეტეოსადგური, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვრით ამინდის პროგნოზი მომდევნო 24 საათის განმავლობაში, ასევე შესაძლებელია ამინდის ცვალებადობის, ნალექების რაოდენობის, ჰაერის ტენიანობისა და ტემპერატურის დაფიქსირება მთელი წლის მანძილზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მონიტორინგის საქმიანობისთვის.


პროექტი განხორციელდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის რეგიონში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციის „წიფლარი“-ს მიერ სახეობათა კონსერვაციიც ცენტრის „ნაკრესი“-სა და „სამცხე- ჯავახეთის მედიაცენტრის“ პროექტის „ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში მოქმედი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება“-ის ფარგლებში გაცემული მიკროგრანტების პროგრამით.

აღნიშნული მეტეოსადგურით მიმდინარეობს კლიმატურ პირობებზე ყოველდღიური დაკვირვება, მონაცემების შეგროვება და მიღებულუი მონაცემების გრაფიკებში ასახვა. რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კვლევა მონიტორინგის საქმიანობაში.


გასული 12 თვის განმავლობაში დაფიქსირებული საშუალო ტემპერატურა Oc



გასული 12 თვის განმავლობაში დაფიქსირებული ჰაერის საშუალო ტენიანობა. %



გასული 12 თვის განმავლობაში დაფიქსირებული მოსული ნალექების საშუალო რაოდენობა. მმ




ადმინისტრაციის მიერ მიმდინარეობს არასისტემატიკური მოვლენების ზვავების, წყალდიდობების, წყალმოვარდნებისა და სხვა მოვლენების დაფიქსირება. მიმდინარე წლის აპრილის თვეში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დაცვის განყოფილების თანამშრომლების მიერ პატრულირების და შემოვლების დროს დაფიქსირებული იქნა ეროვნული პარკის აბასთუმნის, აწყურის, ბორჯომისა და ნაკრძალის, მარელისის უბნებზე ძლიერი ქარის მოქმედების შედეგად მოთხრილ-მოტეხილი წიწვოვანი სახეობის კორომები. რაზეც მიმდინარეობს დაკვირვება და მოხდება ფერომონების დაკიდება მავნებლებთან ბრძოლის მიზნით, ხოლო იმ ადგილებში სადაც კანონმდებლობა მოგვცემს საშუალებას ხდება მოთხრილ-მოტეხილი ხეების ჭრაში დანიშვნა სოციალური ჭრის სახით.

ადმინისტრაციის მიერ მიმდინარეობს საქართველოს „წითელი ნუსხა“-ის ცხოველების: ირმის, ფოცხვერის, დათვის, არჩვის მონიტორინგი. ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ ირმები დაჯგუფებული არიან შედარებით წყნარ ადგილებში. ძირითადად „წითელი

ნუსხის“ სახეობებზე მონიტორინგი მიმდინარეობს კვალზე დაკვირვებით და ფოტოხაფანგების გამოყენებით.




სურათებზე: ნაჩვენებია ფოტოხაფანგის მიერ დაფიქსირებული დათვები და ღორები .




სურათებზე: ნაჩვენებია ის ადგილები სადაც დამონტაჟებულლი იყო ფოტოხაფანგები.

ადმინისტრაცია აწარმოებს ნადირის მიერ პირუტყვის დაზიანების ფაქტების აღრიცხვას. მიმდინარე წლის იანვრის თვეში აწყურის უბანზე დაფიქსირდა მგლის მიერ შეჭმული შველი. თებერვლის თვეში ხარაგაულის რაიონში მგლის მიერ მოხდა შინაური პირუტყვის დაზიანების ფაქტები კერძოდ სოფელ ვახანის მიმდებარე ტერიტორიაზე მგელმა დააზეანა 2 ძროხა და ერთი ცხენი. ზანავის უბანზე მარტის თვეში მგლის მიერ დაზიანდა 2 ძროხა, ერთი თხა და ერთი ვირი. ივნისის თვეში ქვაბისხევის უბანზე დაფიქსირდა მგლის მიერ შეჭმული 2 ირემი.

კვალზე დაკვირვების და აღრიცხვის შედეგად, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკში, ცხოველების ინდივიდების სავარაუდო რაოდენობას, გამოსახულს გრაფიკებში წლების მიხედვით.



ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დაიწყო გაზაფხულზე დაიწყო პათოლოგიური გამოკვლევა. მავნებელ-დაავადებების გამოვლენის შემთხვევაში აღებული იქნა კოორდინატები, სადაც შემდგომში განთავსდა ფერომონები.




რუკაზე: ნაჩვენებია ის ადგილები სადაც დაფიქსირდა მავნებელ დააბადებები.


როგორც გასულ ასევე მიმდინარე წელს მოხდა ნახანძრალი ადგილების მონიტორინგი დაკვირვებიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე დაწყებულია ბალახოვანი საფარის განვითარება, როგორც ნახანძრალ ადგილს ახასიათებს წამოსულია მაყვლისა და მალინის აღმონაცენები. ალაგ-ალაგ აღინიშნება ფიჭვის აღმინაცენი.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ მომდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერის თვეში ჩატარდა კეთილშობილი ირმის ყვირალობაზე დაკვირვება, დაცვის განყოფილების თანამშრომლები ახორციელებდნენ ერთიან გასვლებს და ხდებოდა აღნიშნულ ადგილებზე ხარირმების ხმების დათვლა, კორდინატების აღება და რუკაზე დატანა. დაკვირვების დასრულების შემდეგ მოხდა შეგროვილი მონაცემების დამუშავება

ირმის რაოდენობის შესაბამისი წესით გაანგარიშება, ერთიანი ანგარიშის დაწერა და სააგენტოში წარდგენა.დაკვირვებიდან გაირკვა რომ როგორც გასულ წლებში ასევე წელსაც გაზრდილია კეთილშობილი ირმების რაოდენობა.



ირმების რიცხოვნობის დინამიკა წლებს მიხედვით 1993-2016




წელი.

რუკაზე: ნაჩვენებია ის ადგილები სადაც დაფიქსირდა ირმის ხმები.

ზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით, დაიწყო საზაფხულო საძოვრების მონიტორინგი, ამ დროისთვის საძოვრები სრულიად შევსებულია, შესაბამის მუნიციპალიტეტებს, ეროვნული პარკის ადმინისტრაციიდან გაეგზავნათ შესაბამისი წერილები რაზეც მოვიდა ინფორმაცია თუ რა რაოდენობის პირუტყვი (როგორც წვრილფეხა ასევე მსხვისფეხა) აიყვანეს და რომელ დაავადებებზე მოხდა დამუშავება რათა არ მოხდე რაიმე დაავადების გავრცელება. გარდა აღნიშნულისა რეინჯერებს დაურიგდათ შესაბამისი ფორმები სადაც იწერება ყველა იმფორმაცია, რომ აყვანილი პირუტყვიდან რამდენია მამრი და რამდენი მდედრი ასევე რამდენია მოზარდი და მწყემსები დებენ ხელწერილს მასზედ რომ შეასრულებენ ეროვნული პარკის მოთხოვნებს და დაიცავენ უსაფრთხოების ნორმებს.

როგორც დაკვირვებიდა ირკვევა ეროვნული პარკის საძოვრებზე არის 4627 სული ჩლიქოსანი პირუტყვი, აქედან აბასთუმნის უბაზზე: 1680 სული, აწყურის უბანზე: 778 სული, ხარაგაულის მხარეს 1269 სული, ბაღდათის მხარეს 850 სული. ბორჯომის უბანზე 50 სული.



გრაფიკში ასახულია შინაურ პირუტყვთა და საბინაო ადგილების რაოდენობა წლების მიხედვით.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე პერიოდულად მიმდინარეობს წითელი ნუსხის მერქნიან მცენარეებზე ვიზუალურად დაკვირვება, კერძოდ ნეძვის აღკვეთილში არსებულ უთხოვრის ხე-მცენარეებზე კვ# 2;29-ში. აწყურის უბნის კვ#74სა და ნაკრძალის უბნის კვ#99-ში არსებულ მცირეოდენობით უთხოვრის სახეობის ხე-მცენარეებს და ხარაგაულის რაიონში წაბლის კორომებს დაკვირვებიდან ირკვევა რომ უთხოვრის კორომებს რაიმე სახის დაავადებები არ შეიმჩნევა და უთხოვრის აღმონაცენ-მოზარდი განვითარებულია, ხოლო წაბლის ხეებზე აღინიშნება წაბლის კიბო.



რუკაზე: ნაჩვენებია ის ადგილები სადაც ფიქსირდება წუტელი ნუსხის მცენარეები.

ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტების, დაცვის განყოფილების უფროსის და მისი მოადგილის მიერ რეინჯერების ინსტრუქტაჟი ეროვნული პარკის ცხოველების აღრიცხვისა და მონაცემების შეგროვების წარმოებაზე.

მიმდინარეობს გასულ წლებში მოწყობილ სანიმუშო ფართობებზე დაკვირვება უბნების მიხედვით, კერძოდ: აბასთუმანის უბანი - კვ. #51, სამცველო #4 შერეული ჯიშის მცენარეთა ურთიერთ თანაცხოვრებაზე დაკვირვების მიზნით, დაკვირვებიდან ირკვევა რომ სანიმუშო ფართობზე ბუნებრივი პროცესები მიმდინარეობს ნორმალურად რაიმე სახის დაავადებეს ადგილი არაქვს.

აწყურის უბანზე კვ.#80-ში სამცველო#1-ში ფიჭვნარ კორომზე დაკვირვების მიზნით ფიჭვნაკ კორომში შეინიშნება მოზარდ აღმონაცენის ხმობა და შეინიშნება ნაძვის პატარა აღმონაცენები რამდენიმე ერთეული.

ნაკრძალის უბანზე სანიმუშო ფართობი გამოყოფილი იქნა კვ# 97-ში ბორჯომის სამცველოში, რათა მოხდეს დაკვირვება ნახანძრალზე ტყის ბუნებრივად აღდგენის ინტენსიობაზე ნახანძრალ ადგილზე მოზარდ აღმონაცენი წამოსულია დიდი რაოდენობით.

ნეძვის უბანზე სანიმუშო ფართობები გამოიყო0 #18-ე და #31 კვარტლებში. სამცველო#1-ში, სადაც დაკვირვება მიმდინარეობს ჯიშთგანახლებაზე და სამცველო #6-ში უთხოვარის კორომის განვითარებზე, დაკვირვებიდან ირკვევა რომ უხოვრის კორომებს რაიმე სახის დაავადებები არ შიმჩნევა.

საქონდრიის უბანზე კვ.#7, #3-ე სამცველოში დაკვირვება წარმოებს ფოთლოვანი ჯიშებით დასახლებულ კორომში, დაკვირვებიდან ირკვევა რომ წაბლი დაზიანებული წაბლის კიბოთი, როგორც აღმონაცენ-მოზარდი ასევე ზრდასრული ხეები.

მიმდინარე წლის დეკემბის თვეში, აწყურის უბანზე არსებული ნიამორები გადაეცა საქართველოს სახელმწიფო ზოოპარკს.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

2016 განმავლობაში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ გასწია სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა. საქმიანობების ძირითად მიზნობრივ ჯგუფებად ითვლება როგორც სასწავლო დაწესებულებები და ადგილობრივი მოსახლეობა ასევე ეროვნული პარკის ვიზიტორები.

მოხდა არსებული ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა, განახლება და დიფერენცირება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფის მიხედვით. განახლდა ზოგადი პრეზენტაცია დაცულ ტერიტორიებზე და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკზე, მომზადდა თემატური პრეზენტაციები ეროვნული პარკის ფრინველების, ჰიდროლოგიის, სამკურნალო მცენარეებისა და მთების შესახებ, რომელთა შეთავაზებაც მოხდება სკოლებისათვის. სკოლა თავად გადაწყვეტს რომელი თემატიკის პრეზენტაციის ჩატარება სურს ეროვნული პარკის ადმინისტრაციისაგან.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ ბორჯომისა და ხარაგაულის რაიონის საჯარო სკოლებში სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ჩატარდა პრეზენტაციები და ლექცია-სემინარები საქართველოს დაცული ტერიტორიებისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შესახებ. მოსწავლეები დეტალურად გაეცნენ საქართველოს დაცული ტერიტორიების და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მიზნებს, საქმიანობებს, მართვას, ეკოტურისტულ პოტენციალსა და სერვისებს.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა პრეზენტაცია ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ გურკელის საჯარო სკოლაში, მოსწავლეები უკეთ გაეცნენ

დაცული ტერიტორიების მნიშვნელობას, ისტორიას და კანონის კონკრეტულ მუხლებს, რომელთა ცოდნაც ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული პარკის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისათვის. მოეწყო შეხვედრა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ.დვირის საჯარო სკოლაში, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ჩატარდა პრეზენტაცია დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის, ეროვნული პარკის მიზნებისა და კანონმდებლობის შესახებ.

პრეზენტაციის ბოლოს მოეწყო წამახალისებელი ვიქტორინა, მოსწავლეებმა უპასუხეს პრეზენტაციის შესახებ

დასმულ 10 კითხვას, ყველაზე მეტი პასუხის ავტორს გადაეცა ეროვნული პარკის მცენარეების გზამკვლევი.

21 მარტს ტყის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში ქ.ბორჯომის #3 საჯაროს კოლის მე-6 კლასის მოსწავლეებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე და ტყის მნიშვნელობაზე, მოსწავლეებმა ასევე ნახეს ფილმი „საქართველოს დაცული ტერიტორიები“ და თანატოლებს წარუდგინეს თავისი ნამუშევრები გარემოს დაცვის აუცილებლობის შესახებ.

ეროვნული პარკი ასევე შეუერთდა ქალაქ ბორჯომში, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო კონცერტს, სადაც მაყურებელმა ეროვნული პარკის მიერ მომზადებული გარემოსდაცვითი შინაარსის ვიდეორგოლიც ნახა.

22 მარტს ბორჯომ ხარაგაულის ადმინისტრაციამ ბორჯომის მესამე სკოლის ეკოკლუბს უმასპინძლა. მოსწავლეებმა მოინახულეს საგამოფენო დარბაზი და ნახეს ფილმი „საქართველოს დაცული ტერიტორიები“.

ბორჯომის სკოლა-ლიცეუმის მე-6 კლასის მოსწავლეებს ქართული ლიტერატურისა და





ბუნების ინტეგრირებული გაკვეთილი ჩაუტარდათ. ვაჟა-ფშაველას მხატვრულად გაცოცხლებული ბუნება, ბუნების გაკვეთილი „მცენარეთა პიონერი სახეობები“ და პრეზენტაცია ეროვნული პარკის შესახებ მოსწავლეებისთვის საინტერესო და ინფორმაციული გამოვიდა, გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეებმა საგამოფენო დარბაზი დაათვალერეს, მომავალი ვიზიტი დაგეგმეს და ბრაკონიერებთან ბრძოლის საკუთარ იდეებზეც ისაუბრეს.

ტყის საერთაშორისო დღე - ტყის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ეროვნული პარკის ორგანიზებით ბორჯომის კულტურის სახლში გამართულ საქველმოქმედო საღამოზე მოხდა

1 წუთიანი სამოტივაციო ვიდეოს ჩვენება დამსწრეთათვის, რომელიც მოიცავდა ტყის დაცვისაკენ მოწოდებას და მასში ყურადღება იყო გამახვილებული ტყის მნიშვნელობაზე.
აპრილის თვეში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრს პროექტის „ისწავლე მეტი-დაგეგმე მომავალი“ მონაწილეები ესტუმრნენ. პროექტი ხორციელდება ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში PIN“-ის კოორდინირებით მიმდინარე „ახალგაზრდული ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის“ ფარგლებში მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მონაწილეები ბაკურიანში სხვადასხვა თემატიკის ტრენინგებს გადიან. ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა და ა.შ ბანაკის მონაწილეებმა დაათვალიერეს საგამოფენო დარბაზი, მიიღეს ინფორმაცია ეროვნული პარკის ისტორიის და ბიომრავალფეროვნების შესახებ. ისაუბრეს გარემოს დაცვის აუცილებლობაზე და ეროვნულ პარკში ლაშქრობა დაგეგმეს.





19-24 აპრილს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დღეები თბილისის, ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის და ახალქალაქის სამოქალაქო და ეკო- კლუბებთან ერთად აღნიშნა.

22 აპრილს -ბორჯომის მე-6 სკოლის ეკო-კლუბი და მასთან დამეგობრებული თბილისის „ნორჩი ეკოლოგები“ ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების ბილიკს ესტუმრნენ და სხვადასხვა ჯგუფური დავალებები შეასრულეს, მათ ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება და ჩაატერეს პრეზენტაციები სხვადასხვა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით.
23 აპრილს არასამთავრობო ორგანიზაცია დემოკრატ მესხთა კავშირის ახალციხისა და ახალქალაქის ახალგაზრდული ცენტრის წევრებისთვის მოეწყო პრეზენტაცია „დაცული ტერიტორიების სისტემის მიზნები და მნიშვნელობა“ და ფილმის „საქართველოს დაცული ტერიტორიები“ ჩვენება, რის შემდეგაც ორი დამეგობრებული კლუბის წევრებმა ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად დაასუფთავეს ქვაბისხევის ხეობა.
24 აპრილს ქ.ბორჯომი მე-6 სკოლის ეკოლუბის წევრებმა ერთი დღე პარკის ადმინისტრაციის რეინჯერთან ერთად გაატარეს. მათ მოინახულეს N12 ლიკანის ხეობის ბილიკი, ნახეს როგორ მუშაობს ფოტოხაფანგი, როგორ გამოიყენება ფერომონები მავნებლების წინააღმდეგ. მათ ჩაუტარდათ ასევე სალაშქრო უნარ-ჩვევების მცირე ინსტრუქტაჟი.





აპრილის თვეში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობისთან ჩატარდა შეხვედრა სადაც მათ ეროვნული პარკის შეთავაზებების შესახებ.

ივნისის თვეში ქ.ბორჯომის სკოლის მოსწავლეებმა ეროვნული პარკის რეინჯერთან ერთად მოაწყვეს დასუფთავების აქცია. დასუფთავდა ლიკანის შესასვლელი ტერიტორია და აქციის შემდეგ მოეწყო ლაშქრობა მე-12 ბილიკზე ადმინისტრაციას ეწვივნენ





ბორჯომის ინგლისური ბანაკის მონაწილეები, ინგლისურენოვან ბანაკში მსოფლიოს რვა ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობს, ის ორგანიზებულია ორგანიზაცია World Express-ის მიერ, ბანაკის მონაწილეებს ინგლისურ ენაზე ჩაუტარდათ სემინარი საქართველოს დაცული ტერიტორიებისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შესახებ, რის შემდეგაც მათ მეშვიდე ბილიკზე ილაშქრეს.





ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრს რეგულარულად სტუმრობენ მოსწავლეები, რომლებსაც უტარდებათ პრეზენტაცია, ან ლექცია დაცული ტერიტორიების შესახებ.

ეკო და სამუშაო ბანაკების ორგანიზება

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ორგანიზებით მოეწყო ეკო ბანაკი საგანამანათლებლო პროექტში გამარჯვებული მოსწავლეებისათვის. ბანაკის მიმდინარეობისას მათ არაერთი ეკო-თამაში ითამაშეს, აგრეთვე მათთვის ჩატარდა ტრეინინგები და სემინარები გარემოს დაცვის შესახებ, ასევე ეფექტურ კომუნიკაციასა და პრეზენტაციის უნარებში.

მოეწყო თბილისის ვალდორფის სკოლის სამუშაო ბანაკი. ბანაკის მონაწილეებმა პარკის





ტერიტორიაზე გაწმინდეს ტურისტული ბილიკი, მოაწყეს ცეცხლის დასანთები ადგილი, რეინჯერებთან ერთად შეაკეთეს ორი ხიდი.

ივლისსა და აგვისტოში ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ არასამთავრობო ორგანიზაცია მოქალაქის მიერ ორგანიზებული ბანაკის „ეკოხედვა 2016“ 8 ნაკადს უმასპინძლა. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის კვირეულის ფარგლებში დაახლოებით 400 მონაწილე გაეცნო ეროვნული პარკის ისტორიას, ბიომრავალფეროვნებას და საქმიანობის ძირითად სფეროებს. ეროვნული პარკის ვიზიტორტა ცენტრში პრეზენტაციის შემდეგ ყველა ნაკადი პარკში ლაშქრობას რეინჯერთან ერთად აწყობდა და ადგილზე ეცნობოდა რეინჯერის საქმიანობას. ერთ-ერთ ნაკადს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრიც დაესწრო და მონაწილეების შეკითხვებს ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან და რეინჯერებთან ერთად მანაც უპასუხა.





მეტყევის საერთაშორისო დღეს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრმა საქართველოს გოეთეს ინსტიტუტს უმასპინძლა. ვიზიტი პროექტის „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისთვის“ ფარგლებში დაიგეგმა. პროექტის ძირითადი მიზანი საქართველოში გერმანული ენის და საგნის ინტეგრირებული სწავლებაა გარემოსდაცვითი თემებით. ეროვნული პარკის შესახებ პრეზენტაცია პროექტის

მონაწილეებს GLEN-ის მოხალისე ლენა როტმა ჩაუტარა. პროექტის მონაწილე მასწავლებლები რეინჯერთან ერთად ქვაბისხევის ხეობას ესტუმრნენ და ველზე გაეცნენ რეინჯერების საქმიანობას.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკს ქ. თბილისის 144-ე საჯარო სკოლის ეკო-კლუბის წევრები ეწვიენ. ვიზიტი აშშ-ს სატყეო სამსახურის (USFS), აშშ-ს განვითარების სააგენტოსა (USAID) და ქ. თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის პროგრამის „ისწავლე, გაუზიარე, გააკეთე - უფრო მწვანე თბილისისთვის," ფარგლებში განხორციელდა. ეკო-კლუბი პროგრამით ანხორციელებს პროექტს „ეს ჩემი სკოლის ეზოა", რომლის






ფარგლებშიც ხდება 144-ე საჯარო სკოლის ეზოს გამწვანება, ეროვნულ პარკს სკოლის მოსწავლეები გამოცდილების გასაზიარებლად და ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ეწვიენ. ეროვნული პარკის საგამოფენო დარბაზის დათვალიერების შემდეგ მათ დღე რეინჯერთან ერთად გაატარეს და გაეცნენ რეინჯერის ყოველდღიურ საქმიანობას და ფოტოხაფანგის გამოყენების ფუნქციასა და მიზნებს.

ნოემბერში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ საყუნეთის საჯარო სკოლის მე-9-11 კლასის მოსწავლეებს და პედაგოგებს უმასპინძლა. აქტივობის ძირითადი მიზანი იყო არაფორმალურ გარემოში ჩატარებული გაკვეთილი სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მონაწილეობით, მომავალი პროფესიის არჩევისა და კარიერის დაგეგმვისთვის. საგამოფენო დარბაზის დათვალიერების შემდეგ მონაწილეები ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსების უფროს სპეციალისტთან ერთად მე-7 „ბუნების შემეცნებით ბილიკს" ესტუმრნენ.

დეკემბრის თვეში დაბა ხარაგაულის გენდერული კლუბის წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგი გარემოს დაცვის სფეროში მოხალისეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ტრენინგი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტებმა და ამერიკის მშვიდობის კორპუსის მოხალისესთან ერთად დაგეგმეს.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი შეუერთდა კამპანია „ნუ მოჭრი, მორთე"-ს. აქციის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ლიცეუმის მოსწავლეებთან ერთად ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მორთეს ნაძვი და მოუწოდეს საზოგადოებას ბუნების გაფრთილებისა და მწვანე გარემოს შენარჩუნებისკენ.

დეკემბრის თვეში ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები ეწვივნენ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს, სადაც ვიზიტორთა მომსახურების უფროსმა სპეციალისტებმა ჩაუტარეს ტრეინინგი თემებზე: დაცული ტერიტორიები და ნარჩენების მართვა.
მთების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ხარაგაულის ადმინისტრაციაში ჩატარდა პრეზენტაცია დაბის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის.



ღონისძიებები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში

ეკოტურიზმი

2016 წლის განმავლობაში ეროვნულ პარკს სხვადასხვა ტურისტული კომპანიის მიერ ორგანიზებული ტურები სტუმრობდნენ, კერძოდ ეროვნულ პარკში იმყოფებოდნენ Caucasus Travel, Visit Georgia, BTL Georgia, Capital Travel, Highlander Tours in Georgia, Geo Wine Tours, Explore Georgia, Via Verde, Nikol Tours, Doron Travel, Pako Pako Tours, DSL Georgia და პოლონური ტურისტული სააგენტო Nothing Hill. ვიზიტორთა საერთო რაოდენობის 14% სწორედ სხვადასხვა ქართული და უცხოური კომპანიების მიერ ორგანიზებული ტურებით სტუმრობს ეროვნულ პარკს.
ეროვნული პარკისა და დაცული ტერიტორიების ბროშურები და რუკები გადაეცა ბორჯომის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს. გავრცელდა ბორჯომის ისტორიულ პარკში. გასული წლის მანძილზე ეროვნული პარკის შეთავაზებები გაეგზავნა 50 ტურისტულ კომპანიას. გაღრმავდა თანამშრომლობა სალაშქრო კლუბებსა და ფედერაციებთან, რომლებიც გასული წლის განმავლობაში აქტიურად ლაშქრობდნენ ეროვნულ პარკში. ეროვნულ პარკს სტუმრობდნენ სალაშქრო კლუბები: „მწვანე ზებრა“, „მთანი მაღალნი“, „ავტოსტოპერები“, „მსოფლიოში დაკარგულები“, „ადრენალინი“, „ოლიმპო“ და „გორელ ფოტოგრაფთა კლუბი.“






გამოცდილების გაზიარების მიზნით კავკასიაში დაცული ტერიტორიების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას სტუმრობდნენ ალგეთის, ყაზბეგის, კონტრიშის, ფშავ-ხევსურეთის ადმიისტრაციის თანამშრომლები, რომლებიც ადგილზე გაეცნენ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ვიზიტორთა მომსახურებას.


აპრილის თვეში ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტების მიერ განხორციელდა ადგილობრივი ხელნაკეთი ნივთების (თექა, გობელენი) მწარმოებელთა მოძიება, იდენტიფიცირება და განხილულ იქნა მომავალი თანამშრომლობის გზები. ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა და ტრეინინგი ეროვნულ პარკში ტურიზმში ჩართული მოსახლეობისათვის. შეხვედრას ესწრებოდნენ, როგორც გამოცდილი გიდები და საცხენოსნო გამყოლები, აგრეთვე ახალი რეგიონში მოძიებული გიდები. მარტის თვეში მოეწყო შეხვედრა ადგილობრივ ბიზნესში ჩართულ მოსახლეობასთან, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი სასტუმროებისა და საოჯახო სასტუმროების მეპატრონეები, ადგილობრივი გამყოლები და საცხენოსნო თავლების მეპატრონეები. შეხვედრის მიზანს ეროვნული პარკისა და ადგილობრივი ბიზნესის კოორდინაციის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში მოხდა #10 თოვლის ფეხსაცმელების ბილიკის მარკირების კორექტირება. მარკირებაში ეროვნული პარკის ვიზიტორთა სპეციალისტების გარდა ჩართულები იყვნენ ადგილობრივი გიდები და საცხენოსნო გამყოლები.

ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ტერიტორიაზე მოხდა გეგმარებითი ტურისტული ბილიკიების მოკვლევა. პირველ ეტაპზე შეიქმნა ერთდღიანი სალაშქრო ბილიკის მონახაზი, რომელიც ტაბაწყურის ტბის გარშემო დაიგეგმება.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტურისტულ სერვისებს დაემატა ღამისთევა მარელისის სასტუმროში, სადაც ჯამში 6 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი.







2016 წლის ვიზიტორთა რაოდენობა 2015 წლის ვიზიტორთა საერთო რაოდენობასთან შედარებით გაზრდილია 8%–ით. ტურისტული სერვისების გაქირავებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 64 425 ლარი, რაც 2015 წლის შემოსავლების რაოდენობასთან შედარებით (53 000ლარი) გაზრდილია 22%-ით.

ვიზიტორთა გამოკითხვის შედეგები:


1. ვიზიტორთა ასაკი:




2. რამდენი დღით ადრე დაგეგმეთ ეროვნულ პარკში ვიზიტი:




3. რა დონის ინფორმაციას ფლობდით ეროვნული პარკის შესახებ: (10 ბალიანი)




4. საიდან გაიგეთ ეროვნული პარკის შესახებ:




5. ეროვნულ პარკში ვიზიტისას თუ გქონდათ რაიმე აპარატურა:




6. სად მოიძიეთ ინფორმაცია ეროვნულ პარკში მოგზაურობამდე:




7. როგორ შეაფასებდით ეროვნულ პარკში მოწოდებულ ინფრომაციას: (10 ბალიანი)




8. როგორ შეაფასებდით ეროვნულ პარკში მოწოდებულ ინფორმაციას: (10 ბალიანი)




10. ესტუმრებოდით თუ არა ეროვნულ პარკს მეორედ? (10 ბალიანი)



9. ურჩევდით თუ არა მეგობრებს ეროვნულ პარკში ვიზიტს: (10 ბალიანი)



11. რა სუვენირის შეძენას ისურვებდით ეროვნულ პარკში?



ვაშლოვანის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

2016 წლის დასაწყისში 2015 წლის მონაცემების საფუძველზე მოხდა სამართალდარღვევის ტიპების მიხედვით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ანთროპოგენური ზეგავლენის მქონე ადგილების განსაზღვრა და იდენთიფიცირება. 2015 წელში მოქმედი ყოველკვირეული პატრულირების მარშრუტებმა თითოეული უბნისა და სარეინჯეროს მიხედვით ანთროპოგენური ზეგავლენის მქონე ადგილების მიხედვით 2016 წელს განიცადეს კორექტირება (რვა სადღეღამისო მუდმივმოქმედი რეინჯერთა დაცვის სადგური: ვაშლოვანის, ნათლისწყლის, მიჯნის ყურის, ცენტრალური ბუნგალოების, ბუღა მოედნის-ქურციკების ვოლიერი, შავი მთის, კაკლის ყურის, ჰერეთის ფონის).

საანგარიში პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა ტერიტორიის გეგმიური პატრულირება.

საანგარიშო პერიოდში შედგენილია 17 ერთეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი. უკანონო ძოვების ფაქტებზე შედგენილია 12, რეჟიმის დარღვევის ფაქტზე 4 და უკანონო ჭრის ფაქტზე 1 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. აღნიშნული ყველა ოქმი განხილულია და დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილია სასამართლო დადგენილება.

2016 წლის განმავლობაში პატრულირებისას, სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობისას, დაცვის სადგურებზე რეინჯერთა ცვლებთან ერთად დაცვის განყოფილების დაქვემდებარებაში მყოფი ავტომანქანების მიერ განვლილმა მანძილმა შეადგინა 134996კმ. მათ შორის პატრულირებისას განვლილმა მანძილმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 62461 კილომეტრი. ავტომანქანით ტერიტორიების პატრულირების პარალელურად დაცვის სადგურებზე (8 პოსტი) რეინჯერების მიერ საპატრულო მარშრუტებზე განვლილმა მანძილმა შეადგინა 6850 კილომეტრი. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე ქურციკების რეინტროდუქციის პროექტის მომსახურებისათვის განკუთვნილი ავტომანაქანის მიერ საანგარიში პერიოდში მონიტორინგის წარმოებისას განვლილი მანძილია - 12437კილომეტრი.

16 იანვარს ჩატარდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების თანამშრომელთა გაერთიანებული თათბირი. თათბირზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: რეინჯერთა დისციპლინა ცვლაში მორიგეობისას, კანონის დამრღვევთა მიმართ ქცევის წესები, პატრულირების წარმოება, პატრულირების და ცვლების ჟურნალების შევსება, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის წარმოება. თათბირის შემდეგ რეინჯერებს ჩაუტარდათ ტრენინგი. ტრენინგის თემა იყო: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შევსების წესი; ნარჩენების მართვის კოდექსი; გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის მეთოდიკის გამოყენება.

11 მარტიდან 22 მარტამდე რეინჯერთა შრომის დისციპლინის განმტკიცების, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთის, დაცულ ტერიტორიებზე არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის კონტროლის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მოვლის მიზნით უბნის უფროსი რეინჯერების მიერ შესაბამის უბნებში ჩატარდა საგაზაფხულო გეგმიური რევიზიები. 04 აპრილიდან 15 აპრილის ჩათვლით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის

დაცვის განყოფილების უფროსის მიერ ჩატარებულ იქნა საკონტროლო რევიზია. რევიზიების ანგარიშები წარედგინა დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

7 ნოემბრიდან 19 ნოემბრამდე რეინჯერთა პასუხისმგებლობის და შრომის დისციპლინის განმტკიცების, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთის, დაცულ ტერიტორიებზე არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის კონტროლის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მოვლის მიზნით უბნის უფროსი რეინჯერების მიერ შესაბამის უბნებში ჩატარდა საშემოდგომო გეგმიური რევიზიები.

21 ნოემბრიდან 06 დეკემბრის ჩათვლით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების უფროსის მიერ გეგმიური რევიზიის ხარისხის შემოწმების მიზნით ჩატარებულ იქნა საკონტროლო რევიზია. რევიზიის პროცესში დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დაცვის წესებისა და რეჟიმის დარღვევის ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. რევიზიის პროცესში აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად უბნის უფროს რეინჯერებს მიეცათ შესაბამისი მითითებები. რევიზიების ანგარიშები წარედგინა დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

ხანძრების მართვა მარტის თვის დასაწყისში შემოწმდა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის ვარგისიანობა და მდგომარეობა,Mმოხდა მისი გამართულ მდგომარეობაში მოყვანა.

მარტის თვის ბოლოს დაცვის განყოფილების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ინსტრუქტაჟი.

მაისის თვის ბოლოს დაცვის განყოფილების თანამშრომლებს კიდევ ერთხელ ჩაუტარდათ ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ინსტრუქტაჟი.

ზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით საპატრულო ჯგუფების და ადგილზე დაცვის სადგურებზე რეინჯერების მიერ პატრულირებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახანძრო უსაფრთხოების საკითხებს. სახანძრო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრები როგორც დაცულ ტერიტორიაზე მდებარე მეცხოველეობის ბინების მეპატრონეებთან და მწყემსებთან, აგრეთვე დაცული ტერიტორიების მიმდებარე (ვაშლოვანი, პატარა შირაქის და დილიჩის მასივი) სახნავი ნაკვეთების არენდატორებთან, სოფ. საბათლოს და სოფ. კასრისწყალის მოსახლეობასთან. ხანძარ საშიშ ადგილებში გაძლიერდა პატრულირება. 2016 წლის 03 აგვისტოს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ვაშლოვანის რეინჯერთა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე (იუკების პლანტაციაში) გაჩნდა ხანძარი. მასიური ხანძრის ლიკვიდაციისთვის მობილიზებულ იქნა ორივე საპატრულო ჯგუფი, დახმარებისთვის მივმართედ საქართველოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქ. თელავის სამმართველოს დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო განყოფილებას. გარდა ამისა ცეცხლის გავრცელება, რომ შეწყვეტილიყო და არ გადასულიყო დაცულ ტერიტორიაზე ტრაქტორის საშუალებით გაკეთდა დამცავი ხნულები. ერთობლივი ძალისხმევით გვიან ღამით ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა. დაიწვა ვაშლოვანის დაცვის სადგურის ეზო და მიმდებარე ტერიტორიები 2 ჰექტარი. დაცულ ტერიტორიას ზიანი არ განუცდია.

10 აგვისტოს იმედას ხევის მოსაზღვრედ საძოვარზე გაჩნდა ხანძარი, ვაშლოვანის საპატრულო ჯგუფის, ცენტრალური შესასვლელის და ვაშლოვანის დაცვის სადგურის რეინჯერთა ოპერატიული მოქმედების შედეგად გვიან საღამოს ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა. დაცული ტერიტორიის ფარგლებში დაიწვა მხოლოდ 5 ჰექტრამდე საძოვარი. სამწუხაროდ დაიწვა ერთი მეცხვარეობის ფერმა და საცხოვრებელი ბინა. დაცულ ტერიტორიას ზიანი არ განუცდია.

29 ნოემბერს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ჩიღოელთხევის სათავეებში, მოსაზღვრედ მდებარე საძოვარზე გაჩნდა ხანძარი. მასიური ხანძრის ლიკვიდაციისთვის მობილიზებულ იქნა ორივე საპატრულო ჯგუფი, დაცვის განყოფილების რეინჯერები. იმის გამო რომ ხანძარი გავრცელდა დაცულ ტერიტორიაზე, დახმარებისთვის მივმართედ საქართველოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქ. თელავის სამმართველოს დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო განყოფილებას. ერთობლივი ძალისხმევით საღამოთი ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა. დაცულ ტერიტორიის შიგნით დაიწვა 200 ჰექტარი საძოვარი. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიას ზიანი არ განუცდია.

ივნისის თვის მეორე ნახევარში შსს სასაზღვრო პოლიციის #4 (დედოფლისწყაროს) სამმართველოს მიერ ტახისწყლის ჭალებიდან მიჯნისყურის ჭალებისკენ სპეციალური ტექნიკის დახმარებით გაყვანილ იქნა 27 წლის წინ გაუქმებული სამანქანე გზა. სამწუხაროდ ივნისის თვის ბოლოს და ივლისის დასაწყისში მოსულმა თავსხმა წვიმამ მიჯნისყურის მონაკვეთზე ისევ გამოიყვანა მწყობრიდან სამანქანე გზა. სექტემბრის თვის მეორე ნახევარში დედოფლისწყაროს სასაზღვრო პოლიციის ტახისწყლის საგუშაგოს მესაზღვრეებისა და მიჯნისყურის დაცვის სადგურის რეინჯერების მიერ აღდგენილ იქნა ტახისწყალი-მიჯნისყურის ჭალების შემაერთებელი სამანქანე გზა. ამჟამად გზა გამართულად ფუნქციონირებს.

აგვისტოს თვის შუა რიცხვებში ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ინიციატივით და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დახმარებით გარემონტდა არწივის ხეობის ბუნების ძეგლის ხორნაბუჯის მონაკვეთზე ჩასასვლელი სამანქანე გზა.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე საძოვრების რეაბილიტაციისა და ძოვების მდგრადი პრაქტიკის შემოღების მიზნით ხორციელდება ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დაფინანსებული პროექტი - „საქართველოში საძოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისთვის კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით“. პროექტი ეხება დაცულ ტერიტორიაზე მდებარე მეცხოველეობის ზამთრის ბინებს (45 ფერმა). ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საძოვრების მენეჯმენტის გეგმის ზოგადი ამოცანებია: ბუნებრივი რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ეკოლოგიური მენეჯმენტისა და ტრადიციული ძოვების პრაქტიკის მეშვეობით; ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება საძოვრების მდგრადი მართვის გზით; საძოვრების მართვის საუკეთესო პრაქტიკების დანერგვისა და განხორციელების მხარდაჭერა; ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების მონაწილეობითი მართვის უზრუნველყოფა. სპეციალური მეთოდიკის გამოყენებით მოხდა საძოვრების პროდუქტიულობის შეფასება. შეიქმნა ვდტ-ს მცენარეულობის ძირითადი თანასაზოგადოების რუკა GIS მონაცემთა ბაზით, აგრეთვე საძოვრების დაზუსტებული რუკები. ტარდება კლიმატის ცვლილებასთან მიმართებით საძოვრების მონიტორინგი (შემოღობილია 4 სანიმუშო ფართობი), ვეტერინალური მომსახურების დაგეგმვის მიზნით ჩატარდა კვლევები, ფერმერთა საარსებო გარემოს გაუმჯობესებისათვის განხორციელდა წყალსადენის ორი მაგისტრალური ხაზის მშენებლობა “მლაშე წყალი - ბუღა მოედანი” 24 კილომეტრზე და “მამაჩაის ხევი - სამუხი” 7 კილომეტრზე. სამოდელო მიზნით გარემონტდა ორი ფერმა. გარდა ამისა დაცვის განყოფილების თანამშრომლების მიერ საძოვრებზე არსებული პირუტყვის სულადობის დაზუსტების მიზნით შემოვლილ იქნა ყველა მეცხოველეობის ბინა.

მუდმივად ხორციელდებოდა მწყემსების კონტროლი არალეგალური ქმედებების ჩადენის პროფილაქტიკის მიზნით. შემოვლილ იქნა როგორც დაცულ ტერიტორიაზე მდებარე, ასევე დაცული ტერიტორიის საზღვრის მიმდებარედ განლაგებული მეცხოველეობის ზამთრის ბინები, მათ გავაცანით ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მოქმედი გარემოს დაცვითი კანონმდებლობა და დაცული ტერიტორიების საზღვრები.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ მოხდა სანადირო ადგილების და ბრაკონიერების გადაადგილების ბილიკების იდენტიფიცირება. საანგარიშო პერიოდში შავ მთაში ფოტოხაფანგით დაფიქსირდა უკანონო ძოვების ფაქტები, რაზეც შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმები.

სამეცნიერო კვლევა/მონიტორინგი

2016 წლის იანვრის თვეში მომზადდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების 2015 წლის ,,ბუნების მატიანე", მზადდება 2016 წლის ,,ბუნების მატიანე".

ადმინისტრაციის მიერ წარმოებდა არასისტემატური მოვლენების ზვავების, წყალდიდობების, წყალმოვარდნებისა და სხვა მოვლენების დაფიქსირება. ადმინისტრაციის მიერ წარმოებდა არასისტემატური მოვლენების ზვავების, წყალდიდობების, წყალმოვარდნებისა და სხვა მოვლენების დაფიქსირება. 2016 წლის განმავლობაში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე განსაკუთრებულ არასისტემურ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. მეტეოროლოგიური მონაცემების შეგროვებას ვაწარმოებდით მხოლოდ ვიზუალურად.

ადმინისტრაციის მიერ გროვდება მონაცემები ,,საქართველოს წითელი ნუსხის" მერქნიანების შესახებ. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში არსებული 13 სახეობის მერქნიანი მცენარე, რომელთაგან აღსანიშნავია - ქართული ნეკერჩხალი, თურანულა (ევფრატის ვერხვი), კაკალი, ჭალის მუხა, საღსაღაჯი, სახოკიას ბერყენა, დემეტრის ბერყენა, შავი ღვია, მრავალნაყოფა ღვია, სამხრეთის აკაკი და სხვა.

გარდა წითელი ნუსხის მერქნიანებისა, დაკვირდება წარმოებს ტერიტორიაზე მოზარდ სხვა მერქნიან მცენარეებსაც - ვერხვს, თელას, იფანს, ნეკერჩხალს და სხვა ფოთლოვანებს.

თებერვლის შუა რიცხვებში დაცულ ტერიტორიაზე უჩვეულო სითბოების გამო აყვავდა თელა, მარტის დასაწყისში კი აყვავდა მენახირის ბალი, შინდი, ფურისულა, ია და ზოგირთი სხვა ბალახოვანი მცენარე.

შავი მთის უბანზე გაზაფხულის გრილი ამინდების და ღამის გვიანი ყინვების გამო მარტის დასაწყისში მერქნიან მცენარეებს ჯერ მხოლოდ კვირტები ქონდათ განვითარებული, ხოლო მარტის ბოლოსათვის დაიწყო განვითარება ფოთლოვანმა საფარველმა. ამავე პერიოდისთვის აყვავდა ტყემალი, კვრინჩხი, კუნელი და უკეთ განვითარდა ბალახოვანი საფარველი.

აპრილში უჩვეულოდ ხშირმა წვიმებმა შეაფერხა მცენარეთა ვეგეტაცია და აპრილის ბოლოსთვის ხე-მცენარეთა ფოთლოვანი საფარველის განვითარება არ იყო დასრულებული.

უხვი ნალექების გამო აპრილის მეორე ნახევარში მდინარე ალაზანში წყლის დონემ მოიმატა და დაიტბორა ჭალის I ტერასა. მაისის დასაწყისში შავი მთის უბანზე აყვავდა აკაცია, ძეძვი, ნარი და სხვადასხვა ბალახოვნები, ხოლო წინა თვეში მოყვავილე ენდემებმა დაასრულეს ყვავილობა. ხე-მცენარეებმა სრულად განივითარეს ფოთლოვანი საფარველი.

ადმინისტრაციამ განახორციელა ,, საქართველოს წითელი ნუსხის ცხოველების მონიტორინგი“ ისეთ სახეობებზე, როგორიცაა: მურა დათვი, ლელიანის კატა, ფოცხვერი, აფთარი, წავი. ფოტოხაფანგებმა განმავლობაში მრავალჯერ დააფიქსირა ფოცხვერი, დათვი და ლელიანის კატა.

ხორციელდება დაცულ ტერიტორიაზე მობინადრე სხვა მსხვილი ძუძუმწოვრების მონიტორინგი, როგორებიცაა - გარეული ღორი, მგელი, მელა, ტურა, ენოტი, მაჩვი, მაჩვზღარბა, კურდღელი, ტყის კატა.

იანვრიდან მაისის ჩათვლით დაცულ ტერიტორიაზე მაღალი იყო მგლის რიცხოვნობა, შემდეგ თვეებში ცხვრის ფარების ზაფხულის საძოვრებზე წასვლის გამო მათმა რიცხოვნობამ იკლო. ზაფხულის თვეებში გარეული ღორის კოლტები საკვების ნაკლებობის გამო მიგრირებდნენ აზერბაიჯანისაკენ, თუმცა პერიოდულად შემოდიოდნენ ჩვენს ტერიტორიაზეც ერთეულების ან მცირერიცხოვანი კოლტების სახით. სექტემბრის ბოლოსათვის ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მომწიფდა საკმლის ხის და ბროწეულის ნაყოფები, ასევე ცვენა დაიწყო მუხის რკომ, რის გამოც კვლავ იმატა მათმა რიცხოვნობამ.





მაისის თვეში ვაშლოვანის დაცვის სადგურთან ახლოს ბროწეულის ხეზე დაფიქსირ ოთხზოლიანი მცურავი, პანტიშარა-დათვის ხევის მიდამოებში შეგვხვდა დათვი პატარა ბელით. ზაფხულის თვეებში ცხოველთა ნაკვალევების ნახვა გართულებული იყო გვალვების და გამხმარი ბალახოვანი საფარველის გამო.

აგვისტოს მეორე ნახევარში ძლიერი სიცხის და გვალვების გამო ყუმუროს ხეობაში არსებული წყლის გუბურა, სადაც დასარწყულებლად დადის ნადირ-ფრინველი თითქმის მთლიანად დაშრა. მიუხედავად ამისა ფოტოხაფანგებმა ამ ტერიტორიაზე მრავალი ცხოველი და ფრინველი დააფიქსირა: ნოემბერში ფოტო-ხაფანგების მიერ მრავალჯერ დაფიქსირდა მგელი, განსაკუთრებით მოიმატა მათმა რიცხოვნობამ ზამთრის საძოვრებზე ცხვრის ფარების შემოსვლასთან ერთად.

ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულია ,,წითელი ნუსხის ფრინველების“ მონიტორინგი - ბექობის არწივი, ბატკანძერი, სვავი, ორბი, ფასკუნჯი, შავი ყარყატი, სარსარაკი და სხვა. გარდა წითელი ნუსხის სახეობებისა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ტერიტორიისთვის ისეთი მნიშვნელოვანი სახეობების მონიტორინგი, როგორებიცაა - კაკაბი, ხოხობი, დურაჯი და სხვადასხვა წვრილი ფრინველი. გროვდება შესაბამისი ფოტომასალა.

ტერიტორიაზე დაფიქსირებულია კაკბების, ქედნების, წვრილი ფრინველების გუნდები, ასევე - ყარყატი, სვავები და ხოხბები. გადამფრენი ფრინველებიდან - აპრილის დასაწყისში ტერიტორიაზე მოფრინდნენ მერცხლები და სხვა ფრინველები.

მთელი წლის მანძილზე საკმაოდ მოიმატა კაკბების რიცხოვნობამ. მონიტორინგის წარმოებისას, ტერიტორიაზე მოძრაობის დროს ხშირად გვხვდებოდნენ კაკბების მრავალრიცხოვანი გუნდიები და ასევე ბევრჯერ დააფიქსირა ისინი ფოტო-ხაფანგებმაც: მუდმივად მიმდინარეობს **„წითელი ნუსხის“** ფრინველების მონიტორინგი - ბექობის არწივი, ბატკანძერი, სვავი, ორბი, ფასკუნჯი, შავი ყარყატი, სარსარაკი და სხვა. გარდა წითელი ნუსხის სახეობებისა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე წარმოებს ტერიტორიისთვის ისეთ მნიშვნელოვან სახეობებზე დაკვირვება, როგორებიცაა - კაკაბი, ხოხობი, დურაჯი, მერცხალი და სხვადასხვა წვრილი ფრინველი. გროვდება შესაბამისი ფოტომასალა.





2016 წლის გაზაფხულზე შავი მთის უბანზე მოიმატა ხოხბების შეხვედრის სიხშირემ, რაც გვაძლევს დასკვნის საფუძველს, რომ ტერიტორიაზე მოიმატა მათმა რიცხოვნობამ.

15 მარტს კაკლის ყურეში მონიტორინგისას მდ. ალაზანზე დაფიქსირდა იხვების გუნდი.

8-10 აპრილს ტერიტორიაზე გადაღებული იქნა წერო ტურფას 5 ინდივიდი და კაკბების გუნდი. 20 აპრილს ტერიტორიების შემოვლისას ცენტრალურ ბუნგალოებთან შეგვხვდა ჩვეულებრივი ოჩოფეხა - Himantopus himantopus, რომელიც საქართველოს ტერიტორიებზე ფიქსირდება მხოლოდ მიგრაციების დროს. მაისში, ივნისში და ზაფხულის თვეებში შავი მთის ტერიტორიაზე მონიტორინგისას რამოდენიმეჯერ იქნენ ნანახი ხოხბები და ტარბები, მომატებული იყო წვრილი ფრინველების რაოდენობაც. კაკბების გუნდები შეგვხვდნენ ვაშლოვანის ქვაბულში და ყუმუროს მიდამოებში, ლეშიჭამია ფრინველები: ორბები, სვავები, შავი ყარყატი - ვაშლოვანის ქვაბულში, არწივის ხეობაში და ხორნაბუჯის ტერიტორიაზე.




2016 წლის გაზაფხულზე შავი მთის უბანზე მოიმატა ხოხბების შეხვედრის სიხშირემ, რაც გვაძლევს დასკვნის საფუძველს, რომ ტერიტორიაზე მოიმატა მათმა რიცხოვნობამ:

ივნისის თვეში ზრდასრულ კაკბებთან ერთად გამოჩნდა კაკბების ახალი თაობაც და მოიმატა მათი შეხვედრის სიხშირემ. ივლისის განმავლობაშიც პანტიშარა-დათვის ხევის ტერიტორიაზე ასევე ბევრჯერ დაფიქსირდა კაკბების მრავალრიცხოვანი გუნდები ახალ თაობასთან ერთად. დიდი ზომის ლაშიჭამია ფრინველებმა ოქტომბრის შუა რიცხვებში დაიწყეს გადაფრენა თბილი

ქვეყნებისკენ, თუმცა ნაწილი ივნდივიდებისა დარჩა დაცული ტერიტორიებზე გამოსაზამთრებლად. წინა წლის დეკემბრის მსგავსად 2016 წლის დეკემბერშიც უამრავი სარსარაკი შემოვიდა სამუხის ველზე:

დაცულ ტერიტორიაზე ჩატარდა პათოლოგიური კვლევები 1 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით. გამოკვლეულია შავი მთის უბანში შერეული ფოთლოვანი ტყის 3 ჰა, ჭალის ტყის მასივი კაკლის ყურეში 2 ჰა, საკმლისხიანი - ვაშლოვანი-ნათლისწყლის უბანში - 3 ჰა. ვაშლოვანი-ნათლისწყლის უბანზე, ცენტრალურ შესასვლელში და მიჯნის-ყურეში ერთეულ საკმლის ხეებზე გაჩნდა არაფარდაპარკიხვევიას (*Ocneria dispar*) მატლები. მათ დააზიანეს ფოთლოვანი საფარველი. შავი მთის უბანზე და კაკლის ყურის ჭალის ტყეში გამოვლენილ იქნა: თელის ჰოლანდიური დაავადება (*Pholiporus sguamsus)* და მუხის ფოთოლხვევია (*Tortix viridana*). სოკოვანი დაავადებებიდან - მუხის მოთეთრო სოკო (*Sohirophyllum commune*) და აბედა სოკო (*Fomes igniarus*), დაზიანებული იყო ფოთლოვანი საფარველის დაახლოებით 10 %.

გამოკვლეულ უბნებზე სულ დაზიანებული იყო 1 ჰექტრამდე ფართობი, მაგრამ მავნებელთა გავრცელება არ იყო მასობრივი ხასიათის. დაზიანების ხასიათი იყო კერობრივი, და დაზიანების ხარისხი იყო სუსტი.

დაცულ ტერიტორიაზე ჯეირნების მოძრაობაზე დაკვირვება წარმოებს სატელიტის მეშვეობით, სპეციალური მონიტორინგის ჯგუფის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ. მონიტორინგის ჯგუფის, რეინჯერების, მესაზღვრეების და ფერმერების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენებით ვახდენთ ჯეირნების მდგომარეობის შეფასებას. #13382 ნომრით მონიშნული ჯეირანი 1 კვარტლის განმავლობაში მოძრაობდა ძირითადად საზღვრის იქით მინგეჩაურის წყალსაცავის ჩრდილო-დასავლეთ. #13380 მამრი ქურციკი 2015 წლის 27 იანვარს გადაადგილდა მისთვის უჩვეულო ადგილას, სოფელ ქესამნის (აზერბაიჯანის მხარე) საკონტროლო პუნქტთან ახლოს. იმის გამო რომ ეს ინდივიდი ძველი სამოძრაო ადგილიდან მოშორებული იყო დაახლოებით 12 კმ-ით, ხოლო მეორე დღეს ქურციკის გადაადგილება აღარ დაფიქსირებულა, იძლეოდა ეჭვის საფუძველს, რომ ქურციკი შეიძლებოდა მოკლული ყოფილიყო, ხოლო სატელიტური საყელო განადგურებული.

5 თებერვალს პანტიშარის ხეობაში მესაზღვრეების მიერ დაფიქსირდა ჯეირნების 7 ინდივიდი. 16 თებერვალს სამუხის ველზე სამონიტორინგო ჯგუფის მიერ ნანახი იყო კიდევ 5 ინდივიდი. მარტის განმავლობაში სამუხის ველზე და პანტიშარის ხეობაში რამდენჯერმე იქნა ნანახი ჯეირნების 2-3 ინდივიდიანი ჯგუფები, განსხვავებით იანვარ-თებერვლისა, როდესაც ვნახულობდით 10-12 ინდივიდს ერთად. სავარაუდოდ ჯგუფის დაშლა და დაწყვილება გამრავლების პერიოდთან იყო დაკავშირებული. დასარწყულებლად ჯეირნები მოძრაობდნენ ძირითადად მდინარე იორის არხის ნაპირებზე. ამავე ტერიტორიებზე მოძრაობდნენ ცხვრის ფარებიც, რის გამოც ცხვრის მრავალრიცხოვან ნაკვალევებში გართულებული იყო ქურციკის ნაკვალევების დაფიქსირება. აპრილ-მაისში # 13382 ჯეირანი, კვლავ ფიქსირდებოდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ამასთანავე 5-6 ინდივიდიანი ჯგუფი რამოდენიმეჯერ იქნა ნანახი სამუხის ველის ზედა ნაწილში. № 13382 ჯეირანი 17 მაისს გადმოვიდა სამუხის ველზე და სხვა ჯეირნებთან ერთად დაფიქსირდა პანტიშარის ზემო ნაწილში. ნანხი იყო ჯეირნების 4-5 ინდივიდიანი ჯგუფებიც, მათ შორის იყო № 13382 ჯეირანიც.



ის ანგარიში
v.apa.ge



ივნისში № 13382 ჯეირანი კვლავ ფიქსირდებოდა სამუხის ველზე და პანტიშარის ხეობაში. ქურციკები ძირითადად 2-3 წევრიან ჯგუფებად მოძრაობდნენ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ პერიოდში დედალი ჯეირნები ცალკე მოძრაობდნენ, რაც მიუთითებდა პატარა ჯეირნების არსებობის ალბათობაზე. შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე სავარაუდოა, რომ ჯეირნების რიცხოვნობა შეადგენს დაახლოებით 12-14 ინდივიდს. ივნისის ბოლომდე სამუხის ველზე არ იყო საკვებისა და წყლის დეფიციტი, ასევე ცხვრის ფარების ზაფხულის საძოვრებზე წასვლის გამო, ჯეირნებისთვის შექმნილი იყო მყუდრო გარემო.

ივლისის შუა რიცხვებში ერთერთი მონიტორინგის დროს დაფიქსირდა 12 ჯეირანი, მათ შორის 5 ლიკლიკა. ეს 12 ჯეირანი 3-4 ინდივიდიან ჯგუფებად მოძრაობდნენ სამუხის ველის სხვადასხვა ნაწილში. GPS-ით აღჭურვილი ინდივიდი # 13382, ისევე როგორც წინა თვეებში ფიქსირდებოდა სამუხის ველზე და პანტიშარის ხეობაში ახალდაბადებულ 2 ლიკლიკასთან ერთად.

აგვისტოში და სექტემბერში # 13382 ჯეირანი კვლავ ფიქსირდებოდა სამუხის ველზე 2 ლიკლიკასთან ერთად. 21 აგვისტოდან კი სატელიტიდან სიგნალების მიღება შეწყდა, თუმცა ველზე მონიტორინგის დროს კვლავ მოხერხდა სასურველი ქურციკის დაფიქსირება. სიგნალების შეწყვეტა სავარაუდოდ გამოწვეული იყო გადამცემის მოძველებით. აღსანიშნავია, რომ ქურციკები ბოლო რამოდენიმე თვის განმავლობაში არ იცვლიან ღამისთევისა და დღისით დასვენების ადგილებს.

ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება ისეთი ძირითადი ჰაბიტატების და ლანდშაფტების მონიტორინგი, როგორებიცაა: უდაბნოს ავშნიანი ჰაბიტატი, საკმლისხიანი და ღვიიანი, ნეკერჩხლიანი და ბერყენიანი ჰაბიტატები, სტეპის უროიანი და ვაციწვერიანი ეკოსისტემები, ძეძვიანები, ნაირბუჩქნარი, ჯაგრცხილნარი, იფნარი, მუხნარი, კაკლის ყურის - ცენოზები, დათვისხევში თურანულას კორომი,

არწივის ხეობაში შიბლიაკის ტიპის ჰემიქსეროფილური ბუჩქნარის ჰაბიტატი და კირქვიანი კლდეების ჰაბიტატი, ე.წ. „არეულები“, ნათლისწყლის ხეობაში და მდ. ალაზნის ნაპირებზე ჰიგროფილური ლანდშაფტების მონაკვეთები ლელით და ლერწმით, ლოკალური ტიპის ლანდშაფტი ტახტი-თეფას ბუნების არაორგანული ძეგლი.

I კვარტლის განმავლობაში ტერტორიაზე შემორჩენილი იყო წინა წლის გადამხმარი ბალახოვანი საფარველი და მარტის ბოლოსათვის ლანდშაფტები ასე გამოიყურებოდა:

აპრილ-მაისში საკმარისი ნალექების გამო მთელს ტერიტორიაზე კარგად განვითარდა ბალახოვანი საფარველი და ხე-მცენარეთა ფოთლოვანი საფარველი.

ივნისის დასაწყისში აყვავდა სხვადასხვა ბალახოვანი მცენარეები და თრიმლი:

ივნისის ბოლოსთვის ბალახოვანი საფარველი ძლიერი სიცხეების და გვალვების გამო მთლიანად გადამხა და სექტემბრის ბოლომდე ლანდშაფტები ასე გამოიყურებოდა:

ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა ფენოლოგიური დაკვირვება კავკასიის ენდემურ მცენარეებზე, როგორებიცაა: ქართული კოწახური, ქართული ბერყენა, ეიხლერის ტიტა, ქართული ზამბახი,

საქართველოს ენდემებიდან: კახეთის მაჩიტა, კახეთის ესპარცეტი, ველის იორდასალამი, სახოკიას ბერყენა.

ადმინისტრაციის მიერ წარმოებს საძოვრების სამონიტორინგო უბნებზე დაკვირვება და დაცულ ტერიტორიებზე ჩამოსულ სამეცნიერო ჯგუფების და მეცნიერების დახმარება და კონტროლი. იანვარ-თებერვალში სამონიტორონგო უბნებზე შემორჩენილი იყო წინა წლის გადამხმარი ბალახი. მარტის შუა რიცხვებისთვის წინა წლის უნალექო შემოდგომის გამო ბალახოვანი საფარველი სუსტად იყო განვითარებული. აპრილში კი საკმარისი ნალექების გამო ყველგან მთელს ტერიტორიაზე და მათ შორის სამონიტორინგო უბნებზეც კარგად განვითარდა ბალახოვანი საფარველი, მაისში - ასევე ხშირი წვიმების გამო ბალახოვანმა მცენარეებმა სიმაღლეში ზრდა განაგრძეს.

ივნისის ბოლოსათვის ძლიერი სიცხეების და გვალვების გამო ბალახი მთლიანად გადახმა როგორც მთელს ტერიტორიაზე, ასევე სამონიტორინგო უბნებზეც და ივლის-აგვისტო-სექტემბერში ტერიტორიები ასე გამოიყურებოდა.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე განხორციელდა 9 სამეცნიერო კვლევა და პროექტი, ესენია:

- „საძოვრების მდგომარეობის შესწავლა და საქონლის ზეგავლენა ბალახოვან საფარველზე“, თ. ფულარიანი, ნ. ლაჩაშვილი და სხვა.
- ,,ვდტ-ს მიმდებარედ ადგილობრივ მოსახლეობისა და მომთაბარე თუში მწყემსების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა და რეკომენდაციების მიცემა ტერიტორიების ეკოლოგიური (ბიომრავალფეროვნების წონასწორობის და მდგრადობის შენარჩუნება) გარემოს შენარჩუნებისათვის“.
- „ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე გეო-ბოტანიკური კვლევები“, ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლები;
- „არქეოლოგიური კვლევები“, კ. ფიცხელაური და სხვ.
- „მგლებზე და სხვა მსხვილ ძუძუმწოვრებზე“ დაკვირვება ,,NACRES-ის თანამშრომლები.
- ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ჩატარდა დაკვირვებები სვავებზე და 5-8 ივლისს მოხდა ტახტი-თეფას და ხორნაბუჯის მიდამოებში სვავების 2 ინდივიდზე გადამცემების დამაგრება.
- დაცულ ტერიტორიაზე ჩატარდა მწერებზე, კერძოდ კი პეპლებზე დაკვირვება. (ენტომოლოგები პოლონეთიდან).
- 29-30 აგვისტოს ტერიტორიაზე ჩატარდა ფრინველებზე დაკვირვება (გერმანია) .

7 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სპეციალისტების მიერ განხორციელდება კვლევა თემაზე: ,,ვერხვის იშვიათი და გადაშენების პირას მოფი სახეობის თურანულას (*Populus euphratica*) ლოკაციის შესწავლა.“

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ეკო-განათლების პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს საჯარო სკოლებთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან, მოსახლეობასთან,

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციასთან, ადგილობრივ არასამთავრობო გარემოსდაცვით ორგანიზაციასთან ,,არწივის ხეობა", სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ,,ნაკრესი" და სხვა.

3 თებერვალს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე იმყოფებოდნენ თბილისის საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები. მათთვის ჩატარდა პრეზენტაცია ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში და მოეწყო ეკო-ტური პანტიშარა - დათვისხევის მიმართულებით.

9 თებერვალს შედგა შეხვედრა NAKRES და MICHAEL SUCCOW FOUNDATION წარმომადგენლობისა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებთან. ჩატარდა პრეზენტაცია იუნესკოს ბიოსფერული რეზერვატების შესახებ.

2016 წლის განმავლობაში ტარდებოდა პრეზენტაციები და ეკო-ტურები. ,,ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ" პრეზენტაციები და ლექცია-სემინარები ჩაუტარდათ: დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ფიროსმანის, სოფელ სამრეკლოს, სოფელ გამარჯვების, სოფელ ოზაანის, სოფელ არბოშიკის, სოფ. ზემო მაჩხაანის, დედოფლისწყაროს #1 და #2 და ქ. თბილისის საპატრიარქოს საჯარო სკოლებისთვის. მოსწავლეები და პედაგოგები ათვალიერებდნენ ვიზიტორთა ცენტრის საგამოფენო დარბაზს და შემდეგ მათთვის ეწყობოდა ეკო-ტურები.





20 ივნისს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში მოეწყო შეხვედრა გერმანელი ტურ-ოპერატორებისთვის ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ და მოეწყო ეკო-ტური არწივის ხეობის ბუნების ძეგლზე.

28 ივლისს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საკონფერენციო დარბაზში და მუზეუმში ბათუმელი ვიზიტორებისთვის ჩატარდა ლექცია-სემინარი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ, შემდეგ კი მოეწყო ეკო-ტური არწივის ხეობაში და ხორნაბუჯის ციხეზე.

10 აგვისტოს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში, ეკო-ბანაკის წევრებისთვის (დედოფლისწყაროს რაიონის სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები) ჩატარდა პრეზენტაცია და ლექცია-სემინარი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან.

22-24 იანვარს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს სტუმრობდნენ ყაზბეგის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის წარმომადგენლები. ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა პრეზენტაცია, გაეცნენ ვაშლოვანის ეკოსისტემებს, მცენარეულ და ცხოველურ სამყაროს, კოლხური ხოხბის და ქურციკის აღდგენის პროექტებს, მოეწყო ეკო-ტური პანტიშარა - დათვისხევის მიმართულებით და სახოხბეში:

1 მარტს მოეწყო არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ვეჟინის“ წარმომადგენლების შეხვედრა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების თანამშრომლებთან და რაიონის სხვა წარმომადგენლებთან. ჩატარდა პრეზენტაცია თემაზე - ,,ქალთა მოწოდება მშვიდობა მსოფლიოს“. ამასთანავე მათ მიეწოდათ ინფორმაცია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ.

29 იანვარს მოეწყო შეხვედრა დედოფლისწყაროს მოსახლეობასთან. საუბარი შეეხო დაცული ტერიტორიების მნიშვნელობასა და მისი დაარსების აუცილებლობას, ასევე დაურიგდა ლიფლეტები.




19 თებერვალს შედგა შეხვედრა დედოფლისწყაროს საავადმყოფო-პოლიკლინიკის თანამშრომლებთან. მიეწოდათ ინფორმაცია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ:




30 მარტს ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში მოწვეული იყო სოფელ სამრეკლოს მოსახლეობა, რომლებთანაც ჩატარდა საუბარი საქართველოს დაცული ტერიტორიების მნიშვნელობაზე და წარედგინათ პრეზენტაცია ,,ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების“ შესახებ.

17 ივნისს გაუდაბნოებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია-სემინარი სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლაში და მოეწყო შეხვედრა ამავე სოფლის მოსახლეობასთან. საუბარი შეეხო რეგიონში გამოვლენილ გაუდაბნოების პროცესებს და მისგან გამოწვეულ პრობლემებს.

30 ივნისს გაიმართა შეხვედრა სოფ. გამარჯვების მოსახლეობასთან, სადაც საუბარი მიმდინარეობდა დაცული ტერიტორიების მნიშვნელობაზე, ასევე მიეწოდათ ინფორმაცია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის შესახებ და დაურიგდათ ლიფლეტები, ხოლო 29 ივლისს მსგავსი შეხვედრა გაიმართა სოფ. ოზაანის მოსახლეობასთან; 30 ივნისს - სოფ. გამარჯვების მოსახლეობასთან;

26 აგვისტოს ადმინისტრაციის შენობაში მოწვეულ იქნა სოფ. არბოშიკის მოსახლეობა, 23 სექტემბერს სოფ. ქვემო ქედის მოსახლეობა, საუბარი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ წარიმართა, ასევე ნაჩვენები იქნა ფილმი და დარიგდა ლიფლეტები.

20 დეკემბერს მოეწყო შეხვედრა სოფ. ზემო ქედის მოსახლეობასთან, საუბარი წარიმართა საერთოდ დაცული ტერიტორიების მნიშვნელობაზე, ასევე მიეწოდათ ინფორმაცია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ, პასუხი გასცეს მათ შეკითხვებს და ბოლოს დაურიგდათ ლიფლეტები.

2016 წლის 20 იანვარს არწივის ხეობის ბუნების ძეგლზე ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ მოეწყო დასუფთავების აქცია:

29 თებერვალს ჩატარდა ადმინისტრაციის ეზოს დასუფთავების აქცია და ეზოს მესრის აღდგენითი სამუშაოები. 28 მარტს რაიონის დასუფთავების სამსახურთან ერთად ჩატარდა ღვარსაშვების გაწმენდა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების აქცია. 22 აპრილს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში, აღინიშნა დედამიწის დღე და ამასთან დაკავშირებით მოეწყო ცენტრალური ბუნგალოების დასუფთავების აქცია. 3 მაისს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ჩატარდა დასუფთავების აქცია. დასუფთავდა ადმინისტრაციის ეზო, მიმდებარე ქუჩა და მოითიბა ბალახი. 5 ივნისს ,,გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით ხორნაბუჯის ციხეზე მოსწავლეთა ჩართულობით ჩატარდა დასუფთავების აქცია.




16 ივნისს და 31 ივლისს მოეწყო დასუფთავების აქცია, დასუფთავდა ადმინისტრაციის ეზო და მოითიბა ბალახი.

16 სექტემბერს მოეწყო დასუფთავების აქცია ,,დაასუფთავე მსოფლიო“, რომლის ფარგლებშიც ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა დაასუფთავეს დედოფლისწყაროს შემოსასვლელში გედიქის ხევის სამკურნალო წყაროს მიმდებარე ტერიტორია, აგრეთვე ბუნების ძეგლის ,,არწივის ხეობის და ხორნაბუჯის ციხის“ ტერიტორიები:




18 მარტს ადმინისტრაციის ეზოში ჩატარდა ყვავილების დარგვის აქცია. 25 მარტს ადმინისტრაციის ეზოში დაირგო ჟასმინის და კოწახურის ბუჩქები. 6 აპრილს ადმინისტრაციის ეზოში დაირგო ქოთნის დეკორატიული მცენარეები. 7 ნოემბერს ვაშლოვანის დაცული

ტერიტორიების ადმინისტრაციამ მოაწყო მწვანე აქცია. ადმინისტრაციის ეზოში დაირგო მოყვავილე დეკორატიული ბუჩქები:




20 თებერვალ ებისთვის ჩატარდა პრეზენტაცია ე და წმინდა ელიის მთაზე; მიჯნისყურეში; ,,პანტიშარა - დათვის ხევის", ტახტი-ტეფას მიმართულებით;

2 და 3 აპრილს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებზე იმყოფებოდნენ მოგზაურთა კლუბის ,,ვოიაჟი" წარმომადგენლები. მოეწყო ეკო-ტური ტახტი-თეფას და არწივის ხეობის ბუნების ძეგლებზე.

19-20 აპრილს პოლონელი ვიზიტორებისთვის მოეწყო ეკო-ტური ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე - ვაშლოვანის, პანტიშარა-დათვისხევის და მიჯნისყურის მიმართულებით:

21 აპრილს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში, შვეიცარიელი ვიზიტორებისთვის, ჩატარდა პრეზენტაცია და მოეწყო ეკო-ტური ვაშლოვანის უბანზე:




29-30 აპრილს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მიჯნისყურის, პანტიშარა -დათვისხევის, ვაშლოვანის ქვაბულის მიმართულებით მოეწყო ეკო-ტურები ავსტრიის, ჰოლანდიის და ჩეხეთის მოქალაქეებისთვის.

6-7 მაისს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მიჯნისყურის, პანტიშარა-დათვის ხევის, ვაშლოვანის ქვაბულის და ბუღა მოედნის მიმართულებით მოეწყო ეკო-ტური მოსკოველი ვიზიტორებისთვის.

21 მაისს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მიჯნისყურის, პანტიშარა-დათვის ხევის და სამუხის მიმართულებით მოეწყო ეკო-ტური საქართველოს მოქალაქეების ვი-თი-ბი ბანკის თანამშრომლებისთვის.

2 ივლისს მოეწყო ეკო-ტური ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებისთვის:

6 სექტემბერს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, პანტიშარა - დათვის ხევის მიმართულებით, მოეწყო საფარი - ტური თბილისელი ვიზიტორებისთვის:

2 ოქტომბერს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, პანტიშარა - დათვის ხევის მიმართულებით, მოეწყო ეკო - ტური ჩხოროწყუს საჯარო სკოლის პედაგოგების და მოსწავლეებისთვის. მათვე

ადმინისტრაციის სამუზეუმო დარბაზში ჩაუტარდათ ლექცია-სემინარი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ:

2 ოქტომბერს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, ტახტი-ტეფას მიმართულებით, მოეწყო ეკო - ტური ტუროპერატორებისთვის - ,,მოგზაურთა კლუბი“ და ,,ვოიაჟი“. მათვე ადმინისტრაციის სამუზეუმო დარბა[illegible]აცული ტერიტორიების შესახებ:



6 ნოემბერს ვაშლო[illegible]ურ-ოპერატორისთვის - Effect Tour Georgia - [illegible]ის მიმართულებით:

6 ნოემბერს მოეწყო ეკო-ტური ტურ-ოპერატორისთვის Gi-Travel.ge პანტიშარა-დათვის ხევში:





16 დეკემბერს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე პანტიშარა-დათვის ხევის მიმართულებით მოეწყო ეკო-ტური ლიტვის მოქალაქეებისთვის.

მარტის თვეში მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს დაურიგდათ ვაშლოვანის და საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიების ღირსშესანიშნაობათა ამსახველი ბროშურები, აგრეთვე ნარჩენების მართვის კოდექსის ბუკლეტები და მათ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს რაიონის მოსახლეობისთვის კოდექსის მუხლების გაცნობით საქმიანობაში.

26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა. მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ, დაურიგდათ შესაბამისი ლიფლეტები და წიგნები:





2 ივნისს ქ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა ინტელექტუალური თამაშის - რა, სად, როდის“ საგაზაფხულო სერიის დასკვნითი ტური რაიონის სხვადასხვა გუნდების მონაწილეობით. თამაშში მონაწილეობას ღებულობდა ვაშლოვანის ადმინისტრაციის თანამშრომელთა გუნდიც - ,,ვაშლოვანი“:

26 მარტს ,,გარემოსდაცვითი ინფორმირმაციისა და განათლების ცენტრის“ მიერ დედოსფლისწყაროს, სოფელ ქედისა და მაჩხაანის ახალგაზრდა წარმომადგენლებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია ,,ბექობის არწივის კონსერვაციის პროექტის” შესახებ, მათ ასევე მიეწოდათ ინფორმაცია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ.

1 აპრილს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში მოეწყო შეხვედრა რაიონის სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეების არასამთავრობო ორგანიზაციის ,,ახალგაზრდული იდეა“ წარმომადგენლებთან. მათთვის ჩატარდა პრეზენტაცია და საუბარი საქართველოს და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ.

12 აპრილს ქალაქ სიღნაღში მოეწყო შეხვედრა სიღნაღის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან, ქალაქის სასტუმროების მეპატრონეებთან, ტურ-ოპერატორებთან, საჯარო სკოლების მოსწავლეებსა და პედაგოგებთან. ჩაატარეს პრეზენტაცია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ, ესაუბრნენ ვაშლოვანის ტერიტორიის ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებაზე, ეკოსისტემებზე, მისი დაცვის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე, ვიზიტორთა მომსახურების სერვისებზე, ტურისტულ მარშრუტებზე, ბოლოს კი პასუხი გასცეს მათ შეკითხვებს.




20 აპრილს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ჩატარდა საძოვრების რეაბილიტაციის პროექტის პრეზენტაცია.





4 მაისს ჩატარდა პროექტის პრეზენტაცია საძოვრების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ:






17 ივნი[illegible]თ ,,არწივის ხეობის“ [illegible]ის საჯარო სკოლის [illegible]უდაბნოების პრობლემებზე და მისი ზრდის ტენდენციებზე ჩვენს რეგიონში.



4 ოქტომბერს აღინიშნება ,,ცხოველთა დაცვის მსოფლიო დღე”. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივი რესურსების მართვის უფროსი სპეციალისტის ხელმძღვანელობით და დახმარებით, დედოფლისწყაროს სოფ. სამრეკლოს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: თამარ ჯეთერიშვილმა და ლალი გოგილაშვილმა დაამუშავეს თემები - ,,ვაშლოვანის ბიომრავალფეროვნება და მისი ცხოველთა სამყარო“. მუშაობის დასრულების შემდეგ თემები წარადგინეს ქ. თბილისში შესაბამის კონკურსზე.



ღონისძიებები ვაშლოვანის ეროვნულ პარკში

ეკოტურიზმი

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბროშურები, სარკვევები, საველე მეგზურები და სხვადასხვა საინფორმაციო მასალები გავრცელდა საჯარო სკოლებში, კვების ობიექტებსა და სხვადასხვა დაწესებულებებში.

სისტემატიურად მიმდინარეობდა ვიზიტორებისათვის ეკო-ტურისტული მომსახურებების უზრუნველყოფა და მომსახურების დაჯავშნა, მათი საინფორმაციო უზრუნველყოფა.
ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს 2016 წელს 6656 ერთდღიანი და 5150 რამოდენიმედღიანი ვიზიტორი ესტუმრა. ვიზიტორების საერთო რაოდენობამ შეადგინა 11 806, აქედან 8626 ქართველი, ხოლო უცხოელი 3180 ვიზიტორი იყო. ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 50 041 ლარი. 2016 წლის მონაცემებით ვიზიტორთა 73% არის ქართველი, ხოლო 27% - უცხოელი. ვიზიტორთა 54% არის მამრობითი სქესის, ხოლო 46% მდედრობითი.

ტურისტული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი

ბუნგალო	17110
ერთადგილიანი ნომერი	2770
ორადგილიანი ნომერი	8850
ლუქსი	7900
საკარვე ადგილი	4726
ტურისტული რუკა	110
სპორტული თევზაობა	1135
საძილე ტომარა	36
პარალონი	54
ტოიოტა საფარი ტური	335
ჭოგრიტი	68
შესვლის ღირებულება	6640
საკონფერენციო დარბაზი	260
კარავი	35
მაისური	12
სულ	50041

მარშრუტების გამოყენება

არწივის ხეობა	357	კაკლის ყურე	32
ვაშლოვანი	135	მიჯნისყურე	165
ტახტი თეფსა	120	სათევზაო	45
ვოლიერი	68		

2016 წლის განმავლობაში ეროვნული პარკის მარშრუტებიდან ძირითადად დატვირთული იყო ერთდღიანი ,,არწივის ხეობის', 'ტახტი თეფსას' და ,,ვაშლოვანის'' მარშრუტები. ასევე მიჯნისყურეს მარშრუტი.

თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

2016 განმავლობაში, დაცვის განყოფილების თანამშრომლები სისტემატიურად ახორციელებდნენ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ქმედებებს.

შედგენილი იქნა ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევის 39 ოქმი, აქედან 17- უკანონო ჭრაზე, 2 - დანაგვიანებაზე,1- უკანონონადირობაზე, 5 - იარაღით გადაადგილებაზე, 3 - უკანონო თევზაობაზე და 11 - სხვა სამართალდარღვევებზე. გარემოზე მიყენებული ზიანის თანხამ სულ შეადგინა 4324,85ლარი. გამოვლენილი იქნა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მქონე ორი ფაქტი.

2016 წლის მეორე და მეოთხე კვარტალებში დაცვის განყოფილების თანამშრომლების მიერ ჩატარდა გეგმიური და საკონტროლო რევიზიები, ეროვნული პარკის ხუთივე უბანზე გამოვლინდა 24,173მ^3 მეორე ხარისხის საშეშე მერქნის უკანონო ჭრა, გარემოზე მიყენებული ზიანის თანხამ შეადგინა 3870,54 ლარი, საგაზაფხულო გეგმიური და საკონტროლო რევიზიის შედეგების გადაეცა შესაბამის პოლიციის განყოფილებებს.

გამოიყო სოციალური დანიშნულების ჭრის 24 ტყეკაფები, ღულელების უბანზე - 13 ტყეკაფი, საგურამოს უბანზე - 4 ტყეკაფი, მარტყოფის უბანზე - 5 ტყეკაფი, გლდანის უბანზე - 2 ტყეკაფი. ღულელების უბანზე დაიხურა სოციალური ჭრის ტყეკაფები ვადის გასვლისა და მასში არსებული მარაგის ამოწურვის გამო.

მეორე კვარტლის განმავლობაში მიმდინარეობდა სოციალური დანიშნულების ჭრის ტყეკაფებიდან ადგილობრივი მოსახლეობის შეშით მომარაგება, სულ გაწერილია 507 ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი და გაცემულია 2124,9მ^3 საშეშე მერქანი.

სპეციალური დანიშნულების ტყითსარგებლობის ნებართვებთან დაკავშირებით თბილისის ეროვნული პარკის დაცვის განყოფილების თანამშრომლების მიერ ხდებოდა მოთხოვნაში მითითებული ადგილების და ტყეკაფების ველზე დათვალიერება და შედეგების ცნობა დაცული ტერიტორიების სააგენტოსათვის, გარდა ამისა სპეციალური დანიშნულებით ტყითმოსარგებლესთან დგებოდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები და კონტროლდებოდა სამუშაოების მსვლელობა.

თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების თანამშრომლების მიერ ჩატარდა სამი დასუფთავების აქცია.

სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

მომზადდა 2015 წლის „ბუნების მატიანე“.

არასისტემური მოვლენების დაფიქსირება. მიმდინარე წელს ამინდები ხასიათდებოდა მკვეთრი ცვლილებებით. 3 აპრილს აღინიშნა ძლიარი ყინვა, რამაც გამოიწვია ცოცხალი ორგანიზმების და ამფიბიების სიკვდილიანობა.

მაის-ივნისში,ივლისში ძლიერი წვიმებისას ადგილი ჰქონდა წყალმოვარდნებს საგურამოს უბანზე: შანკევანის,ნავდარაანთკარის ხევიდან, ასევე ცხვარიჭამიის, გლდანის უბანზე. მარტყოფში ,,ალიხევიდან“.ღვარცოფის შედეგად ჩაიხერგა როგორც ტყეში სავალი,ასევე საავტომობილო გზები,შეფერხდა მოძრაობა.ტყის ზედა სარტყელში წვიმას თან ერთვოდა სეტყვა,რამაც დააზიანა როგორც მერქნიანი,ასევე ბალახოვანი მცენარეები.

ხშირი წვიმებისა და უხვი ნალექის გამო საგურამოს უბანში სოფ.ბურიანში მომრავლდა ტენჭიები, რაც ძალზე შემაწუხებელი იყო მოსახლეობისათვის.

1 აგვისტოს ამინდი ხასიათდებოდა ძლიერი სიცხით. საგურამოს, გლდანის, ღულელების, ცხვარიჭამიის უბნებში, ადგილი ჰქონდა ხეთა ქარქცევას და ქარტეხვას, როგორც სავალ გზებთან, ასევე ტყის მასივებში. მიმდინარე ზაფხულს შეინიშნებოდა დიდი რაოდენობით მინდვრის(მცირე) ლოკოკინები.

ადმინისტრაცია აწარმოებს დაკვირვებას კლიმატურ ცვლილებებზე და მათ ზემოქმედებაზე, რომელიც ხშირად ვლინდება ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებზე. პარკის ტერიტორიაზე გაზაფხულის ბოლო თოვლი 3-4 აპრილს დაფიქსირდა.მცენარეთა ვეგეტაცია ადრე დაიწყო, ადრე აყვავდა როგორც ბალახეული,ასევე მერქნიანი მცენარეები, 11 აპრილს ქვეწარმავლები მასიურად გამოვიდნენ, 10 აპრილს ფრინველთა საგაზაფხულო გადაფრენა დამთავრდა, 6-10 ივნისს მცენარეთა უმრავლესობამ ყვავილობა დაასრულა და დაიწყომასიური თესლმწიფობა.მერქნიანთა უმრავლესობა კარგი ნაყოფმსხმოიარობით ხასიათდებოდა.

შეგროვდა წითელი ნუსხის მერქნიანების შესახებ: გლდანის უბანში „ ლელუბნის სერზე“ კვ.N25-26-ში აღწერილია ხელუხლებელი დიდ ხნოვანი წიფლნარ-რცხილნარი ტყის კორომები, უთხოვრის, იელის ქვეტყით, ჭყორის საფარით, სადაც ლოკალურად გვხვდება მოცვი. კოორდინატები: თავი X-0496908, Y-4634648, ს.ზ.დ 1466 მ, ბოლო X 096993, Y-4635082 ს.ზ.დ 1411 მ. საგურამოს უბანში კვ.N1-ში 3 ჰა ფართობზე დათვის თხილი ფართო ფოთლოვანებთან ერთად ქმნის ტყის საბურველს, კოორდინატები X-0479508, Y-463666, ს.ზ.დ. 758 მ. დათვის თხილი მაქს.დიამეტრს 50 სმ-საც აღწევს. აქვე ნანახი იქნა ველური ვაზი, უსურვაზი X-0479267, Y-4636804, ს.ზ.დ 688მ. ასევე კვ.-ში საგურამოს ქედის ჩრდილო-დასავლეთ ექსპოზიციებზე გვხვდება კოლხური ტყის მესამეული პერიოდის რელიქტები: ჭყორი, იელი, მოცვი, სურო, უთხოვარი. წიფლნარ-რცხილნარი საბურველის ქვეშ ლოკალურად ვრცელდება იელი და მოცვი. კოორდინატები: X-0480829, Y-4635902 ს.ზ.დ 1004 მ.

ფრაგმენტულადაა გავრცელებული უთხოვარი ქვე-ტყის სახით, როგორც ჩრდ.დასვლეთ, ასევე ჩრდ.აღმოსავლეთ ექსპოზიციებზე, კოორდინატები: X-0480773, Y-4635086 ს.ზ.დ 1065 მ. X-0481746, Y-4636774 ს.ზ.დ 947მ. მასალის მოძიება გაგრძელდება შემდგომშიც. ბალამწარას,დათვის თხილის,თელამუშას,ტირიფფოტოლა პანტას,ბერყენას ადგილმდებარეობა.

მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დაკვირვება ,,წითელი ნუსხის“ სახეობათა პოპულაციებზე. თოვლის მოსვლის დროს ჩლიქოსნები ტოვებდნენ მაღალ ადგილებს და ინაცვლებდნენ ტყის დაბალ ზონაში.თებერვლის შუა რიცხვებისათვის მათ უკვე ჰყავდათ პატარა ნუკრები.საგაზაფხულო ბეწვის ცვლაც ამ დროისათვის დაეწყოთ.

ზაფხულის განმავლობაში მიგრირებდნენ ტყის შუა და ზედა ზოლში, უპირატესობას აძლევდნენ გრილ ადგილებს, სადაც მრავლად იყო მათი ნაწოლები. ნაკადულებთან, გუბურებთანვნახულობდით მათ ნაკვალევს, მათ მიერ მოქერქილ, მოკორტნილ ხე-ბუჩქებს. შველი ხშირი შესამჩნევი იყო ველობებზე, ტყის ფანჯრებში, სავალ გზებზე.

სექტემბრის თვიდან დაიწყეს გადმონაცვლება სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე, რადგან ტემპერატურამ დაიწია და შემაწუხებელი მწერების რიცხვიც საგრძნობლად შემცირდა, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ დიდი ციცხის დროს.


სექტემბრის მეორე ნახევრიდან, ირმის მყვირილობის დასაწყისიდან, ირემი ჩნდებოდა კვლავ გარდაბანის უბანზე (1 მამალი და 3 დედალი).

ფოცხვერი იქნა ნანახი მოსახლეობის მიერ გლდანის უბანზე კვ. N26-32-ში.

მარშრუტული სვლებისას ნაკვალევის აღრიცხვით და ვიზუალური აღრიცხვის მეთოდებით პარკის მთელ ტერიტორიაზე მრავლადაა ტურა. მელა ძალზე გააქტიურდა, დღისითაც შემჩნევა პარკის მიმდებარე მინდვრებსა და საავტომობილო გზებზე. თავს ესხმის შინაურ ფრინველებს, მის მსგავსად კვერნა, რომელიც ტყეშიც არბევს ფრინველთა ბუდეებს.

მაჩვის მიერ ნაქექი ფოთლები,მიწა შესამჩნევია მარშრუტული გასვლებისას, მისი ნახვა შესაძლებელია: საგურამოს, გლდანის, ღულელების უბანზე, მოსახლეობა მაჩვს ამჩნევდა სიმინდის ნათესებშიც. ძალზე შემცირდა თხუნელების რიცხვი. ენოტისებური ძაღლის ნაკვალევი შეინიშნებოდა გლდანისა და ნორიოს უბნებზე.


მგელი დღისითაც ჩნდებოდა როგორც ტყის მასივში,ასევე პარკის მიმდებარე სოფლებში: გლდანში, შანკევანში, მარტყოფში, შეჭამა შინაური ცხოველები. მგელი ფოტოხაფანგითაც დაფიქსირდა საგურამოს უბანზე კვ. N19-ში ,,შიოლას ველზე“ ფოტოხაფანგით დაფიქსირდა ლელიანის კატაც, გარდაბანის უბანზე ნანახია 4 გარეული ღორი.



ადმინისტრაციის მიერ მუდმივად წარმოებს ფრინველების მონიტორინგი. ფრინველთა უმრავლესობამ ივლისის შუა რიცხვებისათვის ბუდობა დაამთავრა, ბულბულის გალობა გვალვების დადგომისას შეწყდა, ჩლიქოსნების მსგავსად მანაც ტენიან ადგილებში გადაინაცვლა. ფრინველებიდან გვხვდებოდა შავი შაშვი, ჩხიკვი, წივწივები, გრატა. აგვისტოს დასაწყისში გამოჩნდა მწყერების გუნდები და დაიწყო საშემოდგომო გადაფრენა. მტაცებელი ფრინველებიდან შეიმჩნეოდა ველის ძელქორი, შევარდენი, კაკაჩა და ჩია არწივი.

წითელი ნუსხით დაცული ფრინველებიდან შეიმჩნეოდა, შევარდენი ღულელების უბანზე კვN19-ში. ბექობის არწივი მარტყოფის უბანზე კვN 28-ში თათრ კლდესთან.

ფრინველების ძირითადმა ბირთვმა(კვირიონები, ბარის მერცხლები და კლდის მერცხლები) საშემოდგომო გადაფრენა სექტემბრის ბოლოს დაასრულა. მწყერი ქედანი და წერო აგრძელებენ ეტაპობრივ გადაფრენას.



ადმინისტრაციების მიერ ხდება მუდმივ სანიმუშო ფართობებზე დაკვირვება. სანიმუშო ფართობზე წლევანდელი აღმონაცენი მცირეა. ეს აიხსნება იმით,რომ მიმდინარე წელს მკვდარი საფარი უფრო მეტად სქელია, ნაკლებადაა გახრწნილი და ჩამოცვენილი თესლების უმრავლესობა რჩება მკვდარი საფარის ზედაპირზე,ვერ მიაღწია რბილი ჰუმუსის ფენამდე და ვერ აღმოცენდა. ამას თან ერთვოდა გაზაფხულის გვიანი ყინვები, რის შედეგადაც აღმონაცენი ზიანდება და იღუპება. არსებული საღი, საიმედო მოზარდი თხელია, ერთეულებათაა, ანდა მცირე ჯგუფებად, დაჩაგრულია სინათლის ნაკლებობის გამო. ფართობზე ადგილი აქვს ქარტეხვას, ქარქცევას, ხეთა ამოვარდნას. განახლება მიმდინარეობს გაფანტულად, პატარა ჯგუფებად, ანდა ერთეულებად.

ენდემური მცენარეების მონიტორინგის ფარგლებში მოძიებული იქნა ქართული მიხაკის,ველური ხმალას,საგურამოს ირიგას-ეიხლერის ტიტის, დიყის, ჯადვარის, საგურამოს ფურისულას, ვორონოვის თეთრყვავილას, გოქშოს, გარეჯის სალბის, ცის ფოლიოს და სხვათა გავრცელების არეალი.

ჩატარდა ფიტოპათოლოგიური გამოკვლევები და გადაიგზავნა სააგენტოში. მავნებელთა საშიში კერა არ გამოვლენილა, ამინდმა ხელი ვერ შეუწყო მათ გავრცელებას და ტყის მწვანე საბურველიც დაუზიანებელი დარჩა.

ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა ინვაზიური სახეობების მონიტორინგი. მონიტორინგი განხორციელდა აკაციასა და კურდღლის ცოცხაზე. ინვაზიური სახეებების გავრცელების მოდელებზე დაკვირვებით, ეს ტერიტორიები მდებარეობს პარკის ტერიტორიის აღმოსავლეთით, ასევე გზისპირები, რომლებიც წარმოადგენს ამ სახეობის შეღწევის ხელსაყრელ პუნქტებს.

საკვლევ ტერიტორიაზე ინვაზიური სახეობების ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებაზე შეფასება ასეთია: ხელოვნურად გაშენებული კურდღლის ცოცხა ფიჭვნარ კულტურებში, მის მიერ ფართობის დაფარვის პროექცია 15%-ია.

ინვაზიური სახეობები პარკის ტეროტორიაზე ბუნებრივადაცაა გავრცელებული, თვითაღმონაცენით და თვითგანახლებით. გლდანის უბანზე კვ.N 32-ში ხემყრალი ფარავს

ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებას. ხემყრალი ბუნებრივად ერთეულებად ანდა მცირე ჯგუფებადაც გვხვდება პარკის ტერიტორიაზე სხვადასხვა ადგილებში, გზისპირებში, ტყისპირებში. ცხვარიჭამიაში ნახანძრალ ფართობზე ფიჭვნარ კულტურებში აკაცია ქმნის ქვეტყეს, რომელიც 2-3მ-ს აღწევს სიმაღლეში.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია


შედგა შეხვედრები პარკის მიმდებარე სკოლების (საგურამოს, ბიწმენდის, გალავანის, გლდანის, მისაქციელის, მცხეთის, წილკანის, წეროვანის, მარტყოფის, ნორიოს, ღულელების, საყდრიონის, გლდანის) მოსწავლეებთან და პედაგოგებთან. მათ ჩაუტარდათ ლექცია-სემინარები გარემოცდაცვითი თემატიკით.




ჩატარდა დალაგება-დასუფთავების აქციები: გლდანში ,,მამკოდაზე“, გლდანის, ავჭალის საჯარო სკოლების პედაგოგებისა და მოსწავლეების მიერ დასუფთავდა ვიზიტორებისა და მოსახლეობის მიერ დანაგვიანებული ტერიტორიები. გალავანის, საგურამოს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა რამოდენიმეჯერ დაასუფთავა მდინარე თეზამის სანაპირო ზოლი, ასევე ზედაზენის ტაძრისაკენ სავალი გზის ტერიტორია, მიმდებარე წყაროები.

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს გალავანის საჯარო სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ერთად დასუფთავდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია, ამავე დღეს მოეწყო ეკო-ტური ,,ცხრა მუხასთან“, თიანეთის საჯარო სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ერთად ჩატარდა ეკო-ტური ,,იკვლივზე“, წეროვანის N3 დევნილთა საჯარო სკოლასთან და წილკანის საჯარო სკოლასთან ერთად კი ,,ზედაზენზე“.


შედგა შეხვედრები პარკის მიმდებარე სოფლების (საგურამო, ბიწმენდი, გალავანი, ნავდარაანთკარი, კოტორაანთკარი, ზაქარო, ბურიანი, შანკევანი, კევლიანი, ცხვარიჭამია, გლდანი, არაშენდა, წინამძღვრიაანთკარი, ნორიო, მარტყოფი, ღულელები, საყდრიონი, ხევსოფელი, სიმონიაანთხევი, სიონი) მოსახლეობასთან და მუნიციპალიტეტებთან. შეხვედრისას იმართებოდა საუბრები პარკის როლსა და მნიშვნელობაზე გარემოსდაცვით საკითხებში, ასევე წყლის და საშეშე მერქნით სარგებლობაზე.



ღონისძიებები თბილისის ეროვნულ პარკში

ეკოტურიზმი


თბილისის ეროვნულ პარკში მოეწყო მამკოდასა და საგურამოს დამაკავშირებელი საშუალო სირთულის საფეხმავლო ბილიკი, რომლის საერთო სიგრძე 21 კმ-ია, ბილიკი მამკოდიდან იწყება, გაივლის ვეჯინის ხეობას, დიდველს და საგურამოში სრულდება. ბილიკი გაწმენდილი და მარკირებულია, მოწყობილია საპიკნიკე, საკარვე, ცეცხლის დასანთები ადგილები და საინფორმაციო და მიმართულების მანიშნებელი დაფები.






2016 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებს ესტუმრა 35 439 ვიზიტორი, მათ შორის 14 170 უცხოელი ვიზიტორი, 15 481 ქალი და 19 958 მამაკაცი.

ტურისტული სეზონი ძირითადად იწყება მაისში და გრძელდება ოქტომბრამდე. ამ პერიოდში ფიქსირდება ვიზიტორების დიდი რაოდენობა.

2016 წელს ვიზიტორების დიდი ნაწილი ესტუმრა გლდანის და ღულელების უბნებს (მამკოდა, საბადური).





2016 წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა თვეების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად: იანვარი - 1986 ვიზიტორი, თებერვალი - 1490 ვიზიტორი, მარტი - 1743 ვიზიტორი, აპრილი - 2463 ვიზიტორი, მაისი - 4829 ვიზიტორი, ივნისი - 3761 ვიზიტორი, ივლისი

- 5097 ვიზიტორი, აგვისტო - 4505 ვიზიტორი, სექტემბერი - 3680 ვიზიტორი, ოქტომბერი - 1672 ვიზიტორი, ნოემბერი - 1266 ვიზიტორი, დეკემბერი - 2947 ვიზიტორი.
2016 წლის განმავლობაში თბილისის ეროვნული პარკს ესტუმრა 35 439 ვიზიტორი, მათ შორის 14 170 უცხოელი, 15 481 ქალი და 19 958 მამაკაცი.

თუშეთის ეროვნული პარკი

დაცვის განყოფილება

ყოველთვიურად დგება რეინჯერთა საპატრულო გრაფიკები, რომლის მიხედვითაც ხდება სხვადასხვა უბნებზე პატრულირება.
დაცვის განყოფილება შედგება 25-თანამშრომლისგან: 1-დაცვის განყოფილების უფროსი, 5-უბნის უფროსი რეინჯერი, 18-რეინჯერი, 1-ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი. ყველა რეინჯერზე მიმაგრებულია სამცველოები და კონტროლდება მათ მიერ. დაცვის განყოფილებას ემსახურება 5 ავტომანქანა- 2 „ნისან-პიკაპი“ სახ. ნომრით GA035PA, GA036PA, „მიცუბიში ლ200 სახ. # GA056PA, მიცუბიში ლ200 სახ.#GA057PA და მიცუბიში ლ200“ სახ.#GA103PA. ასევე, დაცვის განყოფილებას ჰყავს 18 ცხენი, 2 ვინჩესტერის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და 1 პისტოლეტი.
GPS ხელსაწყოს გამოყენებით შეიქმნა ალაზნისთავის საპატრულო მარშრუტი.
დ/ტ ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის №9 (სპეროზას უბანზე) და №12 ბრძანებების შესაბამისად თუშეთში (ჩაღმის, ჭანჭახოვნის, პირიქითისა და გომეწრის უბნებზე) ჩატარდა გეგმიური საგაზაფხულო რევიზიები. რევიზიების პერიოდში სამართალდარღვევები არ გამოვლენილა.
დ/ტ ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის №24 (ჩაღმის, პირიქითის, გომეწრისა და ჭანჭახოვნის უბნებზე) და №26 (სპეროზას უბანი) ჩატარდა საშემოდგომო გეგმიური რევიზიები. რევიზიის პერიოდში სამართალდარღვევები არ გამოვლენილა.
ა: თუშეთის დ/ტ ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის №12 ბრძანების შესაბამისად საგაზაფხულო გეგმიური რევიზიების დასრულების შემდეგ თუშეთში ჩატარდა საგაზაფხულო საკონტროლო რევიზია, ასევე თუშეთის დ/ტ ადმინისტრაციის დირექტორის №24 და №26 ბრძანებების შესაბამისად ჩატარდა საშემოდგომო საკონტროლო რევიზიები. საკონტროლო რევიზიების მსვლელობისას დარღვევები არ გამოვლენილა.
განისაზღვრა ანთროპოგენური ზეგავლენის მქონე და ბრაკონიერობის პოტენციური ადგილები, როგორც სპეროზის ასევე ჩაღმის, ჭანჭახოვანის, პირიქითისა და გომეწრის უბნებზე, მოხდა მათი დატანა რუკაზე და დაცვის განყოფილების თანამშრომლებს მიეცათ შესაბამისი მითითება, რომ აღნიშნული ტერიტორიები ყოფილიყო გაძლიერებული კონტროლის ქვეშ.

განისაზღვრა ბრაკონიერობის პოტენციური ადგილები და მისასვლელი გზები/ბილიკები, აღნიშნული ადგილები დატანილ იქნა რუკაზე.

გაიმართა შეხვედრები დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან ერთად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან და მიწის საიჯარო კომისიასთან, აგრეთვე სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ კახეთის მომსახურების ცენტრში თუშეთში საძოვრების მართვის ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბების თაობაზე.

იანვრიდან მაისის ჩათვლით რეინჯერები პატრულირებებს ახორციელებდნენ ზამთრის სეზონისთვის დადგენილ საპატრულო მარშრუტებზე.

ივნისის თვიდან ოქტომბრის ჩათვლით რეინჯერები პატრულირებას ახორციელებდნენ ზაფხულის სეზონითვის დადგენის საპატრულო მარშრუტებზე. ხოლო ნოემბრიდან ახორციელებენ ზამთრის სეზონისთვის დადგენილ საპატრულო მარშრუტებზე.

წლის განმავლობაში: ჩაღმის უბანზე საპატრულო გასვლა -80-ჯერ და გაიარეს 966 კმ. ფეხით და 618 კმ ცხენით. სპეროზას უბანზე -65 საპატრულო გასვლა და გაიარეს 455კმ. ფეხით და 832 კმ ცხენით. გომეწრის უბანი- 27 პატრულირება და 495 კმ ფეხით და 1590 კმ ცხენით; ჭანჭახოვნის უნაზე - 20 საპატრულო გასვლა და 114 კმ ფეხით და 1240 კმ მანქანით. პირიქითის უბანზე - 11 საპატრულო გასვლა და გაიარეს 72 კმ ფეხით და 428 კმ ცხენით.

სულ განხორიციელდა **69** მოულოდნელი რეიდი, **248** საპატრულო გასვლა და გაიარეს **8854** კმ (აქედან , ფეხით-**2102კმ** , ცხენით- **3468 კმ**, მანქანით - **3284**კმ.

დაფიქსირებულია 6 სამართალდარღვევა, აქედან 1 - ხე-ტყის უკანონო ჭრაზე ჭრაზე, 4 - ძოვების წესების დარღვევაზე, 1 - დანაგვიანებაზე. ყველა სამართალდარღვევაზე სასამართლოს მიერ სანქციის სახით გამოყენებულია ჯარიმა.

დიაგრამა №1. ჯარიმების რაოდენობა

კეთილშობილი ირმის დაცვის თვალსაზრისით შემუშავებულია საპატრულო მარშრუტი №6 უღელტეხილის მიმართულებით.

ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან და დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან, სასაზღვრო პოლიციასთან, კრიმინალურ პოლიციასთან.

ხანძარსაშიში პერიოდის დადგომის წინ რეინჯერებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი. რის შემდეგაც რეინჯერები აფრთხილებდნენ მოსახლეობას სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე.

თუშეთში წარმოქმნილი მცირე ხანძრების შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობა რეინჯერებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს ხანძრების ლიკვიდაციაში, რაც ეხმარება მათ მიიღონ გამოცდილება ხანძრების პრევენციასა და ლიკვიდაციაში.

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „ეროზიის ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიის მთიან რეგიონებში“ ფარგლებში და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაფინანსებით ადმინისტრაციის თანამშრმლებისთვის ჩატარდა ტრენინგი. ტრენინგის დროს განხილული იყო შემდეგი საკითხები: საძოვრების ეროზიის ანალიზი და დეგრადაციის შეფასება, ნიადაგის ეროზიის კონტროლის ბიოინჟინერიული ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება, პილოტურ ზონებში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ზომების მიღება და აგრეთვე გამოცდილების გაზიარება.

ზაფხულის განმავლობაში დაცვის განყოფილების თანამშრომლებს განყოფილების უფროსი უტარებდა ტრენინგებს კანონაღსრულებაში, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაში, ასევე ზოგადი მეტყევეობის აუცილებელ საკითხებში. ივლისის თვეში დაცვის განყოფილების უფროსმა, ჩაღმისა და ჭანჭახოვნის უბნის უფროსმა რეინჯერებმა გაიარეს ტრენინგი პოლიციის აკადემიაში „ ტაქტიკურ, საცეცხლე და სპეცსაშუალებებში მომზადება“.

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „ეროზიის ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიის მთიან რეგიონებში“ ფარგლებში, ორგანიზაცია NACRES-მა დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე, სოფელ ჯვარბოსლის მიმდებარედ, ჩაატარა საძოვრების გეო-ბოტანიკური კვლევა. სექტემბრის თვეში სოფელ ჯვარბოსლის მიმდებარედ მეწყერის შესაჩერებლად განცორციელდა ბიოსაინჟინრო ნაგებობების განთავსება დამეწყრილ ხრამში და ხრამის ნაპირებზე ჩაეფინა მოთიბული ბალახი სავეგეტაციო პერიოდის დასრულების შემდგომ ბალახის მოთესვის მიზნით, ასევე მეწყერის სათავეში 3,3 გექტარზე დაირდო 2-3 წლიანი ფიჭვის სახეობის მოზარდ-აღმონაცენი საეთო რაოდენობით 3000 ცალი. მოცემულ საქმიანობებში მონაწილეობას იღებდა და სამუშაოებს კოორდინაციას უწევდა როგორც სპეციალისტი სპეციალობით მეტყევე-ინჟინერი თუშეთის დაცული ტერიტორიების დაცვის განყოფილების უფროსი. ზაფხულის განმავლობაში ნაკრესის სპეციალისტების მიერ ხორციელდებოდა გომეწრის უბანზე საძოვრების მგომარეობის დადგენა და შეფასება, რომლის სამუშაოებიც ეტაპობრივად გაგრძელდება მომავალ წლებშიც.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 24-25 ნოემბერს, სოფელ შენაქოს საძოვრების მართვის გეგმის მოსამზადებელად გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ GIZ-ის წარმომადგენლები, სოფელ შენაქოს მოსახლეობის წარმომადგენლები, თუშეთის დ/ტ ადმინისტრაციისა და თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის თანამშრომლები.

ფიჭვნარ-კორომებში ქერქიჭამიებზე მონიტორინგის მიზნით ჩაღმისა და პირიქითის უბნებზე განლაგდა მწერსაჭერები და ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა მონიტორინგი.


ჩეხეთის სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტის პროფესორებმა დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ქერქიჭამიებზე მონიტორინგის მიზნით განალაგეს მწერსაჭერები. მათ მიერ გამოყენებულ იყო 5 სხვადასხვა სახის ფერომონი, მათ შორის ტომოვიტიც. თუმცა აღნიშნული პრეპატარები არ აღმოჩნდა ეფექტური მონიტორინგისთვის. გამოყენებული 5 პრეპარატიდან კარგი შედეგი აჩვენეს ფერომონებმა

ჩეხმა ექსპერტებმა მენდელის უნივერსიტეტიდან, თუშეთის დ/ტ- ის სახელმწიფო ნაკრძალისა და დაცული ლანდშაფტის ტყეებში (800 ჰექტარი) ჩაატარეს საკადასტრო სამუშაოები. ექსპერტების მიერ საპილოტე ტერიტორიებზე საინვენტარიზაციო სამუშაოებში ჩართულნი იყვნენ დაცვის განყოფილების უფროსი და ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტი.


შედგენილია და და გადაგზავნილია 2015 წლის ბუნების მატიანე სააგენტოში.

თუშეთში გავრცელებული ფლორის, ფაუნის, ორნითოფაუნისა და იხტიოფაუნის სახეობების შესახებ, 2015 წლის განმავლობაში შეგროვებული და დაფიქსირებული ინფორმაცია დამუშავდა, შეჯამდა, შეივსო შესაბამისი ცხრილები და გადაიგზავნა სააგენტოში.

ამინდისა და სხვა არასისტემური მოვლენების შესახებ ინფორმაცია გროვდება ჩაღმისა და სპეროზას უბნებზე. სექტემბერში მოხდა სოფელ ომალოში თანამედროვედ აღჭურვილი მეტეოსადგურის დამონტაჟება, რაც საშუალებას მისცემს შესაბამის სამსახურს ონლაინ რეჟიმში მიიღონ ინფორმაცია ამინდის მოსალოდნელი ცვლილების შესახებ.



დიაგრამა №2. ჩაღმის ტემპერატურა




დიაგრამა №2 სპეროზას უბანი

მიმდინარეობს ინფორმაციის შეგროვება შემდეგი სამკურნალო მცენარეების შესახებ: საღვიძლა, კატაბალახა, წყვედა, დათვკიტრა და მიმდინარეობს მათი გავრცელების არეალების დადგენა.

ზაფხულის სამუშაო პერიოში ფენოლოგიური დაკვირვება მიმდინარეობდა წითელი ნუსხის მერქნიან სახეობაზე „რადეს არყი“ და დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ რადეს არყის (Betularadeana) თესლი თუშეთში მომწიფდა და გავრცელება დაიწყო 27 ივლისიდან.


საქართველოს “წითელი ნუსხის” ცხოველების მონიტორიგისას სულ დაფიქსირდა: **418** ნიამორი, **153** ჯიხვი, **85** არჩვი, **49** ირემი, **28** დათვი, **4** ფოცხვერი, **1** აფთარი.



წლის განმავლობაში აღრიცხული ცხოველების რიცხოვნობის გრაფიკი

აღრიცხული იქნა ზაფხულის განმავლობაში მტაცებელი ცხოველების მიერ შინაურ პირუტყვზე თავდასხმის ფაქტები: ივლისი: ჩაღმის უბანზე მგლის მიერ დაზიანდა 126 სული ცხვარი, პირიქითის უბანზე დათვმა - 3 სული ცხვარი და გომეწრის უბანზე დათვმა - 4 სული ცხვარი. აგვისტო: ცხვრის ბინებზე დაფიქსირდა დათვისა და მგლის თავდასხმები გომეწრის უბანზე, ორწყალში დათვის მიერ მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 13 სული ცხვარი. სექტემბერი: ცხვრის ბინებზე დაფიქსირდა დათვის თავდასხმები, გომეწრის უბანზე, ორწყალში დათვის მიერ მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 30 სული ცხვარი. **სულ** : 176 სული ცხვარი (აქედან 126 ცხვარი მგლის მიერ და 50 დათვის მიერ.).

ადმინისტრაციის მიერ მიმდინარეობს გადამფრენ და მობუდარ ფრინველების იდენტიფიკაცია და აღრიცხვა. განხორციელდა მობუდარი ფრინველების აღრიცხვა და არსებული პოპულაციების მდგომარეობის შეფასება



დიაგრამა №4. მობუდარი ფრინველების დაფიქსირებული რაოდენობა

ჩეხი ექსპერტების მიერ საპილოტე ტერიტორიებზე საინვენტარიზაციო სამუშაოებში ჩართულნი იყვნენ დაცვის განყოფილების უფროსი და ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტი.

ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა ფოტომასალის (ფოტოაპარატით და ფოტოხაფანგით) შეგროვება ფაუნასა და ფლორის შესახებ. ჩაღმის უბანზე დააფიქსირა 1 მდედრი და 1 მამრი ნიამორები; კაკაბი, ციყვები და დიდი ჭრელი კოდალა (ოდკალტო). პირიქითის უბანზე დამონტაჟებულიმა ფოტოხაფანგმა სექტემბერ-ოქტომბერში დააფიქსირა: ჯიხვები და 1 შურთხი, ჭანჭახოვნის უბანზე დააფიქსირა: კეთილშობილი ირმები, როგორც მდედრი ასევე მამრი ინდივიდები, მგელი,

დათვები, 2 მელია, 1 ფოცხვერი. ფოტოაპარატით დაფიქსირდა ნიამორები ქუეს გადასახედის, სამხევის რეინჯერთა სადგურის და ლაშარის მიმდებარედ.


შეგროვდა ინფორმაცია მცენარეების, მუძუმწოვრებისა და ფრინველების ფლაგმან და იშვიათი სახეობების შესახებ, რომლებიც შესაძლებელია იქნას ნანახი ტურისტულ ბილიკებზე.

მომზადდა მონაცემთა ბაზა ცხრილის სახით თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის 1981-1987 წლების ბუნების მატიანეების და 2007-2014 წლების თუშეთის დაცული ტერიტორიების ბუნების მატეანეების მონაცემების მიხედვით.


მასალები მზადდება ყოველი კვარტლის ბოლოს, 6 და 9 თვის და წლის ანგარიშათვის.

ზაფხულის სამუშაო პერიოში ფენოლოგიური დაკვირვება მიმდინარეობდა წითელი ნუსხის მერქნიან სახეობაზე „რადეს არყი“ და დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ რადეს არყის (Betularadeana) თესლი თუშეთში მომწიფდა და გავრცელება დაიწყო 27 ივლისიდან.


ადმინისტრაციის მიერ წარმოებს ჯიხვისა და ნიამორის პოპულაციის მონიტორინგი



ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება ასევე კეთილშობილი ირმის პოპულაციის მონიტორინგი. ჭანჭახოვნის უბანზე პატრულირებისას ფიქსირდებოდა მრავლობითი კვალი როგორც ზრდასრულის ასევე ხბოების, და ვიზუალურად ბინოკლების გამოყენებით დაფიქსირებულია 9 ხარ-ირემი, 24 ფურ-ირემი და 12 მოზარდი. აგრეთვე ვიზუალურად აფიქსირებდნენ მწყემსები და ტურისტები. აგრეთვე დაფისქირდა გომეწრის ხეობაში 1 ხარ - ირემი და 2 ფურ-ირემი და 1 მოზარდი.ჭანჭახოვნის უბანზე ირმების მონიტორინგისთვის დამონტაჟებულმა ფოტოხაფანგმა გადაიღო 15 ვიდეო და დაფიქსირდა 13 მამრი და 4 მდედრი, დღე-ღამური აქტივობა კი ასე გამოიყურება:



დიაგრამა №5 . ირმების დღე-ღამური აქტივობა სექტემბერი-ოქტომბერი



დიაგრამა№8. ვიზუალურად და ფოტოხაფანგით დაფიქსირებული ირმების რაოდენობა

ჩეხეთის სატყეო უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ რეინჯერებისთვის ჩატარდა ტრენინგი ტყის რესურსების მდგომარეობის შეფასებისათვის შესაფერისი აღჭურვილობების გამოყენებაში, კერძოდ პრესლერის ბურღის გამოყენებით ხის ასაკის დასადგენად. ასევე სიხშირ მზომი კორომის სიხშირეების დასადგენად და ასევე სიმაღლის მზომი ხის სიმაღლის დასადგენად.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

თუშეთის დაცული ტერიტორიების "მეგობართა ასოციაციის" და "ნაკრესის" მონაწილეობით შექმნილია თემთან კომუნიკაციის გეგმა, რომელშიც ჩამოყალიბებულია შესაბამისი გზავნილები კონკრეტული საკითხების და სამიზნე აუდიტორიის გათვალისწინებით.

აღნიშნული გეგმის ფარგლებში ადმინისტრაციის მიერ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის (სკოლის მოსწავლეები, ადგილობრივი მაცხოვრებლები, ტურიზმში დასაქმებულები) მომზადდა პრეზენტაციები.

ბოტანიკის ინსტიტუტის სპეციალისტებმა ივლისის თვეში ჩაატარეს კვლევა თუშეთში საკვებად ვარგისი და სამკურნალო მცენარეების შესახებ.

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „ეროზიის ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიის მთიან რეგიონებში" ფარგლებში და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაფინანსებით გაიმართა ტრენინგი. ტრენინგის დროს განხილული იყო შემდეგი საკითხები: საძოვრების ეროზიის ანალიზი და დეგრადაციის შეფასება, ნიადაგის ეროზიის კონტროლის ბიოინჟინერიული ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება, პილოტურ ზონებში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ზომების მიღება და აგრეთვე გამოცდილების გაზიარება.

GIZ-ის პროექტის „ეროზიული საძოვრების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიის მთიან რეგიონებში" ფარგლებში, ტრადიციული ძოვების წესებზე დაყრდნობით სოფლების შენაქოსა და ჯვარბოსლის საძოვრების მართვის გეგმის მოსამზადებლად გაიმართა შეხვედრები, რომელსაც ესწრებოდნენ GIZ-ის წარმომადგენლები, სოფელ შენაქოსა და სოფელ ჯვარბოსლის მოსახლეობის

წარმომადგენლები, თუშეთის დ/ტ ადმინისტრაციისა და თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის თანამშრომლები.

დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან ერთად მიმდინარეობს თუშეთში ხე-ტყის მოპოვების წესების შემუშავება. ამ პროცესებში აქტიურად არიან ჩართული მოსახლეობის წარმომადგენლები და შესაბამისად ხდება მათი გაცნობა მოსახლეობისთვის.

თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ვიზიტორთა ცენტრში შესულ ვიზიტორებს ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტები ყოველდღიურად პრეზენტაციის სახით აწვდიდნენ ინფორმაციას თუშეთის კულტურული და ბუნებრივი ფასეულობების შესახებ. სულ პრეზენტაცია ჩაუტარდა 5600-მდე ვიზიტორს.

საოჯახო სასტუმროების მეპატრონეებისთვის და ტურისტული სერვისების ადგილობრივი მომწოდებლებისთვის მომზადდა და ჩატარდა პრეზენტაცია დაცულ ტერიტორიებზე კატეგორიებისა და ზონების მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე და შესაბამის სანქციებზე.

სოფელ ქვემო ალვანის საჯარო სკოლაში ადმინისტრაციის თანამშრომელი ნუგზარ იდოიძე ატარებდა ლექცია სემინარებს გიდების მომზადების კუთხით და აცნობდა მათ თუშეთის კულტურული მემკვიდრეობის და მათ მნიშვნელობებს. აგრეთვე, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტები ჩართულები იყვნენ კულტურული ძეგლების აღდგენით სამუშაოებში, კერძოდ, განხორციელდა კესელოს ციხეებთან მისასვლელი ბილიკის რესტავრაცია და ძველი „საბჭეოს გორი“-ს ღობის შეცვლა.

თუშეთის დაცული ტერიტორიების ბუნებრივი მემკვიდრეობის კონსერვაციის პროგრამის თემებთან დაკავშირებით, რეინჯერებთან ერთად გაიმართა ლექცია- სემინარები ქვემო ალვანის სკოლაში.

სოფელ ქვემო ალვანის საჯარო სკოლაში ადმინისტრაციის თანამშრომელი ნუგზარ იდოიძე ატარებდა ლექცია სემინარებს გიდების მომზადების კუთხით და აცნობდა მათ თუშეთის კულტურული მემკვიდრეობის და მათ მნიშვნელობებს.

ექსკურსიამძღოლების (გიდების) მომზადების პროგრამით გათვალისწინებული ყოველკვირეული ლექცია-სემინარები იმართებოდა ქვემო ალვანის საჯარო სკოლის IX-XI კლასის მოსწავლეებთან.

პროგრამაში მონაწილე მოსწავლეებთან სულ გაიმართა 12 ლექცია-სემინარი. პირველი სემინარის თემას, რომელიც 20 იანვარს ჩატარდა, ტრადიციული თუშური არქიტექტურა და განსახლების (სოფელ-ბოსლობა) სისტემა წარმოადგენდა.

გარდა ამისა, მწვანე კალენდრის მიხედვით, გაიმართა: 15 მარტს ცხოველთა უფლებების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქვემო ალვანის III-IV კლასებში ჩატარდა სემინარი, 19 მარტს გაიმართა აქცია "დედამიწის საათი" რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქვემო ალვანის სკოლის VII-XI კლასის 35-მა მოსწავლემ და 22 მარტს გამწვანების აქცია ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდა 12 მოსწავლე და 2 მასწავლებელი.

აგრეთვე, 1 აპრილს, ფრინველთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლის VI კლასებში ჩატარდა სემინარი თემაზე „თუშეთის ორნითოფაუნის წითელი ნუსხისა და კავკასიის ენდემური სახეობები“; ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების კვირეულის ფარგელბში მოეწყო ნახატების კონკურსი ზემო და ქვემო ალვანის სკოლების V-VII კლასის მოსწავლეებს შორის; 22 აპრილს, დედამიწის დღესთან დაკავშირებით მოეწყო დასუფთავების აქცია ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად.

მაისის თვეში თუშეთის დაცული ტერიტორიების ბუნებრივი მემკვიდრეობის კონსერვაციის პროგრამის თემებთან დაკავშირებით, ლექცია- სემინარი გაიმართა ზემო ალვანის №1 საჯარო სკოლაში თემაზე თუშეთის ბიომრავალფეროვნება.

გარდა ამისა, მწვანე კალენდრის მიხედვით, 20 და 23 მაისს გაიმართა გამწვანების აქციები ზემო ალვანის №1 და №2 საჯარო სკოლებში.

28 მაისს ნახატების კონკურსის გამარჯვებული მოსწავლეებისთვის მოეწყო ექსკურსია პანკისის ხეობაში, რომლის დროსაც მოინახულეს თუშეთის დაცული ტერიტორიების სპეროზას უბანი, ხადორის ჰესი და ბაწარას ნაკრძალი.

შექმნილია ეკო -კლუბი ქვემო ალვანის საჯარო სკოლაში და მათთან ერთად 22 მარტს ჩატარდა გამწვანების აქცია, სკოლის ეზოში დაირგო კვიპაროსის ნერგები.

კასრისწყლის სკოლის 22 მოსწავლისთვის მოეწყო ეკო ბანაკი. ბანაკის მონაწილეები იმყოფებოდნენ ვიზიტორთა ცენტრში, სადაც მათ მიეწოდათ ინფორმაცია თუშეთის ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი ფასეულობების შესახებ.

ზემო და ქვემო ალვანის სკოლებში შექმნილია საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც ერთვებიან ადმინისტრაციის სხვადასხვა საქმიანობებში.

ადმინისტრაციის Facebook გვერდისთვის სისტემატურად მზადდებოდა გამოსაქვეყნებელი საინფორმაციო მასალები. აღნიშნული ინფორმაცია მოიცავდა ლექცია-სემინარებს სკოლის მოსწავლეებთან, ინგლისური ენის გაკვეთილებს რეინჯერებთან და სხვა ფოტო და ვიდეომასალებს. Facebook-ის გვერდზე გამოქვეყნდა ფესტივალის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ყველა დაინტერესებული პირისთვის. ასევე Facebook-ის გვერდზე ქვეყნდება ადმინისტრაციის ტურისტული სერვისების შესახებ ინფორმაცია და ვიზიტორთა სტატისტიკა.

IUCN-ის მიერ ვებ გვერდზე გამოქვეყნდა თუშეთის დაცული ტერიტორიების შესახებ სტატია, სადაც შესულია ინტერვიუ ადმინისტრაციის რეინჯერ სალომე იდოიძესთან, როგორც ერთადერთ ქალ რეინჯერთან საქართველოში.

იხ. ბმული: **http://www.iucn.org/news_homepage/news_by_date/?22459%2FTusheti-Protected-Area-Salome-Idoidze#.Vs1-drsbEFh.facebook**


ადმინისტრაციის მიერ თუშეთის დაცულ ტერიტორიების შესახებ მომზადდა სტატია, რომელიც ადგილობრივ გაზეთ „ბახტრიონში“ დაიბეჭდა.

23-25 აგვისტოს, სასწავლო-გაცვლითი ტურის ფარგლებში, რომელიც თუშეთის დაცული ტერიტორიებისა და ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციების ორგანიზებით მოეწყო, თუშეთის დაცულ ტერიტორიებს ალგეთის ეროვნული პარკის თანამშრომლები სტუმრობდნენ. ვიზიტორთა ცენტრში მათ მიეწოდათ ინფორმაცია თუშეთის ისტორიულ-კულტურული ფასეულობების შესახებ; ასევე გაეცნენ ადმინისტრაციის საქმიანობას.

2016 წლის 6-8 სექტემბერს ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მრჩეველთა რეგიონული საბჭოს წევრებისათვის მოეწყო გაცნობითი ვიზიტი თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე. ვიზიტის მიზანს თუშეთის დაცული ტერიტორიების მართვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება წარმოადგენდა. ღონისძიება „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში-საქართველო“-ს (SPPA-საქართველო) პროგრამის ფარგლებში „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის“ დახმარებით განხორციელდა.

აღნიშნული სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობების ძირითად მიზანს თუშეთის დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია წარმოადგენდა. განხორციელებული ქმედებების შედეგად,

ყველა დაინტერესებულ ადამიანს შესაძლებლობა ჰქონდა მიეღო ინფორმაცია თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.
დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ერთად მომზადდა თუშეთის დაცული ტერიტორიების ახალი ტურისტული რუკა და სხვა საინფორმაციო ფლაერები. ასევე სააგენტოს ვებ გვერდზე დასადებად განახლდა ტურისტული მარშრუტების ელექტრონული ვერსიები.
თუშეთის დაცული ტერიტორიების, მისი ბუნებრივი და კულტურული ფასეულობების და მნიშვნელობის პოპულარიზაციის მიზნით, შექმნილია ადმინისტრაციის facebook-ის გვერდები (tushetinationalpark და Tusheti forum), რომლებსაც ამ დროისთვის 7 000 - ზე მეტი მომხმარებელი ჰყავს. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ მიიღონ ინფორმაცია.
GIZ და ჩეხეთის განვითარების სააგენტო სისტემატურად აწყობენ შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან განსახორციელებელი პროექტების გაცნობის მიზნით და ამ პროექტებში ადგილობრივების ჩართვის დაინტერესების მიზნით.
ადმინისტრაციის მიერ ადგილობრივ მოსახლეობას რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია თუშეთში დაგეგმილი პროექტების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ფესტივალ „მზე მოეს“ ჩატარებასთან დაკავშირებით გაიმართა, სადაც სააგენტოს და ადმინისტრაციის თანამშრომლები შეხვდნენ ტურიზმში დასაქმებულებს და მათთან ერთად განიხილეს ფესტივალის ჩატარების საორგანიზაციო საკითხები.
ბუნებრივი რესურსების სპეციალისტმა რეინჯერებთან ერთად ადგილობრივ სკოლებში ჩაატარა ლექცია-სემინარები კონსერვაციის საკითხებზე. სულ ჩატარდა 6 ლექცია-სემინარი.
ადმინისტრაციის თანამშრომლები რეგულარულად ხვდებიან სკოლებში დაინტერესებულ ახალგაზრდებს და სხვა ადგილობრივ მაცხოვრებლებს, რომლებსაც აწვდიან ინფორმაციას გარემოსდაცვისა და თუშეთის დაცული ტერიტორიების მართვის საკითხებზე.
ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ჩეხეთის „კარიტასთან“ და GIZ-ის წარმომადგენლებთან გაიმართა შეხვედრები ომალოში market place-ის მოწყობასთან დაკავშირებით. კარიტასმა კოოპერატივებისთვის დაიწყო მცირე ზომის market place-ის მშენებლობა.
წელს სააგენტოსა და ადმინისტრაციის ინიციატივით ჩატარდა ფესტივალი „მზე მოე“, სადაც ადგილობრივებმა მოაწყეს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. ასევე სასტუმროს მეპატრონეებმა ფესტივალის ფარგლებში 700-მდე ვიზიტორს უმასპინძლეს.
ჩეხეთის კარიტასი საქართველომ ადგილობრივი კარტოფილის კოოპერატივის წევრებს ჩაუტარა ტრენინგი კარტოფილის მოვლა- მოყვანის შესახებ;
ჩეხეთის საელჩოს ხელშეწყობით ტრადიციული ხელსაქმით დაკავებული ადგილობრივი მოსახლეობისთვის ჩატარდა ტრენინგი ჩეხეთის გამოცდილების გაზიარებაზე დაფუძნებით მდგრადი ტურიზმის განვითარება.
თუშეთის დ/ტ ადმინისტრაციის მეგობართა ასოციაციის მიერ დაინტერესებული პირებისთვის ჩაატარდა ტრენინგი ხის დამუშავება და სადურგლო ხელსაწყოების გამოყენება.
GIZ-ის დაფინანსებით ბიზნესში ჩართული ადგილობრივი მოსახლეობისთვის ჩატარდა ტრენინგი ბიზნესის ფინანსური მენეჯმენტში.
ჩეხეთის კარიტასმა ადგილობრივ კოოპერატივისთვის შეიძინა სათბური, სათესლე კარტოფილი და ააშენა სავაჭრო ჯიხური. თუშეთის დ/ტ მეგობართა ასოციაციის დაფინანსებით მოეწყო სადურგლო-სახელოსნო სოფელ შენაქოში.



ღონისძიებები თუშეთის ეროვნულ პარკში

ეკოტურიზმი

2016 წელს, პროექტის - „შერჩევითი ღონისძიებების განხორციელება თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმიდან“ - ფარგლებში მოხდა ტურისტული ბილიკების მარკირება. სრულად მოინიშნა კესელო-ქუეს, დართლო-კვავლოს, დიკლოს და დოჭუს ტურისტული მარშრუტები. ნაწილობრივ მოინიშნა დაქუეხის, წოვათას, გონთას, სიყვარულის ციხის და ალაზნისთავის ტურისტული მარშრუტები. აღნიშნული ბილიკები მონიშნულია წითელი და ყვეთილი ფერის საღებავით. მიმდინარეობს მოლაპარაკება ჩეხეთის განვითარების სააგენტოსთან საპიკნიკე და საკემპინგე ადგილების შერჩევა-მოწყობასთან დაკავშირებით.

ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტების და ადმინისტრაციული განყოფილების უფროსისთვის ტრენინგებში მონაწილეობის ხელშეწყობა - ტურიზმის მარკეტინგი და მენეჯმენტი, ვიზიტორთა რაოდენობის და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების აღრიცხვის მეთოდოლოგიის სწავლება.

ექსკურსიამძღოლების (გიდების) მომზადების პროგრამით გათვალისწინებული 12 ლექცია-სემინარი ჩატარდა ქვემო ალვანის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან.

ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტები, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და მოხალისეებთან ერთად იმყოფებოდნენ ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე, სადაც მოინახულეს ეკო-საგანმანათლებლო ბილიკი და გაიზიარეს მათი გამოცდილება. ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტი სასწავლო ტურით იმყოფებოდა ჩეხეთსა და ლიტვაში. ტურის მიზანს წარმოადგენდა ტურისტული გამოცდილების გაცვლა/გაზიარება.

თუშეთის საოჯახო სასტუმროების მეპატრონეებთან გაიმართა შეხვედრა, სადაც განისაზღვრა საჭიროებები. საოჯახო სასტუმროების მეპატრონეებმა თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ტურისტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ ფესტივალში.

GIZ-ის პროექტის - „ეროზირებული საძოვრების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ ფარგლებში, ადგილობრივ ბიზნესში ჩართულ მოსახლეობას ჩაუტარდა ტრენინგები როგორც ტურიზმის, ასევე სოფლის მეურნეობის მიმართულებით.


100-მდე მოქმედ შემომყვან ტურისტულ სააგენტოს გაეგზავნა ინფორმაცია თუშეთის ტურისტული მარშრუტების და იქ არსებული ტურისტული სერვისების შესახებ.


ეროვნული ტექნიკური რეგლამენტის გათვალისწინებით დაიგეგმა და მომზადდა საინფორმაციო და მიმართულების მაჩვენებელი დაფების შესახებ ინფორმაცია.

GLEN-ის მოხალისეებთან ერთად მომზადდა ეკო-საგანმანათლებლო ბილიკის პროექტი, რომელიც თუშეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრთან მოეწყობა.
ადმინისტრაციამ კომპანია „გეოგრაფიკს“ მიაწოდა მათთვის სასურველი ყველა საჭირო ინფორმაცია, რის საფუძველზეც ამ დროისთვის შექმნილია „თუშეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და განვითარების ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპების“ ელექტრონული ვერსია.
25-26 ივნისს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით, ტურისტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი ფესტივალი „მზე მოე“ გაიმართა. ფესტივალის მიზანს თუშეთის დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია და ვიზიტორთა მოზიდვა წარმოადგენდა. ფესტივალის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში - ადგილობრივი ხელსაქმის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, თუშური სამზარეულოს დაგემოვნება, ტრადიციული თამაშები, დოღი, ჯგუფი „მადლი“-ს, ლელა თათარაიძისა და „კესანე“-ს კონცერტი - მონაწილეობა ტურისტებთან ერთად თუშეთის 50-მდე სოფლის მცხოვრებმაც მიიღო.
10 აგვისტოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის შენობის მიმდებარედ გაიმართა სახალხო დღესასწაული „თუშეთობა“. ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებთან ერთად ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს „თუშეთობის“ ფესტივალის ორგანიზებაში.
დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ერთად მომზადდა და დაიბეჭდა თუშეთის განახლებული ტურისტული რუკა ქართულ და ინგლისურ ენებზე.
ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დახმარებით ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას თუშეთისთვის გადაეცა თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა, მოემსახურება ადგილობრივ მოსახლეობას და ვიზიტორებს.
ადგილობრივი სერვისების მიმწოდებლებისთვის და ადმინისტრაციის ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტისთვის ჩატარდა GIZ-ის მიერ დაფინანსებული ტრენინგი აგრო პროდუქტის მარკეტინგულ სტრატეგიაში.
ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტები ვიზიტორებს სეზონის განმავლობაში ეხმარეობოდნენ სასტუმროსა და ტრანსპორტის დაჯავშნაში, ინდივიდუალური ტურების მოწყობასა და გიდის მომსახურებაში; აწვდიდნენ ინფორმაციას თუშეთის კულტურული და ბუნებრივი ფასეულობების შესახებ და რეკომენდაციას უწევდნენ ეკო ტურებს. კონკრეტულად, “ქუე”-Aს გადასახედს და ორეთის ტბას, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო ადგილს წარმოადგენს ფრინველებზე დასაკვირვებლად. მათი რეკომენდაციის საფუძველზე, 100-მდე ტურისტული ჯგუფი იმყოფებოდა ნიამორებზე დასაკვირვებლად;

ვიზიტორთა სტატისტიკა

2016 წელს, თუშეთის დაცული ტერიტორიები მოინახულა 13793 ვიზიტორმა, აქედან 5754 ქართველი, ხოლო 8039 უცხო ქვეყნის წარმომადგენელი.





2016 წელს, წინა წელთან შედარებით ვიზიტორთა რაოდენობა თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე 42%-ით გაიზარდა. ვიზიტორთა რაოდენობის ზრდაზე დიდი გავლენა იქონია დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარებულმა ტურისტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილმა ფესტივალმა - „მზე მოე“, რომელიც ივნისის ბოლოს გაიმართა. აგრეთვე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ორგანიზებით აგვისტოს დასაწყისში გამართულმა სახალხო დღესასწაულმა - „მეცხვარის დღე“. ვიზიტორთა ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა ივლისსა და აგვისტოში.

2016 წელს უცხოელი ვიზიტორების წილი ვიზიტორთა რაოდენობაში წინა წელთან შედარებით მცირედით გაიზარდა და შეადგინა 58%, ხოლო ქართველი ვიზიტორების წილი შესაბამისად შემცირდა და 42% შეადგინა.

2016 წელს თუშეთის დაცული ტერიტორიები მოინახულა 8039 უცხოელმა ვიზიტორმა. ყველაზე მეტი ვიზიტორი ისრაელიდან შემოვიდა და მათი წილი მთლიან რაოდენობაში შეადგენს 22%-ს.

ტურისტული სეზონის განმავლობაში, ადმინისტრაციის მიერ ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 9076 ლარი, რაც წინა წლის შემოსავლებთან შედარებით 51%-ით არის გაზრდილი.

ტურისტული შემოსავლებიდან მიღებული შემოსავალი გადანაწილდა შემდეგნაირად: ტურისტული რუკა - 1394 ლარი, საწერი კალამი - 3 ლარი, ჰოსტელი - 20 ლარი, მაისური - 36 ლარი, კარავი - 220ლარი, ზურგჩანთა - 10ლარი, საკარვე ადგილი - 240 ლარი, საპიკნიკე ადგილი - 90ლარი, იჯარა - 7063 ლარი.

მოხდა პასპორტირებული ეკოტურისტული ბილიკების განახლება. განახლდა ინფორმაცია საოჯახო სასტუმროების შესახებ და ერთ პაკეტად გადაეგზავნა საქართველოში შემომყვან 90-მდე ტურისტულ კომპანიას.

კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ შეიქმნა მონაცემთა ბაზა და მიმდინარეობს მისი დაზუსტება.

პანკისის ხეობაში სპეროზას უბნის რეინჯერთა სადგურის ეზოში ჩატარდა ვაინახური და ქართული ფოლკლორის საღამო, კულტურის სამინისტროს დაფინანსებით.

ზემო ალვანის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის მიმდინარეობდა ყოველკვირეული ლექცია - სემინარები თუშეთის ისტორიული და კულტურული ფასეულობების შესახებ.

ტურიზმში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2016 წელს მათი რაოდენობა წინა წელთან შედარებით 7%-ით გაიზარდა. მათი გადანაწილება კი შემდეგნაირია:

- საოჯახო სასტუმროები - 120 ადამიანი;
- მძღოლები - 57 ადამიანი;
- ცხენების გამქირავებლები - 16 ადამიანი;
- გიდები - 3 ადამიანი;
- ტრადიციული ხელსაქმის მწარმოებლები - 14 ადამიანი;
- ადგილობრივი პროდუქტის მწარმოებლები - 17 ადამიანი.

ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალმა 2016 შეადგინა დაახლოებით 1 337 000 ლარი, რაც 2015 წლის შემოსავლებთან შედარებით 29%-ით არის გაზრდილი.

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები

დაცვის განყოფილება

ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანებით ყოველთვიურად თითოეული უბნისათვის დგება პატრულირების გეგმა-გრაფიკები.

ადმინისტრაციის დირექტორის შესაბამისი ბრძანებებით თითოეული უბნისათვის ყოველთვიურად დგება მოულოდნელი შემოწმების გეგმა-გრაფიკები. 2016 წლის განმავლობაში სათაფლიას ნაკრძალსა და აღკვეთილში სულ განხორციელდა 293 პატრულირება. ფეხით გავლილმა მანძილმა შეადგინა 1658 კმ. აქედან რეინჯერების მიერ 234 - ჯერ მანძილით 1317 კმ, ხოლო ადმინისტრაციის მიერ 59 - ჯერ მანძილით 341 კმ. პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე სულ განხორციელდა 293 პატრულირება. გავლილმა მანძილმა შეადგინა 860 კმ. აქედან რეინჯერების მიერ 246 - ჯერ მანძილით 736 კმ, ხოლო ადმინისტრაციის მიერ 47 - ჯერ მანძილით 124კმ. სულ აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა 586 პატრულირება საერთო მანძილით 2518კმ, აქედან რეინჯერების მიერ 480 პატრულირება მანძილით 2053 კმ, ხოლო ადმინისტრაციის მიერ 106 პატრულირება მანძილით 465 კმ.

7-8 მარტს მოწვეული ტრენერების მიერ ადმინისტრაციის პერსონალს, მათ შორის დაცვის განყოფილების თანამშრომლებსაც ჩაუტარდათ ტრენინგი ეფექტიანი კომუნიკაციისა და მომსახურების საკითხებზე.

ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის 5 აპრილის #17 ბრძანების შესაბამისად იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე ჩატარდა გეგმიური საგაზაფხულო რევიზია. რევიზიის მასალები 2016 წლის 2 ივნისის #25-09/94 წერილით წარმოდგენილია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის 15 ნოემბრის #51 ბრძანების შესაბამისად,იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე ჩატარდა გეგმიური საშემოდგომო რევიზია. რევიზიის მასალები 2016 წლის 12 დეკემბრის #25-09/249 წერილით წარმოდგენილია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების უფროსის, დირექტორის მოვალეობის დრ. შემსრულებლის, 2016 წლის 15 აპრილის #18 ბრძანების შესაბამისად იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე ჩატარდა გეგმიური საგაზაფხულო საკონტროლო რევიზია. ხოლო იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის 28 ნოემბრის # 55 ბრძანების შესაბამისად, გეგმიური საშემოდგომო საკონტროლო რევიზია.

ხანძრების მართვა

მარტსა და აპრილის თვეში ჩატარდა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შემოწმება, რაზედაც შედგენილი იქნა შესაბამისი აქტები. ადმინისტრაციას სათაფლიას დაცულ ტერიტორიებზე სახანძრო ინვენტარი საკმარისად გააჩნია. რაც შეეხება პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლს - შესაძენია.

მაისი, ივნისისა და აგვისტოს თვეებში აქტიურად მიმდინარეობდა პატრულირება ტრადიციულ საპიკნიკე ადგილებსა (დაცული ტერიტორიის მიმდებარედ) და ვიზიტორთა გადაადგილების ბილიკებზე.

დაცვის განყოფილების თანამშრომლებსა და დამხმარე მოსამსახურეებს (გიდი) დაცვის განყოფილების უფროსმა გააცნო ტრენინგზე მიღებული ცოდნა.

მოსახლეობასთან შეხვედრებისას ყურადღება გამახვილებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებზე. ასევე თოთოეულ ვიზიტორს დამხმარე მოსამსახურეების მიერ ტურის დაწყებამდე მიეწოდებოდა ინფორმაცია ხანძართწარმოქმნის საშიშროების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში ხანძრის გაჩენის ფაქტს იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე ადგილი არ ჰქონია. შესაბამისი ინფორმაცია წერილობით ყოველი თვის ბოლო კვირაში მიეწოდება სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა 1 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტს. ს/ს „ენერგოპროჯორჯიამ წინასწარი შეთანხმების გარეშე პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე განახორციელა ხე-ტყის უკანონო ჭრა. გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 124 ლარი. სასამართლოს გადაწყვეტილებით (დადგენილება #4/393) სამართალდამრღვევის დაეკისრა გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საანგარიშო პერიოდში იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე ნაშთის სახით ინახება 4 ერთეული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი.

საანგარიშო პერიოდში მოხდა სათაფლიას დაცული ტერიტორიების სხვადასხვა უბანზე ფოტოხაფანგების დამონტაჟება. ფოტოხაფანგებით დაფიქსირდა (ფოტო და ვიდეომასალა) მელია, შველი, მაჩვი, ტურა და სხვა სახეობები. ასევე ფოტოაპარატით იქმნება დაცული ტერიტორიების

ფოტოარქივი. საჭიროების შემთხვევაში ფოტომასალა მიეწოდება სააგენტოს. მაისის თვეში დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ მოხდა იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ბუნების ძეგლების ფოტოების გადაღება.

სამეცნიერო საქმიანობა

მომზადდა 2016 წლის ბუნების მატიანე. ყოველდღიურად ხდება მასალების შეგროვება 2017 წლის მატიანეს შესაქმნელად.

იანვრის თვეში შევსებული იქნა 2015 წლის სტატისტიკური ფორმები, რომლებიც გადაეგზავნებას სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

სისტემატიურად მიმდინარეობს მეტეოროლოგიური მონაცემების აღრიცხვა. მონაცემები აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში.

პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე იანვრის თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენდა (მონაცემები აღებულია დღის 14 საათისათვის) 10^0C. მაქსიმალური ტემპერატურა დაფიქსირდა 18 იანვარს 15^0C, ხოლო მინიმალური 27 იანვარს -1^0C. მზიან დღეთა რაოდენობა იყო - 4, ღრუბლიანი დღეებისა – 11, ნალექიანი დღეები – 15. ნალექების თვიურმა რაოდენობამ შეადგინა 1410 მმ.

პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე თებერვლის თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენდა 16^0C. მაქსიმალური ტემპერატურა დაფიქსირდა 15 თებერვალს 25^0C, ხოლო მინიმალური 2 თებერვალს 8^0C. მზიან დღეთა რაოდენობა იყო - 11, ღრუბლიანი დღეებისა – 8, ნალექიანი დღეები – 9, ნაქების ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 980 მმ.

პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე მარტის თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენდა $19,8^0$C. მაქსიმალური ტემპერატურა დაფიქსირდა 2 მარტს 28^0C, ხოლო მინიმალური 18 მარტს 7^0C. მზიან დღეთა რაოდენობა იყო - 12, ღრუბლიანი დღეებისა – 3, ნალექიანი დღეები – 16. ნალექების საერთო რაოდენობამ შეადგინა -927 მმ.

პრომთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე აპრილის თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენდა (მონაცემები აღებულია დღის 14 საათისათვის) 24.47^0C. მაქსიმალური ტემპერატურა დაფიქსირდა 24 აპრილს 32^0C, ხოლო მინიმალური 3 აპრილს 11^0C. მზიან დღეთა რაოდენობა იყო - 15, ღრუბლიანი დღეებისა – 8, ნალექიანი დღეები – 7. ნალექების თვიურმა რაოდენობამ შეადგინა 530 მმ.

პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე მაისის თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენდა $25,1^0$C. მაქსიმალური ტემპერატურა დაფიქსირდა 3 და 22 მაისს 31^0C, ხოლო მინიმალური 7 მაისს 17^0C. მზიან დღეთა რაოდენობა იყო - 14, ღრუბლიანი დღეებისა – 10, ნალექიანი დღეები – 7, ნაქების ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 480 მმ.

პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე ივნისის თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენდა $31,5^0$C. მაქსიმალური ტემპერატურა დაფიქსირდა 27 ივნისს 39^0C, ხოლო მინიმალური 9 და 10 ივნისს

22^{0}C. მზიან დღეთა რაოდენობა იყო - 17, ღრუბლიანი დღეებისა – 10, ნალექიანი დღეები – 3. ნალექების საერთო რაოდენობამ შეადგინა - 200 მლ

პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე ივლისის თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენდა 31,5^{0}C. მაქსიმალური ტემპერატურა დაფიქსირდა 16 ივლისს 36^{0}C, ხოლო მინიმალური 5 და 11 ივნისს 25^{0}C. მზიან დღეთა რაოდენობა იყო - 15, ღრუბლიანი დღეებისა – 11, ნალექიანი დღეები – 5. ნალექების საერთო რაოდენობამ შეადგინა - 550 მლ

პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე აგვისტოს თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენდა 35,3^{0}C. მაქსიმალური ტემპერატურა დაფიქსირდა 21 აგვისტოს 40^{0}C, ხოლო მინიმალური 14 და 15 აგვისტოს 28^{0}C. მზიან დღეთა რაოდენობა იყო - 20, ღრუბლიანი დღეებისა – 8, ნალექიანი დღეები – 3. ნალექების საერთო რაოდენობამ შეადგინა - 220 მლ

პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე სექტემბერი თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენდა 27,7^{0}C. მაქსიმალური ტემპერატურა დაფიქსირდა 13 სექტემბერს 39^{0}C, ხოლო მინიმალური 27 და 28 სექტემბერს 17^{0}C. მზიან დღეთა რაოდენობა იყო - 12, ღრუბლიანი დღეებისა – 6, ნალექიანი დღეები – 12. ნალექების საერთო რაოდენობამ შეადგინა - 620 მლ


ოქტომრის თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენდა 19.4^{0}C მაქსიმალური ტემპერატურა დაფიქსირდა 8 ოქტომბერს 26.1^{0}C ,ხოლო მინიმალური 28 ოქტომბერს 11.4^{0}C. მზიან დღეთა რაოდენობა იყო - 14, ღრუბლიანი დღეებისა – 8, ნალექიანი დღეები – 9. ნალექების საერთო რაოდენობამ შეადგინა - 340 მლ.

ნოემბრის თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენდა 15^{0}C. მაქსიმალური ტემპერატურა დაფიქსირდა 12 ნოემბერს23^{0}C ,ხოლო მინიმალური 2ნოემბერს 7^{0}C. მზიან დღეთა რაოდენობა იყო - 18, ღრუბლიანი დღეებისა – 6, ნალექიანი დღეები – 6. ნალექების საერთო რაოდენობამ შეადგინა - 330 მლ.


დეკემბრის თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენდა 9^{0}C. მაქსიმალური ტემპერატურა დაფიქსირდა 28 დეკემბერს18^{0}C ,ხოლო მინიმალური 9დეკემბერს -4^{0}C. მზიან დღეთა რაოდენობა იყო - 4, ღრუბლიანი დღეებისა – 15, ნალექიანი დღეები – 11. ნალექების საერთო რაოდენობამ შეადგინა - 310 მლ.

პრომეთეს მღვიმეში ყოველდღიურად, სათაფლიას მღვიმეში (თებერვლის თვიდან) კვირაში ერთხელ ხორციელდება არსებული მიკროკლიმატის (ტემპერატურა, ტენიანობა) მონიტორინგი. შედეგები ფიქსირდება სათანადო ჟურნალსა და ელექტრონულ ცხრილებში. ტემპერატურისა და ტენიანობის საშუალო თვიური მაჩვენებლები მღვიმეებისათვის შემდეგია:

პრომეთეს მღვიმე, ტემპერატურა (იანვარი)




პრომეთეს მღვიმე, ტენიანობა (იანვარი)




პრომეთეს მღვიმე, ტემპერატურა (თებერვალი)


პრომეთეს მღვიმე ტენიანობა, (თებერვალი)




პრომეთეს მღვიმე, ტემპერატურა (მარტი)




პრომეთეს მღვიმე, ტენიანობა (მარტი)




პრომეთეს მღვიმე, ტემპერატურა (აპრილი)




პრომეთეს მღვიმე, ტენიანობა (აპრილი)




პრომეთეს მღვიმე, ტემპერატურა (მაისი)




პრომეთეს მღვიმე, ტენიანობა (მაისი)




პრომეთეს მღვიმე, ტემპერატურა (ივნისი)




პრომეთეს მღვიმე, ტენიანობა (ივნისი)




სათაფლია, ტემპერატურა (ივლისი)




სათაფლია, ტენიანობა (ივლისი)




სათაფლია, ტემპერატურა (აგვისტო)




სათაფლია, ტენიანობა (აგვისტო)




სათაფლია, ტემპერატურა (სექტემბერი)




სათაფლია, ტენიანობა (სექტემბერი)




სათაფლია, ტემპერატურა (ოქტომბერი)




სათაფლია, ტენიანობა (ოქტომბერი)






სათაფლია, ტემპერატურა (ნოემბერი)


სათაფლია, ტენიანობა (ნოემბერი)






სათაფლია, ტემპერატურა (დეკემბერი)

სათაფლია, ტენიანობა (დეკემბერი)





იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიებზე თვეში ერთხელ ნავენახევის მღვიმეში, ხოლო ივნისის თვეში საწურბლიას, ხომულისა და თეთრა მღვიმეებში განისაზღვრა ტემპერატურა და ტენიანობა.

თარიღი	ნავენახევის მღვიმე, ტემპერატურა (იანვარი)		
	მღვიმის შესასვლელი	ცენტრალური ნაწილი	მღვიმის ბოლოში
ტემპერატურა	13,8	13,7	13,5
ტენიანობა	96,8	97,4	98,1
თარიღი	ნავენახევის მღვიმე, ტემპერატურა (თებერვალი)		

	მღვიმის შესასვლელი	ცენტრალური ნაწილი	მღვიმის ბოლოში
ტემპერატურა	13,7	13,6	13,5
ტენიანობა	96,4	97,5	98,1
თარიღი	ნავენახევის მღვიმე, ტემპერატურა (მარტი)		
	მღვიმის შესასვლელი	ცენტრალური ნაწილი	მღვიმის ბოლოში
ტემპერატურა	13,6	13,6	13,5
ტენიანობა	96,5	97,3	98,0
თარიღი	ნავენახევის მღვიმე, ტემპერატურა (აპრილი)		
	მღვიმის შესასვლელი	ცენტრალური ნაწილი	მღვიმის ბოლოში
ტემპერატურა	13,9	13,8	13,6
ტენიანობა	97,0	97,3	98,0
თარიღი	ნავენახევის მღვიმე, ტემპერატურა (მაისი)		
	მღვიმის შესასვლელი	ცენტრალური ნაწილი	მღვიმის ბოლოში
ტემპერატურა	13,9	13,7	13,5
ტენიანობა	96,7	97,9	98,0
თარიღი	ნავენახევის მღვიმე, ტემპერატურა (ივნისი)		
	მღვიმის შესასვლელი	ცენტრალური ნაწილი	მღვიმის ბოლოში
ტემპერატურა	13,8	13,6	13,6
ტენიანობა	96,7	97,4	98,1

თარიღი	ხომულის მღვიმე, ტემპერატურა (ივნისი)		
	მღვიმის შესასვლელი	ცენტრალური ნაწილი	მღვიმის ბოლოში
ტემპერატურა	14.1	13,8	13,7

თარიღი	თეთრა მღვიმე, ტემპერატურა (ივნისი)		
	მღვიმის შესასვლელი	ცენტრალური ნაწილი	მღვიმის ბოლოში
ტემპერატურა	13,2	13,0	12,9
თარიღი	საწურბლიას მღვიმე, ტემპერატურა (ივნისი)		
	მღვიმის შესასვლელი	ცენტრალური ნაწილი	მღვიმის ბოლოში
ტემპერატურა	11,9	11,8	11,7

სექტემბრის თვეში მღვიმეებში მოხდა ნახშირორჟანგისა და ჟანგბადის კონცენტრაციის განსაზღვრა. მონაცემები ცალკეული მღვიმეებისათვის შემდეგია:

# #	მღვიმის დასახელება	ნახშირორჟანგი (%)	ჟანგბადი (%)
1	პრომეთეს მღვიმე	0,13	20,9
2	სათაფლიას მღვიმე	0,04	20,9
3	საწურბლიას მღვიმე	0,07	20,9
4	დათვის მღვიმე	0,22	20,9
5	ხომულის მღვიმე	0,05	20,9
6	ნავენახევის მღვიმე	2,32	18,5

ყოველთვიურად შესაბამისად ხდება მონაცემების დამუშავება.სათაფლიას, პრომეთეს, საწურბლიასა და დათვის მღვიმეებში დამონტაჟებული აპარატიდან (დატალოგერი) ინფორმაციის გადმოწერა და დამუშავება.

ლეველოგერის აპარატიდან აღებული იქნა წლის ბოლოს მონაცემები, მოხდება მისი ანალიზი და მონაცემების შედარება დატალოგერის მონაცემებთან.

პრომეთეს მღვიმეში გამავალ მდინარეში თვეში ერთხელ სპეციალური მოწყობილობის საშუალებით ხდება მარილიანობისა და წყლის დინების სიჩქარის განსაზღვრა, მონაცემები აღირიცხება ჟურნალში.

სისტემატიურად ხდება დაკვირვება არასისტემურ მოვლენებზე. 9 და 11 ივლისს მოხდა მღვიმეში გამავალი მდ. ყუმის მოდიდება, რის შედეგადაც დაზიანდა მღვიმეში არსებული ელექტროაპარატურა. მღვიმის ცენტრალური შესასვლელი ჩაიკეტა ღორღითა და ნიაღვარის შედეგად მოტანილი მცენარეებით. ასევე სანაოსნო მონაკვეთზე რამდენიმე ადგილზე გაჩნდა ბზარები. ინფორმაცია მიეწოდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს. ელექტრო აპარატურა და ცენტრალური შესასვლელი უმოკლეს ვადებში იქნა აღდგენილი, რაც შეეხება დაზიანებულ სანაოსნო მონაკვეთს, მოხდა შესწავლა და უახლოეს დროში იქნება აღდგენილი.

საანგარიშო პერიოდში მოხდა სათაფლიას დაცული ტერიტორიების სხვადასხვა უბანზე ფოტოხაფანგების დამონტაჟება. ფოტოხაფანგებით დაფიქსირდა (ფოტო და ვიდეომასალა) მელია,

შველი, მაჩვი, ტურა და სხვა სახეობები. ასევე ფოტოაპარატით იქმნება დაცული ტერიტორიების ფოტოარქივი. საჭიროების შემთხვევაში ფოტომასალა მიეწოდება სააგენტოს. მაისის თვეში დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ მოხდა იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ბუნების ძეგლების ფოტოების გადაღება.

მიმდინარეობს საკვანძო სახეობებისა და ჰაბიტატების განსაზღვრა. ინფორმაცია წლის ბოლოს მიეწოდება სააგენტოს.

პატრულირებასთან ერთად არსებული გრაფიკის შესაბამისად წარმოებს მსხვილ ძუძუმწოვრებსა და ფრინველებზე დაკვირვება. ხდება როგორც ვიზუალური და ფოტომასალის შეგროვება, ასევე ექსკრემენტებისა და კვალის აღრიცხვა.

გაზაფხულზე განხორციელდა კოლხური ტყეში ფიტოპათოლოგიური გამოკვლევა. კოლხურ ბზას, რომელიც მასიურად გახმა ნაკრძალის ტერიტორიაზე, შეიმჩნევა, რომ აღკვეთილში დაიწყო ამონაყარის ამოღება. წაბლზე შეინიშნება წვერხმობის მრავლობით შემთხვევები. ასევე მურყანის სახეობების ერთეულ ინდივიდზე შემჩნეული იქნა ამერიკული თეთრი პეპელა.

აგვისტოს თვეში გადარჩენილ ბზებზე მასიურად გაჩნდა ბზის ალურა. პრევენციის მიზნით აგვისტოსა და სექტემბრის თვეებში აღკვეთილის ტერიტორიაზე არსებულ ბზებს ჩაუტარდათ შეწამვლა ბიოლოგიური ინსექტიციდით „ლეპიდინი“. ამჟამად ბზის ალურას მატლები ლიკვიდირებულია.





ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

2016 წლის განმავლობაში იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ გასწია სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა. საქმიანობების ძირითად მიზნობრივ ჯგუფებად ითვლებოდა როგორც სასწავლო დაწესებულებები და ადგილობრივი მოსახლეობა ასევე დაცული ტერიტორიების ვიზიტორები. ამ მიზნით იანვრის თვეში სამიზნე ჯგუფებისათვის მომზადდა სპეციალური პრეზენტაციები, რომლებიც დაეგზავნა რეგიონის საჯარო სკოლებს.

საანგარიშო პერიოდში იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები რეგიონში არსებულ საჯარო სკოლებში. იანვრის თვეში საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის მომზადდა პრეზენტაცია და დაეგზავნა რეგიონის საჯარო სკოლებს.
დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლები 2016 წელს შეხვდნენ: ქ. ქუთაისის N: 26 (24 მოსწავლე და 2 პედაგოგი), ქუთაისის N:40 (27 მოსწავლე და 3 პედაგოგი), ქ. წყალტუბოს სოფ. ყუმისთავისა (15 მოსწავლე და 10 პედაგოგი), , ქ. ქუთაისის N 2 (30 მოსწავლე და 3 პედაგოგი), ქ. ქუთაისის N:15 (24 მოსწავლე და 4 პედაგოგი), წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ყუმისთავის საჯარო სკოლა (18 მოსწავლე და 2 პედაგოგი), ქუთაისის N 13 (24 მოსწავლე და 3 პედაგოგი), ქუთაისის N 9 (21 მოსწავლე და 2 პედაგოგი), ქუთაისის N 41 (29 მოსწავლე და 1 პედაგოგი), ქუთაისის N 1 (31 მოსწავლე და 2 პედაგოგი), ქუთაისის N 32 (22 მოსწავლე და 1 პედაგოგი), ქუთაისის N 17 (25 მოსწავლე და 1 პედაგოგი), ქუთაისის №7 (25 მოსწავლე); №18 (23 მოსწავლე); №10 (19 მოსწავლე); №23 (26 მოსწავლე); №35 (22 მოსწავლე); №12 (18 მოსწავლე); №9 (27 მოსწავლე); სოფელ ცუცხვათის (16 მოსწავლე), წყალტუბოს #2 (21 მოსწავლე) საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ. მონაწილეებს დაურიგდათ ბროშურები.





ასევე რეგულარულად ხდება სასწავლო დაწესებულებების ვიზიტი დაცული ტერიტორიებზე, სადაც მათ მიეწოდებათ ინფორმაცია იმერეთის დაცული ტერიტორიების, გარემოს დაცვის, ბიომრავალფეროვნების, ფლორისა და ფაუნის შესახებ. საანგარიშო პერიოდში იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე განხორციელდა 2373 ეკოტური და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებიდან 2504 პედაგოგი იყო, ხოლო 30730 მოსწავლე.
განახლდა პრეზენტაცია ასაკობრივი ზღვარისა და სამიზნე ჯგუფებისთვის, რომლებიც გასული სასწავლო წლის განმავლობაში წარედგინებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებებს.
იანვრის თვეში მომზადდა სპეციალური შეთავაზება იმერეთის დაცული ტერიტორიაზე არსებული ეკოტურისტული აქტივობის შესახებ.
განახლებული შეთავაზებები წლის დასაწყისსა და სექტემბრის თვეში დაიგზავნა იმერეთის რეგიონის სასკოლო დაწესებულებებში.
სათაფლიას აღკვეთილის საგანმანათლებლო მოედანზე საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 7 (მონაწილეობდა 119 მოსწავლე და 8 პედაგოგი) ღია გაკვეთილი საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის.




აპრილსა და სექტემბრის თვეში ქუთაისის საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობითა და ნატო-ევროკავშირის ურთიერთობების პროგრამის მხარდაჭერით დასუფთავდა სათაფლიასა და პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლთან მისასვლელი ცენტრალური საავტომობილო გზა. ადმინისტრაციასთან ერთად მონაწილეობდა 41 მოსწავლე.





ღონისძიებების ჩატარება მწვანე კალენდრის მიხედვით:

14 მარტი - სიცოცხლის, წყლის და მდინარეების დაცვის დღე - ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის 28 მოსწავლისათვის მოეწყო ეკოტური პრომეთეს მღვიმეზე. აქვე მათ ჩაუტარდათ სემინარი.



1 აპრილი - ფრინველთა დაცვის საერთაშორისო დღე - სათაფლიას აღკვეთილში ქუთაისის მე-2 საჯარო სკოლის 25 მოსწავლისათვის მოეწყო ეკოტური, ასევე მათ საგანმანათლებლო მოედანზე

ჩაუტარდათ სემინარი. მათვე წარმოადგინეს სხვადასხვა ფრინველების შესახებ ჩანახატები და თემები.

22 აპრილი - დედამიწის საერთაშორისო დღე - ადმინისტრაციის წარმომადგენელმა სემინარი ჩაატარა ქუთაისის 21-ე საჯარო სკოლაში, რაშიც მონაწილეობდა 19 მოსწავლე.

22 მაისი _ ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე - ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის სათაფლიას აღკვეთილში მოეწყო ეკოტური. მონაწილეობდა 28 მოსწავლე და 2 პედაგოგი. საგანმანათლებლო მოედანზე მათ ჩაუტარდათ სემინარი.

5 ივნისი _ გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე - დღეს სათაფლიას აღკვეთილის შემოგარენში ქუთაისის 23-ე სკოლის 15 მოსწავლის მონაწილეობით მოეწყო დასუფთავების აქცია. დღის ბოლოს მათ დაათვალიერეს სათაფლიას აღკვთილი.





ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღე - **4 ოქტომბერს პრომეთეს ბუნების ძეგლის** საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა, წყალტუბოს #1 საჯარო სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებთან ერთად განხორციელდა ლექცია სემინარი, რომელიც მიძღვნილი იყო ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ამავე სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები თემასთან დაკავშირებით, ''ბუნებაში ცხოველთა მნიშვნელობა''.




იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან სხვადასხვა საკითხების გადაჭრის მიზნით.


ადმინისტრაციას მჭიდრო ურთიერთობა აქვს რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ტარდება სემინარები, მწვანე აქციები, დასუფთავების აქციები, საფასურის გარეშე ღია გაკვეთილები დაცულ ტერიტორიებზე. სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები გადიან საწარმოო პრაქტიკებს სათაფლიას აღკვეთილსა და პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე, სადაც ისინი ჩართულნი არიან სხვადასხვა სახის აქტივობებში, უტარდებათ ლექციები და სხვა.

ივლისსა და აგვისტოს თვეებში სათაფლიას აღკვეთილის ტერიტორიაზე საწარმოო პრაქტიკა გაიარა ქ. ქუთაისის აკ. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის 24 სტუდენტმა.

თებერვლის თვეში ადმინისტრაცია შეხვდა სოფ. ბანოჯის მოსახლეობას (24 ადგილობრივი მცხოვრები). მარტის თვეში კი სოფ. ხომულის მოსახლეობას შეხვედრაში სულ მონაწილეობა მიიღო 33 ადგილობრივმა მცხოვრებმა და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა. აპრილის თვეში ადმინისტრაცია შეხვდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ნავენახევის მოსახლეებას (12 ადგილობრივი მცხოვრები). მათ განემარტათ დაცულ ტერიტორიაზე დაშვებული და აკრძალული საქმიანობა, საუბარი შეეხებოდა ასევე დაცულ ტერიტორიებზე დაგეგმილ ქმედებებს.








ღონისძიებები იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე


ეკოტურიზმი


კითხვარების მეშვეობით საანგარიშო პერიოდში სულ გამოკითხული იქნა 302 ვიზიტორი, რომელთაგან 145 ქართველი და 157 უცხოელი ვიზიტორი იყო


სათაფლიას აღკვეთილი


2016 წელს სათაფლიას დაცულ ტერიტორიაზე გამოკითხული იქნა 80 ვიზიტორ






























პრომეთეს მღვიმე


პრომეთეს მღვიმეზე გამოიკითხა 222 ვიზიტორი. შედეგების ანალიზი შემდეგია:




























ბროშურები გავრცელდა სასტუმროებში, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, ტურისტულ კომპანიებში, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრსა და ტურიზმით დაინტერესებულ სხვადასხვა ორგანიზაციებში. თებერვალსა და მარტის თვეებში პრეზენტაციები გაეგზავნა ტურიზმით დაინტერესებულ ორგანიზაციებს.


შემუშავდა კონცეფცია ვიზიტორთა ცენტრის მოწყობასთან დაკავშირებით


საწურბლიას მღვიმეში სპელეოთერაპიის ცენტრის მოწყობასთან დაკავშირებით ჩეხეთის მღვიმეების სამსახურთან ერთად გრძელდება სამუშაოები. მღვიმე აკმაყოფილებს ყველა საჭირო მოთხოვნას, მიმდინარეობს საპროექტო - სარეაბილიტაციოდა სამკურნალო მეთოდიკის დოკუმენტის შექმნაზე მუშაობა.

მზადდება ყოველკვირეული, ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშები, შემოსავლების და ვიზიტორთა სტატისტიკის შესახებ, რომელიც წარედგინება დაცული ტერიტორიების სააგენტოს.










ვიზიტორთა რაოდენობა 2016 წელს 2015 წელთან შედარებით სათაფლიას დაცულ ტერიტორიებზე გაზრდილია 6 %-ით.

ვიზიტორთა რაოდენობა 2016 წელს 2015 წელთან შედარებით პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე გაზრდილია 22.62 %-ით.

სულ ვიზიტორთა რაოდენობა 2016 წელს 2015 წელთან შედარებით გაზრდილია 16.62 %-ით.

ვიზიტორთა წარმოშობის მხრივ სათაფლიას დაცულ ტერიტორიებზე - 32.1 % იყო უცხოელი, ხოლო - 67.9% ქართველი. წამყვანი ქვეყნებიდან კი ლიდერობენ: ისრაელი - 23.5 %, უკრაინა - 14,25 %, რუსეთი - 14,8 % და პოლონეთი - 12,53 %.

ვიზიტორთა წარმოშობის მხრივ პრომეთეს ბუნების ძეგლზე - 55,5% იყო უცხოელი, ხოლო - 44,5% ქართველი. წამყვანი ქვეყნებიდან კი ლიდერობენ: ისრაელი - 22.5 %, უკრაინა - 15,0 %, რუსეთი - 14.1 % და პოლონეთი - 14,4 %.



შემოსავლების რაოდენობა 2016 წელს 2015 წელთან შედარებით სათაფლიას დაცულ ტერიტორიებზე გაზრდილია 5,75 %-ით.

შემოსავლების რაოდენობა 2016 წელს 2015 წელთან შედარებით პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე გაზრდილია 6,46 %-ით.

შემოსავლების რაოდენობა 2016 წელს 2015 წელთან შედარებით იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში გაზრდილია 6,25 %-ით.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

Googlemap-ის პროგრამაში შეტანილია ადმინისტრაციის ტერიტორიების რუქა სარეინჯეროების მიხედვით, დატანებულია საფეხმავლო ბილიკები და ბილიკების ზოგადი აღწერილობა.
დაგეგმილი ღონისძიება შესრულებულია. ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანების შესაბამისად ყოველთვე დგინდება ახალი საპატრულო მარშუტები.
განსაზღვრულია სარეინჯეროების მიხედვით ანთროპოგენური ზეგავლენის ადგილმდებარეობა სამართალდარღვევების ტიპების მიხედვით დატანებულია რუქაზე ერთი ეგზემპლიარი ინახება ადმინისტრაციაში, მეორე რეინჯერთა სადგურზე თვალსაჩინო ადგილზე.
ადმინისტრაციის დირექციის ბრძანების საფუძველზე შედგენილია ხიხოსა და ზერაბოსლის სარეინჯეროების რეინჯერთა საპატრულო სამოქმედო გეგმა-გრაფიკი, ასევე მოულოდნელი რეიდების გეგმა-გრაფიკი და რეინჯერთა სადგურზე (სოფ.ცხემვანში) მორიგეობის გეგმა-გრაფიკი 2016 წელს 2-2 კაცის შემადგენლობით.
დაგეგმილი ღონისძიება შესრულებულია. GPS ხელსაწყოს მეშვეობით შექმნილია ზუსტი საპატრულო ტრეკები 2014 წელში. შესაბამისად ახალი ტრეკის შექმნა საჭირო არ იყო.
12 თვის განმავლობაში რეინჯერებს უტარდებოდათ ტრენინგები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა კოდექსის თავი VII მუხლების
ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის 28 მარტის ბრძანება #1 შესაბამისად ჩატარდა საგაზაფხულო რევიზიები 4 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით. რევიზიების პერიოდში ტერიტორიაზე რაიმე სახის დარღვევა არ დაფიქსირებულა.
2.2 საშემოდგომო რევიზიების ჩატარება ფოთოლცვენის დაწყებისთანავე ან პირველი თოვლის მოსვლამდე.
დაგეგმილი ღონისძიება შესრულებულია. ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის 5 ოქტომბრის ბრძანება #4 შესაბამისად ტერიტორიაზე ჩატარდა საშემოდგომო რევიზიები. რევიზიების პერიოდში რაიმე სახის დარღვევა არ დაფიქსირებულა.
საკონტროლო რევიზიების ჩატარება საგაზაფხულო და საშემოდგომო რევიზიების დამთავრების შემდეგ.
დაგეგმილი ღონისძიება შესრულებულია. 2016 წლის 20 აპრილის ბრძანება #2 შესაბამისად ჩატარებულ იქნა საგაზაფხულო- საკონტროლო რევიზია. ხოლო 2016 წლის ბრძანება #5 შესაბამისად საშემოდგომო საკონტროლო რევიზია. რევიზიის პერიოდში რაიმე სახის დარღვევა არ დაფიქსირებულა.
დაგეგმილი ღონისძიება სრულდება ყოველწლიურად. სამუშაო გეგმის შესაბამისად სააგენტოს მიეწოდება ინფორმაცია.
ტყის იშვიათი ეკოსისტემების დაცვის გაძლიერების მიზნით ტყის იშვიათი ეკოსისტემების გამოვლენა მათიდათვალიერება (დიდხნოვანი და ხელუხლებელი ტყის უბნები, იშვიათი სახეობის; ბალახოვან მცენარეთა კომპაქტური კონცენტრაციის ადგილები მერქნიანი მცენარეების ხეთა ჯგუფები, მერქნიან მცენარეთა იშვიათი თანასაზოგადოება და სხვა) და რუკებზე დატანა. დაგეგმილი ღონისძიება შესრულებულია. შედგენილია რუკა რომელზეც დატანილია დიდხნოვანი და ხელუხლებელი მცენარეების გავრცელების არეალი.

დაცვის განყოფილების თანამშრომლებისა და ბუნებრივი რესურსების სპეციალისტის მიერ განხორციელდა მერქნითი რესურსების მარაგის შეფასება 2016 წლის ტყეკაფებთან დაკავშირებით. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ხიხოს №1, №2 და №3 სარეინჯეროში არის საკმარისი მარაგი იმისათვის, რომ გამოიყოს 2016 წლის ტყეკაფი.

დაგეგმილი ღონისძიება შესრულებულია. მონაცემები ინახება ადმინისტრაციაში.ადმინისტრაცია თანამშრომლობს მუნიციპალიტეტთან და ასევე ადგილობრივ მოსახლეობასთან ტყეკაფების გაცემასთან დაკავშირებით.

გამოსაყოფი ტყეკაფის წინასწარი დათვალიერების დოკუმენტები მომზადებულია. მონაცემები ატვირთულია ერთიან მონაცემთა ბაზაში.

დაგეგმილი ღონისძიება შესრულებულია. 2016 წელში გამოყოფილია 43 მ^3 საშეშე ხე-ტყე.Dმონაცემები ატვირთულია ერთიან მონაცემტა ბაზაში.

გაცემებთან დაკავშირებით კონტროლს ანხორციელებს დაცვის განყოფილების უფროსი. 2016 მონაცემებით ათვისებულია 23 მ^3 ხოლო ასათვისებელი ნაშთი დარჩა 20 მ^3.

კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე მაის-ივნისის თვეში შეკეთდა 17 კილომეტრიანი ცენტრალური გზის მონაკვეთი . დღეის მდგომარეობით ტერიტორიაზე გადაადგილება ნებისმიერი ტრანსპორტისათვის არის შესაძლებელი. ასევე შექმნილია ცენტრალური გზის GPS ტრეკი. მასალები ინახება ადმინისტრაციაში.

სახანძრო ტექნიკა–აღჭურვილობის ვარგისიანობის მდგომარეობა კარგია. შედგენილია ადმინისტრაციის ტერიტორიების რუქა, დატანილია ხანძრის გაჩენის ადგილებზე პირობითი ნიშნები და ჩაბარებულია რეინჯერებზე. (სახანძრო ტექნიკა 3 ცალი ცეცხლჩამქრობი ზურგზემოსაკიდი და 3 ცალი მეხანძრის ტანსაცმელი– 3 ცალი რეზინის ჩექმები).

2016 წლის 12 თვის განმავლობაში, რეინჯერებს უტარდებოდათ ინსტრუქტაჟი ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებით.

დაგეგმილი ღონისძიება შესრულებულია. ადგილობრივ მოსახლეობას და ვიზიტორებს სისტემატიურად მიეწოდება ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებთან დაკავშირებით.

შედგენილია მოულოდნელი შემოწმების გეგმა და გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს ტერიტორიაზე პატრულირება.

2016 წლის 12 თვის მდგომარეობით, რეინჯერთა მიერ განხორციელდა საფეხმავლო მარშუტებზე შემოვლა 264-ჯერ, ხოლო ადმინისტრაციის მიერ 75-ჯერ. სულ 339-ჯერ. გავლილია ფეხით 6278კმ, ავტომანქანით 9431კმ. ცხენით 120 კმ. საერთო ჯამში გავლილი და გარბენილია 15829 კმ. 2016 წლის 12 თვის მონაცემებით გამოვლინდა 2 სამართალდარღვევის ფაქტი, კერძოდ:1) უნებართვო ჭრა 2) საინფორმაციო დაფის დაციანება. რაზეც შედგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი და განხილულია ქობულეთის მაგისტრატი სასამართლოს მიერ.

შენობა ნაგებობების და საინფორმაციო დაფების ასევე საგზაო მანიშნებლების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სამეცნიერო საქმიანობა

მომზადებულია 2015 წლის "ბუნების მატიანე" და გადაგზავნილ იქნა დაცული ტერიტორიების სააგენტოში.


მიმდინარეობს მეტეოროლოგიური მონაცემების შეგროვება მუდმივად. შეგროვებული ინფორმაციები ინახება კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში. როგორც მონაცემებიდან ჩანს კინტრიში დაცულ ტერიტორიებზე ყველაზე დაბალი ტემპერატურა აღინიშნება: იანვრის, თებერვლის და მარტის თვეებში, ტემპერატურა მატებას იწყებს მარტის თვიდან, ყველაზე თბილი თვეებია ივნისი, ივლისი და აგვისტო.

ადმინისტრაციის მიერ წარმოებს არასისტემატური მოვლენების აღრიცხვა. წყალდიდობების, წყალმოვარდნებისა და სხვა მოვლენების დაფიქსირება და რუკაზე დატანა.

12 თვის მონაცემებით კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე წყალდიდობა, წყალმოვარდნა არ დაფიქსირებულა.

რეგულარულად ხდება იშვიათი, რელიქტური და ენდემური მცენარეების შესახებ იმფორმაციის შეგროვება, მათი მდგომარეობის შემოწმება.


განხორციელებულია საქართველოს "წითელი ნუსხის" ცხოველების მონიტორინგი, რომლის ფარგლებში მოპოვებული საინფორმაციო მასალები დატანილია რუკაზე.



მუდმივად მიმდინარეობს მსხვილი ძუძუმწოვრების მონიტორინგი, მათი არეალის დადგენა და აღრიცხვა, კვალის იდენთიფიკაცია რეინჯერთა უშუალო მონაწილეობითა და დაკვირვებებით. შეგროვებული მონაცემები ინახება დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში. ცხოველების შეხვედრიანობა კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე.



რეგულარულად მიმდინარეობს კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე, ფრინველების შეხვედრიანობის დაფიქსრირება, ასევე სარბიელას მთაზე გამოყოფილია მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც ბინადრობს კავკასიური როჭო.



ფოტოხაფანგის და ფოტოაპარატის საშუალებით მოპოვებულია, ფლორისა და ფაუნის ფოტო და ვიდეო მასალები, რომელიც ინახება კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში. კინტრიშის დაცულუც ტერიტორიებზე, ფოტოხაფანგის მიერ გადაღებული კავკასიური როჭო.

ტერიტორიაზე მუდმივად წარმოებს დაკვირვება სანიმუშო ფართობებზე. ფართობები მოწყობილია ხინოს№2 უბანში წაბლნარ-თხემლნარ კორომში) და ხინოს №3 უბანში, წიფლნარ-რცხილნარ კორომებში, რომელზეც მიმდინარეობს დაკვირვება.

ადმინისტრაციის მიერ წარმოებს მერქნიანი მცენარეების ზოგიერთ სახეობებზე ფენოლოგიური დაკვირვების წარმოება. რეიჯერებს აქვთ ფენოლოგიური სპეციალური ცხრილი რომლის მიხედვითაც ავსებენ მონაცემებს.

მომზადებულია კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე არსებულ ბუნების მატიანეებში ცვლილების მიხედვით მოთავსებული ინფორმაციის მონაცემთა ბაზის შესახებ სპეციალური ცხრილი 2006-დან 2014 წლის ჩათვლით შევსებულია და გადაგზავნილია დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

ჩატარდა ფიტოპატოლოგიური გამოკვლევები #2 და #3 უბანში, სადაც გვხდებოდა მერქნიანების დაზიანება, შეგროვებული მასალებიდან გამოვლენილიდა, რომ ტერიტორიაზე საშიში მავნებელ-დაავადებები ძირითადათ ღინიშნება ტყის შემქნელ ძირითად სახეობებზე: წაბლი, წიფელი, რცხილა, მურყანი და ბზა. წაბლზე წაბლის მენაღმე ჩრჩილი, მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი, ამერიკული თეთრი პეპელა. ფოთლოვან ჯიშების მავნებლებიდან, ასევე აღსანიშნავია: ზამთრის მზომელა, ოქროკუდა, არაფარდი პარკიხვევია. ასევე, დაფიქსირებული იქნა ბზის მავნებელი მატლის ბზის ალურა. აღნიშნული მავნებლის წინააგმდებ ბრძოლისთვის, სამჯერ შეწამლილი იქნა ბიოლოგიური ინსექტიციდის „*Bacillus thuringinsis*"-ის ბაზაზე დამზადებული პრეპარატის საშუალებით, შეწამლვების შედეგად ალურას მატლი მცირე რაოდენობით იქნა დაფიქსირებული.





დაავადებებიდან აღსანიშნავია: წაბლზე-წაბლის კიბო, წიფელზე-ნამდვილი აბედა სოკო, ბზაზე ბზის ჭკნობა (სიდამწვრე), მურყანზე-წითელი სიდამპლე.
კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა ფლორის სამიზნე სახეობებზე მონიტორინგი: წაბლი, ჩვეულებრივი თხილი, კაკალი, უნგერნის შქერი, მედვედევის არყი, კოლხური ბზა, მიმდინარეობს მონიტორინგი და მდგომარეობის შესწავლა.
ადმინისტრაციის მიერ მზადდება ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშები.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

ეკო-საგანმანათლებლო შეხვედრები ჩატარდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის 37 საჯარო სკოლაში, სადაც მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდათ საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ, ლექცია სემინარი მოისმინა სულ 1033 მოსწავლემ და 114 მასწავლებელმა. ასევე ქობულეთის #5 საჯარო სკოლის 21 მოსწავლე და 2 მასწავლებელი იმყოფებოდა ექსკურსიაზე მტირალას ეროვნულ პარკში, სოფელ ქობულეთის საჯარო სკოლის 25 მოსწავლე და 2 მასწავლებელი იმყოფებოდა ექსკურსიაზე კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე, გამწვანების აქციაში მიიღო მონაწილეობა 35 მოსწავლემ და 5 მასწავლებელმა, დასუფთავების აქციაში ქობულეთის #6 საჯარო სკოლის 15 მოსწავლე და 1 მასწავლებელი მონაწილეობდა, 12 მოსწავლე და 2 მასწავლებელი იმყოფებოდნენ, ალგეთში სამ დღიან ეკო-ბანაკში. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ხელშეწყობით, 20 მოსწავლე და 2 მასწავლებელი იმყოფებოდნენ ექსკურსიაზე კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე, ჭახათის სკოლის მოსწავლეებისთვის გაიმართა სემინარი ზურაბ მანველიძის მიერ, სადაც ესწრებოდა 20 მოსწავლე და 3 მასწავლებელი, #6 საჯარო სკოლის 30 მოსწავლე და 2 მასწავლებელი იღებდა დასუფთავების აქციაში მონაწილეობას.
2016 წელს ეკო-საგანმანათლებლო ლექცია სემინარებში და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 1211-მა მოსწავლემ და 133-მა მასწავლებელმა. ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებს ესრებოდა საერთო ჯამში 281 ადამიანი. სულ ლექცია სემინარი მოისმინა 1625 ადამიანმა.






მწვანე კალენდრის მიხედვით, კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ, 21 მარტს ტყის საეთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დაბა ოჩხამური, საჯარო სკოლის ეზოში მოეწყო გამწვანების აქცია, რაშის მონაწილეობას ღებულობდა დაბა

ოჩხამურის სკოლის 35 მოსწავლე და 5 მასწავლებელი. დასუფთავების დღესთან დაკავშირებით, მოეწყო დასუფთავების აქცია ქობულეთის მეგობრობის ქუჩის მიმდებარე პარკში. დედამიწის დღესთან დაკავშირებით, ქობულეთის #2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდათ სემინარი, დედამიწის დღის შესახებ.






სისტემატიურად ხდება თანამშრომლობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან სხვადასხვა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით. ასევე თანამშრომლობა ხორციელდებოდა ადგილობრივ არასამთავრობო გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან.

კინტრიშის დაცული ტერიტორიებმა თანამშრომლობა განახორციელა 37 საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ რეგურალურად ხდება შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან ასევე ბუფერულ ზონაში მცხოვრებ მოსახლეობასთან.




კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია რეგულარულად ხვდებოდა ადგილობრივ მოსახლეობა, სადაც მათ მიეწოდებოდათ ინფორმაცია, კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე აკრძალული და დაშვებული ქმედებების შესახებ, ასევე სხვადასხვა დაგეგმილ ღონისძიებებზე. შეხვედრები გაიმართა ქობულეთის აღმაშენებლის გამზირის, ფიჭვნარის, ჩოლოქის, ბაგრატიონის ქუჩის, სასტუმრო კოლხეთის მიმდებარე ტერიტორიის, სადგურის მიმდებარე ტერიტორიის, ჯორჯიან პალასის მიმდებარე, სასტუმრო სანაპიროს მიმდებარე, საავადმყოფოს მიმდებარე, #2 სამუსიკო სკოლის მიმდებარე, სასტუმრო ივერიის მიმდებარე, სასტუმრო, თეთრი ეტლის მიმდებარე, გელაურის, სოფ. აჭყვის თავის, სოფ. გელაურის, სოფ. ალამბრის, სოფ, დაგვას ადგილობრივ მოსახლეობასთან, საერთო ჯამში შეხვედრებს ესრებოდა 281 ადგილობრივი მოსახლება.



ღონისძიებები კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე

ეკოტურიზმი

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ საინფორმაციო ფლაერები, რუკები და კალენდრები გვარცელდა ბათუმის და ქობულეთის ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ტურიზმის სექტორში მოქმედ სხვა ორგანიზაციებში. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტმა დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და აჭარის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ბათუმის ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე. ბათუმში Maroon 5-ის კონცერტზე გავრცელდა აჭარის დაცული ტერიტორიების შესახებ საინფორმაციო მასალები.







ინფორმაცია მიწოდებულია აჭარაში არსებული სხვადასხვა საგამნამათლებლო დაწესებულებების და შემდეგი ტურისტული კომპანიებისა და სასტუმროებისათვის: “ევრო ტური”, “ ლიბერთი ჯორჯია”, “ინტერტრეველ”, “ბათუმი ავია ტური”, “არგო ტური“ და სხვა. ქობულეთში არსებულ სასტუმროებში: „სანაპირო“, „პანორამა“, „გრინ ჰაუსი“, „რენესანსი“, „ნაციონალი“, „აიეტი“, კრისტალ GB”, “Beach Club “ ,“ოლეგი”, ბათუმში არსებული სასტუმროებისათვის („ჰილტონი“,

„შერატონი, „რედისონ ბლუ“, „ინტურისტ პალასი“, „კოლიზეუმ მარინა“, პრეზიდენტ პალასი“, „გოლდენ პალასი და სხვა).

დაიბეჭდა საინფორმაციო მასალები, ბრენდირებული ჭიქები, ბლოკნოტები, კალმები, მაისურები, ჩანთები, კალენდრები.


მიმდინარეობს კინტრიშის დაცული ტერიტორიების ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესი, რომლის ფარგლებშიც გერმანელ და ქართველ ექსპერტებთან ერთად მიმდინარეობს ტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმვა.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლები გამოცდილების გაზიარების მიზნით იმყოფებოდნენ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში. ტრეინინგის მონაწილე სპეციალისტებმა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა სპეციალისტთან ერთად მონიშნეს ერთ-ერთი ტურისტული ბილიკი.

UNDP-ის აჭარის დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში კინტრიშის დაცული ტერიტორიების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები ეფექტურ კომუნიცაციასა და სამედიცინო დახმარებაში.

2016 წელს შემოსულია 5138 ვიზიტორი, 4125 ქართველი და 1013 უცხოელი (506 რუსი, 197 უკრაინელი, 24 გერმანელი, 15 ესტონელი, 53 თურქი, 52 პოლონელი, 12 ჩეხი, 10 მოლდაველი, 1 ფრანგი, 7 ჰოლანდიელი, 4 ინგლისელი, 3 იტალიელი, 8 ლ იტველი, 30 ლატვიელი, 62 ბელორუსი, 1 ამერიკელი, 18 სომეხი, 10 ყაზახი). 1559 მდედრობითი და 3579 მამრობითი სქესის.

ტურისტული მომსახურებიდან შემოსავალი 1563 ლარი (795 ლარი ვიზიტორთა თავშესაფარი, 530 ლარი საპიკნიკე ადგილი, 105 ლარი ცხენით მომსახურება, 20 ლარი საკარვე ადგილი, 5 ლარი ზურგჩანთა, 18 ლარი პარალონი, 60 ლარი კარავი, 30 ლარი საძილე ტომარა).



კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

დაცვის განყოფილებისა და ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებმა („კოლხეთის", „სენაკის", „ზუგდიდის", „ხობის", „კაცობურის" უბნებში) ადგილზე გასვლით დავადგინეთ განსაკუთრებულად ანთროპოგენული ზეგავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორიები, სამართალდარღვევის ტიპების გათვალისწინებით და დატანილია რუქებზე. ასევე მიმდინარეობს ბრაკონიერების მიერ სავარაუდოდ გამოსაყენებელი მარშრუტების შესწავლა და GPS-ის გამოყენებით Google earth-ზე დატანა.

ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ყოველთვიურად დგება ახალი პატრულირების მარშრუტის განმსაზღვრელი გრაფიკები და ბარდებათ დაცვის განყოფილების ყველა თანამშრომელს.


დადგენილია ანთროპოგენული ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადგილები და აყვანილია მკაცრ კონტროლზე.

1) პალიასტომზე გასასვლელი 8 მარტის ხიდიდან
2) პალიასტომის ტბაზე გასასვლელი მალთაყვის ხიდიდან.
3) ხიდი მდ. ცივზე.
4) შავღელეს შესასვლელი.
5)ფართოწყლის მიდამოები.
6) ხობის წყლის შესართავი ზღვასთან.
7) სენაკის უბანში ბორანი მდ. რიონზე.

ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ყოველთვიურად იგეგმება ახალი პატრულირების მარშრუტის განმსაზღვრელი გრაფიკები და ბარდებათ უბნის უფროს რეინჯერებსა და რეინჯერებს. ასევე დგება მოულოდნელი შემოწმების გრაფიკები.

2016 წლის 12 თვის განმავლობაში გაფორმებულია 62 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი, მათ შორის 4- ხე-ტყის უკანონო ჭრაზე, 33 - იარაღით გადაადგილებაზე, 17 - მოტორიანი ნავით გადაადგილებაზე, 3 უკანონო თევზჭერაზე, 3-ბადეიარაღით გადაადგილებაზე, 2- დანაგვიანებაზე. ოქმები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილია ქ. ფოთის საქალაქო სასამართლოში, ზუგდიდის და სენაკის რაიონულ სასამართლოებში.

2015-2016 წლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა დინამიკა



კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილება მჭიდროდ თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან, რათა სრულყოფილად გამოვლენილ იქნას კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჩადენილი ყველა სახის სამართალდარღვევა.

რეინჯერებს სისტემატურად უტარდებათ ტრენინგი კანონაღსრულების, კანონდამრღვევებთან ურთიერთობის, კონფლიქტური სიტუაციების მართვის, ასევე ბუნებრივი რესურსების სარგებლობის საკითხებში.


დირექტორის 2016 წლის 31 მარტის №01/13 ბრძანების შესაბამისად კოლხეთის ეროვნულ პარკში ჩატარებულ იქნა საგაზაფხულო გეგმიური რევიზია. მასალები დამუშავებულია და გადაგზავნილია დაცული ტერიტორიების სააგენტოში და ასევე ხობის შსს სამმართველოში.

დირექტორის 2016 წლის 20 ოქტომბრის №01/44 ბრძანების შესაბამისად კოლხეთის ეროვნულ პარკში ჩატარებულ იქნა საშემოდგომო გეგმიური რევიზია. დირექტორის 2016წლის 21 აპრილის №01/18 ბრძანების შესაბამისად კოლხეთის ეროვნულ პარკში ჩატარებულ იქნა საგაზაფხულო საკონტროლო რევიზია. ხოლო 2016 წლის 11 ნოემბრის 01/51ბრძანების საფუძველზე ჩატარდა საშემოდგომო საკონტროლო რევიზია. მასალები დამუშავებულია და გადაგზავნილია დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

იშვიათი ეკოსისტემას პარკში წარმოადგენს რელიქტური სახეობები: ჰართვისის მუხა, ლაფანი, იფანი, კოლხური ბზა (გამხმარია), კოლხური სურო, დუმფარა, წყლის კაკალი. მიმდინარეობს მათზე სისტემატიური დაკვირვება და კონტროლი. სამწუხაროდ კოლხური ბზა მასიურად გამხმარია, რაც შეეხება ლაფანს აქვს ფოთლების სიდამწვრე, დაზიანების ხარისხი მძიმეა და საჭიროებს აუცილებელ ჩარევას.

2016 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით გამოყოფილია 13 სოციალური ჭრის ტყე-კაფი **4208**კბ/მ-ს მოცულობით, საიდანაც გაცემულია 2107კბ/მ, ხოლო ნაშთის სახით დარჩენილია **2101**კბ/მ. ამჟამად გასაცემი საშეშე მერქნის მარაგი 2014-2016 წლის ტყეკაფებიდან შეადგენს **2765** კბ/მ-ს

2015-2016 წლებში გამოყოფილი და გაცემული საშეშე მერქნის ოდენობა კბ/მ-ში.



გამოსაყოფი ტყე-კაფების ადგილების იდენტიფიცირება კვარტლების განსაზღვრით და მოქმედი კანონმდებლობასთან შესაბამისობით. გამოსაყოფი ტყე-კაფების ადგილები შერჩეულია ხობის უბანში №10 კვარტალში. კოლხეთის უბანში N3კვარტალი.

ივლისის თვეში მოეწყო ადგილობრივ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთობლივად ტყეკაფების გამოსაყოფი ტერიტორიების შერჩევა, საიდანაც მოსახლეობას შედარებით გაუადვილდება საშეშე მერქნის ათვისება.

გამოსაყოფი ტყეკაფების ადგილები დათვალიერებულია, შერჩეულია ტრადიციული გამოყენების ტერიტორიები, საშეშე სახეობები, მომზადებულია წინასწარი დათვალიერების აქტები.

გამოყოფილია ტყე-კაფების მასალები დამუშავებულია შესაბამის ფორმაში და წარდგენილია ადმინისსტრაციაში. გამოყოფილი ტყე-კაფების მასალები დამუშავებულია და ატვირთულია მერქნული რესურსების ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.ტყეკაფებიდან საშეშე მერქნის ათვისების შესახებ მიმდინარეობს უბნის უფროსის და დაცვის განყოფილების უფროსის მიერ მკაცრი კონტროლი.





ტყეების ჭრაგავლილი ადგილების ბუნებრივი განახლების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ჭრაში დანიშნული იყო მხოლოდ და მხოლოდ მურყნის ჯიშის მცენარეები. ვინაიდან აღნიშნული მცენარის აღმოცენება- განვითარებისათვის იდეალური პირობებია შექმნილი პარკის ტერიტორიაზე. განახლების პროცესი მიმდინარეობს ყოველგვარი შეფერხების გარეშე.

ტრადიციული გამოყენების ტყის მასივებში არსებული გზები საჭიროებს შეკეთებას ვინაიდან სოციალური ჭრის ტყეკაფებში მოჭრილი საშეშე მერქნის გამოტანა საჭაპანე საშუალებით შეზღუდულიარადგან გზებზე აღმოცენებულია მოზარდი ხე მცენარეები.

ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა და აღჭურვილობა პარკს არ გააჩნია.

დეკემბერ-იანვარსა და თებერვლის თვეში მიმდინარეობს მკაცრი კონტროლი, სადღეღამისო პატრულირება ხანძარსაშიშ ტერიტორიებზე. დაფიქსირებულია რამოდენიმე ფაქტი ხანძრის გავრცელების. სამართალდამრღვევი პირები დაუდგენელია. ინფორმაცია მყისიერად მიეწოდა როგორც 112-ის სამსახურს, ასევე ადგილობრივ სამაშველო, სახანძრო და სამართალდამცავ ორგანოებს.







იგეგმება ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა აღჭურვილობის შეძენა, და პარალელურად რეინჯერებსაც ჩაუტარდებათ ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი.სისტემატურად მიეწოდება ინფორმაცია მოსახლეობას და ვიზიტორებს ინფორმაცია ხანძარსაშიში ადგილების, ასევე ხანძრის გაჩენის შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ.

უბნის უფროსი რეინჯერებისა და რეინჯერების მიერ აღრიცხულია კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე და მიმდებარედ 10 მომთაბარე მწყემსი, თითოეულ მათგანს გააჩნია საცხოვრებელი კარავი, პირუტყვის სადგომი, სათიბი, სახნავი, 50-60-მდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი.





რეინჯერების მიერ ზემოთაღნიშნული მწყემსები გაფრთხილებულ არიან, რომ მათ მიერ კანონდარღვევის შემთხვევაში მათზედ გატარდება ჩადენილი სამართალდარღვევის შესაბამისად კანონით გათვალისწინებული ქმედებები, ხოლო რაც შეეხება ტერიტორიაზე პირუტყვის ძოვებას, პირუტყვი მოარიდონ ჭრაგავლილ ტერიტორიებს, რათა ხელი არ შეუშალონ ბუნებრივი განახლების პროცესს.

მიმდინარეობს ნადირის მიერ მსხვილფეხა პირუტყვის დაზიანებისა და დაღუპვის ფაქტების აღრიცხვა. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიებზე მგლის მიერ პირუტყვის დაზიანების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ძირითადად ბუფერული ზონის სოფლებში ხდება მგლის მიერ პირუტყვის დაზიანება. 2016 წლის 12 თვის მდგომარეობით დაფიქსირდა 80 შემთხვევა.




ფოტოხაფანგები დამონტაჟებულია ბილიკებზე სადაც ნადირობისათვის გადასაადგილებელი ბილიკებია.

ფოტოხაფანგები დამონტაჟებულია კეპ-ის ტერიტორიების იმ მონაკვეთებზე, სადაც დიდია ალბათობა როგორც ნადირ ფრინველის, ასევე ბრაკონიერის დაფიქსირებისა. ძირითადად დაფიქსირებულია ტურისა და შველის სახეობები. ინფორმაცია სისტემატურად მიეწოდება ეროვნული პარკის ადმინისტრაციასა და სააგენტოს.

ხშირად ტარდება მოულოდნელი რეიდები დირექტორის, დაცვის განყოფილების უფროსის და უფროსი რეინჯერების მიერ, კოლხეთის ეროვნული პარკის ხუთივე უბანზე, რომლის დროსაც მოწმდებოდა რეინჯერების საქმიანობა და სარეინჯეროებში არსებულ მარშუტებზე გადაადგილების სისწორე. ყოველითვის ბოლოს სეზონურობის მიხედვით (ზაფხული, ზამთარი) დგება მოულოდნელი შემოწმებების გრაფიკები, რომელიც მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

სამეცნიერო კვლევა-მონიტორინგი

მუდმივად მიმდინარეობს პიდროლოგიური რეჟიმის მონიტორინგის პროგრამის სისტემიდან მიღებული მონაცემების დამუშავება. ჰიდროლოგიური რეჟიმის მონიტორინგის პროგრამის სისტემიდან მიღებული მონაცემიების დამუშავებას. ვინაიდან პირველ კვარტალში არ იყო გააქტიურებული ყველა სიმ-ბარათები, ინფორმაციის მიღება ხდებოდა მარტო კოლხეთის სადგურიდან. მეტეოსადგურის შეფერხებული მუშაობის გამო -ივლისი-აგვისტო-სექტემბერში სიგნალები მიიღებოდა მხოლოდ კაცობური-ჭურიას სადგურიდან. მწყობრიდან არის გამოსული ე.წ. „უპეესი“, ვერ ხერხდება ტბისა და მდინარის წყლის დონის გაზომვის შედეგად მიღებული მონაცემების შეყვანა-დამუშავება (ფაქტიურად არ მუშაობს მეტეო მონაცემებისათვის განკუთვნილი 2(ორი) კომპიუტერი).

იანვრ-თებერვლის თვე, ისევე როგორც გასულ წელს აღინიშნა შედარებით მაღალი ტემპერატურით, იანვრის თვის 1 დეკადაში დაფიქსირდა თოვლი (სიმაღლე-13-15 სმ), მარტის თვეში ნალექიან დღეთა რიცხვი კი გასულ წელთან შედარებით ბევრად მეტი იყო და დაფიქსირდა დაბალი ტემპერატურები. მაისის თვე წინა წლისაგან განსხვავებით აღინიშნა შედარებით დაბალი ტემპერატურით და მეტი ნალექიანობით. ზაფხულში ტემპერატურის მაქსიმუმი დაფიქსირდა კაცობურის უბანში-36,7 გრადუსი. აგვისტოს თვე და სექტემბრის პირველი და მეორე დეკადა გამოირჩეოდა მცირე ნალექინობით, სექტემბრის მესამე დეკადაში მკვეთრად დაეცა ტემპერატურა-6-8 გრადუსით. 20-21 ნოემბერს დაფიქსირდა აღმოსავლეთის ძლიერი ქარი-20-25 მ/წმ.

გრაფიკში ნაჩვენებია ზოგადად პარკის ტერიტორიაზე 12 თვის ნალექებისა და ტემპერატურის საშუალო, მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებელი კოლხეთის სადგურიდან. ვინაიდან სხვა სადგურებიდან სიგნალების მიღება შეფერხებულია ან საერთოდ არ მოდის, ცხრილში ნაჩვენებია ცალკეული თვის მონაცემები.

ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება არასისტემატური მოვლენების (წყალდიდობების, წყალმოვარდნების და სხვა მოვლენების დაფიქსირება) აღრიცხვა. 12 თებერვალს ხობის უბანში დაფიქსირდა ხანძარი, რომელიც დროულად იქნა ლოკალიზებული. ძლიერი წვიმების შედეგად (8-9-10 ივლისი) დაიტბორა კოლხეთის უბნის მე-2 და მე-3, სენაკის უბნის მე-2 და ხობის უბნის მე-5 კვარტლები, წყლის დონე მერყეობდა -0,7-1,20 სმ-ის ფარგლებში, არსებითი ხასიათის ზიანი პარკის ტერიტორიაზე არ ყოფილა.





8 სექტემბერს პალიასტომის ტბაზე დიდი ოდენობით გამოირიყა თევზები (განსაკუთრებით კარჩხანა), გარემოს ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიის წარმომადგენლების მიერ აღებულ იქნა წყლის სინჯები და თევზის ნიმუშები, თევზების დაღუპვის მიზეზია ასფიქსია (ჟანგბადის დეფიციტი).




20-21ნოემბერს დაფიქსირდა აღმოსავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი, წაქცეულ იქნა მურყნის ხეები.

“საქართველოს “წითელი ნუსხის” ცხოველების მონიტორინგის ფარგლებში მიმდინარეობდა დაკვირვება წავსა და კოლხურ ხოხობზე. წავი დაფიქსირდა ხობის უბნის პირველ სამცველოში 40-მდე ივდივიდი, სენაკის უბნის ბუფერულ ზონაში, ასევე სენაკის უბნის 1-ლ და მე-2 სამცველოში (22 ივდივიდი), კოლხეთში 1-ლ, მე-2-3-4 სამცველოში (32 ინდივიდი) .

პარკის ტერიტორიაზე კოლხური ხოხობი დაფიქსირდა 12 ერთეული, ის ძირითადად ბინადრობს ხობის უბნის მიმდებარედ არსებულ ბუფერულ ზონაში, ე. წ. “ოქროს საწმისში”, საიდანაც ხშირად შემოფრინდება პარკის ტერიტორიაზე. 12 სექტემბერს მე-3 სამცველოში აღნიშნულ იქნა 5 ინდივიდი ხოხობი.

იანვრის თვეში შევსებული და გადაგზავნილ იქნა დაცული ტერიტორიების სააგენტოში 2015 სტატისტიკური ფორმები.

რეინჯერების მიერ მოწოდებულ ინფორმაციის საფუძველზე კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დაფიქსირდა მსხვილი ძუძუმწოვრები (ტურა, შველი), როგორც ვიზუალურად, ისე ნაკვალევით.





აღრიცხვა ხდებოდა სტრატიფიკაციის მეთოდით ცალკეულ სტრატებსა და ტრანსექტებზე. ყველაზე მეტი რაოდენობით აღირიცხა **ტურა.** კერძოდ, კოლხეთის უბანში 1350, სენაკის უბანში-1500-მდე, ხობის უბანში 1430-მდე, ზუგდიდში- 380-მდე, კაცობურში- 160-მდე ინდივიდი.

შველის რაოდენობა: კოლხეთის უბანში-600-მდე ინდივიდი, ხობის უბანში-420, სენაკი-540, ანაკლია-ჭურია-2, კაცობური-2.


ადმინისტრაცია ახორციელებს ადამიანის და მტაცებლის კონფლიქტების აღრიცხვას. გასულ წელთან შედარებით მთელ ტერიტორიაზე საგრძნობლად გაიზარდა მგლის რაოდენობა (50-მდე ინდივიდი), პარკსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ძალზე ხშირია შინაური პირუტყვის დაგლეჯვის ფაქტები. (აღრიცხულია 67 ფაქტი)




ილიას უნივერისტეტის მიერ წარმოებს ზღვის ძუძუმწოვრების მონიტორინგი. აღირიცხა 3 ერთეული თეთრგვერდა გამორიყული დელფინი ფოთში,მალთაყვის ტერიტორიაზე. ხოლო ღია ზღვაში უშუალოდ ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ მონიტორინგი ვერ ხორციელდება, მაგრამ პარკი აქტიურად თანამშრომლობს ილიას სახ.უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან (ტრენინგები, ერთობლივი მონიტორინგი, კვლევის შედეგების გაცნობა).




კეპ-ის ტერიტორიაზე **სტრატებზე** აღრიცხული ტურას და შველის რაოდენობა ცალკეული უბნებისათვის



საერთოდ გასულ წელთან შედარებით კეპ-ის ტერიტორიაზე საკმაოდ შემცირებულია ტურას რიცხოვნობა, მხოლოდ ზუგდიდის უბანში შეიმჩნეოდა ზაფხულში ტურას გაზრდილი რაოდენობა, მაგრამა ზოგადად -კლება აქაც შეინიშნება. ტურას შემცირების სავარაუდო მიზეზია დაავადება (რეინჯერები ძალზე ხშირად პოულობდნენ მკვდარ ინდივიდებს), საკვების შემცირება (დიდი რაოდენობით ტურა პარკის ტერიტორიიდან გადავიდა მიმდებარე სოფლებში), მგლების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია სავარაუდოდ მისი შემცირება ჭურიის უბანში. შველის რაოდენობა ყველა უბანში გაზრდილია, მაგრამ მის პოპულაციაზე ასევე გავლენა იქონია მგლის რიცხოვნობის ზრდამ. ზოგადად, კეპ-ის ტერიტორიაზე 14540ჰა-ზე ტურას რაოდენობა შეადგენს

4800-მდე ინდივიდს, რაც 1200-მდე ერთეულით ნაკლებია წინა წლის მონაცემებთან შედარებით. შველისა რიცხოვნობა კი 7540 ჰა-ზე შეადგენს 1540 ინდივიდს. შველის რაოდენობა გაზრდილია 1250-მდე ინდივიდით. შველის რაოდენობა უცვლელია ზუგდიდისა და კაცობურის უბანში, 2-3 ინდივიდი)

ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება მოზამთრე ფრინველების მონიტორინგი. სპეციალურად შერჩეული ადგილებიდან (პალიასტომის ტბის სხვადასხვა წერტილი, ფართოწყლის ტბა, დარგოლვის ცენტრი ანაკლია-ჭურიის უბანში) მიმდინარეობდა წყალმცურავ ფრინველებზე მონიტორინგი, გასულ წელთან შედარებით მოზამთრე ფრინველები შედარებით მეტი რაოდენობით იყო და თუ წინა წელს მაქსიმუმი იყო დაახლოებით 10 დღის განმავლობაში, წელს მათი რაოდენობა შედარებით სტაბილური იყო იანვრის დასწყისიდან თითქმის თებერვლის ბოლომდე. გარეული იხვები დიდი ოდენობით გამოჩნდა უკვე უკვე იანვრის დასაწყისში- პალიასტომის ტბაზე აღირიცხა- 4-5-6 იანვარს-10000- მდე ერთეული, 29 იანვარს-13000-მდე, 4 თებერვალი-40000 მდე ერთეული, ძირითადად იყო გარეული იხვი, წითელთავა და სტვენია იხვი,ყვინთია, მელოტა, ასევე მცირე ოდენობით ბატასინი და გარეული ბატი. სამწუხაროდ წელს წითელი ნუსხის სახეობებიდან მცირე რაოდენობით იყო გედები, ხოლო ვარხვების რაოდენობა კი პირიქით გაიზარდა- აღირიცხა-250-მდე ინდივიდი. ყოველწლიურად მცირდება მოზამთრე ფრინველთა რაოდენობა ფართოწყლის ტბაზე, გარეული იხვების მაქსიმალური რაოდენობა იყო- 500-მდე ერთეული. შედარებით სტაბილურია ფრინველთა რაოდენობა ანაკლია-ჭურიის მონაკვეთზე. კერძოდ, 3-6 იანვარს გარეული იხვები-30-35000 ერთეული, 12 თებერვალს 15000-მდე ერთეული. ბევრად მეტი იყო მათი რიცხვი-ზღვის სანაპირო ზოლში-50-60000-მდე.საინტერესოა, რომ ჭურიის უბანში წინა წლებთან შედარებით გაზრდილია ვარხვების რაოდენობა, 21 თებერვალს დაფიქსირდა 130- ინდივიდი (მდ. ჭურიის დელტაზე).


მოზამთრე ფრინველებიდან 15 ოქტომბრიდან პალიასტომის ტბაზე აღინიშნა გარეული იხვები, კერძოდ: 27-28 ოქტომბერს 2500-3000-მდე ინდივიდი,ნოემბრის თვეში ჭურიის უბანში დაფიქსირდა 3 ინდივიდი სისინა გედი, 2000-მდე გარეული იხვი, 8-19 დეკემბერს პალიასტომსა და მიმდებარე ტორფნარებზე 30000-40000 -მდე, ხოლო 22-27 დეკემბერს 8000-მდე გარეული იხვების გუნდი. დეკემბრის თვეში პალიასტომის ტბაზე აღირიცხა 80-მდე ვარხვი (15 დეკემბერს 72 ინდივიდი) და 22 გედი, ასევე ჭურიის უბანში 50-მდე ვარხვი (19 დეკემბერს 30 ცალი), 22 დეკემბერს 24გედი.






კეპ-ის ტარიტორიაზე ყველაზე ხშირად ნანახი ზოგიერთი მოზამთრე წყალმცურავი ფრინველთა საერთო რაოდენობა თვეების მიხედვით.


პალიასტომის ტბა



ფართოწყალი

ანაკლია-ჭურიის უბანი





ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ოქტომბერ- ნოემბრის თვეში პირველად დაფიქსირდა ასე ნაადრევად მოზამთრე ფრინველები. თუ 2015 წელს ფრინველთა რაოდენობა მაქსიმუმი იყო დაახლოებით ათი დღის განმავლობაში, განსაკუთრებით კი იანვრის ბოლო კვირაში, წელს ფრინველთა გუნდები ზამთრის პერიოდში შედარებით სტაბილურად იყო.

ზოგადად, 2016 წელს მოზამთრე ფრინველთა რაოდენობა ყველაზე მეტი იყო პალიასტომის ტბაზე (განსაკუთრებით დეკემბერში). გასულ წელთან შედარებით მცირედით შემცირებულია მათი ოდენობა ჭურიის უბანში, სტაბილურია ფართოწყლის ტბაზე (მცირე რაოდენობითაა).

მუდმივად წარმოებს გადამფრენი ფრინველების იდენტიფიკაცია/მონიტორინგი გადამფრენი ფრინველები ძირითადად მარტის შუა რიცხვებიდან აღინიშნება, მაგრამ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობზე ამ პერიოდში აღინიშნებოდა ძლიერი აცივება და მიგრირებადი ფრინველები პარკის ტერიტორიაზე მცირერიცხოვანი იყო (კრაზანაჭამიას-250-მდე ერთეული, ოფოფი 20-მდე ერთეული დაფიქსირდა ხობის უბანში). აპრილის თვეში პარკის ტერიტორიაზე დაფიქსირდა კრაზანაჭამიების, ქორცქვიტების, კაკაჩების დიდი გუნდები, 70-80 ინდივიდი დღის განმავლობაში.(12 აპრილს ქორცქვიტების 200-მდე ინდივიდი), ოფოფები-განსაკუთრებით ხობის უბან-5-8 ინდივიდი დღეშ. ერთეული ინდივიდების სახით-კირკიტები, შევარდენი, ზღვის კაჭკაჭი,მეჭვავია, წინტალები, მეკენჭიები, პრანწიები,

ჩიბუხელა. ზოგადად მიგრირებადი ფრინველების მრავალფეროვნება მეტი იყო ანაკლია-ჭურიის უბანში.

აგვისტოს მესამე დეკადიდან უკვე დაიწყო მტაცებელ ფრინველთა მიგრაცია. დიდი ოდენობით დაფიქსირდა კრაზანაჭამიები (100-150 ფრთა დღის განმავლობაში), კაკაჩები, კვირიონები, შედარებით მცირე რაოდენობით ჩია და მყივანი არწივები, ქორქცქვიტები, ჭაობის ძელქორები, ოფოფები (განსაკუთრებით ხობის უბანში), ერთეული ინდივიდების სახით მარჯანი, შევარდენი. 26 აგვისტოს (კოლხეთის უბანი), 3 სექტემბერს (სენაკის უბანი) და 14 სექტემბერს ხობის უბანში- დაფიქსირდა კრაზანაჭამიების 2000 დან- 3000-მდე ინდივიდი. სექტემბრის მეორე დეკადაში ხობის უბანში დიდი ოდენობით აღინიშნა კვირიონები-80-100-მდე ინდივიდი დღის განმავლობაში. 12-13 სექტემბერს კი კვირიონების-2000-მდე ერთეული. 4-5 სექტემბერს კაკაჩების გუნდი- (400-500-მდე) კოლხეთის უბანში. 26 სექტემბერს კაკაჩების 80-100-მდე ინდივიდი მდ. ფიჩორის ხეობაში, ასევე 27-28 სექტემბერს 20-მდე ძერა.2-3 ოქტომბერს კოლხეთის უბანში დაფიქსირდა ჭაობის ბოლობეჭედა- 500 მდე, ძერა-700 მდე, კირკიტა-8 ინდივიდი. 12 ოქტომბერს კოლხეთის უბანში ირაო-250-მდე, ანაკლია-ჭურიის მონაკვეთზე-2 გედი. ზოგადად ყველაზე მეტი რაოდენობით იყო კრაზანაჭამიები და კვირიონები (განსაკუთრებით ხობის უბანში).

საერთოდ გასულ წელთან შედარებით კეპ-ის ტერიტორიაზე საკმაოდ შემცირებულია ტურას რიცხოვნობა, მხოლოდ ზუგდიდის უბანში შეიმჩნეოდა ზაფხულში ტურას გაზრდილი რაოდენობა, მაგრამა ზოგადად -კლება აქაც შეინიშნება. ტურას შემცირების სავარაუდო მიზეზია დაავადება (რეინჯერები ძალზე ხშირად პოულობდნენ მკვდარ ინდივიდებს), საკვების შემცირება (დიდი რაოდენობით ტურა პარკის ტერიტორიიდან გადავიდა მიმდებარე სოფლებში), მგლების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია სავარაუდოდ მისი შემცირება ჭურიის უბანში. შველის რაოდენობა ყველა უბანში გაზრდილია, მაგრამ მის პოპულაციაზე ასევე გავლენა იქონია მგლის რიცხოვნობის ზრდამ. ზოგადად, კეპ-ის ტერიტორიაზე 14540ჰა-ზე ტურას რაოდენობა შეადგენს 4800-მდე ინდივიდს, რაც 1200-მდე ერთეულით ნაკლებია წინა წლის მონაცემებთან შედარებით. შველისა რიცხოვნობა კი 7540 ჰა-ზე შეადგენს 1540 ინდივიდს. შველის რაოდენობა გაზრდილია 1250-მდე ინდივიდით. შველის რაოდენობა უცვლელია ზუგდიდისა და კაცობურის უბანში, 2-3 ინდივიდი)

მიმდინარეობს მოზამთრე ფრინველების მონიტორინგი. სპეციალურად შერჩეული ადგილებიდან (პალიასტომის ტბის სხვადასხვა წერტილი, ფართოწყლის ტბა, დარგოლვის ცენტრი ანაკლია-ჭურიის უბანში) მიმდინარეობდა წყალმცურავ ფრინველებზე მონიტორინგი, გასულ წელთან შედარებით მოზამთრე ფრინველები შედარებით მეტი რაოდენობით იყო და თუ წინა წელს მაქსიმუმი იყო დაახლოებით 10 დღის განმავლობაში, წელს მათი რაოდენობა შედარებით სტაბილური იყო იანვრის დასწყისიდან თითქმის თებერვლის ბოლომდე. გარეული იხვები დიდი ოდენობით გამოჩნდა უკვე უკვე იანვრის დასაწყისში- პალიასტომის ტბაზე აღირიცხა- 4-5-6 იანვარს-10000- მდე ერთეული, 29 იანვარს-13000-მდე, 4 თებერვალი-40000 მდე ერთეული, ძირითადად იყო გარეული იხვი, წითელთავა და სტვენია იხვი,ყვინთია, მელოტა, ასევე მცირე ოდენობით ბატასინი და გარეული ბატი. სამწუხაროდ წელს წითელი ნუსხის სახეობებიდან მცირე რაოდენობით იყო გედები, ხოლო ვარხვების რაოდენობა კი პირიქით გაიზარდა- აღირიცხა-250-მდე ინდივიდი. ყოველწლიურად მცირდება მოზამთრე ფრინველთა რაოდენობა ფართოწყლის ტბაზე, გარეული იხვების მაქსიმალური რაოდენობა იყო-500-მდე ერთეული. შედარებით სტაბილურია ფრინველთა რაოდენობა ანაკლია-ჭურიის მონაკვეთზე. კერძოდ, 3-6 იანვარს


გარეული იხვები-30-35000 ერთეული, 12 თებერვალს 15000-მდე ერთეული. ბევრად მეტი იყო მათი რიცხვი-ზღვის სანაპირო ზოლში-50-60000-მდე.საინტერესოა, რომ ჭურიის უბანში წინა წლებთან შედარებით გაზრდილია ვარხვების რაოდენობა, 21 თებერვალს დაფიქსირდა 130- ინდივიდი (მდ. ჭურიის დელტაზე).

მოზამთრე ფრინველებიდან 15 ოქტომბრიდან პალიასტომის ტბაზე აღინიშნა გარეული იხვები, კერძოდ: 27-28 ოქტომბერს 2500-3000-მდე ინდივიდი,ნოემბრის თვეში ჭურიის უბანში დაფიქსირდა 3 ინდივიდი სისინა გედი, 2000-მდე გარეული იხვი, 8-19 დეკემბერს პალიასტომსა და მიმდებარე ტორფნარებზე 30000-40000 -მდე, ხოლო 22-27 დეკემბერს 8000-მდე გარეული იხვების გუნდი. დეკემბრის თვეში პალიასტომის ტბაზე აღირიცხა 80-მდე ვარხვი (15 დეკემბერს 72 ინდივიდი) და 22 გედი, ასევე ჭურიის უბანში 50-მდე ვარხვი (19 დეკემბერს 30 ცალი), 22 დეკემბერს 24გედი.





სექტემბრის თვეში პარკის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი ოდენობით დაფიქსირებული მიგრირებადი ფრინველები



ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა მობუდარი ფრინველების აღრიცხვა. რეინჯერებიდან მიღებული ინფორმაციის შედეგად მობუდარი ფრინველებიდან თითქმის ყველა უბანში დაფიქსირდა ქორი, ძერა, ჭაობის ძელქორი, მიმინო, რუხი წერო, ყანჩა ტყის ბუ, კოდალა. ფსოვი და ალკუნი კი ჭურიის უბანსა და მდ. ფიჩორის ხეობაში.

მუდმივად წარმოებს ფოტომასალის მოპოვება.

კოლხეთის უბნის მე-3 სამცველოს # 1 კვარტალში არსებულ ლაფნის კორომებში ბუნებრივი რესურსების სპეციალისტების მიერ მოხდა მცენარეთა ბიომეტრიული მონაცემებია აღება. ლაფნის მაქსიმალური დიამეტრი იყო 42 სმ, მინიმალური -6 სმ, ხოლი საშუალო კი 16-20 სმ. ზოგადად აქ არსებული კორომის ვარჯი უკვე შეკრულია და ახალი აღმონაცენისათვის არახელსაყრელი პირობებია. 6-8 სმ დიამეტრის მქონე მოზარდი ლაფნის ხეებს დაწყებული აქვთ ხმობის პროცესი. შემდგომი დაკვირვებისათვის მომავალში აღებული იქნება ახალი სანიმუშო ფართობი.

პარკის ადმინისტრაციის დირექტორის 01/17 20 აპრილის ბრძანების თანახმად კეპ-ის ტერიტორიაზე პათოლოგიური გამოკვლევის ჩატარების შესახებ აპრილის ბოლოდან 1


ივლისამდე კეპ-ის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებისა და უბნის რეინჯერების მიერ ჩატარდა ტყის ვიზუალური დათვალიერება. შევსებულ იქნა მავნებლის გაჩენის სიგნალიზაციის ფურცლები და ავადმყოფობათა გაჩენის სიგნალიზაციის შემოწმების აქტები. კოლხეთის უბნის#1 კვარტალში დაფიქსირდა ლაფნის დაზიანების ფაქტი, დაახლოებით - 1000 კვ. მ-ზე. ლაფნის ფოთლები იყო თითქოსდა „დამწვარი“. აღებულ იქნა ნიმუშები და დაზიანების გამომწვევი მიზეზის დადგენის მიზნით გამოსაკვლევად გაგზავნილ იქნა ქ. ბათუმის შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტში.

ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტიდან მიღებული დასკვნის საფუძველზე დაგინდა, რომ ფოთლის სილაქავის გამომწვევია პათოგენი სოკო-Gnomonia sp.

კოლხეთის ფონდის ფარგლებში დაგეგმილი კვლევების კოორდინირება და განხილვა:

1. **პალიასტომის ტბის იხთიოფაუნის** (ასოციაცია „ფლორა და ფაუნა,“- თავმჯ. ა. გუჩმანიძე) განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებმა და კეპ-ის რეინჯერებმა;
2. **შავი ზღვის ვეშაპისნაირთა მონიტორინგის** პროგრამის ტრენინგში აქტიურად მონაწილეობდნენ ბუნებრივი რესურსების სპეციალისტები და კეპ-ის რეინჯერები. ილიას უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფთან ერთად რადენჯერმე განხორციელდა ზღვაზე გასვლა;
3. **ახალი მენეჯმენტის გეგმის განხილვაში (პირველი სამუშაო ვერსია და შუალედური გეგმა)** მონაწილეობა მიიღეს ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებმა.


- **კეპ-ს ზღვის სექტორში არსებული ტერიტორიის იხტიოლოგიურ კვლევაში** მონაწილეობა მიიღეს ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებმა და რეინჯერებმა (სარფი-ანაკლიის მონაკვეთი), ჭერილში ჭარბობდა შავი ზღვის ხონთქარა და ზღვის კატა, ნანახი იქნა კოლხური ზუთხის სულ 26 ეგზემპლარი და ატლანტური ზუთხის ერთი ეგზემპლარი







სექტემბრის თვეში პარკის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი ოდენობით დაფიქსირებული მიგრირებადი ფრინველები



რეინჯერებიდან მიღებული ინფორმაციის შედეგად მობუდარი ფრინველებიდან თითქმის ყველა უბანში დაფიქსირდა ქორი, ძერა, ჭაობის ძელქორი, მიმინო, რუხი წერო, ყანჩა ტყის ბუ, კოდალა. ფსოვი და ალკუნი კი ჭურიის უბანსა და მდ. ფიჩორის ხეობაში.

ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტიდან მიღებული დასკვნის საფუძველზე დაგინდა, რომ ფოთლის სილაქავის გამომწვევია პათოგენი სოკო-Gnomonia sp.

მოწოდებული რეკომენდაციის მიხედვით ვეგეტაციის პერიოდში უნდა ჩატარდეს 1% ბორდოს სითხით 3-4 ჯერ წამლობა.

- პირველი წამლობა-დაავადების პროფილაქტიკის მიზნით უნდა ჩატარდეს გაზაფხულზე;შემდეგი წამლობა ყოველი 2 კვირის შემდეგ;
- შემოდგომაზე ფოთლების დაცვენამდე ან გაზაფხულზე კვირტების გაშლამდე უნდა დამუშავდეს 3% -იანი ბორდოს სითხით.
- ივნისის მეორე ნახევრიდან პარკის მთელ ტერიტორიაზე მეტ-ნაკლები სიხშირით დაფიქსირდა არაფარდა პარკიხვევიას და ზამთრის მზომელას მიერ ხე-მცენარეთა დაზიანების ფაქტი. ენტომავნებლები ძირითადად მატლის სტადიაში იყო.
- აგვისტოს თვეში კოლხეთისა და სენაკის უბანში ამერიკული თეთრი პეპელა მატლის სტადიაში ნანახი იქნა მდ. ფიჩორის მარჯვენა სანაპირო ზოლში მურყნის, თუთისა და მუხის ჯიშის მცენარეებზე. დაზიანების არეალი მცირეა, ასევე სუსტია მცენარეთა დაზიანების ხარისხი.




ადმინისტრაცია უწევს კოლხეთის ფონდის ფარგლებში დაგეგმილი კვლევების კოორდინირებას და განხილვას

- **პალიასტომის ტბის იხთიოფაუნის** (ასოციაცია „ფლორა და ფაუნა,“- თავმჯ. ა. გუჩმანიძე) განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებმა და კეპ-ის რეინჯერებმა.
- **შავი ზღვის ვეშაპისნაირთა მონიტორინგის** პროგრამის ტრენინგში აქტიურად მონაწილეობდნენ ბუნებრივი რესურსების სპეციალისტები და კეპ-ის რეინჯერები. ილიას უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფთან ერთად რადენჯერმე განხორციელდა ზღვაზე გასვლა.
- **ახალი მენეჯმენტის გეგმის განხილვაში (პირველი სამუშაო ვერსია და შუალედური გეგმა)** მონაწილეობა მიიღეს ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებმა.

- **კეპ-ს ზღვის სექტორში არსებული ტერიტორიის იხტიოლოგიურ კვლევაში** მონაწილეობა მიიღეს ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებმა და რეინჯერებმა (სარფი-ანაკლიის მონაკვეთი), ჭერილში ჭარბობდა შავი ზღვის ხონთქარა და ზღვის კატა, ნანახი იქნა კოლხური ზუთხის სულ 26 ეგზემპლარი და ატლანტური ზუთხის ერთი ეგზემპლარი

ადმინისტრაცია ამზადებს ყოველთვიური და კვარტალური ანგარიში წარედგინა კეპ-ის ადმინისტრაციას და სააგენტოს.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

2016 წლის განმავლობაში კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ გასწია სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა. საქმიანობების ძირითად მიზნობრივ ჯგუფებად ითვლება როგორც სასწავლო დაწესებულებები და ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე ეროვნული პარკის ვიზიტორები.

წლის დასაწყისში ადმინისტრაციის თანამშრომლები შეხვდნენ ქალაქის სხვადასხვა სკოლების დირექციის წარმომადგენლებსა და პედაგოგებს, ურთიერთთანამშრომლობის გაგრძელებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებზე მეტი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, რათა მოხდეს მოსწავლეებისა და პედაგოგების უფრო აქტიურად ჩართვა ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში. ჩატარდა ეკო-გაკვეთილი სხვადასხვა თემებზე:

- 5 თებერვალი- „ეროვნული პარკები და ურბანული დაგეგმარება“ (მე-12 საჯ. სკოლა)
- 14-თებერვალი-“ჩვენი მწვანე პლანეტა“ (მე-7 საჯ. სკოლა)
- 4 მარტი-პროექტის „სტუდენტები თვითმმართველობისათვის“ მონაწილეებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია ეროვნული პარკის შესახებ.
- 9 მარტი-„ტყე შეუნახე შვილებსა“(მე-8 საჯ. სკოლა)
- 16-მარტი„ნარჩენები -სასარგებლო თუ საზიანო“ (11 საჯ. სკოლა)
- 29 მარტი-კოლხეთის ეროვნული პარკის რელიქტური ტყეები (მე-7 საჯ. სკოლა)
- 11 აპრილი -„კეპ-ი და ტურისტული პოტენციალი“ (სოფ. ანაკლიის საჯ. სკოლა)
- 21 აპრილი-„წითელი წიგნი დამძიმდა“ (მე-3 საჯ. სკოლა)
- 10 მაისი-„დაცული ტერიტორიები და ტურისტული პოტენციალი“ (მე-8 საჯ. სკოლა)
- 18 მაისი-„პალიასტომის ტბის იხთიოფაუნა“ (მე-12 საჯ. სკოლა)
- 8 ივნისი-„დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა“ (მე-6 საჯ. სკოლა)
- 10 ივნისი-პრეზენტაცია ერ. პარკის შესახებ (წყალტუბოს კერძო სკოლა-„ოცნება“-მე-8-9 კლასი)
- 21ივნისი--პრეზენტაცია ერ. პარკის შესახებ (წყალტუბოს კერძო სკოლა-„ოცნება“-მე-10-11კლასი)
- 24 ივნისი, საკონფერენციო დარბაზში ეკო-საგანმანათლებლო ტურის ფარგლებში სამოქალაქო ოლიმპიადაში, გადაცემა „ეკოვიზიის“ ვიქტორინასა და „ეკო-ვიჟენის“ სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია პარკის შესახებ.

- 27 ივნისი ივნისი-გოგონათა ეკო-ბანაკის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ მინი ლექცია-„ლაშქრობის 10 აუცილებელი წესი
- 28 ივნისი-გოგონათა ეკო-ბანაკის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია პარკის შესახებ
- 7 ივლისი-აჭარის ტელევიზიის მიერ გაკეთდა რეპორტაჟი ეროვნული პარკის „ანაკლია-ჭურიის“ უბნის შესახებ.
- 4 სექტემბერი- რიგით მეორე გოგონათა ეკო-ბანაკის წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია პარკის მნიშვნელობის შესახებ.
- 27-28-29- სექტემბერი- ზღვების დაცვის კვირეული მე-12 საჯ. სკოლაში. ნაჩვენები იქნა კეპ-ის მიერ კოლხეთის განვითარების ფონდის ხელშეწყობით ჩატარებული სამუშაოების ამსახველი ვიდეომასალები შავი ზღვის ძუძუმწოვრებისა (დელფინები) და იხთიოფაუნის შესახებ. ჩატარდა ვიქტორინა, მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, წარმოდგენილ იქნა საინტერესო ინფორმაციები ზღვების შესახებ.
- 28 სექტემბერი-ქალაქის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია კეპ-ის შესახებ.
- 12 ოქტომბერი -„ბერდვოჩინგი“ და მისი ტურისტული პოტენციალი (21 საჯ. სკოლა)
- 21 ოქტომბერი ეკო-სემინარი კეპ-ის შესახებ (მე-3 საჯ. სკოლა)
- 26 ოქტომბერი-ნახატების გამოფენა და კომპიუტერული ხატვა შავი ზღვის თემაზე (მე-4 საჯ. სკოლა)
- 31 ოქტომბერი-შავი ზღვის დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების შეჯამება (მე-4 საჯ. სკოლა)
- 9 ნოემბერი- “წითელი წიგნის“ სახეობები - (კეპ-ის საკონფ. დარბაზი,მე-3 საჯ. სკოლა)
- 25 ნოემბერი-ყაზბეგის ეროვნული პარკის ეკო-კლუბის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია კოლხეთის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების შესახებ.
- 28 ნოემბერი- ქობულეთის მუნიც. სოფ ალამბარის საჯ. სკოლის მოსწავლეებმა დაათვალიერეს პარკის საკონფერენციო დარბაზი, ჩაუტარდათ პრეზენტაცია პარკის შესახებ.
- 29 ნოემბერი-ქ. ფოთის მე-3 საჯ. სკოლის საბაზისო საფეხურის მოსწავლეებმა საკონფერენციო დარბაზში ჩაატარეს ღონისძიება თემაზე: „კოლხეთის ერ. პარკის მცენარეულობა“.
- 5 დეკემბერი-„გლობალურად მოწყვლადი სახეობები და კოლხეთის ტორფნარები“ (მე-11 საჯ. სკოლა მე-9 კლასი).
- 13 დეკემბერი-„ კოლხეთის ტორფნარების უნიკალურობა“ (მე-5 საჯ. სკოლა მე-8 კლ)
- 18 დეკემბერი-„სტუმართმოყვარე ჭაობები“ წმ. ნიკოლოზის სახ. სკოლა 9 მე-7 კლასი)

საველე -პრაქტიკული გაკვეთილი

- 10-11 თებერვალი-საველე პრაქტიკული გაკვეთილი- “მოზამთრე ფრინველების აღრიცხვა“. წმ. ნიკოლოზის სახ. სკოლა-გიმნაზიის მე-7-8 კლასის მოსწავლეები ტელესკოპისა და ბინოკლის საშუალებით რეინჯერებთან ერთად სპეციალური სათვალთვალო ადგილიდან დააკვირდნენ ტბაზე არსებულ ფრინველებს და მოახდინეს მათი აღრიცხვა.
- 1 აპრილი- ფრინველთა დაცვის დღე (მიგრირებად ფრინველებზე დაკვირვება, 21-საჯ. სკოლა)
- 6 აპრილი-მიგრირებად ფრინველებზე დაკვირვება (მე-7 საჯ.სკოლა)
- 4 მაისი-გასვლა მდ. ფიჩორის ხეობაში და ადგილზე მინი ლექცია სტოკჰოლმის უნივერსიტეტის გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის.

- 20 მაისი-გასვლა მდ. ფიჩორის ხეობაში და მინი ლექცია კოლხეთის ტორფნარების შესახებ (ასოციაცია „ ათინათის „ ახალგაზრდული ცენტრის წევრები)
- 22 მაისი-ბიომრავალფეროვნების დღე- (საველე მეცადინეობა ერ. პარკის მიმდებარედ არსებულ ტყე-პარკში) 2 ივლისს პრეზენტაცია პარკის შესახებ და გასვლა მარშრუტზე „პალიასტომის ტბა“ (გადაცემა „ეკო-ვიზიის“ და „ეკო-ვიჟენის“ კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები)
- 29 ნოემბერი- ქობულეთის მუნიც. სოფ. ალამბრის საჯ. სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდათ საველე გაკვეთილი „მოზამთრე ფრინველები“, (სპეციალური გადასახედიდან და სარეინჯეროდან მოსწავლეებმა დააფიქსირეს გარეული იხვები, მელოტები, ჩვამები)

ვიქტორინა

1 მარტი-ეკო-ვიქტორინა, კეპ-ში მოზამთრე ფრინველები (მე-7 საჯ. სკოლა)

20 აპრილი- ეკო- ვიქტორინა „დედამიწის ცხელი წერტილები“ (21-საჯ. სკოლა)

- 22 აპრილი_ეკო ვიქტორინა, შემაჯამებელი ღონისძიება, ეკო-კლუბის „ალბატროსი“ შექმნა (1-ლი საჯ. სკოლა,მონაწილეები: ქალაქის 8 სხვადასხვა საჯ. სკოლის მოსწავლეები)
- 28 სექტემბერი-ეკო ვიქტორინა „უცნაური ზღვები“ (ქ. ფოთის მე-12 საჯ. სკოლა)

მოეწყო სხვადასხვა ეკო-აქციები:

- 1 და 2 მარტს - ქალაქის სხვადასხვა უბანში დაირგო ევკალიპტის, პავლოვნიასა და ნეკერჩხლისა ნერგები. (აქცია გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ ინიციატივით), მონაწილეობა მიიღეს ქალაქის სხვადასვა საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და ეკო-კლუბების წევრებმა.
- 21 მარტს მე-4 საჯ.სკოლის ეზოში დაირგო ჭაობის კვიპაროსის ნერგები.
- 18 აპრილი-მე-3 საჯ. სკოლის წინ დაირგო მოსწავლეთა მიერ გამოყვანილი პეკანის ნერგები
- 19 აპრილი- მე-4 საჯ სკოლის წინ დაირგო ნეკერჩხლის ნერგები
- 19 აპრილი-დასუფთავების აქცია, „მწვანე ყუთების“განთავსება, (მე-3 და მე-4 საჯ. სკოლა)
- 22 აპრილი-აღმაშენებლის ქუჩასა და სკოლა „ბალავარის“ წინ დაირგო ევკალიპტის ნერგები

ასევე დასუფთავების აქციები:

- 1-2-3 ივნისი-გარემოს დაცვის დღესთან დაკავშირებით დასუფთავდა პალიასტომის ტბის სანაპირო ზოლი, ერ. პარკის მიმდებარედ არსებული ტყე-პარკის მონაკვეთი, ზღვის სანაპირო ზოლი (მე-4, მე-11, მე-3, მე-7, მე-12 საჯ. სკოლა)
- 16-17 ივლისი- ქალაქის „ლიდერთა სკოლის“ მონაწილეებს ჩაუტარდათ მინი ლექცია დაცული ტერიტორიების შესახებ და დასუფთავდა პარკის მიმდებარედ არსებული ტყე-პარკის გარკვეული მონაკვეთი.
- 22 სექტემბერი- კამპანია „მწვანე კვირეულში“ “ეიპმ“ ტერმინალის წარმომადგენლებსა და მე-4 საჯ. სკოლის მოსწავლეებთან ერთად დასუფთავდა ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული ზღვის სანაპირო ზოლი.
- 12 ნოემბერი-ბათუმის შ. რუსთაველის სახ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ეკოლოგიის დეპარტამენტის ბაკალავრიატებმა მონაწილეობა მიიღეს პარკის გამწვანებასა (ჰართვისის მუხა, ეკობილიკებთან -სფაგნუმის ხავსები, სამეფო გვიმრები, ხერხა და სხვა) და დასუფთავებაში.

ეკო-ტური

- 3 ივნისი- გასეირნება კაიაკებით ე. წ. „ოქროს ტბაზე“,(ქ. ფოთის საჯ. სკოლების ეკო-კლუბების აქტიური წევრები)
- 10 ივნისი-გასვლა მარშრუტზე-„პალიასტომი ფიჩორი“ (წყალტუბოს მე-5 საჯ. სკოლა)
- 11 ივნისი-გასვლა მარშრუტზე-„პალიასტომი-ფიჩორი“ (ჭიათურის მე-3 საჯ. სკოლა)
- 13 ივნისი-გასვლა მარშრუტზე-„პალიასტომი-ფიჩორი“(ქ. ბათუმის შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის ეკოლოგიის სპეციალობის სტუდენტები)
- 18 ივნისი-გასვლა მარშრუტზე-„პალიასტომი-ფიჩორი“(ქ. სენაკის კერძო სკოლის - „მარიოტა“ მოსწავლეები)
- 19 ივნისი-გასვლა მარშრუტზე-„პალიასტომი-ფიჩორი“(ქ. ბათუმის შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის ეკოლოგიის სპეციალობის სტუდენტები)
- 21 ივნისი--გასვლა მარშრუტზე-„პალიასტომი-ფიჩორი“(ქ.წყალტუბოს კერძო სკოლის „ოცნება“ მოსწავლეები)
- 24-ივნისი- გასვლა მარშრუტზე-„პალიასტომი-ფიჩორი“(გადაცემა „ეკოვიზიის“ ვიქტორინასა და „ეკო-ვიჟენის“ სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები)
- 26-ივნისი-გასვლა მარშრუტზე-„პალიასტომი-ფიჩორი“ (თერჯოლის მუნიც. სოფ. ზედა საზანოს საჯ. სკოლა)
- 12 ივლისი-პრეზენტაცია და გასვლა მარშრუტზე „პალიასტომის ტბა“ (თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები)
- 26 ნოემბერი--გასვლა მარშრუტზე-„პალიასტომი-ფიჩორი“(ყაზბეგის მუნიციპ. საჯარო სკოლის მოსწავლეები)

ჩატარდა მწვანე კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებები:

- 2 თებერვალი-ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის საერთაშორისო დღე-ქალაქის სხავადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებს წარედგინა პრეზენტაცია ერ. პარკის შესახებ, ჩაუტარდათ ვიქტორინა: „ვინ უკეთ იცნობს“-(„კოლხეთის ჭაობების მოზამთრე ფრინველები“). ასევე ნაჩვენები იქნა ფილმი კოლხეთის ჭაობების შესახებ. ღონისძიების შემდეგ მოეწყო გასვლა პალიასტომის ტბის სანაპიროზე, სადაც მოსწავლეებმა რეინჯერებთან ერთად მოახდინეს ტბაზე არსებული მოზამთრე ფრინველების იდენტიფიცირება.
- 21 მარტი - წყლის დაცვის დღე, მოსწავლეებს წარედგინა პრეზენტაცია წყლის დაბინძურებაზე, ასევე მე-6 კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს ლაბორატორიული ცდები წყლის თვისებების შესახებ. (მე-4 საჯ. სკოლა)
- 1 აპრილი -ფრინველთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი საველე გაკვეთილები (სხვადასხვა საჯ. სკოლის მოსწავლეებმა ბინოკლისა და ტელესკოპის საშუალებით მოახდინეს დაკვირვება მიგრირებად ფრინველებზე, 21-ე , მე-7, მე-4 საჯ. სკოლა)
- 18-22 აპრილი-დედამიწის დაცვის დღისადმი მიძღვნილი კვირეული (მოეწყო გამწვანების აქციები, დაირგო ევკალიპტის, პავლოვნიასა და ნეკერჩხლის ნერგები. მე-3, მე-12, მე-4, მე-2,1-ლი საჯ. სკოლა)

- 1-2-3- ივნისი- გარემოს დაცვის დღისადმი მიძღვნილი დასუფთავების აქციები, დასუფთავდა პარკის მიმდებარე ტერიტორია, ზღვის სანაპირო ზოლი (მე-4, მე-11, მე-3, მე-7, მე-12 საჯ.სკოლა)
- 6-ივნისი-გარემოს დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან (#მე-13 ბაღის აღსაზრდელები)

3.1. დაგეგმილი ქმედება: თანამშრომლობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან

შესრულების მიმდინარეობა:

- მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს გამწვანების აქციაში.

მიმდინარეობდა თანამშრომლობა ადგილობრივ არასამთავრობო გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან:

- ორგანიზაცია "ახალგაზრდა რეფორმატორთა" ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს გამწვანების აქციაში.
- კეპ-ის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს „საბუკო"-ს(ბუნების დაცვის საზოგადოება) ორგანიზებულ „ბათუმის ფრინველთა დაკვირვების საერთა შორისო ფესტივალში




- 9 ივლისს ბათუმში ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც სხვადასხვა ორგანიზაციებთან ერთად კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და პარტნიორი არასამთავრებო ორგანიზაცია „დიოსკურიის" წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. შეხვედრის მიზანს პროგრამის არსებულ და პოტენციურ ბენეფიციარ ორგანიზაციებზე დაგეგმილი საპროექტო კონკურსის შესახებ ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა.

  ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამა ევროკავშირის სამეზობლო დახმარების ინსტრუმენტის ფარგლებში ფინანსდება და მიზნად ისახავს ერთობლივი თანამშრომლობის პროექტების დაფინანსებას მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, ტურიზმის, გარემოს დაცვისა და კულტურის სფეროში.

2016 წლის განმავლობასი რეგულარულად ეწყობოდა მოსახლეობასთან შეხვედრები:

12 თებერვალი- პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები შეხვდნენ ზემო ჭალადიდის მცხოვრებთ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია პარკში დაშვებულ და აკრძალულ ქმედებების შესახებ

11-მაისი, სოფ. პატარა ფოთისა და ჭალადიდის მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია ძოვებასთან დაკავშირებით.

16-მაისი, მალთაყვის უბნის მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია თევზჭერის საკითხებთან დაკავშირებით


21 მაისი-ახალი რაონის მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია თევზჭერის საკითხებთან დაკავშირებით

10 ივნისი-ტურისტული სეზონის დადგომასთან დაკავშირებით ანაკლიის უბნის მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია ამ სფეროში მოსახლეობის ჩართულობის შესაძლებლობის შესახებ.

6 სექტემბერი- ფრინველთა მიგრირების სეზონთან დაკავშირებით პატარა ფოთის მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია ნადირობასთან დაკავშირებით

18 ოქტომბერი--ზემო ჭალადიდის მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია ტყე-კაფების გამოყოფასთან დაკავშირებით

დაცული ტერიტორიის განვითარების და მართვის პროცესში ჩართული იყო ადგილობრივი მოსახლეობა და მოხალისეები; 9 აპრილის ქუჩის მცხოვრებლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს გამწვანების ღონისძიებებში, მშვიდობის კორპუსის მოხალისის ორგანიზებით 27-29 ივნისს ერ.პარკის ეზოში მოეწყო გოგონათა ბანაკი .



ღონისძიებები კოლხეთის ეროვნულ პარკში

ეკოტურიზმი

კოლხეთის ეროვნულ პარკის სანაოსნო ტურებს დაემატა ახალი 18-კმ-იანი სანაოსნო მარშრუტი მდინარე ჭურია, სადაც შესაძლებელია ნავებით, კატერითა და კაიაკებით გასეირნება.

კოლხეთის ეროვნულ პარკში მოეწყო საგამოფენო დარბაზი, სადაც ვიზიტორებს საშუალება აქვთ გაეცნონ ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის ნიმუშებს და მიიღონ ინფორმაცია კოლხეთის ეროვნული პარკის მნიშვნელობის, მისი ბიომრავალფეროვნების, ღირსშესანიშნაობებისა და ტურისტული სერვისების შესახებ. ვიზიტორთა ცენტრთან მოეწყო ორი სათევზაო ადგილი, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. კოლხეთის ეროვნული პარკის ტურისტულ სერვისებს დაემატა ღამისთევა ანაკლიის ტურისტულ

თავშესაფარში, ჰოსტელის ტიპის ნომრები ვიზიტორთა ცენტრში, ჭოგრიტის გაქირავების სერვისი, ასევე კატერის, კაიაკებისა და ნავების ტური მდინარე ჭურიაზე.

კოლხეთის ეროვნული პარკის საინფორმაციო ბროშურები გავრცელდა ქ. ფოთის, გრიგოლეთის, ანაკლიის, ქობულეთისა და ქ. ბათუმში არსებულ შემდეგ სასტუმროებში: პრაიმი, Hotel Park Green, პალიასტომი, ანკორი, ანდამატი, ვილა-რეტა, ანაკლია, Palm Beach, Georgian Palace, Leo Grande, Alik, Era Palace, ვოიაჟი, დავითი, ბაკური, მგზავრები (ბათუმი), დავითი, ჩაო, ისტამბული, გალოგრე, აისი, სანაპირო.

ბროშურები კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ გავრცელებულ იქნა ქალაქების - ფოთი, ქუთაისი, ქობულეთი, ბათუმისა და ზუგდიდის - ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებსა და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში.

კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ საინფორმაციო ბროშურები რეგიონული თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალზე, პროექტ "Check in Georgia"-ს ფარგლებში ფოთსა და ბათუმში გამართულ კონცერტებსა და შეკვეთილში მდებარე საკონცერტო დარბაზ Black Sea Arena-ზე გამართული საკონცერტო პროგრამების დაწყების წინ დამსწრე საზოგადოებაში ვრცელდებოდა.

2016 წლის განმავლობაში ინფორმაცია მიეწოდა სხვადასხვა ტურ-ოპერატორებს: „Wonderland", "RBS Travel", „New Georgia", "Go2Georgia", "Global Travel", „ფაზისი-თრევალი"; დამოუკიდებელ გიდებს.

მოეწყო პრეზენტაციები სხვადასხვა ტურისტული სააგენტოების, ქ. ფოთის ტურიზმის განვითარების ცენტრისა და აგრო-ტურისტული ასოციაცია "Korena"-სათვის. მათ მიეწოდათ ინფორმაცია კოლხეთის ეროვნული პარკის ტურისტული სერვისების შესახებ.

საზაფხულო ტურისტული სეზონის განმავლობაში კოლხეთის ეროვნულმა პარკმა ითანამშრომლა შემდეგ ტურ-სააგენტოებთან: „Way to Georgia", "Like Travel", "Travel Studio", "BCS" – Best Caucasian Service, "GTS" – Georgian Travel Service, Prentun Travel, "Resistor Geo", "TBS" – Travel Business Service, "Magari.ge", "TeaRoute", "Iberia Tours Plus", "Living Roots", "Caucasus Travel", "Eco Tours Georgia", "Wonderland".

მათ ასევე გადაეგზავნათ ინფორმაცია კოლხეთის ეროვნული პარკისა და არსებული მომსახურებების შესახებ პრეზენტაციის სახით.

ტურისტული სეზონის დადგომამდე მოხდა საინფორმაციო შეხვედრა ქ. ფოთში არსებული სასტუმროებისა და კვების ობიექტების მეპატრონეებთან. მათ მიეწოდათ ინფორმაცია კოლხეთის ეროვნული პარკის ტურისტულ მომსახურებებში არსებულ სიახლეებზე.

მოეწყო შეხვედრა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების იმ წარმომადგენლებთან, რომლებმაც მოლაშქრეთა ფედერაციის მიერ ორგანიზებულ საქართველოს სალაშქრო რალიში გაიმარჯვეს. პარკის ადმინისტრაციამ გუნდს გამარჯვება მიულოცა. გამოითქვა სურვილი, კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მსგავსი აქტივობის განხორციელების შესახებ.

200 გამოკითხული ვიზიტორიდან უმრავლესობის ასაკი (90 ადამიანი) 26-35 წლებს შორის მერყეობს. გამოკითხულთა შორის ჭარბობს მამაკაცები (106 კაცი). 130 ადამიანი იმყოფებოდა სამოგზაუროდ მეგობრებთან ერთად, 100-თვის ვიზიტის მოტივაციას კოლხეთის ეროვნულ პარკში არსებული ბიომრავალფეროვნება წარმოადგენდა. გამოკითხული 200 ადამიანიდან, უმრავლესობა - 100 ადამიანი სანაოსნო ტურებს ანიჭებს უპირატესობას. 200-დან 173 გამოკითხულისათვის ფასები კოლხეთის ეროვნული პარკის ტურისტულ მომსახურებებზე

დამაკმაყოფილებელია. 170 ადამიანს მიაჩნია, რომ კოლხეთის ეროვნული პარკის ტურისტული ინფრასტრუქტურა კარგ მდგომარეობაშია. გამოკითხულთაგან 182-მა გამოთქვა საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიების მონახულების სურვილი. 64 გამოკითხულისათვის ინფორმაციის წყაროს ინტერნეტი წარმოადგენდა, ხოლო 31 მათგანი მეგობრების რეკომენდაციის შედეგად ესტუმრა კოლხეთის ეროვნულ პარკს. გამოკითხულთაგან 41-მა ინფორმაციის წყაროდ რადიო/ტელევიზია დაასახელა, ხოლო 64-მა - ტურისტული სააგენტოები. გამოკითხულთა უმრავლესობამ (120 კაცი) კითხვაზე - ბუნებაში მოგზაურობისას რას ანიჭებთ უპირატესობას? პასუხად „გადაადგილების საშუალებების არსებობა“დააფიქსირა.

„სად გირჩევნიათ ღამის გათევა?“ - ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხულთაგან 82-მა ადამიანმა უპირატესობა კარავს მიანიჭა, 26-მა - ტურისტულ თავშესაფარს, ხოლო დანარჩენმა 92-მა ადამიანმა ვიზიტორთა ცენტრი ამჯობინა. ტურისტული მომსახურების ხარისხს მაღალ დონედ მიიჩნევს 190 გამოკითხული, 10 ადამიანი თვლის რომ მომსახურების ხარისხი საშუალოა.






კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღო მე-9 საერთაშორისო გამოფენა "EXPO BATUMI 2016"-ის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაში, სადაც კინტრიშის, მტირალას, მაჭახელასა და ქობულეთის ვიზიტორთა სპეციალისტებთან ერთად კოლხეთის ეროვნულ პარკი და სრულიად დაცული ტერიტორიების სააგენტო წარადგინა.


კოლხეთის ეროვნულმა პარკმა ითანამშრომლა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან, რის შედეგადაც „გაიცანი საქართველო“ პროექტის ფარგლებში, ეროვნულმა პარკმა უმასპინძლა მედიატურს „პალიასტომის ტბა“-ზე. პროექტის ფარგლებში შედგა თანამშრომლობა საქართველოს მასშტაბით მაუწყებელ წამყვან ტელეარხებთან.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით 6 სექტემბერს ქ. ფოთში „ფაზისობა 2016“ სახალხო დღესასწაული მოეწყო, სადაც კოლხეთის ეროვნული პარკი საკუთარი კუთხით იყო წარმოდგენილი.

ეტაპობრივად მიმდინარეობდა გამოკითხვა ტურისტებსა და ტურისტულ კომპანიებს შორის:“RBS Travel”, „New Georgia”, “Go2Georgia”, “Global Travel”, “Korena”, „ფაზისი-თრევალი“ „Way to Georgia”, “Like Travel”, “Travel Studio”, “BCS” – Best Caucasian Service, “GTS” – Georgian Travel Service, Prentun Travel, “Resistor Geo”, “TBS” – Travel Business Service, “Magari.ge”, “TeaRoute”, “Iberia Tours Plus”, “Living Roots”, “Caucasus Travel”, “Eco Tours Georgia”, “Wonderland”, “Georgian Holidays”, “Travel Trends”, “VayTraavel”, “Global Business Travel”, “Top Tour”; დამოუკიდებელ გიდებს.

2016 წლის განმავლობაში კოლხეთის ეროვნულ პარკში შემოვიდა 26816 ვიზიტორი. მათგან, ქართველი - 25161, უცხოელი - 1655. ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 43 825 ლარი.





იანვრის თვეში კოლხეთის ეროვნულმა პარკმა უმასპინძლა „ეკო-ტური“ და „Mercy Corps”-ის მიერ ორგანიზებულ გიდების ტრენინგს, რომელშიც ადმინისტრაციის თანამშრომლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

კოლხეთის ეროვნულმა პარკმა 26 თებერვალს უმასპინძლა გერმანიის ელჩს, რომელსაც ჩაუტარდა პრეზენტაცია პარკის შესახებ.

მარტის თვეში კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრმა უმასპინძლა ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“-ს წარმომადგენლებს, რომლებმაც ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და რეინჯერებისათვის ჩაატარეს ტრენინგი, სადაც ისაუბრეს პალიასტომის ტბის იქთიოფაუნისა და ჰიდროფაუნის მონიტორინგზე, თევზჭერის გარემოსდაცვით კონტროლსა და ჰიდრობიოლოგიურ მონიტორინგზე.


მაისის თვეში კოლხეთის ეროვნულმა პარკმა უმასპინძლა სტოკჰოლმის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტებსა და პროფესორებს. რომელთაც, ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ჩაუტარდათ მოკლე პრეზენტაცია კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ.

განახლდა და მოეწყო კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრში არსებული საგამოფენო დარბაზი. გახსნას მას.მედიის წარმომადგენლებთან ერთად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი და დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია


2016 წელს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მთავარი და პრიორიტეტული მიმართულებებია:


- განახლებული მენეჯმენტის გეგმით ოპერირება;
- დაცვის სისტემის გაუმჯობესება;
- ეკოტურიზმის განვითარება და პოპულარიზაცია;
- ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და კონსერვაცია;
- ინფრასტრუქტურის მოვლა – განახლება და განვითარება;
- ეკო - განათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- განახლებადი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება;




2016 წლის მონაცემებით მდგომარეობით განხორციელებულია **3320 ყოველდღიური პატრულირება**, განხორციელდა **217 დაგეგმილი რეიდი**, დასრულებულია რევიზიები. გამოვლენილია 23 სხვადასხვა დარღვევა, შედგენილია **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 19 ოქმი** და **4 სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტი** გადაგზავნილია შესაბამის უწყებაში.

2016 წლის მონაცემებით ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები **49590 ვიზიტორმა მოინახულა:** აქედან **38214 - საქართველოს მოქალაქე, 11376 - უცხოელი.** 2015 წლის მონაცემებთან შედარებით ვიზიტორების საერთო რაოდენობა 2016 წელს **13 % -_ით** გაიზარდა, უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა **30 % - ით**, ხოლო ქართველი ვიზიტორების **8 % - ით**. 2016 წელს **ტურისტული მომსახურეობიდან მიღებულმა თანხამ 43354 ლარი შეადგინა**, რაც 2015 წლის მონაცემებთან (22223 ლარი) შედარებით **95 % - ით მეტია.**







დაცვის განყოფილება

დაცვის განყოფილების მიზანი 2016 წლის განმავლობაში:

- დაცვის განყოფილების მუშაობის გაუმჯობესება - პატრულირების პროგრამის ეფექტურობის გაზრდით და თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით სამართალდარღვევების გამოვლინების პროგრამის განვითარებით;
- ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და კვლევა - მონიტორინგის პროგრამის გაძლიერება;
- არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა - განახლება, ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- განახლებადი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება;

დაცვის განყოფილების მუშაობა 2016 წლის განმავლობაში სამოქმედო გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა, განხორციელდა შემდეგი ქმედებები და ღონისძიებები:

გასული წლების მონაცემების ანალიზის შედეგად: განისაზღვრა ანთროპოგენული ზეგავლენის „ცხელი წერტილები“ - სამართალდარღვევების ტიპების და წელიწადის სეზონების მიხედვით, შედეგად განისაზღვრა ყოველკვირეული საპატრულო მარშრუტები და წარმოებს სისტემატიური პატრულირება უბნებისა და სარეინჯეროების მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში, დაცვის განყოფილების კოორდინირებული ფუნქციონირებისათვის ადმინისტრაციის დეირექტორის მიერ გამოიცა ადმინისტრაციუყლ სამართლებრივი 39 აქტი;

2016 წელს მდგომარეობით განხორციელდა: 3320 ყოველდღიური პატრულირება, პატრულირების დროს ბილიკებზე და გზებზე გავლილმა მანძილმა სულ 122400 კმ. შეადგინა: ცხენით – 13800 კმ, ფეხით – 47900 კმ. და ავტომანქანით 60700 კმ. ადმინისტრაციის მიერ დაიგეგმა და ჩატარდა 217 დაგეგმილი რეიდი.

ინფორმაცია გამოვლენილ და დაფიქსირებულ სამართალდარღვევებზე: 2016 წელის განმავლობაში გამოვლენილია 23 სხვადასხვა დარღვევა, შედგენილია **ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა 18 ოქმი** და **4 სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტი გადაგზავნილია შ.ს.ს ლაგოდეხის სამმართველოში** მათ შორის:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტები:

- 2 (ორი) ოქმი უკანონო ჭრა;
- 14 (ცამეტი) ოქმი ძოვების წესების დარღვევაზე;
- 3 (სამი) ოქმი - ნარჩენებით დაბინძურება;

სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტები:

- 4 (ოთხი) ოქმი ნადირობის წესების დარღვევა;

ყველა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი განხილულია ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოს მიერ: სამართალდამრღვევებზე მისჯილმა სავარაუდო ჯარიმის რაოდენობამ 1676,7 ლარი შეადგინა.

სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტებიდან სასამართლოს მიერ განხილულია 2 საქმე საიდანაც:

- **საქმე 1** - 1 პირი **ზ. ჩიხრაძე (ნაკრძალში ნადირობა და გარეული ღორის მოკვლის ფაქტზე)** ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ძირითადი სასჯელის სახედ დაენიშნა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით და დამატებითი

სასჯელის სახით კონფისკაციას დაექვემდებარა რუსული წარმოების „იჟ-52“ მოდელის ორლულიანი თოფი.

• **საქმე 2 - ი. გოგოლაძე (ნაკრძალში ნადირობა და ჯიხვის მოკვლის ფაქტზე)** ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ძირითადი სასჯელის სახედ დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წელი, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64 მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობითი მსჯავრად და გამოსაცდელ ვადად დაენიშნა 2 წელი, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ნადირობის უფლების ჩამორთმევა 2 წლის ვადით და კონფისკაციას დაექვემდებარა რუსული წარმოების „ბ“ მოდელის ორლულიანი სანადირო თოფი.

• **საქმე 1** - 1 პირი **ს. ცუცქირიძე (ნაკრძალში ნადირობა და ჯიხვის მოკვლის ფაქტზე)** ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ძირითადი სასჯელის სახედ დაენიშნა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ნადირობის უფლების ჩამორთმევა 2 წლის ვადით და კონფისკაციას დაექვემდებარა რუსული წარმოების „ტოზ -53“ მოდელის ორლულიანი სანადირო თოფი.

2016 წლის 6 იანვარს ანტი-ბრაკონიერული ღონისძიების შედეგად ლაგოდეხის ნაკრძალის ტერიტორიაზე დაკავებულ იქნა 2 სამართალ დამრღვევევი, რომელთაც აღმოაჩნდათ ნანადირევი გარეული ღორი (ტახი) და 1 სანადირო თოფი. სასამართლოს მიერ ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილით,

2016 წლის 7 აგვისტოს მდ. შრომის ხეობაში განხორციელდა ანტიბრაკონიერული ღონისძიება, ბრაკონიერების 2 კაციანმა ჯგუფმა მოახერხა ტერიტორიის „ნანადირევით“ დატოვება, რეინჯერების მიერ მოხდა სამართალდამრღვევების ამოცნობა და შ.ს.ს. ლაგოდეხის სამმართველოს მიერ განხორციელებული სწრაფი რეაგირების შედეგად სამართალდამრღვევების სახლიდან ამოღებულ იქნა 1 ნანადირევი ჯიხვი. სასამარტლოს მიერ 2 ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილით,

2016 წლის 8 აგვისტოს ანტიბრაკონიერული ღონისძიების ფარგლებში ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების რეინჯერების მიერ მოწყობილი იქნა „ჩასაფრება“, ჩასაფრებაში ბრაკონიერების 4 კაციანი ჯგუფი მოყვა, ბრაკონიერები იყვნენ ნიღბებით და იარაღით, მათ წინააღმდეგობა გაუწიეს რეინჯერებს იარაღი მიუშვირეს და ქვები დააგორეს, ქვათა ცვენის დროს რეინჯერი გიორგი გელაშვილს დაგორებული ქვა თავში მოხვდა და დააზიანა. რეინჯერებმა ანტიბრაკონიერული ღონისძიება შეწყვიტეს დაზიანებული რეინჯერი გადაყვანილ იქნა ლაგოდეხის საავადმყოფოში, ხოლო აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაიწყო შ.ს.ს. ლაგოდეხის სამმართველომ.

ქმედება 2 - რევიზიების ჩატარების უზრუნველყოფა:

2016 წელის საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია გეგმიური საგაზაფხულო, სასემოდგომო და 2 საკონტროლო რევიზია. რევიზიების შედეგად სულ გამოვლინდა უკანონოდ მოჭრილი 36 ძირი სხვადასხვა სახეობის ხე, საერთო მოცულობით 3.57 მ^3, გარემოზე მიყენებულმა ზიანმა სანიხრე ღირებულებასთან ერთად შეადგინა 526.75 ლარი (სანიხრე ღირებულება – 65.05 ლარი, ზიანი – 461.7 ლარი).

ქმედება 3 ტყეკაფები:

2016 – 2017 წ. წ. ზამთრის თბობის სეზონისათვის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაზე გაიცა 1691.42 მ^3 საშეშე მერქანი. ტყეკაფები ათვისებულია წესების სრული დაცვით და დახურულია.

ქმედება 5 – რეინჯერთა სწავლებები და ფოტომახეების გამოყენება სამართალდამრღვევების მიმართ: 2016 წელს საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 5 ტრენინგ კურსი: "ჯპს ნავიგატორი და ველზე ორიენტირება", "კანონი და კანონაღსრულება", "ფოტომახეები და ფოტომახეებით მონიტორინგი", „ეკო ტურისტული ბილიკების, სერვისები და მომსახურეობა", აღმოსავლეტ კავკასიური ჯიხვის აღრიცხვის და მონიტორინგის მეთოდები;

ქმედება 5.1 – ფოტომახეების გამოყენება: გასული 2015 წლის მონაცემების განხილვის და ანალიზის შედეგად რეინჯერებთან ერთად განისაზღვრა "ბრაკონიერობის" ბილიკები, სანადირო ადგილები სეზონების მიხედვით, შეირჩა ფოტოხაფანგებისთვის ოპტიმალური ადგილები.
არსებული ფოტოხაფანგებს და მის აქსესუარებს ჩაუტარდა დათვალიერება, გამოიკვეთა საჭიროებები.





სურათზე: სწავლების მსვლელობა;

ქმედება 5.1 – ფოტომახეების გამოყენება: გასული წლების მონაცემების განხილვის და ანალიზის შედეგად რეინჯერებთან ერთად განისაზღვრა "ბრაკონიერობის" ბილიკები, სანადირო ადგილები სეზონების მიხედვით, შეირჩა ფოტო ხაფანგებისთვის ოპტიმალური ადგილები.
2016 წლის საანგარიშო პერიოდში მდგომარეობით ფოტო მახეების დახმარებით გამოვლინდა 3 სამართალდამრღვევი.

<u>სამეცნიერო საქმიანობა</u>

2016 წლის საანგარიშო პერიოდში არასისტემატური მოვლენების: ზვავები, წყალმოვარდნებიs და სხვა ფაქტორები არ დაფიქსირებულა.
ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისათვის მსხვილი ძუძუმწოვრებიდან შერჩეულია "საკვანძო სახეობები" და სპეციალური "საველე ფორმების" დახმარებით სისტემატიურად მიმდინარეობს საქართველოს წითელ ნუსხაში შეყვანილი მსხვილი ძუძუმწოვრების (აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი, კეთილშობილი ირემი, დათვი და სხვ) აღრიცხვა, რომლის დროსაც ფიქსირდება კვალი, ექსკრემენტი, სარწყულებლები და სხვა ნიშნები. ფიქსირდება მათი სივრცული და სეზონური გავრცელება.

ფლორის მონიტორინგის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მლოკოსევიჩის და ლაგოდეხის იორდასალამის თითო თითო ახალი ლოკაცია გამოვლინდა.

სისტემატიურად მიმდინარეობს ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე არსებული და გავრცელებული ლანდშაპტის, ფაუნისა და ფლორის შესახებ ფოტომასალის შეგროვება. ფოტოარქივი შეიქმნა და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში გადაიგზავნა.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად მიმდინარეობს "სახელმწიფო სტატისტიკური ფორმა"-ით გათვალისწინებული ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და სტატისტიკურ ფორმებში შეტანა. საანგარიშო პერიოდში დაცული ტერიტორიების სააგენტოში წარდგენილია 2016 წლის სატატისტიკური მასალები.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია აქტიურად იყენებს ფოტომახეებს ბრაკონიერების და მსხვილი ძუძუმწოვრების კვლევისათვის.


საანგარიშო პერიოდში აქტიურად ველზე ფუნქციონირებდა 36 ფოტოხაფანგი, მოპოვებულ იქნა 2400 მეტი ფოტო და 1600 ვიდეო ფაილი, სადაც დაფიქსირებულია: ჯიხვი, ირემი, დათვი, მგელი, შველი, ფოცხვერი და გარეული ღორი. მრავალი წლის შემდეგ პირველად 2016 წელს რეინჯერების და ვიზიტორების მიერ ირმის რამდენიმე ჯგუფი ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების „ბარის" ტყეებში, მაწიმი, რაჭისუბანი,მდ. ლაგოდეხის ხევის ჭალა დაფიქსირდა. ასევე მათი აღბეჭდა მოხდა ფოტომახის მიერ 450 – 500 მ.ზ.დ.




სურათზე: ფოტომახით გადაღებული სურათები

დასრულდა ლაგოდეხის აღკვეთილის საძოვრების მენეჯმენტის გეგმის მომზადება, აუდიტის მიერ შეფასებულია საიჯარო თანხა. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გაგზავნილია წერილი საძოვრების იჯარით გაცემასთან დაკავშირებით.

2016 წელს მყვირალობის პერიოდში ჩატარდა ირმების აღრიცხვები. შედეგად მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ლაგოდეხის ნაკრძალსა და აღკვეთილში ბინადრობს მინიმუმ 360 ირემი. სახეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე დაახლოებით 2,25 ინდივიდს შეადგენს, ხოლო სქესთა შეფარდებაა 1 მამრი / 4.7 მდედრზე. ლაგოდეხის ნაკრძალისა და აღკვეთილის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ირმის ჰაბიტატის ფართობი დაახლოებით 160 კმ^2-ია. ლაგოდეხის აღკვეთილის და სახ. ნაკრძალის ტერიტორიაზე ბინადრობს საქართველოს ირმის პოპულაციის "ბირთვული" ნაწილი, დაახლოებით 50 %, შესაბამისად ეს ტერიტორია საქართველოში ირმის სახეობის შენარჩუნების და კონსერვაციისათვის ძალზედ მნიშვნელოვან საიტს წარმოადგენს.




აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვის აღრიცხვა 2016 / 2017 - კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მხარდაჭერით, სახეობათა კონსერვაციის ცენტრ „NACRES"-თან ერთად დაიწყო ჯიხვის აღრიცხვის პროგრამა. 2016 წელს - ჩატარებული აღრიცხვების შედეგად, ირკვევა რომ, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე მინიმუმ 600 აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი ბინადრობს. ბოლო წლებში დაცვის სისტემის გაუმჯობესების შედეგად ჯიხვის პოპულაციის რიცხოვნობა სტაბილურად იზრდება, მაგრამ რიცხოვნობა ჰაბიტატების ტევადობასთან შედარებით ბევრად ნაკლებია.



ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია


ეკო – საგანმანათლებლო საქმიანობა – წარმოადგენს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის ნაწილს და ერთ - ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც დაცული ტერიტორიების მიმდებარე მცხოვრები მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობადობის, ეკოლოგიური თვითშეგნების გაძლიერებას ემსახურება.

2016 წელს ლაგოდეხის დაცული ტერიტორების ადმინისტრაციამ ჩაატარა:



სულ ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო: მოსწავლე - 780; სტუდენტი - 310; პედაგოგი - 75; ადგილობრივი მოსახლე - 220; სულ 1385 ადამიანი.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების, ბიომრავალფეროვნების და ეკოტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით მომზადებულია 2017 წლის კალენდარი, რომელიც დაიბეჭდა და დარიგდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში.



ეკოტურიზმი

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის გაცნობისა და პოპულარიზაციის მიზნით Gგანხორციელდა გასვლითი შეხვედრა ქ. თელავისა და ქ. სიღნაღის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებთან. ასევე ქ. ლაგოდეხში, ქ. თელავში და ქ. სიღნაღში არსებულ საოჯახო სასტუმროებთან.

ვიზიტორთა ინფორმირების მიზნით გავრცელდა 2500 რუკა „ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები" ქართულ ენაზე, 1690 რუკა „ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები" ინგლისურ ენაზე, 50 რუკა სხვადასხვა დაცული ტერიტორიების შესახებ და 41 ფრინველების სარკვევი.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე დაინერგა აქტიური დასვენების ყველაზე ახალგაზრდა სახეობა „ჯეოქეჩინგი", რომელიც გულისხმობს სამალავების სისტემების ძებნას, თანამგზავრული სანავიგაციო სისტემების დახმარებით.






ამა წლის 12-13 ივნისს ა.ი.პ ,,კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის" ორგანიზებით ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით ჩატარდა საოჯახო და კერძო ტიპის სასტუმროებისათვის ტრენინგ - სემინარი ,,სასტუმროების საქმე და მომსახურეობის უნარ - ჩვევები".

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე განახლებული ვიზიტორთა ცენტრი და სასტუმროს შენობა გაიხსნა. სასტუმროში სულ 7 სხვადასხვა ტიპის ნომერია, ვიზიტორებს საშუალება აქვთ სტანდარტული, ლუქსის და ჰოსტელის ტიპის ოთახებით ისარგებლონ. სასტუმროში გათვალისწინებულია შშმ პირებისათვის ადაპტირებული ნომერიც. სასტუმრო იჯარით გაიცა, მასში მოეწყო ღია და დახურული კაფეები, ვიზიტორთა ცენტრთან მოეწყო საპიკნიკე ადგილიც.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე შავი კლდეების ტბის მარშრუტს დაემატა 10 კმ-იანი მონაკვეთი და გადაკეთდა წრიულ მარშრუტად, რამაც გაზარდა გამტარუნარიანობა.



ორგანიზაცია GLEN - ის პროგრამის ფარგლებში ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებს სამი მოხალისე ესტუმრა, რომლებიც სამი თვის განმავლობაში ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად აწარმოებენ ეკოტურიზმისა და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო 2016 წლის 26 აგვისტოს "სოფლის თანამონაწილეობითი განვითარება საქართველოში" პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში. ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი ორი საგრანტო განაცხადი ,,ბუნების შემეცნებითი ბილიკის განახლება და გერემოსდაცვითი განათლების პოპულარიზაცია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში" და ,,შავი კლდეების ტბის ბილიკის თანამედროვე სტანდარტებით გეგმარება, მოწყობა და მონიშვნა" შერჩეულ იქნა შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად.

მომზადდა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ტურიზმის განვითარების გეგმა.

შედგა სამუშაო შეხვედრა დაცული ტერიტორიების თანამშრომლებს და რეგიონში არსებული სასტუმროების მეპატრონეებს შორის. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა არსებული სერვისის შეფასება, ნაკლოვანებების გამოვლენა და მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესება.

ვიზიტორების სრული ინფორმირების მიზნით მომზადდა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებზე არსებული ბილიკების დეტალური აღწერილობა.

მომზადდა მონაცემთა ბაზა, რომელიც საინფორმაციო ფოლდერის სახით გამოიყენება ვიზიტორების მიერ და მოიცავს რეგიონში არსებული საოჯახო ტიპის სასტუმროების, კვების ობიექტების, ღირშესანიშნაობებისა და ტრანსპორტის განრიგის შესახებ ინფორმაციას.

2016 წ. მონაცემებით ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები 49590 ვიზიტორმა მოინახულა, აქედან 38214 საქართველოს მოქალაქე, 11376 კი უცხოელი ვიზიტორი იყო.

2015 წლის მონაცემებთან შედარებით ვიზიტორების საერთო რაოდენობა 2016 წელს 13% - ით გაიზარდა, უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 30 % - ით, ხოლო ქართველი ვიზიტორების რაოდენობა 8 % - ით. ტურისტული მომსახურეობიდან მიღებული თანხა შეადგენს 43354 ლარს, რაც 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით 95%-ით არის გაზრდილი.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკა 2015-2016 წწ.

Lagodekhi Protected Areas Visitors' Statistics 2015-2016







ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2015 – 2016 წწ.














მარიამჯვარის ნაკრძალის ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

შედგენილია რეიჯერთა ინდივიდუალური პატრულირების გრაფიკები (დირექტორის 2012 წლის 11 ივნისის №4 ბრძანება). სეზონურობის მიხედვით მარიამჯვრის ნაკრძალში ხდება მარშრუტების კორექტირება. ზამთრის პერიოდში კვ.№1-2-3-ში მოძრაობა ყველანაირი საშუალებით შეუძლებელია და პატრულირება ხორციელდება სოფლების მიმდებარე ტერიტორიებზე.

გასული წლის მარტის თვეში შედგენილი იქნა ახალი სამანქანე-საპატრულო მარშრუტები. შედგენილია 3 ძირითადი მარშრუტი და დატანილია რუკაზე. მასალები გადმოგზავნილია სააგენტოში.

მ.წ. იანვრისა და აგვისტოს თვეებში ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული იქნა ტრენინგები. რეინჯერებს მიეწოდათ ინფორმაცია ოქმის შედგენისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესახებ. ამ დარღვევებთან დაკავშირებულ კანონაღსრულებასთან.

ყოველი თვის დასაწყისში რეინჯერებს ურიგდებათ დირექტორთან შეთანხმებული და დამტკიცებული საპატრულო გეგმა-გრაფიკები და ამასთანავე, იგზავნება სააგენტოში.

GPS ხელსაწყოს გამოყენებით გასულ წელს შედგენილია და სააგენტოში გადმოგზავნილია საპატრულო მარშრუტები.

საგაზაფხულო რევიზიების ჩატარება გაზაფხულზე თოვლის აღებისთანავე ან ტყის გაფოთვლამდე

შესაბამისი ბრძანების საფუძველზე (ბრძანება #1, 10 მარტი 2016 წელი) ჩატარებული იქნა, **საგაზაფხულო გეგმიური და საკონტროლო** რევიზიები. მასალები გადმოგზავნილია სააგენტოში.

შესაბამისი ბრძანების საფუძველზე (ბრძანება #3, 15 ნოქტომბერი 2016 წელი) ჩატარებული იქნა, **საშემოდგომო გეგმიური და საკონტროლო** რევიზიები. მასალები გადმოგზავნილია სააგენტოში.

გაკეთდა ტყეკაფების გამოყოფისა და ათვისების ანალიზი და განისაზღვრა არსებული საშეშე მერქნის მარაგები.

აღკვეთილებში განისაზღვრა ის კვარტლები და უბნები, სადაც შესაძლებელია ტყეკაფების გამოყოფა.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და მოსახლეობასთან შეხვედრებზე განისაზღვრა მოსახლეობის სავარაუდო მოთხოვნა საშეშე მერქანზე, რომლის რაოდენობამაც შეადგინა 180 მ^3

დათვალიერებული იქნა გამოსაყოფი ტყეკაფები და შედგენილი იქნა შესაბამისი აქტები.

ყორულის აღკვეთილის #8-14-15 გამოყოფილია სოც. ჭრის ტყეკაფები 120 მ^3 საშეშე მერქნის ოდენობით, იორის აღკვეთილში - 61 მ^3 .

2016 გაცემულია 5 მ^3 საშეშე მერქანი.

სახანძრო ტექნიკა ადმინისტრაციას არ ერიცხება. ჩვენს ბალანსზე არსებული 2 კომპლექტი სახანძრო აღჭურვილობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და ვარგისია გამოსაყენებლად.

2016 წლის 1 ივლისის # 2 ბრძანებით, ხანძრსაშიშ პერიოდში გაძლიერებულია მეთვალყურეობა, შემოღებულია 24 საათიანი მორიგეობა.

მიმდინარე წლის 27 იანვარს გამართულ ტრენინგზე რეინჯერებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებით. აღნიშნული ქმედება რეგულარულ ხასიათს ატარებს და ტარდება ყოველი წლის დასაწყისში.

ხანძრსაშიშ პერიოდში, ადგილობრივ მოსახლეობასთან, ფერმერებთან და მწყემსებთან ტარდება პრევენციული საუბრები.

შედგენილია მოულოდნელი შემოწმების გეგმები. ადმინისტრაციის სულ ჩატარებულია 63 რეიდი, დარღვევები არ გამოვლენილა.

2016 წლის განმავლობაში გამოვლენილია სულ: 16 გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევა, აქედან 7 ძოვება, 5 ნადირობის წესების დარღვევა და 4 ტყის უკანონო ჭრა.

2016 წლის განმავლობაში გაცემულია სულ: 5 $მ^3$ საშეშე მერქანი

სამეცნიერო საქმიანობა

2016 წლის იანვარში მომზადდა და სააგენტოს წარედგინა 2015 წლის „ბუნების მატიანე“. სრულდება 2016 წლის „ბუნების მატიანე“-ზე მუშაობა.

მარიამჯვრის ნაკრძალის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე მეტეოსადგური ან მსგავსი მოწყობილობა არ არსებობს. უახლოესი მეტეოსადგური მდებარეობს ქ. საგარეჯოში, რომელიც ნაკრძალიდან დაშორებულია 5 კმ-ით და ყორუღის აღკვეთილიდან 15 კმ-ით. მიმდინარე წლის განმავლობაში გვქონდა შეხვედრა სადგურის ადმინისტრაციასთან, რა დროსაც შევთანხმდით მასალების გადმოცემაზე, რომლებიც წარმოდგენილი იქნება წლის ბოლოს შემაჯამებელი ცხრილის სახით.

წლის განმავლობაში, უხვთოვლიანობას და წყალდიდობებს ადგილი არ ჰქონია. აგრეთვე არ დაფიქსირებულა ძლიერი ქარების არსებობა. რაიმე არასისტემური მოვლენების შემთხვევაში დამატებით გაცნობებთ.

ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ წარმოებს ფოტოხაფანგების განთავსება, როგორც მარიამჯვრის ნაკრძალში, ასევე ყორუღისა და იორის აღკვეთილებში. ფოტოხაფანგებით და ფოტოაპარატით მოპოვებული მასალა (ვიდეო; ფოტო.) ეტაპობრივად იგზავნება სააგენტოში და ინახება მარიამჯვრის ნაკრძალის არქივში.

მიმდინარეობსცენოზების/ ჰაბიტატების და ეკოსისტემების მონიტორინგი.

მომზადდა, მარიამჯვრის სახ. ნაკრძალის (მარიამჯვარი, ყორუღი, იორი) ტერიტორიაზე გავრცელებული კულტურული მცენარეების სია და გადმოიგზავნა სააგენტოში.

შევსებულია და გადმოგზავნილია 2015 წლის სტატისტიკური ფორმები.

ჩატარდა ფიტოპათოლოგიური გამოკვლევა, როგორც მარიამჯვრის ნაკრძალში, ასევე ყორუღისა და იორის აღკვეთილებში, სადაც მოწყობილი იქნა სანიმუშო ფართობები. გამოკვლევის ძირითადი ამოცანა იყო:

ტყეების პათოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის დადგენა. ტყის ფოთოლმღრნელი და ღეროს მავნებელი კერების გამოვლენა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტყის პათოლოგიური

მდგომარეობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს ტყის დაცვითი ღონისძიებების ჩატარებას.

ყოველი თვის დასაწყისში ხდება ყოველთვიური ანგარიშის წარდგენა და განხილვა ადმინისტრაციის დირექტორთან. განხილვას აგრეთვე ესწრება ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი. განხილვისას კეთდება ანალიზი და მზადდება ანგარიში, როგორც დირექციისათვის, ასევე სააგენტოსათვის.

ადმინისტრაციის მიერ მტელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ინვაზიური სახეობების მონიტორინგი. სამიზნე სახეობებიდან (ამბროზია, კურდღლისცოცხა, ხემყრალა, ცრუაკაცია) მხოლოდ ყორუღის აღკვეთილში არის გავრცელებული ცრუაკაცია (ტყის კულტურები 40-60 წელი), რომლებიც გვხვდება მხოლოდ გაშენებულ ფართობებზე და არ წარმოადგენს ინვაზიურ საფრთხეს.

<u>ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია</u>

2016 წლის განმავლობაში მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის მიერ, მოსახლეობის ეკო-საგანმანათლებლო დონის ამაღლების მიზნით დაგეგმილი იყო შეხვედრები და სემინარების ჩატარება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში.

მიმდინარე წლის იანვრისა და სექტემბრის თვეში საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრში შედგა შეხვედრა ნაკრძალის ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და სკოლის დირექტორებს შორის, სადაც სკოლის დირექტორებს მიეწოდათ ინფორმაცია დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური-საგანმანათლებლო გეგმის შესახებ და შედგა სამოქმედო გეგმები ლექციების, საუბრებისა და სხვადასხვა ღონისძიებების.

ჩატარდა ლექციები თემაზე - „საქართველოს დაცული ტერიტორიები და მათი კატეგორიები“ და დაურიგდათ სხვადასხვა დაცული ტერიტორიების ბუკლეტები, შემდეგ საჯარო სკოლებში: სოფ. გიორგიწმინდის, სოფ. იორმუღანლოს (კაზლარი), სოფ. დუზაგრამის, სოფ. ლამბალოს, საგარეჯოს #2 და #4 საჯარო სკოლები, სოფ. ბადიაურის, სოფ. კაკაბეთის, სოფ. ბოდბის, სოფ. მაღაროს, სოფ. მანავის, სოფ. თოხლიაურის და საგარეჯოს #1 და #3 საჯარო სკოლებში.

14 მარტს (სიცოცხლის, წყლის და მდინარეების დაცვის დღე) და **22 მარტს** (წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე) საგარეჯოს №2 და №4 საჯარო სკოლებში ჩატარდა ლექციები თემაზე: - „საქართველოს უდიდესი ბუნებრივი საგანძური - დაცული ტერიტორიები და მათი კატეგორიები“, ამასთანავე ხაზი გაესვა ყორუღისა და იორის აღკვეთილის მთავარი არტერიის – მდინარე იორის მდგომარეობას და მისი დაცვის საკითხებს.

21 მარტს – ტყის დღესთან დაკავშირებით ადმინისტრაციამ მოაწყო დასუფთავების აქცია მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალში. აქციაში მონაწილეობდა ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი.

<u>22 აპრილს</u> დედამიწის საერთაშორისო დღესთან და ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დღეებთან (19-24 აპრილი) დაკავშირებით საგარეჯოს №1 და №2 საჯარო სკოლის

მოსწავლეებისათვის მარიამჯვრის ნაკრძალში მოეწყო ექსკურსია საგანმანათლებლო ბილიკებზე. ექსკურსიაზე ბილიკის დათვალიერებასთან ერთად ჩაუტარდათ ლექცია-საუბრები ნაკრძალის შექმნის ისტორიასა და მის მნიშვნელობაზე.

22 მაისს ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სოფ. დუზაგრამისა და ლამბალოს საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის (ეთნიკურად აზერბაიჯანელები) მოეწყო ექსკურსია ყორუღის აღკვეთილში. მათ მოინახულეს ხოხბების ვოლიერები და ჭალის მუხის იშვიათი ეგზემპლიერები. პარალელურად ჩაუტარდათ საუბრები ყორუღის აღკვეთილის შექმნის ისტორიასა და მის მნიშვნელობაზე.

1 ივნისს გიორგიწმინდის საჯარო სკოლაში (სადაც სწავლობენ, სოფ. ანთოკსა და სოფ. მარიამჯვარში მცხოვრები ბავშვები) დაწყებით კლასებში ჩატარდა საუბრები რაიონში არსებული დაცული ტერიტორიების შესახებ.

5 ივნისს ყორუღის აღკვეთილში ჩატარდა დასუფთავების აქცია, რომელიც მიეძღვნა გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს და მონაწილეობა მიიღეს ადმინისტრაციისა და შპს „იორის ჭალების“ თანამშრომლებმა, რა დროსაც მოხდა მდინარე იორის ნაპირების გაწმენდა სხვადასხვა ნარჩენებისაგან. (აღნიშნული აქცია ყოველ წელს ტარდება და უკვე ტრადიციულ ხასიათს ატარებს)

27 სექტემბერს ტურიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დაკავშირებით საგარეჯოს #3 და #4 საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის მოეწყო ექსკურსია ყორუღის აღკვეთილში. მათ მოინახულეს ხოხბების ვოლიერები და ჭალის მუხის იშვიათი ეგზემპლიერები. პარალელურად ჩაუტარდათ საუბრები ყორუღის აღკვეთილის შექმნის ისტორიასა და მის მნიშვნელობაზე. აგრეთვე, დაცული ტერიტორიების როლზე და მიშნელობაზე საქართველოში ტურიზმის განვითარების საქმეში.

4 ოქტომბერს - ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სოფ. მანავის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის მოეწყო ექსკურსია მარიამჯვრის ნაკრძალში, სადაც მათ მიიღეს ინფორმაცია ნაკრძალის შექმნის ისტორიასა და მის მნიშვნელობაზე. ამასთანავე, მის როლზე ცხოველთა დაცვის საქმეში, რადგან ნაკრძალი წარმოადგენ ცივ-გომბორის ქედის ნაწილს, ხოლო ცივ-გომბორის ქედი კი არის ცხოველთა მიგრაციის კორიდორი.

10 ოქტომბერს მეტყევის დღესთან დაკავშირებით მოეწყო დასუფთავების აქცია მარიამჯვრის ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე (რეინჯერების სახლთან), სადაც მონაწილეობა მიიღო ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელმა - 10.


ნაკრძალის ადმინისტრაცია თანამშრომლობს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და მათ წარმომადგენლებთან სოფლებში, სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ამსთანავე, აქტიურად არიან ჩართულები მოსახლეობასთან დავების მოგვარების საქმეში.

ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები, მათი ცნობიერების ამაღლება დონე დაცული ტერიტორიების და მათი განსაკუთრებული ფასეულობების, ასევე ადმინისტრაციის მიზნებისა და ქმედებების შესახებ.

ბოდბის, მაღაროს, ანთოკის, მარიამჯვარის, ლამბალოს და იორმუღანლოს სოფლების ადგილობრივ მოსახლეობისათან მოეწყო შეხვედრები, მათი გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით. საუბრები წარიმართა კითხვა-პასუხის რეჯიმში, როგორც დაცული ტერიტორიების მნიშვნელობაზე, ასევე მის დაცვასა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე. სახძარსაში პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების გატარება, კერძოდ, მწყემსებისა და

ადგილობრივი მოსახლეობის გაფრთხილება, ხანძარსაშიში უბნების გამოვლენა და კონტროლზე აყვანა.

აგრეთვე, მოეწყო შეხვედრა ყორულისა და იორის აღკვეთილების მიმდებარე ფერმების მწყემსებთან, რა დროსაც მოხდა მათი გაფრთხილება, რომ დაიცვან ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები. შეხვედრას ესწრებოდა **32** მწყემსი.



ღონისძიებები მარიამჯვარის აღკვეთილში

მაჭახელას ეროვნული პარკი

დაცვის განყოფილება

მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების მიერ ეტაპობრივად მიმდინარეობს 2016 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ქმედებების შესრულება:

მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ყოველი თვის ბოლოს რეინჯერებს ბარდება მომდევნო თვის ყოველდღიური პატრულირების მარშრუტის განმსაზღვრელი ცხრილები, რომლის მეშვეობითაც კონტროლდება რეინჯერთა მიერ საპატრულო მარშრუტებზე გადაადგილების სისწორე და მათი ადგილმდებარეობა, რომელიც უზრუნველყოფს რეინჯერების პასუხისმგებლობის ამაღლებას და სამართალდარღვევების დროულად გამოვლენას. იდენტიფიცირებულ იქნა ანთროპოგენური ზეგავლენის მქონე ადგილები სამართალდარღვევის ტიპების განსაზღვრით.

რეინჯერთა ტრენინგები კანონაღსრულებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის 30 იანვარს კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში ჩატარდა ტრენინგი „ველურ ბუნებაზე დაკვირვების ტური“ ეკო-ტურიზმის მიმართულებით. ტრენინგში მონაწილეობდა მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ვიზიტორთა მომსახურეობის უფროსი სპეციალისტი და ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი.მიმდინარე წლის 7-11

აპრილის ჩათვლით გაეროს განვითარების პროგრამის UNDP (GEF) - ის მხარდაჭერით გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილებასა და მტირალას ეროვნული პარკის ქედის უბნოს რეინჯერებს ტრენინგ-კურსი ჩაუტარა თემაზე „ საქართველოს დაცული ტერიტორიების ტყეებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და შემდგომი რეაგირება“. მონაწილეებმა თეორიული და პრაქტიკული წრთვნა გაიარეს.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა დაცული ტერიტორიების კანონაღსრულების სფეროში ჩართული თანამშრომლებისთვის, როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავება, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამყარების ხელშეწყობა. ტრენინგის დროს მონაწილეებს საველე გასვლები ჰქონდათ, სადაც გათამაშდა სამართალდარღვევის ფაქტი და მისი მოკვლევა, შემდეგ კი მოეწყო იმიტირებული სასამართლო. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს სერთიფიკატები გადაეცა.

მიმდინარე წლის 26 ივნისს დაცვის განყოფილების თანამშრომლებს დაცვის განყოფილების უფროსისა და ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტის მიერ ჩაუტარდათ სასწავლო სემინარი შემდეგ თემებზე: საქართველოს დაცული ტერიტორიები, მნიშვნელობა, კატეგორიები, მართვა,საქართველოს მთავრობის დადგენილება N 242 ტყითსარგებლობის შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება N 46 საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. GPS - ით კოორდინატის აღება.

სწავლების შემდგომ აღნიშნულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით ჩაუტარდათ ტესტირება.მიმდინარე წლის 18-19 ოქტომბერს გაეროს განვითარების პროგრამის და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის UNDP-GEF პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვის დახვეწა“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი „პირველადი სამედიცინო დახმარების კურსი“. ტრენინგში მონაწილეობდა მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილება და ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი. ტრენინგი როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილსაც მოიცავდა. მიმდინარი წლის 22 ნოემბერს გაეროს განვითარების პროგრამის და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის UNDP-GEF პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვის დახვეწა“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი „ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურება“. ტრენინგში მონაწილეობდა მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორი, ვიზტორთა მომსახურების სპეციალისტი და ის რეინჯერები, რომელთა სარეინჯეროშიც ტურისტული ბილიკებია მოწყობილი.

მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეებში მაჭახელას ეროვნული პარკის თანამშრომლებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გაიარეს გადამზადების პროგრამა კონფლიქტების მართვისა და კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით იარაღის გამოყენების შესახებ. პროგრამა შედგებოდა 4 მოდულისგან: 1. იძულებითი ღონისძიებების სამართლებრივი საფუძვლების დაცულ ტერიტორიებზე; 2. ტაქტიკური საცეცხლე მომზადება; 3. ვირტუალური ტირი; 4. ფსიქოლოგიური ასპექტები.

საპატრულო მარშუტების შექმნა და დამტკიცება ადმინისტრაციის დირექტორის მიერ.

საპატრულო მარშუტები შეიქმნა და დამტკიცდა დირექტორის მიერ.

GPS ხელსაწყოს მეშვეობით ზუსტი საპატრულო მარშუტების შექმნა (ე.წ. ტრეკის სახით)

GPS ხელსაწყოს მეშვეობით (ე.წ. ტრეკის სახით) მონიშნული და დანომრილი იქნა თითეული სარეინჯეროს საპატრულო მარშრუტები.

საგაზაფხულო და საშემოდგომო რევიზიების ჩატარება.

დაცვის განყოფილების მიერ მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის 31 მარტის N 6 ბრძანებისშესაბამისად ქედქედის და ჩიქუნეთის უბნების სარეინჯეროებში ჩატარებული იქნა გეგმიური (საგაზაფხულო) და 2016 წლის 26 აპრილის ბრძანება N 8-ის შესაბამისად შესაბამისად ქედქედის და ჩიქუნეთისუბნების სარეინჯეროებში ჩატარებული იქნასაკონტროლო (საგაზაფხულო) გეგმიური რევიზიები.საკონტროლო (საგაზაფხულო)

რევიზიები ჩატარებული იქნა ტყეების დაცვის საქმეში გამოვლინებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის, დაცვის თანამშრომლების პასუხისმგებლობის ამაღლების, უნებართვო ჭრების აღკვეთა- გამოვლენის და სხვა დარღვევების თავიდან აცილების მიზნით.

გეგმიური (საგაზაფხულო) რევიზიები ჩატარებული იქნა უფროსი რეინჯერების მიერ, რეინჯერების თანდასწრებით. რევიზიის დროს სხვა რაიმე კანონდარღვევა კომისიის მიერ არ დაფიქსირებულა

საშემოდგომო რევიზიები.

დაცვის განყოფილების მიერ მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის 10ოქტომბრის N 25 ბრძანებისშესაბამისად ქედქედის და ჩიქუნეთის უბნების სარეინჯეროებში ჩატარებული იქნა გეგმიური (საშემოდგომო) და მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება N 27 -ის ბრძანების შესაბამისად ქედქედის და ჩიქუნეთისუბნების სარეინჯეროებში ჩატარებული იქნასაკონტროლო (საშემოდგომო) გეგმიური რევიზიები.საკონტროლო (საშემოდგომო) რევიზიები ჩატარებული იქნა დაცვის განყოფილების უფროსის და ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტის მიერ, უფროსი რეინჯერების თანდასწრებით.რევიზიის დროს სხვა რაიმე კანონდარღვევა კომისიის მიერ არ დაფიქსირებულა

ტყეკაფების გამოყოფისა და ათვისების ანალიზი და საშეშე მერქნითი რესურსების არსებული მარაგის შეფასება.

2015 წელს გამოყოფილ ტყეკაფებიდან 2016 წლისათვის ასათვისებელი დარჩა 1253,92 კბმ. დღეის მდგომარეობით 2016 წელს დამატებით გამოიყო 1220,41 კბმ, საიდანაც 2016 წელში დღეის მდგომარეობით ქედქედისა და ჩიქუნეთის უბნებში ათვისებულია 1164,28 კბმ, ხოლო ასათვისებლად დარჩენილია 1310,05 კბმ.

მიმდინარე წლის 30 ივნისიდან ბრძანება N17-ის შესაბამისად, მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფის მიზნით დღეის მდგომარეობით ქედქედის და ჩიქუნეთის უბნებში გამოიყო II ხარისხის საშეშე ხე-ტყე მოცულობით 1220,41 კბმ.

ტყეკაფის არღიცხვის მასალები წარმოდგენილია ადმინისტრაციაში.

მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაშიქედქედის N 5 სარეინჯეროში 2015 წელში მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი იყო ტყეკაფები N 312-01-0016186, ასევე N 2 სარეინჯეროში: N- 312-01-0016188 და N-312-01-0017163, აღნიშნული ტყეკაფებიდან 2015-2016 წლებში მოხდა სრული ათვისება, აქედან გამომდინარე შედგენილი იქნა ტყეკაფის დახურვის აქტები და მოხდა მისი ატვირთვა მერქნული რესურსების ერთიან მონაცემთა ბაზაში, რის საფუძველზეც მოხდა აღნიშნული ტყეკაფების დახურვა.

დათვალიერებული იქნა უბნებისა და კვარტლების მიხედვით ადგილები, სადაც წინა წლეებში გაიცემოდა ხე-ტყე. დღეის მდგომარეობით ბუნებრივი განახლება ძალიან ნელა მიიმდინარეობს, რაც გამოწვეულია ჭრაგავლილ ტერიტორიაზე გვარცელებული ეკალ-ბარდი, შქერი და წყავი.

ტყეებში არსებული გზების (სახანძრო, საპატრულო, ტრადიციული სარგებლობის და სხვა) მდგომარეობის შეფასება GPS ხელსაწყოს გამოყენებით რუკებზე დატანა.

დათვალიერებული და ტრეკით მონიშნული იქნა პარკის ტერიტორიაზე ძლიერი წვიმების და დიდი თოვლის შედეგად დაზიანებული და ჩახერგილ ტყეკაფებში მისასვლელი არსებული სამანქანე გზები, რომელიც საჭიროებს გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებას, საერთო მანძილი 6900 მეტრი, 24150 კვადრატული ფართობი.

ქედქედისა და ჩიქუნეთის ტყეებში სადაც გამოყოფილია შეშა ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველყოფის მიზნით, ტყეკაფებში მისასვლელი არსებული სამანქანე გზები, რომელიც საჭიროებდა გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებას, გაწმენდილია და შესაძლებელია ტყიდან საშეშე ხე-ტყის გამოტანა რომელთა, საერთო მანძილი შეადგენს 6900 მეტრი, ხოლო ფართობი 24150 კვადრატს. მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ქედქედისა და ჩიქუნეთის უბნების ტყის ზოგიერთ სამანქანე გზაზე ძლიერი წვიმების შედეგად ჩამოწვა დიდი ზომის ქვები და მიწის მასა, რომლებზეც ჩატარებული იქნა გაწმენდითი სამუშაოები.

ხანძრების მართვა

მიმდინარე წლის მაისის თვიდან გაძლიერდა პატრულირება ხანძარსაშიშ ტერიტორიებზე.

დაცვის განყოფილება სისტემატიურად ახდენს შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, კეძოდ ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სასოფლო სამეურნეო სავარგულების მფლობელებთან ხანძრს გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

დაცვის განყოფილების მიერ ეროვნული პარკის ტერიტორიის მიმდებარე სოფლის ცენტრებში თავალსაჩინო ადგილებში გამოკრულია ხანძარსაწინააღმდეგო ჯგუფის სია.

მიმდინარე წლის 02 მარტს დაფიქსირდა ხანძარი ჩიქუნეთის უბნის N2 სარეინჯეროში ხელვაჩაურის ყოფილ სატყეო მეურნეობათშორის სატყეო მეურნეობის ჩხუტუნეთის ტყის უბნის კვ N5 -ში, ტრადიციული გამოყენების ზონაში, ხანძრის შედეგად დამწვარია მიწის ზედაპირზე ჩამოცვენილი ხის ფოთლები, ხმელი ხეების ჩამოტეხილი ტოტები, ძირნაყარი ხმელი ხეები, ხმელი ჯირკები და ეკალ ბარდი სავარაუდოდ 3 ჰქ ტყის ტერიტორიაზე, ასევე ხანძრის შედეგად დაზიანებულია მცირე რაოდენობის მურყნის (თხმელა) სახეობის ხის ძირები და ტერიტორიაზე გავრცელებული ქვეტყე შქერის და წყავის ბუჩქების სახით, დღეის მდგომარეობით ვერ ხერხდება გარემოზე მიყენებული ზიანის დადგენა ვინაიდან მცირე რაოდენობითაა დაზიანებული ხე-მცენარეები და საჭიროებს დაკვირვებას.

მიმდინარე წლის 04 ივლისს დათვალიერებული იქნა ნახანძრალი ტერიტორია სადაც ნათლად ჩანს, რომ იქ არსებულ ხე მცენარეებს და ეკალ-ბარდს, სასიცოცხლო ფუნქცია არ დაუკარგავთ, აქედან გამომდინარე ხე მცენარეების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ბრაკონიერების სანადირო ადგილებისა და მათი გადაადგილების ბილიკების იდენტიფიცირება

დაცვის განყოფილების მიერ შესწავლილი და დადგენილია პარკის ტერიტორიაზე სავარაუდოდ ნადირობისისა და თევზაობისათვის ხელსაყრელი ადგილები და მათი გადაადგილების მარშრუტები, რომელიც GPS ხელსაწყოს გამოყენებით რუკებზე იქნა დატანილი, რომელიტერიტორიებიცადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ მკაცრ კონტროლზეა აყვანილი.

დაცვის განყოფილების მიერ, პარკის სხვადასხვა სარეინჯეროებში მიმდინარეობს ფოტოხაფანგების დამონტაჟება და მათზე მუდმივი კონტროლი.ფოტოხაფანგებით დაფიქსირებულია სხვადასხვა სახის გარეული ცხოველები, კერძოთ: არჩვი- rupicarpa rupicarpa 4 ცალი შველი- capreolus capreolus 9 ცალი მაჩვი - meles meles 5 ცალი ტურა- canis aureu\s 7 ცალი მგელი- canis lupus 4 ცალი გარეულიღორი - sus scrofa 70 ცალი მურა დათვი - ursus arctos 20ცალი კვერნა - martes 3 ცალი ავკასიურიციყვი -Sciurus 5წავი- Lutra lutra 3 ცალი.

ხშირად ტარდება მოულოდნელი რეიდები ქედქედის და ჩიქუნეთის უბნებში სულ ჩატარებულია 81 მოულოდნელი პატრულირება. ასევე გამოვლენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 10 ფაქტი.ყოველი კვარტლის ბოლოს დაცვის განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოები მოხსენებითი ბარათით წარედგინაბა ადმინისტრაციის დირექტორს.

სამეცნიერო საქმიანობა

მომზადდა 2015 წლის "ბუნების მატიანე" იანვრის თვეში წარედგინება სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

არასისტემური მოვლენების ზვავების, წყალდიდობების, წყალმოვარდნებისა და სხვა მოვლენების მონიტორინგის ფარგლებში მიმდინარეობს დაკვირვება პარკის ტერიტორიაზე ზვავსაშიში და მეწყერსაშიში ადგილების. სარეინჯეროებში თებერვლის თვეში ქედქედისს და ჩიქუნეთის სარეინჯეროებში დაფიქსირებულია მოთხრილ - მოტეხილი სხვადასხვა სახეობის ხეები, დაწყებულია ტყეკაფების აღრიცხვითი სამუშაოები. ძლიერი წვიმების შედეგად დაზიანდა გარკვეულ უბნებში ტყეში შესასვლელი სამანქანე გზები. სხვა არასისტემურ მოვლენებს მათ შორის წყალდიდობებს და წყალმოვარდნებს ადგილი არ ქონია.

სხვადასხვა კვარტლებში ხშირად ფიქსირდებოდა წითელი ნუსხის ცხოველები, როგორც ვიზუალურად, ასევე სხვადასხვა ნიშან-თვისების კვალებით, მურა დათვი. აღნიშნულზე მონიტორინგი გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. ასევე დაფიქსირებულია შველის, გარეული ღორის და მგლის მრავალი კვალი. ქედქედის უბნის 5 სარეინჯეროს კვ.19-ში ფოტოხაფანგის საშუალებით დაფიქსირდა 2 შველი. ნ 4 სარეინჯეროს ნ კვ 1-ში. 1 ტურა და ჩიქუნეთის უბნის ნ 7 სარეინჯეროს კვნ 23-ში 1-თი გარეული ღორი. კვალის აღრიცხვის მეთოდით პარკის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია: 12-დათვი, 10-კვერნა, 25-შველი, 35-ღორი, 40-ტურა, 8-მაჩვი. 15-ციყვი, 5 კვერნა.

საქართველოს ,,წითელი ნუსხის" მერქნიანების მონიტორინგი იგეგმება მიმდინარე წლის აპრილის თვიდან.

ფოტოაპარატით და ფოტხაფანგით შეგროვებული ფაუნას და ფლორის ფოტო მასალები ინახება ადმინისტრაციაში და წარედგინება მოთხოვნათა შესაბამისად დაცული ტეროტორიების სააგენტოს.


ადმინისტრაციის მიერ მომზადებული იქნა კვარტალური, 6 თვის, 9 თვის და წლის ანგარიშები და გაკეთდა შესრულებული საქმიანობის ანალიზი.



ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა ფიტოპათოლოგიური გამოკვლევები. მაჭახელას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ქედქედის უბნის ნ4 სარეინჯეროს ხელვაჩაურის ყოფილი სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის აჭარისწყლის ტყის უბნის კვარტალ ნ 16-ში, რომელიც მიეკუთვნება ტრადიციულ ზონას, დაფიქსირდა კოლხური ბზის (ბუხუს ცჰოლცჰიცა) ფოთლებზე მოყვითალო წერტილოვანი ლაქები. რაც შეეხება ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტიდან მიღებული იქნა დასკვნა, რომელიც გადაგზავნილია სააგენტოში.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ მიმდინარე წლის 3 მაისს ჩატარდა ეკო-საგანმანათლებლო ლექცია ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში. სემინარის მთავარი თემა იყო საქართველოს დაცული ტერიტორიები და კატეგორიები, დაშვებული და აკრძალული ქმედებები, დაცული ტერიტორიების როლი ბუნების დაცვაში, ასევე მაჭახელას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნება, ღირსშესანიშნაობები და ეკო-ტურისტული პოტენციალი.





მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ვიზიტორთა მომსახურების უფროსმა სპეციალისტმა და ბუნებრივი რესურსების უფროსმა სპეციალისტმა მაჭახელას ხეობაში, მიმდებარე სოფლებსა და ქ. ბათუმში არსებულ საჯარო სკოლებში ეკო-გაკვეთილები ჩაატარეს. ეკო-გაკვეთილი სულ ჩატარდა 11 საჯარო სკოლაში.

მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ მოეწყო 5 დასუფთავების აქცია. ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქედქედის საჯაროს სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე და მდ. მაჭახელას გასწვრივ ზოლზე.

მიმდინარე წლის 25 აპრილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებს ჩაუტარდათ შემეცნებითი ლექცია-სემინარი.




მიმდინარე წლის 21 მაისს მაჭახელას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ქოქოლეთის ბილიკზე მოეწყო ეკო-ტურები. ეკო-ტურში მონაწილეობდნენ შაჰინის სკოლის 12 მოსწავლე და 4 პედაგოგი და ტურისტული სააგენტოს „Bon Voyage” -ის ტურით ბათუმის „მასტერკლასის“ 12 მოსწავლე.

მიმდინარე წლის 15-16 ივნისს მაჭახელას ეროვნული პარკის მთავარანგელოზის ბილიკს დაბა ჩაქვის საჯარო სკოლის 25 მოსწავლე ეწვია. ვიზიტორებმა პირველ დღეს მაჭახელას ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლები მოინახულეს, ხოლო მეორე დღეს მთავარანგელოზის ბილიკზე გავიდნენ, სადაც მაჭახელას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებას გაეცნენ.

მიმდინარე წლის 20 აპრილს თვეში ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დღეებთან დაკავშირებით მაჭახელას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე სოფ. ჩხუტუნეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის ეკო-ტური მოეწყო. მოსწავლეები გაეცნენ მაჭახელას ეროვნული პარკის ფლორას, ფაუნას, ბუნების ღირსშესანიშნაობებს. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მოსწავლეებს ჩაუტარდათ შემეცნებითი ლექცია/სემინარი.




მიმდინარე წლის 25 მაისს ქ. ბათუმის #9 საჯარო სკოლის მოსწავლეებს ბიომრავალფეროვნების დღესთან დაკავშირებით ეკო-საგანმანათლებლო ლექცია/სემინარი ჩაუტარდათ. სემინარის ძირითად თემას წარმოადგენდა დაცული ტერიტორიები და კატეგორიები, დაცული ტერიტორიების როლი ბუნების დაცვაში, ასევე მაჭახელას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნება, ღირსშესანიშნაობები და ეკო-ტურისტული პოტენციალი.

მიმდინარე წლის 6 ივნისს გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ ქედქედის საჯარო სკოლაში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ეკო-საგანმანათლებლო სემინარი ჩატარდა. სემინარის ძირითად თემას ნარჩენების მართვა და კონტროლი წარმოადგენდა. ლექციის შემდეგ სკოლის მოსწავლეებმა დაასუფთავეს სკოლის მიმდებარე ტერიტორია და მდ. მაჭახელას სანაპირო.

მიმდინარე წლის მარტის თვეში მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან და აჭარის სატყეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ერთად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა. შეხვედრის მიზანს, მაჭახელას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე და სატყეო ტერიტორიაზე ტყე-კაფების დროულად გამოყოფა და საშეშე მასალის მოსახლეობისთვის გაცემა წარმოადგენდა.




მიმდინარე წლის 16 ივლისს, მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისა და ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს მიერ მიმდინარე პროგრამის „მაჭახელას ხეობის ინგლისურ და რუსულენოვანი გიდების გადამზადების“ მონაწილეები ეწვივნენ. პროგრამის მონაწილეებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია და მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია მაჭახელას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებისა და არსებული ტურისტული ბილიკების შესახებ.

მიმდინარე წლის 29 ივლისს, მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისა და ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ინფო ტურის ფარგლებში მაჭახელას ძირითადი ტურისტული მარშუტების გაცნობისა და პოპულარიზაციის მიზნით, ადგილობრივი ტურისტული სააგენტოს წარმომადგენლები ეწვიენ. ინფო ტურის მონაწილეებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია და მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია მაჭახელას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებისა და არსებული ტურისტული ბილიკების შესახებ.

შეხვედრა მოეწყო დაცვის განყოფილებასა და სასაზღვრო პოლიციის N1 სამმართველო (ბათუმი)N2 სასაზღვრო სექტორი (კირნათი) -ის და N3 სასაზღვრო სექტორი (გორგაძეთი) -ის თანამშრომლებთან, სადაც საუბრის ძირითადი თემა იყო ურთიერთთანამშრომლობა.




მიმდინარე წლის იანვარის თვეში მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღო აჭარის დაცული ტერიტორიების მდგრადი ტურიზმის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც ხელს შეუწყობს დაცული ტერიტორიების განვითარებას, სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაში UNDP და GEF ეხმარებიან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და აჭარის მთავრობას.




მიმდინარე წლის მარტის თვეში მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, UNDP (GEF) წარმომადგენელი და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა შეხვდნენ მაჭახელას ხეობის მოსახლეობას. შეხვედრის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სამომავლო გეგმების გაცნობა, გაეროს განვითარების პროგრამის ხელშემწყობი პროექტების გაცნობა, კერძოდ: კოოპერატივების განვითარების საკითხებთან დაკავშირებით და ურთიერთანამშრომლობის განვითარება.

მიმდინარე წლის 2 აპრილს, „შავი ზღვის ეკო-აკადემიის“ წარმომადგენლებმა მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრის ძირითად მიზანს, მაჭახელას ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სამუშაო ვერსიის, ადგილობრივ მოსახლეობასა და დაინტერესებულ მხარეებთან განხილვა წარმოადგენდა. შეხვედრა, გაეროს განვითარების

პროგრამის UNDP (GEF)-ის მხარდაჭერით, მაჭახელას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის პროგრამის ფარგლებში მოეწყო.




მიმდინარე წლის 13-15 მაისს „EXPO BATUMI – 2016" -ის გამოფენაში მივიღე მონაწილეობა, სადაც დაცული ტერიტორიების სააგენტო იღებდა მონაწილეობას და დამთვალიერებლებს სერვისებისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციას სთავაზობდა. დაცული ტერიტორიების სააგენტო გამოფენაში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა" ფარგლებში მონაწილეობდა.




მიმდინარე წლის 17 მაისს „შავი ზღვის ეკო-აკადემიის" წარმომადგენლებმა მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში ადგილობრივ მოსახლეობასთან, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრის ძირითად მიზანს მაჭახელას ეოვნული პარკის მიმდებარე სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის დეტალური გეგმის გაწერა წარმოადგენდა. შეხვედრა გაეროს განვითარების პროგრამის UNDP(GEF)-ის მხარდაჭერით, მაჭახელას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის პროგრამის ფარგლებში მოეწყო.

მიმდინარე წლის 20 მაისს „შავი ზღვის ეკო-აკადემიის" წარმომადგენლებმა სოფ. ზ/ჩხუტუნეთის კულტურის სახლში ადგილობრივ მოსახლეობასთან და მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრის ძირითად მიზანს მაჭახელას ეოვნული პარკის მიმდებარე სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის დეტალური გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავება წარმოადგენდა. შეხვედრა გაეროს განვითარების პროგრამის UNDP(GEF)-ის მხარდაჭერით, მაჭახელას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის პროგრამის ფარგლებში მოეწყო.




მიმდინარე წლის 23-24 მაისს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განიხილა მენეჯმენტის დაგეგმვის პროცესი და დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობის საკითხები. მაჭახელას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის შემუსავება ხორციელდება პროექტის „აჭარის რეგიონის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მხარდაჭერით. პროექტი შემუშავებულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაცული ტერიტორიების ქსელის მართვის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და უნიკალური კოლხური (ჭარბტენიანი) ტყის უკეთესი კონსერვაციისთვის.




მიმდინარე წლის 6 ივლისს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციას UNDP-GEF - ის წარმომადგენლები ეწვია. ადმინისტრაციაში UNDP-GEF - ის პროექტის „ აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვის დახვეწის“ შესახებ პრეზენტაცია გაკეთდა, ხოლო პრეზენტაციის შემდეგ დელეგაციის ნაწილი მთავარანგელოზის ბილიკზე გავიდა, ნაწილი კი მაჭახელას ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს ეწვია.

მიმდინარე წლის 22 სექტემბერს, მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და ასოციაცია ეკო-აკადემიის წარმომადგენლებმა პროექტ „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება“ ფარგლებში სოფ. ჩიქუნეთის, ქოქოლეთის, სინდიეთისა და ქედქედის მოსახლეობას შეხვდნენ. პროექტის მიზანია აჭარაში არსებული დაცული ტერიტორიების ქსელის მართის ეფექტურობის გაუმჯობესება. პროექტს ახორციელებს, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მხარდაჭერით.

მიმდინარე წლის 28 სექტემბერს, მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში დოკუმენტის „მაჭახელას ეროვნული პარკის ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ განხილვა მოეწყო.


მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში მაჭახელას ხეობის სამი სოფლის (ჩხუტუნეთი, ქედქედი და აჭარისაღმართი) 11 ოჯახს საპილოტედ გადაეცათ თხილის ნაჭუჭი, ხოლო სოფ. ქედქედის საჯარო სკოლას ნახერხის ბრიკეტი, წალამის ბრიკეტი და თხილის ნაჭუჭი, ასევე სპეციალური ღუმელები სათბობი ენერგეტიკის „შეშის“ ჩანაცვლების მიზნით. აღნიშნული განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვის დახვეწა“ ფარგლებში.




მიმდინარე წლის 16 დეკემბერს ადმინისტრაციის დირექტორმა დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის ფორუმში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრა „დაცული ტერიტორიების პროგრამა კავკასიაში - SPPA”-ს მხარდაჭერით ჩატარდა.



მიმდინარე წლის 27-28 დეკემბერს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში გაიმართა მენეჯმენტის გეგმის განხილვის სამუშაო შეხვედრა. მაჭახელას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება ხორციელდება პროექტის „აჭარის რეგიონის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მხარდაჭერით.






მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორი და დაცვის განყოფილება ინტენსიურად ახდენდა მაჭახელას ეროვნული პარკის ტერიტორიის მიმდებარე სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებს და ახსნა განმარტებით საუბრებს უკანონო ჭრების, ხე-ტყის დატაცების, რეჟიმის დარღვევის, თევზაობის, ნადირობის აღკვეთისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების თაობაზე, ასევე დაცულ ტერიტორიაზე დაშვებული და აკრძალული ქმედებების გაცნობას, მათი აზრის მოსმენას და გაანალიზებას. ასევე ინფორმირებულობა და ჩართულობა გარემოს დაცვით საკითხებში.

აღნიშნულ შეხვედრებს ესწრებოდა დაახლოებით 2400-მდე ადგილობრივი მცხოვრები. სულ მოწყობილ იქნა 29 შეხვედრა.

მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ხდება დაცული ტერიტორიების შესახებ ბუკლეტების გავრცელება.



ღონისძიებები მაჭახელას ეროვნულ პარკში

ეკოტურიზმი


მიმდინარე წელს მაჭახელას ეროვნულ პარკში მოეწყო 3 ტურისტული ბილიკი: მთავარანგელოზის ბილიკი; ქოქოლეთის ბილიკი და ტყუპი ჩანჩქერის ბილიკი.

მიმდინარე წლის 16 ივლისს, მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისა და ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს

მიმდინარე პროგრამის „მაჭახელას ხეობის ინგლისურ და რუსულენოვანი გიდების გადამზადების“ მონაწილეებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია და მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია მაჭახელას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებისა და არსებული ტურისტული ბილიკების შესახებ.

მიმდინარე წლის 29 ივლისს, მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისა და ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ინფო ტურის ფარგლებში მონაწილეებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია და მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია მაჭახელას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებისა და არსებული ტურისტული ბილიკების შესახებ.






მიმდინარე წლის 28 სექტემბერს, მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში მაჭახელას ეროვნული პარკის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხილვა მოეწყო

მაჭახელას ეროვნული პარკის ვიზიტორთა სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღო მე-9 საერთაშორისო გამოფენა "EXPO BATUMI 2016"-ის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაში, სადაც კინტრიშის, მტირალას, კოლხეთისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სპეციალისტებთან დაცული ტერიტორიები წარადგინა.

მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები დაცული ტერიტორიების შესახებ ტურიზმის სექტორში ჩართული ორგანიზაციებისათვის.



მაჭახელას ეროვნული პარკი 2016 წლის განმავლობაში მოინახულა 2 062 ვიზიტორმა, აქედან ქართველი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენს 66%-ს (1363), ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 34%-ს (699 ვიზიტორი).

მტირალას ეროვნული პარკი

დაცვის განყოფილება

მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების მიერ ეტაპობრივად მიმდინარეობს 2016 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ქმედებების შესრულება, კერძოდ 12 თვის მდგომარეობით:

დაცვის განყოფილების მიერ გადახედილ იქნა მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიებზე არსებული საპატრულო მარშრუტები, რომლებიც კორექტირებულ იქნა და დაგეგმილია სეზონურობის მიხედვით. აღნიშნულზე შემდგარია საკვარტლე რუკები, რაზედაც დატანებულია საპატრულო მარშრუტები, რომლებიც ჩაბარებული აქვს დაცვის განყოფილების ყველა თანამშრომელს. ასევე შედგენილია სამანქანე და საფეხმავლო საპატრულო რუკები, რომელიც ატვირთულია google earth--ის პროგრამაში და GPS ხელსაწყოს საშუალებით მოხაზულ იქნა რეინჯერების მიერ არსებული საპატრულო მარშუტები, რაც გადაგზავნილია სააგენტოში.

დაცვის განყოფილების მიერ, ერთობლივად დადგენილ იქნა ანთროპოგენული ზემოქმედებისთვის ქვეშ მყოფი ტერიტორიები, (უკანონო ჭრა, ნადირობა-თევზჭერა, ტერიტორიის დანაგვიანება, ხანძრის გაჩენა და ა.შ.) რაზედაც შედგენილია შესაბამის ადგილდებარეობების რუკები. აღნიშნულ ტერიტორიებზე მიმდინარეობს ხშირი პატრულირება და ყოველდღიურ კონტროლზეა აყვანილი. ასეთ კვარტლებს ძირითადად მიეკუთვნება ქობულეთის უბნის 5, 13, 14, 15 16, 19, 20, 58, 59, 34, 35, 60, 61, 66, 67, 68, 48, 49 კვარტლები. ხელვაჩაურის უბნის 2, 3, 8, 9, 12, 24, 25, 51, 69, 73 კვარტლები. ქედის უბნის 6, 9, 40, 41, 65, 81, 82, 83, 85, 88, 89, 90, 91 კვარტლები.

პატრულირების რაოდენობა სამივე უბანზე 12 თვის მდგომარეობით

რეინჯერთა ტრენინგები კანონაღსრულებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის 01 თებერვალს და 01 მარტს რეინჯერებს ჩაუტარდათ გეგმით გათვალისწინებული ტესტირება შემდეგ საკითხებში: საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესები და მრგვალი ხე ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) შესახებ, გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკის გარკვეულ საკითხებში. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა, ნარჩენების მართვის კოდექსი და ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის მოსაკრებლის გარკვეულ საკითხებში. ტესტირებები ყველამ დადებითად ჩააბარა. ასევეე ხშირად ტარდება ზეპირი გასაუბრება ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

რეინჯერების ტესტირება

22 - 25 აპრილის ჩათვლით გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეინჯერებისათვის ჩატარდა ტრენინგი "საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე სამართალდარღვევის გამოვლენა და შემდგომი რეაგირება".

ტრენინგში მონაწილეობა მტირალას დაცული ტერიტორიების რეინჯერებმა მიიღეს. ტრენინგი რეინჯერებისათვის თეორიული ინფორმაციის მიწოდებას, საველე გასვლასა და იმიტირებულ სასამართლო პროცესს ითვალისწინებდა. ოთხდღიანი სწავლების შემდეგ მონაწილეები სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ.ტრენინგები ხორციელდება გაეროს

განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერითა და მიმდინარეობს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) დაფინანსებული პროექტის - ,,აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ ფარგლებში.

მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების ყველა თანამშრომელს ივლისისა და დეკემბრის თვეების განმავლობაში შსს აკადემიაში ჩაუტარდათ ტრენინგი. სწავლება ორი ნაწილისგან შედგებოდა და თეორიულ საკითხებთან ერთად პრაქტიკულ ნაწილსაც მოიცავდა. ტრენინგების ძირითადი თემები: იძულების ღონისძიების სამართლებრივი საფუძვლები; პირველადი სამედიცინო დახმარება; ტაქტიკური და საცეცხლე მომზადება და ვირტუალური ტირი.

ტრენინგები პროექტის „ევროპაში დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვის გაუმჯობესება შესაძლებლობათა გაძლიერების გეგმის შემუშავების გზით“ ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

მიმდინარე წლის 18 და 20 ოქტომბერს დაცვის განყოფილების ყველა თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენასა და უსაფრთხოების წესებში. ტრენინგი ორ ნაწილად ჩატარდა და მოიცავდა როგორც პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის განკუთვნილ თეორიულ საკითხებს აგრეთვე პრაქტიკულ უნარჩვევების გაძლიერებას. ტრენინგი ტარდებოდა გაეროს განვითარების პროგრამა UNDP აჭარის დაცული ტერიტორიების დახვეწის ფარგლებში.

მიმდინარე წლის 21-22 ნოემბერს მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი ეფექტური კომუნიკაციის და მართვის საკითხებში. ტრენინგის მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ეფექტიანი კომუნიკაცია, კომუნიკაციის ბარიერები, მომსახურების ეტაპები, ვიზიტორების გაღიზიანების მიზეზი, მომსახურების ოქროს წესი, ვიზიტორების კმაყოფილების ოქროს წესი,ვიზიტორთა ლოიალურობა და მომსახურების ტიპები. ტრენინგი ტარდებოდა გაეროს განვითარების პროგრამა UNDP აჭარის დაცული ტერიტორიების დახვეწის ფარგლებში.

2016 წლის 1 აპრილის ბრძანება #6 §1 შესაბამისად მტირალას ეროვნულ პარკის ხელვაჩაურის, ქობულეთის და ქედის უბნებში ჩატარდა გეგმიური საგაზაფხულო რევიზია. შემოწმებულ სარეინჯეროებში უკანონო ჭრებს, ნადირობა-თევზჭერის ან სხვა სამართალდარღვევის ფაქტებს ადგილი არ ქონია.

2016 წლის 03 ოქტომბრის N 31 § 1 ბრძანების შესაბამისად, პარკის ქობულეთის, ხელვაჩაურის და ქედის უბნის ყველა სარეინჯეროში დაწყებულ იქნა გეგმიური საშემოდგომო რევიზიები, რომელიც დასრულდა მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს და აღნიშნულ სარეინჯეროებში რაიმე სახის უკანონო ქმედება არ გამოვლენილა.

2016 წლის 03 მაისის ბრძანება №10 §1 შესაბამისად მტირალას ეროვნულ პარკის ხელვაჩაურის, ქობულეთის და ქედის უბნების გარკვეულ სარეინჯეროებში ჩატარდა საკონტროლო რევიზია, შემოწმებულ სარეინჯეროებში უკანონო ჭრებს, ნადირობა-თევზჭერის ან სხვა სამართალდარღვევის ფაქტებს ადგილი არ ქონია.

რევიზიების პერიოდში შემოწმებული იქნა სარეიჯეროებში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურული ერთეულების (ტურისტული თავშესაფარი, ვიზიტორთა შენობა, რეინჯერთა თავშესაფარი) გამართულობის ვიზუალური მდგომარეობა. ძლიერ დაზიანებულია დიდი თოვლის საფარის მოსვლის გამო ქედის უბნის №1, №2 და №3 სარეინჯეროში არსებული 6 (ცალი) ხერგილი არ ექვემდებარება შეკეთებას. ხოლო 2 (ცალი) შესაკეთებელია.

ძლიერ დაზიანებულია დიდი თოვლის საფარის მოსვლის გამო ქობულეთის უბნის №1 სარეინჯეროში არსებული 1 ცალი ხერგილი რომელიც შეკეთებას ექვემდებარება. ასევე დაზიანებულია ქობულეთის უბნის №2 სარეინჯეროში არსებულ წაბლნარის და ცივწყაროს ბილიკებზე დამონტაჟებული საინფორმაციო დაფები (7 ცალი) და მოაჯირები (40-60 მეტრი), აგრეთვე №55-57 კვარტლებში 2 ადგილას ტურისტულ ბილიკზე (20-30 მეტრი) გზა არის ჩავარდნილი და შეუძლებელია სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება . ქობულეთის უბნის №3 სარეინჯეროში არსებული რეინჯერთა საგუშაგო საჭიროებს რეაბილიტაციას, ხოლო საპიკნიკე მაგიდები და ფანჩატური (2 ცალი) ძლიერი ქარის გამო დაზიანებულ იქნა და შემდგომი სარგებლობისათვის გამოუსადეგარია.ასევე რევიზიის პერიოდში შემოწმებული იქნა რეინჯერებზე ჩაბარებულიცეცხლსასროლი თოფებისა და ტყვია-წამლის მოხმარების მდგომარეობა. ტყვია-წამლი გახარჯული არ არის, თოფების მოვლის მდგომარეობა კარგია. აღნიშნული მასალები გადაგზავნილია სააგენტოში. საკონტროლო საშემოდგომო რევიზიებების დაწყება დაგეგმილია მიმდინარე წლის ნოემბრიდან.

2016 წლის 31 ოქტომბრის N 34 § 1 ბრძანების შესაბამისად, პარკის ქობულეთის, ხელვაჩაურის და ქედის უბნის შერჩევით სარეინჯეროში დაწყებულ იქნა საკონტროლო საშემოდგომო რევიზიები, რომელიც დასრულდა მიმდინარე წლის 21 ნოემბერს. ხელვაჩაურის უბნის #1 სარეინჯეროს კვარტალ 25-ში შემოწმებისას დაფიქსირდა უკანონო ჭრები, კერძოდ მოჭრილი იყო 10 ძირი მურყნის სახეობის ხეების, საერთო მოცულობით 3,48 მ^3 . აქედან 2,48 ადგილზე, ხოლო 1,00 გატანილია ტერიტორიიდან. გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 465,30 (ოთხასსამოცდახუთი და 0,3) ლარი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სამართალდარმღვევის გამოსავლენად ეცნობა ხელვაჩაურის რაიონულ სამართველოს ჩაისუბნის პოლიციიის განყოფილებას, სხვა შემოწმებულ კვარტლებში რაიმე ტიპის დარღვევა არ დაფიქსირებულა. აღნიშნული რევიზიის მასალები ეცნობება სააგენტოს. იშვიათი ეკოსისტემების დაცვის გაძლიერების მიზნით პარკის ტერიტორიაზე იდენტიფიცირებულია გარკვეული ადგილები ესენია - ქობულეთის უბნის N50-ე კვარტალში დაფიქსირებულია დაახოებით 100 ძირამდე უთხოვრის სახეობის დიდხნოვანი ხეები, ასევე კვ. 14, 15 16, 19 53-ში კოლხური ბზის კორომები. N13 და 67-ში კოლხური ჯონჯოლი, კვ. 21, 25, 66, 67,68 49-ში წაბლის კორომები, კვ. N19-ში აღირიცხა ჰართვისის მუხა. ქედის უბნის კვ. N-9-11-ში „შქერიანი“ (ნამწვავის წყლის ხეობა) დაფიქსირებულია წითელი ნუსხით დაცული სახეობები დაახლოებით 2 ჰა ტერიტორიაზე, ესენია; მედვედევის არყი, ეპიგეა, უნგერნის შქერი, პონტოს მუხა. ხელვაჩაურის უბნის N-24-25-2-8-9-12 ქართული კაკალი და კოლხური თხილი რომელიც წითელი ნუსხით დაცული სახეობებია.

მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე იდენტიფიცირებულია გარკვეული კვარტლები, სადაც შესაძლებელია ტყეკაფების გამოყოფა, კერძოდ: ქობულეთის უბნის №3 სარეინჯეროს კვ. №-13-ში, №4 სარეინჯეროს კვ. №-48-49-66-67-68-ში, ხელვაჩაურის უბნის №1 სარეინჯეროს კვ. №2-3-24-25-51-70-ში, ხელვაჩაურის უბნის №2 სარეინჯეროს კვ. 8-12-ში ქედის უბნის №1 სარეინჯეროს კვ. №-6-9-89--91-ში, №2 სარეინჯეროს კვ. №-80-81-82-87-88-ში, № სარეინჯეროს კვ. №-65-83-ში. წინასწარი დათვალიერებით მტირალას ეროვნული პარკის ქობულეთის, ხელვაჩაურის და ქედის უბნების სარეინჯეროებში ტრადიციული გამოყენების ზონის კვარტლებში აღირიცხება დაახლოებით 800 მ^3 მოთხრილ-მოტეხილი, ფაუტიანი, ზეხმელი და გადაბერებული საშეშე ხე-ტყე.

გამოსაყოფი ტყეკაფის წინასწარი დათვალიერება და დათვალიერების დოკუმენტები მომზადებულია და თან დართულია გამოყოფილი ტყეკაფების აღრიცხვის მასალებს.

მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის 14 ივნისის ბრძანება №15 §1 თანახმად, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჩატარდა ტყეკაფების აღრიცხვის სამუშაოები, ამ ეტაპისთვის გამოყოფიოლ იქნა ქედის უბანი - 867,70 მ^3 , ხელვაჩაური - 170,70 მ^3 ქობულეთი - 81, 42 მ^3 საშეშე ხე-ტყე, სულ - 1119,82 მ^3 .

პარკის ტერიტორიაზე 2015 წელში გამოყოფილი ტყეკაფებიდან, 2016 წელში ნაშთად გადმოვიდა 533,31 მ^3 საშეშე მერქანი. 2016 წელში მოხდა აუთვისებელი ტყეკაფების გაუქმება 2 წლიანი ვადის გასვლის გამო და ასევე რომელმაც დაკარგა საშეშე ღირებულებმა, საერთო მოცულობით 190,35 მ^3, 2016 წლის დასაწყისიდან დღემდე პარკის ტერიტორიიდან გაცემულია 958.45 მ^3 საშეშე ხე-ტყე, ხოლო ნაშთად დარეჩენილია 492.87 მ^3

დღეის მდგომარეობით პარკის ტერიტორიაზე ჭრაგავლილ ადგილებს მიეკუთვნება ქობულეთის უბნის N1 სარეინჯეროს კვარტალი N18, 20, 21, 22, N4 სარეიჯეროს კვარტალი N48, 49, 66, 67, 68. ხელვაჩაურის უბნის N1 სარეინჯეროს კვარტალი N24, 25 2, 3, 51, 70, 73. ქედის უბნის N1 სარეინჯეროს კვარტალი N6, 9, 91. N 2 სარეინჯეროს N, 82, 81, 87, 88, 90 კვარტალი. ქედის უბნის N3 სარეინჯეროს კვარტალი N 65, 83, ზემოთ აღნიშნულ კვარტლებში ბუნებრივი განახლება კარგია. ზოგიერთ კვარტლების სამანქანე გზებზე კი დიდი აღმონაცენის გამო გავლაც კი შეუძლებელია.

პარკის ტერიტორიაზე ძირითად კრიტიკულ ადგილს მიეკუთვნება ქობულეთის უბნის N 3 სამცველოს კვ. N14-15-16 და N2 სამცველოს კვ. 53 სადაც ადგილი აქვს ბზის სახეობის ხეების მასიურ ხმობას, ხოლო ხელუხლებელ ტყის უბნებს კი ძირითადად მიეკუთვლება პარკის N 71, 75, 76, 11, 12, 25, 26, 27, 28, 29, 30, 36 კვარტლები.

დაავადებული ბზები



რეინჯერების მიერ სისტემატურად მოწმდება პარკში არსებული საფეხმავლო, საცხენოსნო და საპატრულო გზები. აქედან გამომდინარე, დღეის მდგომარეობით გარკვეულწილად რეინჯერების მიერ შეძლებისდაგვარად გაწმენდილია დამეწყრილი და ჩახერგილი გზები. რაც შეეხება გპს ხელსაწყოს მეშვეობით რუკებზე დანატას გაკეთებულია და გადაგზავნილია სააგენტოში. რაც შეეხება ეკო-ტურისტული ბილიკებს, ძლიერი თოვლისა და ქარი გამო მოთხრილ მოტეხილია „ცივწყაროს“ მარშურზე ათეულობით წიფლის სახეობის ხეები,

რომლებმაც მთავარი გზის ჩახერგვა გამოიწვია, დაზიანებულია ბილიკებზე არსებული სკამები, დაფები და მოაჯირები, აგრეთვე სამ ადგილზე ჩავარდნილია გზა, (კვ. № 57-ში) ჩამოშვავებულია და შეუძლებელია სატრანსპორტო საშუალებით გავლა. სარემონტო სამუშაოები დაგეგმილია უახლოეს პერიოდში.

ტყეებში არსებულ ტრადიციული სარგებლობის გზების მდგომარეობის შეფასება და რუკებზე დატანა. განსზღვრულ იქნა პარკში არსებული შიდა გზების მდგომარეობა, რომელიც საჭიროებს შეკეთება-გაწმენდას და დატანილ იქნა რუკაზე: ქობულეთის უბნის #1 სარეინჯეროს კვ.21-22-18-10, ქობულეთის უბნის #4 სარეინჯეროს კვ. 66-68, ქობულეთის უბნის #5 სარეინჯეროს კვ.52, ხელვაჩაურის უბნის #1 სარეინჯეროს კვ. 2-3-51, ქედის უბნის #1 სარეინჯეროს კვ. 6-9-91-89, ქედის უბნის #2 სარეინჯეროს კვ-88-87-90-81 და ქედის უბნის #3 სარეინჯეროს კვ.65-83.

რაც შეეხება მტირალას ეროვნულ პარკის წაბლნარებით წარმოდგენილ კორომების მდგომარეობისა და ბუნებრივი განახლების შეფასებას, დღეის მდგომარეობით ქობულეთის უბნის #1 სარეინჯეროს კვ. 21 დაახლოებით (6 ჰა), ქობულეთის უბნის #3 სარეინჯეროს კვ. 13-14 (2 ჰა), ქობულეთის უბნის #4 სარეინჯეროს კვ. 48-66-67-68 (15 ჰა), ქობულეთის უბნის #5 სარეინჯეროს კვ. 44-48 (2 ჰა) და ხელვაჩაურის უბნის # 2 სარეინჯეროს კვ. 8-9-12 (5 ჰა) არსებული წაბლნარის კორომების სანიტარული მდგომარეობის ინტენსივობა მძიმეა 40-50%, დაავადების გამომწვევია წაბლის კიბო, რომელიც 2009 წლიდან იწვევს, წაბლნარების პოპულაციის და ცალკეული ინდივიდები ხმობას. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილია შესაბამისი ბიოლოგიური პრეპარატის გამოყენება გაჯანსაღების მიზნით, ხოლო მკვდარი ნაწილების ტერიტორიიდან გატანა. გარდა ამისა, ეტაპობრივად მოხდება კანონის შესაბამისად მოთხრილ, მოტეხილი, ხმელი წაბლის სოციალური ჭრის ტყეკაფებში გაცემა ტრადიციული გამოყენების ზონებიდან მოსახლეობის საშეშე ხე-ტყით უზრუნველსაყოფად.


ხანძრების მართვა

რეინჯერების მიერ, ხანძარსაშიშ პერიდში, მათ სამოქმედო ტერიტორიებზე მიმდინარეოს სადღეღამისო მორიგეობები, თვალსაჩინო ადგილებში გამოკრულია რეინჯერთა ხანძარსაწინააღმდეგო ჯგუფების სატელეფონო სიები.

2016 წლის 12 თვის მდგომარეობით კერძოდ: მიმდინარე წლის 2 მარტს მტირალას ეროვნული პარკის საზღვართან სოფელ ყოროლისთავში ტყის ფონდის ტერიტორიაზე რეინჯერის მიერ შემჩნეულ იქნა ხანძრის კერა. აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა 112-ს სახანძრო-სამაშველო სამსახურს და აჭარის სატყეო სააგენტოს. რეინჯერებისა და სახანძრო-სამაშველოს ერთობლივი ძალებით მოხდა ხანძრის ლოკალიზება. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე რაიმე ხანძრის მიერ არ დაზიანებულა.

დაცვის განყოფილების მიერ სისტემატურად ტარდება პარკის მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან ხშირი შეხვედრები და ახსნა-განმარტებითი საუბრები ხანძართან ბრძოლის და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების, ასევე უკანონო ჭრების, ხე-ტყის დატაცების, რეჟიმის დარღვევის, ნადირობა-თევზჭერის აღკვეთის თაობაზე, დაცულ ტერიტორიებზე დაშვებული და აკრძალული ქმედებების გაცნობა, მათი აზრის მოსმენა და გაანალიზება. 2016 წლის 12 თვის მდგომარეობით პარკის მიმდებარე სოფლებში მოწყობილ იქმა 45-მდე დაგეგმილი შეხვედრა, რომელსაც დაახლოებით 500-მდე ადამიანი ესწრებოდა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულზე დგება მოსახლეობასთან გასაუბრების ოქმები.

მოსახლეობასთან დაგეგმილი შეხვედრების დროს დამსწრეთა საერთო რაოდენობა 2016 წლის 12 თვის მდგომარეობით



დაცვის განყოფილების მიერ შესწავლილი და დადგენილია პარკის ტერიტორიაზე სავარუდოდ არსებული მარშრუტები, რომელიც შეიძლება გადასაადგილებლად გამოყენებულ იქნეს ბრაკონიერების მიერ და კონტროლზეა აყვანილი, რაზედაც შედგენილია რუკა. ეს ადგილებია ქობულეთის უბნის №1 სამცველოს კვ. №-35-27-28-ში მდ. ჩაქვისწყლის მიყოლებეზე ბილიკი, №2 სამცველოს კვ. №-53-ში ე. წ. „ლამპარაძეების ღელის“ პირებზე არსებული ბილიკი, №3 სამცველოს კვ. №15-16-ში ე.წ. „ბზონიცის“ წყლის ხეობაში შემავალი ბილიკი, №4 სამცველოს კვ. №-48-49 ში შემავლი ბილიკი, რომელიც ადის მტირალას მთაზე. ხელვაჩაურის უბანში №1 სამცველოს კვ. №-24-25-ში არებული ბილიკი, სადაც გადამფენი ფრინველები მრავლადაა.

ქედის უბანში №1 სარეინჯეროს კვ. №-6-9-78-87-88, რომელიც სავარაუდოდ ხელსაყრელი ადგილია ნადირობისთვის, ასევე №2 სამცველოს №-65-81-83 კვარტლები.

რეინჯერების მიერ, პარკის სხვადასხვა სარეინჯეროებში მიმდინარეობს ფოტოხაფანგების დამონტაჟება და მათზე მუდმივი კონტროლი. დაფიქსირებულია სხვადასხვა ცხოველის ინდივიდი ქობულეთის, ხელვაჩაურის და ქედის უბნის გარკვეულ კვარტლებში. აღნიშნული მონაცემთა ბაზა ინახება ბუნებრივი რესურსების უფროსს სპეციალისტთან და მოთხოვნის შემთხვევაში იგზავნება სააგენტოში.

ხშირად ტარდება მოულოდნელი რეიდები დირექტორის, დაცვის განყოფილების უფროსის და უფროსი რეინჯერების მიერ, მტირალას ეროვნული პარკის სამივე უბანზე, რომლის დროსაც მოწმდებოდა რეინჯერების საქმიანობა და სამცველოში არსებულ მარშუტებზე გადაადგილების სისწორე. ყოველითვის ბოლოს სეზონურობის მიხედვით (ზაფხული, ზამთარი) დგება მოულოდნელი შემოწმებების გრაფიკები, რომელიც მტკიცდება დირექტორის ბრძანებით სულ მოწყობილ იქნა 197 მოულოდნელი შემოწმება.

სამეცნიერო საქმიანობა

მომზადებული იქნა 2015 წლის “ბუნების მატიანე” იანვრის თვეში წარედგინება სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

ადმინისტრაციის მიერ წარმოებდა არასისტემატური მოვლენების ზვავების, წყალდიდობების, წყალმოვარდნებისა და სხვა მოვლენების დაფიქსირება.

მიმდინარეობს დაკვირვება პარკის ტერიტორიაზე ზვავსაშიში და მეწყერსაშიში ადგილების, თებერვლის თვეში ქობულეთის უნის #2 სარეინჯეროს კვ. 57-ში რომელიც მიეკუთვნება

ვიზიტორთა ზონას დაიმეწყრა და ჩაიხერგა გზა, რომელიც საჭიროებს შეკეთებას. აგრეთვე დიდთოვლობის გამო ხელვაჩაურის უბნის #1 სარეინჯეროს კვ. 3 გზის გასწვრივ მოთხრილ-მოტეხილია რამოდენიმე ძირი წაბლის, წიფლის ,კაკლისა და აკაციის ხეები.

მაისის თვეში ხელვაჩაურის უბნის #2 სარეინჯეროს კვ. 8-ში ძლიერი ქარის გამო ჩაიხერგა მცირედით ფერდობი, რამაც გამოიწვია რამოდენიმე ძირი წაბლის, მურყანის და წყავის ხე-მცენარეების მოთხრა-მოტეხვა.


ივლისის თვეში ხელვაჩაურის უბნის #2 სარეინჯეროს კვ. 9-ში ძლიერი წვიმისა და ქარის გამო მოთხრილ-მოტეხილია რამოდენიმე ძირი მურყანისა და რწყავის ხეები, რომელსაც დიდძალი ზიანი არ მიუყენებია ტყის ეკოსისტემაზე.



მუდმივად წარმოებს ფლორისა და ფაუნის საერთო შეჯამებული მონაცემების შეგროვება.

აღნიშნული ქმედება მიმდინარეობს და საერთო მონაცემები წარმოდგენილ იქნება წლის ბოლოს და შეტანილ იქნება აგრეთვე ბუნების მატიანეშიც.

მუდმივად წარმოებს და აღნიშნული ეტაპისათვის გამოვლენილია „წითელის ნუსხ“-ის სახეობების არეალი დაცულ ტერიტორიაზე და მომზადებულია მათი გავრცელების რუკები. ხშირად ფიქსირდება “წითელი ნუსხის“ ცხოველები, როგორც ვიზუალურად, ასევე სხვადასხვა ნიშან-თვისებით ექსკრემენტებით, კვალებით კერძოდ ესენია – მურა დათვი, წავი, ფოცხვერი და არჩვი. აღნიშნულზე მონიტირინგი გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. იშვიათი სახეობების გარდა, ასევე დაფიქსირებულია შველის, მგლის, გარეული ღორის, მაჩვის, კვერნის და ტურის მრავალი კვალი. ინტენსიურად მიმდინარეობს მსხვილი ძუძუმწოვრების მინიტორინგი როგორც კვალაღრიცხვის მეთოდით ასევე ფოტოხაფანგების მეშვეობით, რაც გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ ცხოველთა საერთო პოპულაციის გავრცელების არეალი და დინამიკა, ასევე ხდება Gps კოორდინატების აღება, Google earth პროგრამაში შეყვანა Gდა მონაცემების დამუშავება, რაც ყოველ კვარტლურად იგზავნება სააგენტოში.




ფოტომასალის (ფოტოაპარატით და ფოტოხაფანგით) გადაღებულია შემდეგი სახეობების ფოტო და ვიდეო მასალა: კვერნა, მგელი, მაჩვი, შველი, ტურა, დათვი, არჩვი. აღნიშნული ფოტომასალა იგზავნება სააგენტოში პერმანენტულად.







მომზადდა მობუდარ ფრინველების ერთიანი ცხრილი და შეგროვილია ინფორმაცია მათ პოპულაციების შესახებ.

გადამფრენ ფრინველთა იდენტიფიკაცია და აღრიცხვა.







წარმოგიდგენთ განახლებულ ინფორმაციებს საქართველოს წითელი ნუსხის მცენარეების და დიდხნოვანი ხე-მცენარეების შესახებ, რომელიც გავრცელებულია მტირალას ეროვნულ პარკში ცხრილის სახით:

მიმდინარე წლის 17-20 მარტს მტირალას ეროვნულ პარკს სტუმრობდნენ სლოვაკეთის სამეცნიერო ფონდის და გიდთა ასოციაციის წარმომადგენლები, რომლებსაც გაეწიათ დახმარება.
მიმდინარე წლის 29 მარტს მტირალას ეროვნულ პარკს სტუმრობდნენ მოსკოვის ბოტანიკური ბაღის და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები, რომლებიც მოინახულეს კოლხური ტყის ცენოზები.
მიმდინარე წლის 8-12 აგვისტოს ჩატარდა სამეცნიერო დენდროქრონოლოგიური კვლევა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და საინჟინრო ფაკულტეტის ეკოლოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო პროექტის ფარგლებში, რასაც ჩემს მიერ გაეწიათ შესაბამისი დახმარება. აღებულ იქნა დიდხნოვან წიფლის ხეების ნიმუშები, რის საშუალებითაც დგინდება აღნიშნული ხეების ასაკი და ზრდის თავისებურებები. კვლევის შედეგები მოწოდებულ იქნება პროექტის დასრულებისთანავე.





ადმინისტრაცია აწარმოებს დაკვირვებას მუდმივ სანიმუშო ფართობებზე, სადაც მონაცემების შეგროვება და შედარება წინა წლის მონაცემებთან.

შესრულების მდგომარეობა:შესრულდა

პარკის ქობულთის უბნის №53, №55 და 66 კვ-ში და ქედის უბნების №81 კვ-ში, გამოყოფილია მუდმივ მოქმედი სანიმუშო ფართობები. სანიმუშო ფართობები აღბულია წიფლისა, წაბლის და ბზის სახეობის ხეებზე, რაზედაც მიმდინარეობს მუდმივი დაკვირვება და კონტროლი.

დაგეგმილი ქმედება: ფიტოპათოლოგიური გამოკვლევების ჩატარება, მასალების შეგროვება და დამუშავება.

შესრულების მდგომარეობა:შესრულდა

2015 წლის 30 აპრილის ბრძანება #08 $1 შესაბამისად, მტირალას ეროვნული პარკის ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის უბნების სამცველოებში ჩატარდა პათოლოგიური გამოკვლევები. ზემოთაღნიშნულ უბნების შესაბამის სამცველოების კვარტლებში გამოყოფილ მუდმივ სანიმუშო ფართობებზე მოხდა დაკვირვებები ტყის დავადებებზე. გამოკვლევების მასალები გადაგზავნილია სააგენტოში.

3 აპრილს მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე თანამშრომლების მიერ წინასწარი კონსულტაციის საფუძველზე აჭრილი იქნა კოლხური ბზის კალმები, რომლებიც დაკალმდა 4 აპრილს ქობულეთის სატყეოს სანერგეში, სადაც გარდა ქობულეთის და კინტრიშის დაცული

ტერიტორიების, მაჭახელას, მტირალას და კოლხეთის ეროვნული პარკის თანამშრომლებისა დაკალმება მოახდინეს ასევე სატყეოს თანამშრომლებმა, რომელთაც წინასწარ CENN-ის მხარდაჭერით მოწვეული ყავდათ ექსპერტი, რომელმაც ჩაატარა ტრენინგი. დაკალმების ხარჯები სრულიად გაიღო CENN-მა. 1 წლის შემდეგ სანერგეში გადარჩენილი ბზები გადარგული იქნება დაცულ ტერიტორიებზე.

მოგვიანებით მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცის თანამშრომლების მიერ, გარდა ზემოაღნიშნულისა, მოხდა წინასწარ შერჩეულ ფართობებზე ბზის ნიმუშების აღება-დამუშავება და მათი დაკალმება. გათვალისწინებული იქნა ექსპერტების რეკომენდაციები და მოთავსებულია სპეციალურ სათავსოებში, მიმდინარეობს მონიტორინგი, ხოლო შემდგომ გადაირგვება.





მტირალას ეროვნული პარკის ქობულეთის უბნის #1 და #2 სარეინჯეროს კვ. 13-14-15-53 მძვინვარებს კოლხური ბზის (buxus cholchica) ახალი დაავადება ბზის ალურა(cydalima perspectalis), რომელიც პირველდა 2014 წელს დაფიქსირდა საგრელო-გურიაში, ხოლო შემდგომ აჭარაშიც გავრცელდა. ევროპის ქვეყნებში ეს მავნებელი შეტანილია განსაკუთრებით საშიშ მავნებებლთა სიაში. მავნებელს ახასიათებს მოკლე პერიოდში ბზის პოპულაციის სრულიად განადგურება, რაც თითქმის სახეზეა.

ბრძოლის ღონისძიებები: 1. მექანიკური ღონისძიებებიდან რეკომენდირებულია ბზის გასხვლა, აგრეთვე კვერცხებისა და მატლების შეგროვება და დაწვა. 2. ქიმიური მეთოდით პრეპარატებიდან მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა: დეცისი, ფასკატი, კარატე და ბი-58.




მიმდინარე წლის სექტემბერის თვეში ვიზუალური დაკვირვების შედეგად მტირალას ეროვნული პარკის, ქობულეთის უბნის #3 სარეინჯეროს კვარტალ 14 - 15 ში და # 5 სარეინჯეროს კვ. 16-19 -ში რომელიც მიეკუთვნება ვიზიტორთა ზონას,GPS კორდინატებია X 734856 Y 4619699 , მდნ. ჩაქვისწყლის პირებში დაფიქსირდა ამერიკული თეთრი პეპლის მატლები, რომელიც საშიში საკარანტინო მავნებელია. დაავადების ნიშნებია: ფოთლების დაზიანება და ტოტებზე ქსელის გაბმა. აღნიშნული მავნებელი დაფიქსირდა ისეთ მცენარეთა სახეობებზე როგორიცაა: კაკალი, კოლხური თხილი, ვაშლი, მსხალი, მურყანი, ცაცხვი და წაბლი. დაავადების გავრცელების

არეალი მცირეა, საჭიროა სასწრაფოდ გატარდეს ტყის სანიტარული ღონისძიებები, წინააღმდეგ შემთხვევაში დაავადების მასშტაბები გაიზდება.

მტირალას ეროვნულ პარკში მომზადდა ერთიანი ცხრილი, სადაც აღწერილია ყველა ის საკითხი, რაც აღწერილი იყო ბუნების მატიანეებში წლების განმავლობაში. რაც შეეხება მტირალას ეროვნულ პარში არსებული მატეანეებში წლების მიხედვით მოთავსებული ინფორმაციას მონაცემთა ბაზისთვის, შეყვანილია სპეციალურ ფორმაში და გადაგზავნილიასააგენტოში.
9-10 ივნისს პრომეტეს მღვიმის ადმინისტრაციაში ჩატარდა ტრენინგი დაცული ტერიტორიების თანამშრომლებისთვის, რომელიც მოიცავდა დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმების სტრუქტურას, შინაარსს და თემატური ნაწილების შემუშავებას, მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებს და პროცედურებს. პროექტს ახორციელებდა ავსტრია-ჩეხეთის კონსორციუმი საქართველოს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გაძლიერების მიზნით.
მომზადდება მასალები მერქნიან მცენარეების ზოგიერთ სახეობებზე ფენოლოგიური დაკვირვების შესახებ.
ადმინისტრაციის მიერ მოპოვებული ინფორმაციის მასალების და შესრულებული საქმიანობის დამუშავება და ანალიზი. ანგარიშის მომზადება დირექციისათვის და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

2016 წლის განმავლობაში მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ ბათუმის, ქობულეთის და ჩაქვის საჯარო და კერძო სკოლებში სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ჩატარდა პრეზენტაციები, ლექცია-სემინარები და დისკუსიები საქართველოს დაცული ტერიტორიების, მტირალას ეროვნული პარკის საქართველოში გადაშენების პირას მყოფი სახეობების შესახებ. მოსწავლეები დეტალურად გაეცნენ საქართველოს დაცული ტერიტორიების მიზნებს, საქმიანობებს, მართვას, ეკოტურისტულ პოტენციალსა და სერვისებს, მოსწავლეებმა დიდი დაინტერესება გამოთქვეს სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. ასევე პერმანენტულად ტარდება მოსახლეობასთან გასაუბრება ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობებზე.
ეკო-საგანმანათლებლო ლექცია სემინარები დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში და ამავდროულად ურიგდებათ მოსწავლეებსა და სტუდენტებს ბუკლეტები. შეხვედრები ჩატარდა კერძოდ: ქ. ბათუმის #13 საჯარო სკოლა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოფ.ჩაისუბნის საჯარო სკოლა , ქ. ბათუმის #8 საჯარო სკოლაში, მახინჯაურის საჯარო სკოლა,

ჩაქვის წმინდა დავითის სახელობის სასულიერო სკოლა, სოფ.საჩინოს საჯარო სკოლა, ქ.ბათუმის #4,#5,#16 საჯარო სკოლებში, ასევე ბუკნარის, ორთაბათუმისა და ყოროლისთავის საჯარო სკოლებში.

მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს შავი ზღვის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით მოეწყო ღონისძიება რომელშიც მონაწილეობდა გორგაძეები საჯარო სკოლისა და ჩაქვის #1 საჯარო სკოლის მოსწავლეები, შეხვედრაზე განხილული იყო შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.




4 ოქტომბერს ცხოველთა დაცვის საერთაშორის დღესთან დაკავშირებით მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით მოეწყო ღონისძიება რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ეკოლოგიის 1-4 კურსის სტუდენტები, პროფესორები, ასევე სოფ. გორგაძეების, სოფ. ჩაქვის, სოფ. საჩინოს საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები ღონისძიებაზე განხილულ იქნა ყველა ის საკითხი, რომელიც პრობლემატურია აღნიშნული მიმართულებით ასევე დაიგეგმა სამომავლოდ სტუდენტებისა და მოსწავლეების ერთობლივი მუშაობა და ჩართვა სხვადასხვა ეკოსაგანმანათლებლო თუ გარემოსდაცვით ღონისძიებებში. წარმოდგენილი პრეზენტაციების შედეგად გამოვლინდა გამარჯვებულები და მათ გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.


აგვისტოს თვეში პროექტ WMTR-ის გუნდმა აჭარაში მდებარე მტირალას ეროვნულ პარკში 2016 წლის პირველი საზაფხულო ეკო ბანაკი გახსნა. ეკო ბანაკმა, რომელიც 5 დღეს გაგრძელდა, უმასპინძლა სკოლის მოსწავლეებს პროექტის სამიზნე რეგიონებიდან.

გასართობი აქტივობების გარდა, მე–8 და მე–11 კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სემინარებსა და დისკუსიებში.





მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თხოვნით საგზაო საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განახორციელა ადმინისტრაციასთან მისასვლელი საავტომობილო გზის მოასფალტება.


მიმდინარე წლის 25 ივლისს მტირალას ეროვნულ პარკში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა ტურნირი ,,სალაშქრო რალი"- რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდები,მძიმე ბრძოლაში გაიმარჯვა სტუმრებმა ოზურგეთის მუნიციპალიტიდან. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს ახალგაზრდების მეტ ჩართულობას გარემოსდაცვით საქმიანობებში.






რეგიონში მტირალას ეროვნული პარკის პოპულარიზაციის მიზნით, სხვადასხვა ტურისტულ სააგენტოებს ადმინისტრაციის მიერ მიეწოდათ საინფორმაციო ბუკლეტები,რომლებიც უფრო ფართო მასშტაბით იქნება გავრცელებული მათ მიერ.მსგავსი ტიპის აქტივობები მომავალშიც გაგრძელდება რათა მაქსიმალურად გაიზარდოს ეროვნული პარკის ცნობადობა,როგორც ქვეყნისა და რეგიონის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ.





მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში სტუმრად იმყოფებოდნენ ივანე ჯავახიშვილის უნივერისტეტის გეოგრაფიის 4-ე კურსის სტუდენტები, რომლებსაც მიეწოდათ სრული და ამომწურავი ინფორმაცია ეროვნული პარკისა და დაცული ტერიტორიების,მნიშვნელობი სშესახებ.

მსგავსი ტიპის ვიზიტები ხელს უწყობს ახალგაზრდებში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებასა და დაცული ტერიტორიების როლის გაანალიზებას საზოგადოებაში.





მტირალას ეროვნულ პარკს სტუმრად ეწვივნენ ტელეკომპანია GDS-ის გადაცემა ,,Eco-Vision"-ის ბავშვები,რომლებიც იმყოფებოდნენ ,,წაბლნარის" ეკოტურისტულ ბილიკზე.





მიმდინარე წლის 6 ივლისს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კირნათში ნაპოვნი შველი დაცულ ტერიტორიაზე მტირალას ეროვნულ პარკში გაუშვეს.





მიმდინარე წლის 30 მაისს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს საჯარო სკოლის მოსწავლეებს მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში ჩაუტარდათ ლექცია- სემინარი თემაზე ,,თამბაქო და ახალგაზრდობა". ასევე მოეწყო მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენება სახელწოდებით ,,თამბაქო კლავს". აღნიშნული ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებში თამბაქოსადმი და მისი უარყოფითი შედეგებისადმი ცნობიერების ამაღლება და იმის გაანალიზება თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესი.

ბათუმში ტურისტული სეზონის ოფიციალურად გახსნის ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ, სტუმრებს დაურიგდათ საინფორმაციო

ბუკლეტები, მიეწოდათ სრული და ამომწურავი ინფორმაცია რეგიონისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ.

მიმდინარე წლის 5 მაისს მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა იმყოფებოდა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარაში, სადაც შეხვდნენ სოფლის წარმომადგენლებსა და პედაგოგებს შეხვედრაზე განიხილეს აგარა მტირალას დამაკავშირებელი ბილიკის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობა და შემდგომი ფუნქციონირების პროცესში სოფლის მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიური ჩართულობა. გარდა ამისა საუბარი შეეხო არსებულ პრობლემატიკას, დაისახა მათი გადაჭრის რაციონალური გზები.

მიმდინარე წლის 26 აპრილს მტირალას ეროვნულ პარკს სამოყვარულო თევზაობის კლუბის „Fly Fishing“-ის წარმომადგენლები მეორედ ეწვივნენ ამჯერად უცხოელ მოყვარულ მეთევზეებთან ერთად. აღნიშნული ტურნირი ,,დაიჭირე და გაუშვის" პრინციპის სრული დაცვით მიმდინარეობს მდინარე ჩაქვისწყალზე აღნიშნული ფაქტი ადგილობრივი ტელევიზიის მეშვეობით გაშუქდა. ტურნირის მიზანი, საქართველოში სპორტული თევზაობის დანერგვა და ახალი ტურისტული სერვისის წარგდენა იყო.




მიმდინარე წლის 24 აპრილს მტირალას ეროვნულ პარკს კიდევ ერთი ახალი ბინადარი შეემატა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენელმა პარკის ტერიტორიაზე შველი გაუშვეს.





მიმდინარე წლის 22 აპრილს ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა დასუფთავების აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაბა ჩაქვის საჯარო სკოლის 20 მოსწავლემ, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა და რეინჯერებმა. დასუფთავდა ეროვნულ პარკში

შესასვლელი მონაკვეთი, საპიკნიკე ადგილები, მდინარე ჩაქვისწყლის ნაპირები და ვიზიტორთა ცენტრის მიმდებარე ტერიტორია. მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ მაისურები.




მიმდინარე წლის 23 აპრილს სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა პრეზენტაცია ჩაქვის საჯარო სკოლაში რომელსაც ესწრებოდნენ რიგითი მოსწავლეები და ,,ნორჩ რეინჯერთა“ კლუბის წევრები.

2016 წლის განმავლობაში სულ ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 1,800 მოსწავლემ მათ შორის 35 სტუდენტი, ეკო-ტურში მონაწილეობდა 1,500 მოსწავლე, 260 ადგილობრივი მოსახლე და 60 პედაგოგი. სულ 3620.





ღონისძიებები მტირალას ეროვნულ პარკში

ეკოტურიზმი

მტირალას ეროვნული პარკის პოპულარიზაციის მიზნით 2500 ტურისტული რუკა და ბროშურა გავრცელდა ბათუმის ტურისტულ სააგენტოებში, საინფორმაციო ცენტრებში და აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში. ასევე პრეზენტაციები ჩაუტარდათ ტურისტულ

კომპანიებს ,,კალიფსო თრეველს“, ,,ფარადაის თრეველს“ და ,,აჭარა ტურს“ და დაინტერესებულ პირებს მიეწოდა ტურისტული სერვისებისა და აქტივობების შესახებ ელექტრონული ინფორმაცია.
მიმდინარე წელს სოფელ ყოროლისთავის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს განხილული იქნა სოფელ ყოროლისთავში ტურიზმის განვითარების პერსპექტივები. ამა წლის 19 მარტს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის მოსახლეობასთან მოეწყო შეხვედრა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ეკოტურისტულ სფეროში გამოცდილების გაზიარება. სტუმრებმა დაათვალიერეს ტურისტული ინფრასტრუქტურა და ადგილობრივი საოჯახო ტიპის სასტუმროები.
2016 წლის 22 იანვარს ბათუმის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში UNDP და GEF ორგანიზაციების მიერ მოეწყო სამუშაო შეხვედრა, რომლის მთავარ საკითხს წარმოადგენდა აჭარის დაცულ ტერიტორიებზე მდგრადი ტურიზმის სტრატეგიების შემუშავება.
მიმდინარე წელს მტირალას ეროვნულ პარკს სტუმრობდნენ გაეროს განვითარების პროგრამა UNDP-ის წარმომადგენლები, რომლებმაც მოინახულეს არსებული ბილიკები და შეხვდნენ სოფელ აგარის მოსახლეობას სადაც შეაფასეს ახალი ბილიკის მოწყობის სამუშაოები.
მტირალას ეროვნულ პარკს სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ კავკასიის ბუნების ფონდისა და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის WWF-ის წარმომადგენლები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. მათ დაათვალიერეს ტურისტული ინფრასტრუქტურა და არსებული ბილიკები და ჩაუტარდათ პრეზენტაცია.
28 ოქტომბერს აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა სოფლის ტურიზმის ფესტივალი ,,განდაგანა“, საინფორმაციო ცენტრის სტენდზე წარმოდგენილი იყო მტირალას ეროვნული პარკის საინფორმაციო ბროშურები.
მიმდინარე წლის 21-22 ნოემბერს აჭარის რეგიონის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების თანამშრომლებს UNDP-ის ორგანიზებით ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე „ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება“, ტრენინგი მიზნად ისახავდა დაცულ ტერიტორიებზე მომსახურების ხარისხის ამაღლებას.
2016 წელს მტირალას ეროვნულ პარკში იმყოფებოდა 33 774 ვიზიტორი, აქედან 15 766 საქართველოს მოქალაქე, ხოლო 18 008 უცხოელი





ვიზიტორთა გამოკითხვის შედეგები: ვიზიტორთა ასაკი: <18 – 17%, 19-25 – 23%, 26-35 – 25%, 36-50 – 19%. 50> - 16%. ვიზიტორთა სქესი: 44% მამრობითი, 56% მდედრობითი. ვიზიტის მოტივაცია: არსებული ბიომრავალფეროვნება – 15%, სამეცნიერო საქმიანობა – 25%, კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა – 29%, ლაშქრობა ველურ ბუნებაში – 26%, რეკრეაცია - 5%. უპირატესობა ტურებზე: სამანქანე – 20%, საფეხმავლო – 44%, საცხენოსნო – 16%, კომბინირებული – 20%.

განთავსება ღამის გასათევად: კარავი – 25%, ტურისტული თავშესაფარი – 16%, საოჯახო სასტუმრო – 20%, ვიზიტორთა ცენტრი – 39%. ტურისტული მომსახურეობის ხარისხი: მაღალი – 32%, საშუალო - 64%, დაბალი – 4%. მომსახურების ფასები: მაღალი – 14%, საშუალო – 70%, დაბალი - 16%. კმაყოფილება ინფრასტრუქტურის მდგომარეობით: კარგია – 66%, ცუდია - 11%, საჭიროებს გაუმჯობესებას – 23%. სხვა დაცულ ტერიტორიებში მოგზაურობის სურვილი: კი – 49%, არვიცი – 45%, არა – 6%. ბუნებაში მოგზაურობის დროს პრიორიტეტულია: მარტივი, მაგრამ სრულფასოვანი ინფრასტრუქტურა – 30%, გადაადგილების საშუალების არსებობა – 14%, სისუფთავე – 32%, სრულყოფილი კომფორტი – 24%, სხვა – 0%. ინფორმაციის წყარო: ინტერნეტი – 58%, პირადი რეკომენდაცია – 20%, ტურისტული სააგენტო – 12%, რადიო/ტელევიზია - 8%, ჟურნალ-გაზეთები - 2%. სამოგზაუროდ იმყოფებით: მარტო – 21%, მეგობრებთან ერთად – 36%, ოჯახთან ერთად – 43%.

მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია


დაცვის საქმიანობა

ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანებით შედგენილია რეინჯერთა პატრულირების მარშრუტი და გეგმა-გრაფიკი. რეინჯერები ადმინისტრაციის დირექტორის მიერ დამტკიცებული განრიგის შესაბამისად ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის მიზნით ახორციელებენ მორიგეობას. დათვალიერების შედეგები ფიქსირდება სათანადო ჟურნალში.
რეინჯერები ჩართულნი არიან ვიზიტორთა მომსახურების საქმეში. ყოველდღიურად ხდება სამოქმედო ტერიტორიების დალაგება-დასუფთავება, ინფრასტრუქტურის შეკეთება.
2016 წლის შემოდგომაზე განხორციელდა საშემოდგომო გეგმიური და საკონტროლო რევიზიები.
2016 წლის განმავლობაში ადმინისტრაციის რეინჯერების მიერ გამოვლენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 7 ფაქტი და შედგა შესაბამისი ოქმები. 5 ფაქტზე მოსამართლემ სამართალდარღვევი დამნაშავედ ცნო და დააკისრა ფულადი ჯარიმა ხოლო ერთი ოქმის განხილვა შეწყვიტა. 1 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაკტზე შსს-რო ახორციელებს პიროვნების იდენთიფიკაციის ღონისძიებებს.
2016 წლის განმავლობაში ასევე გამოვლენინილი იქნა 2 ფაქტი რომელიც შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა შსს მარტვილის სამართველოს. ერთ შემთხვევაში მოქალაქე დავით ბჟალავას მიერ მოხდა ბალდის კანიონის ბუნების ძეგლის დაზიანება და გარემოსთვის მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 84891,3 ლარი. ხოლო მეორე შემთხვევაში არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმისა და ტობის ჩანჩქერის ბუნების ძეგლების ტერიტორიაზე ფოტოხაფანგმა დააფიქსირა ელექტროშოკური აპარატით თევზაობის ფაკტი.

2016 წლის განმავლობაში მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია შეხვდა მარტვილის რაიონის ოთხი სოფლის (სოფ. ინჩხურის, სოფ. ბალდის, სოფ. გაჭედილის და სოფ. კურზუს) და ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. კინჩხის მოსახლეობას.
შეხვედრაზე ისაუბრეს დაცულ ტერიტორიაზე დაშვებული და აკრძალული ქმედებების შესახებ.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

2016 წლის განმავლობაში ადმინისტრაციამ გასწია სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა. საქმიანობების ძირითად მიზნობრივ ჯგუფებად ითვლებოდა როგორც სასწავლო დაწესებულებები და ადგილობრივი მოსახლეობა ასევე დაცული ტერიტორიების ვიზიტორები. ამ მიზნით იანვრის თვეში სამიზნე ჯგუფებისათვის მომზადდა სპეციალური პრეზენტაცია.
მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციამ პრეზენტაციები გამართა მარტვილის, ხონის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფლების საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებთან. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ. ასევე მათ მიეწოდათ ინფორმაცია მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციის, გარემოს დაცვის, ბიომრავალფეროვნების, ფლორისა და ფაუნის შესახებ. (ქ. მარტვილის კერძო სკოლა „სხივი“, ქ. მარტვილის N1 და N2 საჯარო სკოლები. სოფ. დიდი ჭყონის საჯარო სკოლა, სოფ. სალხინოს საჯარო სკოლა, სოფ. კურზუს საჯარო სკოლა, სოფ. ტალერის საჯარო სკოლა, სოფ. გაჭედილის საჯარო სკოლა, სოფ. ბალდის საჯარო სკოლა, სოფ. ინჩხურის საჯარო სკოლა, სოფ. ხიდის საჯარო სკოლა, სოფ. გორდის საჯარო სკოლა, სოფ. კინჩხას საჯარო სკოლა, დაბა ჩხოროწყუს N1და N2 საჯარო სკოლები, სოფ. მათხოჯის საჯარო სკოლა, სოფ. ძეძილეთის საჯარო სკოლა, სოფ. ნოღის საჯარო სკოლა, სოფ. ახუთის საჯარო სკოლა).
ამ პერიოდის განმავლობაში მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია შეხვდა მარტვილის რაიონის ოთხი სოფლის (სოფ. ინჩხურის, სოფ. ბალდის, სოფ. გაჭედილის და სოფ. კურზუს) და ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. კინჩხის მოსახლეობას. შეხვედრაზე ისაუბრეს დაცულ ტერიტორიაზე დაშვებული და აკრძალული ქმედებების შესახებ.
მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს მოსახლეობასა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან სხვადასხვა საკითხების გადაჭრის მიზნით.



ღონისძიებები მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციაში

ეკოტურიზმი

2016 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობები, როგორიცაა ვიზიტორთა მომსახურების ორგანიზება, ყოველკვირეული, ყოველთვიური ანგარიშის მომზადება შემოსავლებისა და ვიზიტორთა სტატისტიკის შესახებ და წარდგენა სააგენტოში.

წლის განმავლობაში ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი მოინახულა 52197 ვიზიტორმა, რომელთაგან 19054 იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე. ამ პერიოდში შემოსულმა თანხამ შეადგინა 318536,5 ლარი.

16 ივლისიდან 31 დეკემბრამდე მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი მოინახულა 62434 ვიზიტორმა, რომელთაგან 34725 იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე. ამ პერიოდში შემოსულმა თანხამ შეადგინა 772306 ლარი, საიდანაც 338800 ლარი ჩაირიცხა შპს „ოფუცხოი“-ს ანგარიშზე.

მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლზე გაიხსნა ვიზიტორთა ცენტრი, მოწესრიგდა ტურისტული ინფრასტრუქტურა და მოეწყო ტურისტული ბილიკები, 3 გადასახედი, ხიდები, ნავმისადგომი, ვიზიტორთა მოსაცდელი, წყლის წისქვილი და სანაოსნო მონაკვეთი, უსაფრთხო გახდა სანაოსნო მონაკვეთზე გადაადგილება.

ოკაცეს და მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლების ტურისტულ სერვისებს დაემატა ახალი სერვისი - სამოქალაქო ქორწინების გაფორმების ცერემონიალი.

ოკაცეს კანიონის ვიზიტორთა ცენტრში გაიხსნა სუვენირების მაღაზია და კაფეტერია. სუვენირების მაღაზიაში ადგილობრივი ხელსაქმის ნიმუშები და ოკაცეს კანიონის ბრენდირებული ნივთებია განთავსებული. კაფეტერიით სარგებლობა ერთდროულად 40 ვიზიტორს შეუძლია. კაფეტერია სტუმრებს სპეციალურ ლანჩ-პაკეტებსაც სთავაზობს.





ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

დაცვის საქმიანობა

2016 წლის 1 თებერვლიდან მუშაობას შეუდგა ფშავ - ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია სადაც საწყის ეტაპზე დაინიშნა 4 რეინჯერი რომლებსაც ჩაუტარდათ ტრენინგი ბორჯომში. ზაფხულის პერიოდში რეინჯერებმა ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგა საინფორმაციო ფურცლები სადაც მოცემული იყო ერონვულ პარკში ქცევის წესები და სამართალდარღვევებზე კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი სანქციები.
ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა მომთაბარე მწყემსების ინფორმირება პარკის რეჟიმთან დაკავშირებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო მკაცრი დაცვის ზონების ფუნქციონალურ დატვირთვაზე და დაშვებულ და აკრძალულ ქმედებებზე და საშემოდგომოდ საძოვრებზე ხანძრების საშიშროების პრევენციაზე.

დაცვის განყოფილება

დაცვის განყოფილების მიერ გადახედილი იქნა არსებული საპატრულო მარშუტები, რომელიც შედგენილი იქნა გასულ წელს და საჭიროდ არ ჩაითვალა კორექტირება.

შექმნილია სამანქანე-საპატრულო მარშრუტები და პატრულირების ჯგუფი: დაცვის განყოფილების უფროსი, ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი და ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი.

დაცვის განყოფილების მიერ განსაზღვრულია ყოველკვირეული პატრულირება სარეინჯეროების და ადგილების მითითებით, რომლის შესახებაც ყოველი თვის ბოლო კვირაში იგზავნება წერილი დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

2016 წლის განმავლობაში რეინჯერმა გურამ ვერულიძემ ჩაატარა ნაკრძალის I, II და III მარშრუტზე 308 პატრულირება ფეხით და განვლილმა მანძილმა შეადგინა 2672კმ, ხოლო აღკვეთილის რეინჯერმა ვაჟა ვაშაყმაძემ ჩაატარა აღკვეთილის I, II და III საპატრულო მარშრუტებზე 308 პატრულირება და განვლილმა მანძილმა შეადგინა 2749კმ.

ასევე ტარდებოდა საავტომობილო პატრულირება დაცვის განყოფილების უფროსის, ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტისა და ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტის მიერ, სულ ჩატარებულია 281 საავტომობილო პატრულირება დაცული ტერიტორიის I და II საავტომობილო მარშუტებზე, გარბენილმა მანძილმა შეადგინა 10854კმ.

ტრენინგები რეინჯერებისთვის ტარდება ყოველკვარტლურად, ატარებდა დაცვის განყოფილების უფროსი ,ადმინისტრაციის დირექტორის თანდასწრებით.

მიმდინარე წლის მაისის თვეში ადმინისტრაციის დირექტორის 10.05.2016 წლის №04 ბრძანების შესაბამისად ჩატარებული იქნა გეგმიური საგაზაფხულო რევიზია, 10 მაისიდან 15 მაისამდე ჩატარდა სახელმწიფო ნაკრძალში ხოლო 15 მაისიდან 20 მაისამდე ქობულეთი საღკვეთილში, რევიზიის ჩატარების შედეგად გამოვლინდა ქობულეთის აღკვეთილის თხილის მასივში სხვადასხვა ადგილზე მოჭრილი და ადგილზე დატოვებული 68 ძირი წვრილზომი (4-დან10სმ-მდე)თხილის ხეები,დანაშაულის ჩამდენი ჩვენს მიერ ვერ იქნა გამოვლენილი და არსებული წესით საქმის მასალები გადაეცა შ.სს ქობულეთის სამმართველოს მუხაესტატეს ქვეგანყოფილებას გამოსაძიებლად.

ადმინისტრაციის დირექტორის მიერ ჩატარდა საკონტროლო რევიზია 20 მაისიდან 25 მაისამდე ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალში, ხოლო 25 მაისიდან 30 მაისამდე ქობულეთის აღკვეთილში.

მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში ადმინისტრაციის დირექტორის 31.10.2016 წლის №08 ბრძანების შესაბამისად ჩატარებული იქნა გეგმიური საშემოდგომო რევიზია, 01 ნოემბრიდან 10 ნოემბრამდე ჩატარდა სახელმწიფო ნაკრძალში ხოლო 10 ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე ქობულეთის აღკვეთილში, რევიზიის ჩატარებისას სანაკრძალო რეჟიმის დარღვევები არ დაფიქსირებულა.

ადმინისტრაციის დირექტორის მიერ ჩატარდა საკონტროლო რევიზია 20 ნოემბრიდან 25 ნოემბრამდე ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალში, ხოლო 25 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე ქობულეთის აღკვეთილში.

დაცვის განყოფილების მიერ მიმდინარე წლის იანვრის თვეში ადმინისტრაციის დირექციის თანდასწრებით შემოწმებული იქნა სახანძრო აპარატურის მუშაობა და დადგენილი იქნა მათი დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

კოშკიდან ხდება მიმდებარე ტერიტორიის სისტემატიური დათვალიერება - დაკვირვება.
და დაცულ ტერიტორიაზე მიღებულ ვიზიტორებთან.
ადმინისტრაციის დირექტორისა და დაცვის განყოფილების უფროსის მიერ შედგენილია ყოველთვიური პატრულირების გეგმა და ტარდება მოულოდნელი რეიდები,2016 წლის განმავლობაში ჩატარებულია 60 მოულოდნელირეიდი
ყოველი კვირის დასაწყისში, დაცვის განყოფილება აწვდის ინფორმაციას დაცული ტერიტორიების სააგენტოს გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ.
დაცვის განყოფილების უფროსის მიერ მომზადებულია და წარდგენილია ყოველთვიური ანგარიში ადმინისტრაციის დირექციისთვის, თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ
სისტემატიურად მიმდინარეობს დაცულ ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მონიტორინგი, ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად ინფრასტრუქტურა გამოსულია მწყობრიდან, შესაძლებლობის ფარგლებში წარმოებდა დაცვის განყოფილების მიერ მწყობრიდან გამოსული ინფრასტუქტურული ერთეულების შეკეთება. (გადასახედი სათვალთვალო კოშკის ,საცალფეხო ბილიკების და ხიდის).
ადმინისტრაციის დირექტორთან ერთად დაცვის განყოფილების უფროსი ჩართული იყო კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის ფარგლებში ქობულეთისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობის პროცესში.
2016 წლის განმავლობაში გამოვლენილია ერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი. ქობულეთის აღკვეთილის აღმოსავლეთ ნაწილში გარემოს ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით. შედგენილი იქნა 22.04.16 რეინჯერ ვაჟა ვაშაყმაძის მიერ ოქმი #0004622 მამუკა მიქელაძის მიმართ.რომელმაც ტრაქტორით მიწის დამუშავების დროს დაარღვია დაცული ტერიტორიების საზღვარი. ოქმი გადაეცა განსახილველად ქობულეთის მაგისტრატ სასამართლოს. სასამართლომ მამუკა მიქელაძე დააჯარიმა 100 ლარის ოდენობით.

სამეცნიერო საქმიანობა

ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტის მიერ შედგენილი და გადმოგზავნილი იქნა დაცული ტერიტორიების სააგენტოში 2015 წლის "ბუნების მატიანე"(2016 წლის 11 თებერვალს).
მომზადებული და გადმოგზავნილი იქნა დაცული ტერიტორიების სააგენტოში 2015 წლის სტატისტიკური მონაცემები, დაცულ ტერიტორიაზე არსებული ძირითადი ფლორისა და ფაუნის სახეობების შესახებ.
ადმინისტრაცია აგროვებს მეტეოროლოგიური მონაცენებს.





09.07.2016 16.08.2016


ადმინისტრაციის რეინჯერების მიერ მიმდინარეობს დაცულ ტერიტორიაზე გადამფრენი ფრინველების მონიტორინგი, გროვდება ინფორმაცია მიგრირებადი ფრინველების შესახებ. მიმდინარე წლის იანვრის თვეში დაფიქსირებულია დაახლოებით 3771 ფრინველი, განსაკუთრებული სიმრავლე შეინიშნებოდა თოვლის პერიოდში, აღინიშნებოდა ისეთი სახეობების მომატება, როგორიცაა გარეული იხვი, სტვენია იხვი, შოშია, რუხი ბატი.

შემცირებული იქნა ფრინველთა რაოდენობა თებერვლის თვეში, დაახლოებით დაფიქსირდა1450 –მდე სხვადასხვა ფრინველი. მარტის თვეში რეინჯერების მიერ დათვლილია 3664 -მდე გადამფრენი ფრინველი, მრავლად შეინიშნებოდა რუხი ყანჩა, თეთრი ყანჩები, კოკონა, ძელქორი გარეული იხვი. მასიური გადაფრენა ფრინველების დაიწყო 23 მარტს. აპრილის თვეში დაცულ ტერიტორიაზე დაფიქსირდა გადამფრენ ფრინველთა დიდი რაოდენობა, დაახლოებით 8500 ფრინველი, აღინიშნებოდა ისეთი სახეობების მომატება, როგორიცაა თეთრი ყანჩა, ჩვეულებრივი კაკაჩა, ქედანი, ჭაობის ძელქორი, მინდვრის ძელქორი. მაისის თვეში დაფიქსირდა დაახლოებით 5000 გადამფრენი ფრინველი. ივნისისა და ივლისის თვეში გადამფრენი ფრინველები არ დაფიქსირებულა.


აგვისტოს თვეში დაფიქსირებულია 800-მდე გადამფრენი ფრინველი, მათ შორის მწყერი, გარეული იხვი, მტრედი ქედანი და სხვა. გადამფრენ ფრინველთა დიდი რაოდენობა დაფიქსირდა მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში, ფრინველთა მასიური გადაფრენა დაიწყო 12 სექტემბრიდან, გადამფრენი მტაცებელი ფრინველებიდან აღსანიშნავია კრაზანაჭამია, ძერა, კაკაჩა ჩვეულებრივი, კაკაჩა ველის, კაკაჩა ფეხბანჯგვლიანი, მინდვრის, მდელოსა და ველის ძელქორები, აღსანიშნავია ასევე გადამფრენი კვირიონის დიდი რაოდენობა და მცირე რაოდენობით ყვითელი და წითური ყანჩა, რუხი წერო, შავი და თეთრი ყარყატი.


მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში დაფიქსირდა 70 სახეობის 21576 გადამფრენი ფრინველი.

მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში დაფიქსირებულია დაახლოებით 22 000 მდე ფრინველი, მათ შორის გარეული მტრედების, წეროებისა და ბატების სახეობები. მიმდინარე წლის ნოემბრის თვეშიდაფიქსირებულია დაახლოებით 12108 მდე ფრინველი, მათ შორის შოშიების, გარეული იხვების,სტვენია იხვებისა და ყვავების გუნდები. დეკემბრის თვეში დათვლილი იქნა 7763 ფრინველი.




2016 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიაზე დაფიქსირებულია 87832 გადამფრენი და ადგილობრივი ფრინველი.







ადმინისტრაციის რეინჯერების მიერ მიმდინარეობს ადგილობრივი ფრინველების მონიტორინგი, სულ დაცულ ტერიტორიაზე დაფიქსირებულია 25 სახეობის ადგილობრივი ფრინველი, მათ შორის გვრიტი, ალკუნი, რუხი ყანჩა, თეთრი დიდი და მცირე ყანჩა, ჩვამა, და სხვა. წლის განმავლობაში დაფიქსირებულია 5000-მდე ადგილობრივი მობუდარი ფრინველი.

წლის განმავლობაში დაფიქსირებულია გლობალურად მოწყვლადი სახეობებიდან 6 სახეობა - თეთრკუდა არწივი- ფსოვი12 ერთეული, მცირე კირკიტა 17 ერთეული, ღალღა 20 ერთეული, ველის ძელქორი 380 ერთეული, დიდი ჩიბუხა „გოჭა“ 30 ერთეული, ბექობის არწივი 3 ერთეული.







ევროპისათვის მოწყვლადი 26 სახეობის 21166 ინდივიდი :

აღკვეთილის სამხრეთ დასავლეთ საზღვართან გამხმარია 1 ჰა ფართობზე არსებული ფიჭვის ტყის 40 %, ჩვენს მიერ აღრიცხული და დანომრილია 161 ძირი გამხმარი ფიჭვი, აქედან 1 არის 6 სმ-იანი, 11- 8 სმ-იანი, 22- 10 სმ-იანი, 26- 12 სმ-იანი, 24- 14 სმ-იანი, 14- 16 სმ-იანი, 24- 18 სმ-იანი, 11- 20 სმ-იანი, 10- 22 სმ-იანი, 7- 24 სმ-იანი, 2- 26 სმ-იანი, 4- 30 სმ-იანი, 3- 32 სმ-იანი, 1- 34 სმ-იანი და 1- 40 სმ-იანი.

ზოგიერთი ძირი არის ნახევრად გამხმარი ზოგი ტოტი აქვს ნედლი. შეინიშნება ახალი ფიჭვის ამონაყარები.

ინვაზიური სახეობა პოლიგონიუმის პოპულაციური განვითარების შესწავლის მიზნით ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე გამოიყო სამი სამონიტორინგო ნაკვეთი:

I სამონიტორინგო ნაკვეთი არის აღკვეთილის ტერიტორიაზე, გზის უშუალო სიახლოვეს, ის დაშორებულია გზიდან 50 მეტრით, ხოლო ცენტრალური ქუჩიდან 250 მ-ით.

პოლიგონიუმის საერთო დაფარულობა აღნიშნულ ნაკვეთზე არის 20%, აქ პოლიგონიუმი წარმოდგენილია ამბროზიასთან ერთად, ინდივიდთა საერთო რაოდენობა აღნიშნულ ფართობზე დაახლოებით 3000-ს წარმოადგენს, საშუალო სიმაღლე 25 სმ.

II სამონიტორინგო ნაკვეთი მდებარეობს აღკვეთილში პირველი ნაკვეთიდან 250 მეტრში, გზიდან 300 მეტრში, აღნიშნულ ნაკვეთზე საერთო დაფარულობა იმატებსდა 90%-ია, რადგანაც პოლიგონიუმი წყლის მოყვარული მცენარეა და ნაკვეთი არხის განაპირას მდებარეობს, ინდივიდთა საერთო რაოდენობა 63000-ია, საშუალო სიმაღლე 60 სმ-ია.

III სამონიტორინგო უბანი მდენარეობს უშუალოდ აღკვეთილისა და ნაკრმალის საზღვარზე, გზიდან 350 მ-ში, მეორე უბნიდან 50 მ-ში, დაფარულობა 70%-ია, ინდივიდთა რაოდენობა 37100 -ია, საშუალო სიმაღლე 40 სმ-ია

მიმდინარე მომენტში ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით და ასევე ყინვების გავლენით ინვაზიური სახეობა პოლიგონიუმი არის გამხმარი და თითქმის გამქრალი.

შეგროვებულია ფოტომასალა დაცულ ტერიტორიაზე არსებული ფლორისა და ფაუნის, ფოტოარქივი ინახება ადმინისტრაციაში.

წითელი ნუსხის სახეობა ოქროწკეპლა არ იქნა აღმოჩენილი დაცულ ტერიტორიაზე.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

2016 წლის 12 თვის განმავლობაში ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა საინფორმაციო შეხვედრები საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ქობულეთის რაიონის საჯარო სკოლებთან, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან, მასთან არსებული ჯგუფის ეკო-კლუბის წევრებთან, ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მოსწავლეებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. ასეთი შეხვედრები ძირითადად ემსახურება დაცული ტერიტორიების პოპულარიზებასა და მომავალ თაობებში ეკოლოგიური ღირებულებების ჩამოყალიბებას.

ღია გაკვეთილების ჩატარება საგანმანათლებლო დაწესებულებებში დიდ ინტერესს იწვევს მოსწავლე ახალგაზრდობაში, ისინი ეცნობიან საქართველოს დაცულ ტერიტორიებს, სწავლობენ ბუნებაში ქცევის წესებს, რომლებსაც შემდგომში პრაქტიკულად იყენებენ დაცულ ტერიტორიაზე ვიზიტის დროს. ასეთი ტიპის გაკვეთილების მთავარი ამოცანაა ახალგაზრდა თაობას განუვითაროს პასუხისმგებლობის გრძნობა და სიყვარული იმ ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობისადმი, რომელიც წარმოდგენილია დაცულ ტერიტორიებზე და გაუჩინოს სურვილი დაიცვას ეს სილამაზე.

2016 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად მომზადებული იქნა სპეციალური ეკო-საგანმანათლებლო პროგრამა და პრეზენტაცია ასაკობრივი ზღვარის გათვალისწინებით. ჩატარებულია 55 ღია გაკვეთილი ქობულეთის რაიონის 37 საჯარო სკოლაში: ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა კვირიკეს, სოფელ კვირიკეს #2, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის, სოფელ ბობოყვათის, სოფელ დაგვას, დაბა ოჩხამურის, სოფელ ნაკაიძეების, ფარნავაზის საერო სკოლაში, დაბა ჩაქვის #2, სოფელ გორგაძეების, ქვედა სამების, სოფელ ჭახათის, სოფელ ლეღვას, სოფელ ცეცხლაურის, სოფელ ჯიხანჯურის, სოფელ ბუკნარის, სოფელ ციხისძირის, სოფელ ზენითის, სოფელ ლეღვას #1 და #2, სოფელ სახალვაშოს, დაბა ჩაქვის #1, სოფელ ალამბრის, სოფელ გვარას, სოფელ მუხაესტატეს, სოფელ ქობულეთის, სოფელ კონდიდის , სოფელ ზედა სამების, სოფელ წყავროკას, სოფელ შუაღელეს, სოფელ აჭყვისთავის, ქობულეთის #1, #2, #3, #5 და #6 საჯარო სკოლებში, ქობულეთის სასულიერო გიმნაზიაში, ქობულეთის პროფესიულ კოლეჯში და ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში.

სულ ლექცია სემინარებში მონაწილეობა მიიღო 12 თვის განმავლობაში 1557 მოსწავლემ და 205 მასწავლებელმა.





სოფელ დაგვას საჯარო სკოლასოფელ ზედა კვირიკეს საჯარო სკოლა

მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარებული იქნა 26 ეკო ტური.







2 თებერვალს ჩატარებული იქნა შეხვედრა ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში ქობულეთის მუნიციპალიტეტთან არსებულ ჯგუფის ,,ეკოკლუბი'', ხელმძღვანელებთან, დაიგეგმა 2016 წლის ერთობლივი ღონისძიებები.




2 თებერვალი _ ჭარბტენიანი ტერიტორიების საერთაშორისო დღეს ჩატარებული იქნა ჭარბტენიანი ტერიტორიების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული, რომლის მთავარი თემა იყო რამსარის კონვენციის 2016 წლის გზავნილი ,,ჭარბტენიანები მომავლისათვის''. კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებები ჩატარდა. 2 თებერვალს, ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა შეხვედრა ქობულეთის მუნიციპალიტეტთან არსებული ქობულეთის კულტურის ცენტრის, ბიბლიოთეკისა და ეკო კლუბ ,,ეკოქომაგების'' წარმომადგენლებთან, შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის წყლის ეკოსისტემებისა და ტორფნარების კონსერვაციის განყოფილების ხელმძღვანელი და ქობულეთისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლები. შეხვედრაზე წარდგენილი იქნა ქობულეთის დაცული

ტერიტორიების ბოლო ათი წლის მუშაობის შესახებ პრეზენტაცია. კვირეულის ფარგლებში 4 და 9 თებერვალს ჩატარდა ეკოლოგიურ საგანმანათლებლო ლექცია სემინარი ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა კვირიკესა და სოფელ კვირიკეს #2 საჯარო სკოლებში, სემინარის მთავარი თემა იყო ქობულეთის დაცული ტერიტორიების საერთაშორისო მნიშვნელობა და რამსარის კონვენცია.

ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის წყლის ეკოსისტემებისა და ტორფნარების კონსერვაციის განყოფილების მიერ მიმდინარეობს ქობულეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის მომზადება, ამასთან დაკავშირებით 23 თებერვალს ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა შეხვედრა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის დაგეგმვის პროცესი. ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად განხილული იქნა თუ რა მონაცემებია საჭირო მენეჯმენტის გეგმისათვის და თუ როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის დაგეგმვაში საზოგადოებამ.

21 მარტი _ ტყეების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის ქარსაცავ ზოლში ფიჭვის ნერგები დაირგო. გამწვანების აქციაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მოხალისეებმაც.

მიმდინარე წლის **22 მარტს წყლის რესურსების საერთაშორისო დღესთან** დაკავშირებით ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვას საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარებული იქნა ბუნებრივი რესურსების განახლების ღონისძიება, კერძოდ მოსწავლეების მიერ აღკვეთილის შესასვლელში დარგული იქნა ტირიფის ნერგები და გადატანილი იქნა ჰართვისის მუხის რკო ბუნებრივ გარემოში.





6 და 7 აპრილს ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა შეხვედრა დაინტერესებულ პირებთან ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის წყლის ეკოსისტემებისა და ტორფნარების კონსერვაციის განყოფილების მიერ მენეჯმენტის გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით, შეხვედრას ესწრებოდნენ: ქობულეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისა და ქობულეთის მუზეუმის წარმომადგენლები.

22 აპრილს ქობულეთის კულტურის ცენტრში ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ორგანიზებით ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების და დედამიწის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,აქ მინდა ვიდგე, მაღალ მთიდან წამოსულ წვიმას თავისუფლად რომ შევაგებო ლაღი გულმკერდი" გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ქობულეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები, ქობულეთის კულტურის ცენტრთან არსებული ეკო კლუბის ჯგუფის ,,ეკო ქომაგების" წევრები. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქობულეთის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების, რესურს ცენტრისა და სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციების 250 -მდე წარმომადგენელი.





ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ დათმობილი იქნა კულტურის ცენტრის დარბაზი ღონისძიებისათვის 2 დღით 21 და 22 აპრილს, ქობულეთის ააიპ კულტურის ცენტრთან არსებული ეკო კლუბის ჯგუფი ,,ეკოქომაგების“ მოსწავლეები მონაწილეობდნენ დედამიწის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.


3 მაისი - გადამფრენი ფრინველების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარებული იქნა კვირეული, კვირეულის ფარგლებში ჩატარდა შემეცნებითი ხასიათის საინფორმაციო გაკვეთილები ქობულეთის რაიონის სოფელ ბუკნარისა და ციხისძირის საჯარო სკოლებში.

22 მაისი - ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარებული იქნა საგანმანათლებლო ლექცია ქობულეთის რაიონის სოფელ ცეცხლაურისა და ჯიხანჯურის საჯარო სკოლებში. ლექციაზე საუბარი იყო: თუ რას ნიშნავს ბიომრავალფეროვნება, საქართველოს ბიომრავალფეროვნება და ადამიანის ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე.

4 ოქტომბერი - ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქობულეთის #2 საჯარო სკოლაში ჩატარებული იქნა ღია გაკვეთილი.




მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში ჩატარებული იქნა შეხვედრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში დაინტერესებულ პირებთან, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის წყლის ეკოსისტემებისა და ტორფნარების კონსერვაციის განყოფილების მიერ მენეჯმენტის გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით, შეხვედრას ესწრებოდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის წარმომადგენლები.




ნადირობის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით,მიმდინარე წლის 20 აგვისტოს ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების მიერ ჩატარდა სპეციალური საინფორმაციო რეიდი დაცულ ტერიტორიებზე, დარიგებული იქნა მიმდებარე ფართობებზე საინფორმაციო ფურცლები დაინტერესებული პირებისათვის.





მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში მონაწილეობა მივიღეთ რიგით მე-6 ბათუმის ფრინველებზე დაკვირვების საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც ჩატარდა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით.ფესტივალის ფარგლებში გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვება მიმდინარეობდა ჭოროხის შესართავში, სოფელ სახალვაშოსა და კოლხეთის ეროვნულ პარკში.




22 ოქტომბერს ხის დარგვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარებული იქნა ბუნებრივი რესურსების განახლების ღონისძიება, კერძოდ ქობულეთის საჯარო სკოლების მოსწავლეების მიერ ქობულეთის აღკვეთილის შესასვლელში დარგული იქნა ფიჭვის ნერგები.




31 ოქტომბერი - შავი ზღვის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარებული იქნა კვირეული, რომლის ფარგლებშიც ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვას #1 და #2 და ქობულეთის #3საჯარო სკოლებში ჩატარებული იქნა ღია გაკვეთილი შავი ზღვის თემატიკაზე, სადაც გამოყენებული იქნა კომპანია ,,კოკა კოლასა“ და გაეროს განვითარების პროგრამის თანადაფინანსებით გამოცემული საგანმანათლებლო კრებული ,,შავი ზღვის სკივრი“, მოსწავლეებმა იმსჯელეს შავი ზღვის თავისებურებებზე, ბიომრავალფეროვნებაზე, ეკოლოგიურ მდგომარეობასა და პრობლემებზე.


ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ სისტემატიურად მიმდინარეობს დაცული ტერიტორიების ტურისტული ბილიკებისა და არხების დასუფთავება, ასევე წლის განმავლობაში იწმინდებოდა მშენებარე ვიზიტორთა ცენტრის ეზოც. მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში შეუერთდით საერთაშორისო აქციას „დავასუფთაოთ მსოფლიო! დავასუფთაოთ საქართველო!“ რომელიც მსოფლიოს მასშტაბით, ყოველწლიურად 16, 17, 18 სექტემბერს იმართება.

18 სექტემბერს დასუფთავებული და გაცელილი იქნა დაცული ტერიტორიის ტურისტული ბილიკები.




სულ 2016 წლის განმავლობაში ჩატარებული იქნა 7 დასუფთავების აქცია.

მიმდინარე წლის 15 ნოემბერს ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს კოლხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ფარგლებში უცხოელი ექსპერტები ეწვივნენ. მათ მოინახულეს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია ისპანი II



ღონისძიებები ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე

ეკოტურიზმი

2016 წლის განმავლობაში გავრცელდა 625 ბროშურა, აქედან 215 ტურისტული რუკა შემდეგ სასტუმროებში: "გრინ ჰაუსი", „სანაპირო", „კახეთი", „კინგ პალასი", „ჩვენი ეზო", 75 ერთეული გაიცა მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე ეკოსაგანმანათლებლო ლექციების დროს, 90 დაურიგდათ დამსვენებლებს ეკო პლაჟის ტერიტორიაზე, 70 ცალი ბროშურა გადაეცა ტურ ოპერატორებს „აბ ვიზიტ აჭარას", „ქარდუ ტრეველს", „ეკო ტურს" და „გურ ტურს", ხოლო 175 საინფორმაციო რუკა გავრცელდა დაცული ტერიტორიების ვიზიტორებს შორის.





ქობულეთის დაცული ტერიტორიებზე არსებული სერვისების, ბილიკების და ახალი ტურისტული ტარიფების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა ქ. ბათუმში მოქმედ შემდეგ ტურისტულ კომპანიებს: „ლიბერთიჯორჯია", „ბათუმიავიატური", „არგოტრეველი", „ინტერტრეველი" და „ევროტურჯორჯია". სულ გავრცელდა 86 ბუკლეტი და ფლაერი და სხვადასხვა სახის ელექტრონული ინფორმაცია.

მიმდინარე წლის 28 აგვისტოს ქობულეთის ეკოპლაჟის ტერიტორიაზე მოეწყო პრომო აქცია, გავრცელდა სხვადასხვა სახის ტურისტული რუკები და ფლაერები.


წლის განმავლობაში ინტენსიურად ხდებოდა დაცულ ტერიტორიებზე არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შემდეგ ტურ ოპერატორებთან: "ეკო ტური", „გურ ტური", „აბ ვიზიტ აჭარა"და „ქარდუ ტრეველი".


ქობულეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღო მე-9 საერთაშორისო გამოფენა "EXPO BATUMI 2016"-ის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაში, სადაც კინტრიშის, მტირალას, მაჭახელასა და კოლხეთის ვიზიტორთა სპეციალისტებთან ერთად ქობულეთის დაცული ტერიტორიები და სრულიად დაცული ტერიტორიების სააგენტო წარადგინა.


ამა წლის აპრილის, მაისის და ივნისის თვეებში ორგანიზებულ იქნა შეხვედრები აგურის დასახლების, აღმაშენებლის და რუსთაველის ქუჩის მოსახლეობასთან, სადაც ადგილობრივებს მიეწოდა ინფორმაცია ქობულეთის დაცული ტერიტორიების უნიკალური ეკოსისტემისა და მნიშვნელობის შესახებ. გავრცელდა საინფორმაციო ბუკლეტები და ფლაერები.


აპრილის თვეში განთავსებული იქნა სტატია ქობულეთის დაცული ტერიტორიების შესახებ გაზეთში 'ჩემი ქობულეთი".


2016 წლის ვიზიტორთა გამოკითხვის შედეგები

























2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაცულ ტერიტორიას ესტუმრა 9175 ვიზიტორი, მათ შორის 1123 უცხოელი. შემოსავალმა შეადგინა 1705 ლარი.





ქობულეთის დაცული ტერიტორიები მოინახულეს ვიზიტორებმა: უკრაინიდან, რუსეთიდან, გერმანიიდან, აზერბაიჯანიდან, ბელორუსიიდან, ნიდერლანდებიდან, სომხეთიდან, ესპანეთიდან და თურქეთიდან.

ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

დაცვის განყოფილებას ამჟამად პატრულირებისათვის გადაცემული აქვს პიკაპის ტიპის ერთი ავტომანქანა, 5 ცხენი და 4 უნაგირი, რომლებიც ვარგისია ექსპლუატაციისათვის. უბნის უფროსი რეინჯერები და რეინჯერები ახდენენ თავიანთ დაქვემდებარებაში არსებული სამცველოების დაცვას დადგენილი რეჟიმის შესაბამისად.

სისტემატურად ხდება ბუნებრივი რესურსების მდგომარეობის დათვალიერება და დაცულ ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის შემოწმება. დაცვის სამსახურის მიერ ხდება ხშირი შემოწმება ხანძარსაშიში ადგილებისა, ხდება მოსახლეობის გაფრთხილება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხანძარი. ხშირად აქვს ადგილი საძოვრებზე ცეცხლის გაჩენას. ხანძრის თავიდან აცილების მიზნით ხანძარსაშიშ პერიოდში ადმინისტრაცია გამოსცემს შიდა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც ხდება გაფრთხილება (მწყემსები, ვიზიტორები, გამყოლები), რომ მათი მხრიდან არ მოხდეს რაიმე სახის დაუდევრობა და კანონის დარღვევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი. აღსანიშნავია ასევე სოფელ ცდოსთან მომხდარი ხანძრის ფაქტიც, რომელიც დაცვის განყოფილების თანამშრომლების, სახანძრო სამაშველო სამსახურის და მოსახლეობის დროული რეაგირების შედეგად ლიკვიდირებულ იქნა. ასევე სოფელ აჩხოტთან, ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფლის საძოვარზე გაჩნდა ხანძარი, იყო საშიშროება ხანძრის გავრცელების ტყით დაფარულ ფართობებზე. სახანძრო-სამაშველო სამსახურის და ეროვნული პარკის დაცვის განყოფილების დროული რეაგირების შედეგად ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა. ხანძარის შედეგად დაიწვა მხოლოდ ალპური საძოვარი დაახლოვებით 7 ჰა.

დაცვის სამსახური ასევე აქტიურად ახორციელებს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ყაზბეგის ეროვნული პარკის შექმნისა და მისი შემდგომი განვითარების მნიშვნელობის შესახებ.
ბრაკონიერობის აღკვეთის მიზნით სანადიროდ პოტენციურ ადგილებში დაცვის სამსახური ხშირად აწყობს რეიდებს; მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარდა მანქანით 160 მოულოდნელი რეიდი და 190 შემოვლა, ხოლო ფეხით და ცხენით შემოვლების რაოდენობაა 1700. პატრულირების დროს ბილიკებზე და გზებზე გავლილი იქნა: ფეხით - 15450 კმ, ცხენით - 5020 კმ. მანქანით - 31200 კმ. სულ: 51670 კილომეტრი.
დაცვის სამსახურის და ბუნებრივი რესურსების მთავარი სპეციალისტის მონაწილეობით ჩატარდა საგაზაფხულო გეგმიური და საკონტროლო რევიზიები, რომლის შედეგებიც დროულად გადაეცა დაცული ტერიტორიების სააგენტოს.





ენდემური სახეობების მონიტორინგის მიზნით ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია ფოტომახეები. ფოტომახეების მიერ დაფიქსირებული ფოტო და ვიდეო მასალა სისტემატიურად იგზავნება დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

სამეცნიერო საქმიანობა

მომზადდა 2015 წლის „ბუნების მატიანე“ და გადაიგზავნა დაცული ტერტორიების სააგენტოში.
მომზადდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს გადაეცა 2014 წლის სტატისტიკური ფორმები.
მეტეოროლოგიური დაკვირვება ხდება მხოლოდ ვიზუალურად, შესაბამისი ხელსაწყოების უქონლობის გამო; 2016 წლის ზამთრის პერიოდში განსაკუთრებული მეტეომოვლენა არ დაფიქსირებულა; თუმცა გამოირჩეოდა ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობით წინა წელთან შედარებით; ზამთარი არ გამოირჩევა უხვი ნალექით და ზვავსაშიშროებით; მაგრამ გამოირჩევა წინა წლებთან შედარებით ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობით, დეკემბრის თვეში აღინიშნებოდა -18° -23°, რასაც ცვლიდა ტემპერატურის მკვეთრი მატება -5° -7° მზიანი ამინდებით
ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ხორციელდება„წითელი ნუსხის'' ცხოველთა მონიტორინგი, რის შემდეგაც აღნიშნული მონაცემები გადაეცემა დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

ეროვნულ პარკში არსებობს და გრძელდება ფლორისა და ფაუნის შესახებ ფოტომასალის შეგროვება, აღსანიშნავია, რომ საკმაოდ საინტერესო ფოტომასალა მოეპოვება ეროვნულ პარკს. ერთი წლის მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ წინა წელთან შედარებით მომატებულია ჯიხვის, არჩვის, დათვის, ფოცხვერის რაოდენობა; ვიზუალური დაკვირვების შედეგად რეინჯერის მიერ ჯვრის უღელტეხილი-არაგვის სათავეებთან ნანახი იქნა არჩვები მაისის თვეში, ასევე განისის მარშრუტზე ნანახი იყო დათვი ბელებით, ასევე მგლის ნაკვალევი,, რომელიც მთელ ტერიტორიაზე მრავლად არიან; ასევე -ხდის ხეობაში ფოტოხაფანგების საშუალებით დაფიქსირდა ჯიხვები; ხდის ხეობაში რეინჯერის მიერ დაფიქსირებულია ასევე ფოცხვერი, რომლის რაოდენობა წინა წელთან შედარებით მომატებულია; თრუსოს ხეობაში რეინჯერის მიერ ვიზუალურად დაფიქსირებულია არჩვი; 2016 წლის მანძილზე ყაზბეგის ეროვნულ პარკის ტერიტორიაზე დაფიქსირებული კვლევების,ფოტოხაფანგების და ვიზუალურად დანახული ძირითადი სახეობების რიცხოვნობის დინამიკა ასეთია




ყაზბეგის ეროვნულ პარკში 5-დან 13 ივნისის ჩათვლით ჩატარდა ტყეების გეგმიური პათოლოგიური გამოკვლევა, შედეგადაც გამოვლინდა : ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული ფიჭვის კულტურის საერთო ფართობის (386 ჰა) 5.3% ანუ 20.8 ჰა აღენიშნება წიწვის სუსტად დაზიანება, რომლის გამომწვევიც არის კენწეროს ქერქიჭამია და ფიჭვის დიდი მებაღე. რაც შეეხება ბუნებრივ კორომებს (არყი, ვერხვი) დაავადება არ ფიქსირდება მათი გავრცელების არც ერთ სამცველოში. ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი ტყეებისა და ტყის კულტურების პათოლოგიური მდგომარეობა შეიძლება დამაკმაყოფილებლ ად ჩაითვალოს, და არ საჭიროებს ტყის დაცვითი ღონისძიებების გამოყენებას.




ადმინისტრაციის და რეინჯერების მიერ გრძელდება მსხვილი ძუძუმწოვრების მონიტორინგი და აღრიცხვა. ერთი წლის მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ წინა წელთან შედარებით მომატებულია ჯიხვის, არჩვის, დათვის, ფოცხვერის რაოდენობა; ვიზუალურად რეინჯერების მიერ ჯვრის უღელტეხილი-არაგვის სათავეებთან ნანახი იქნა არჩვები მაისის თვეში, ასევე განისის მარშრუტზე ნანახი იყო დათვი ბელებით, ასევე მგლის ნაკვალევი,, რომელიც მთელ ტერიტორიაზე მრავლად არიან; ასევე -ხდის ხეობაში ფოტოხაფანგების საშუალებით დაფიქსირდა ჯიხვები; ხდის ხეობაში რეინჯერის მიერ

დაფიქსირებულია ასევე ფოცხვერი, რომლის რაოდენობა წინა წელთან შედარებით მომატებულია; თრუსოს ხეობაში რეინჯერის მიერ ვიზუალურად დაფიქსირებულია არჩვი; დაცული ტერიტორიის გარკვეულ ადგილებში, მაგ. ,,ხდის ხეობაში '' დაყენებული იქნა ფოტოხაფანგები, რის შედეგადაც დაფიქსირდა ჯიხვები,

2016 წლის მანძილზე ყაზბეგის ეროვნულ პარკის ტერიტორიაზე დაფიქსირებული კვლევების,ფოტოხაფანგების და ვიზუალურად დანახული ძირითადი სახეობების რიცხოვნობის დინამიკა ასეთია.





დაცული ტერიტორიის გარკვეულ ადგილებში, მაგ. ,,ხდის ხეობაში '' დაყენებული იქნა ფოტოხაფანგები, რის შედეგადაც დაფიქსირდა ჯიხვები,

15 ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით დაცული ტერიტორიის ყველა სამცველოში ჩატარდა ტყეების პათოლოგიური შემოწმება დაკვირვების საფუძველზე ტყეები , როგორც ფოთლოვანი ასევე წიწვოვანი , ჯანმრთელია და დაავადება და მავნებლის მიერ დაზიანება არ აღენიშნება პათოლოგიური შემოწმება დაცულ ტერიტორიაზე ტარდება ყოველწლიურად.

საშემოდგომო დათვალიერების დროს, ფიჭვებზე შემჩნეული იქნა წიწვების გაყვითლება; ეს ფაქტი ყველა სამცველოში შეიმჩნევა, სადაც კი ფიჭვის კულტურაა გაშენებული:

აღნიშნული ფაქტი ეცნობა დაცული ტერიტორიების სააგენტოს და გადავეცით ნიმუშები; ასევე , ნიმუშები პათოლოგიის დასაზუსტებლად გადაეცა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვასილ გულისაშილის სატყეო ინსტიტუტის მცენარეთა დაცვის განყოფილებას, კერძოდ ფიტოპათოლოგს, მეცნ. დოქტორს ბიძინა თავაძეს, შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ აღნიშნული არის სოკოვანი დაავადება, კერძოდ **შუტე** (*Lophodermium seditiosum):*

მიმდინარეობს მონიტორინგი ცენტრალური კავკასიონის მაღალ მთაში, კერძოდ ყაზბეგის ეროვნული პარკის შემადგენლობაში არსებული ტყის ტიპებისა და მათ ქვეშ განვითარებული ნიადაგების შესწავლა; სულ შერჩეული გვაქვს 3 სანიმუშო ფართობი; გასული სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში შერჩეული სანიმუშო ფართობებიდან აღებული იქნა მცენარეთა ნიმუშები ჰერბარიუმებისთვის, მონიტორინგი უნდა გაგრძელდეს მომდევნო სავეგეტაციო პერიოდში;

მზადდება ინფორმაცია სამეცნიერო სტატიისათვის კრებულში გამოსაქვეყნებლად;

თრუსოს ხეობაში არსებულ მინერალურ ტბაზე და ქეთრისის მინერალურ ვოკლუზზე, მათ და მიმდებარედ არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე;წარმოებს მონიტორინგი;




მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული ქუდიანი სოკოების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, აღრიცხულია 50-ზე მეტი სხვადასხვა სახეობის სოკო, რომელსაც ესაჭიროება სისტემატიკაში მოყვანა და შემდეგ საბეჭდი მასალის მომზადება, რაც საკმაოდ საინტერესო იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ქართველი და უცხოელი ვიზიტორებისთვის; სოკოების შეგროვების საქმეში აქტიურად არიან ჩართული საჯარო სკოლის მოსწავლეები.

დაცულ ტერიტორიაზე წარმოებს სამკურნალო მცენარეების იდენტიფიკაცია და მასალების მომზადება, ასევე მზადდება ჰერბარიუმები. ჰერბარიუმების შესაქმნელად საჭიროა საჰერბარიუმე ბადეები, ამ საქმეში აქტიურად არიან ჩართული საჯარო სკოლის მოსწავლეები;

უნდა აღინიშნოს, რომ SPPA-საქრთველო (დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში) პროგრამის ფარგლებში, ფინანსური მხარდაჭერით ახლო მომავალში დაიბეჭდება ყაზბეგის ეროვნული პარკის სამკურნალო მცენარეები, სადაც შესული იქნება 40 მდე სახეობის ძირითადი სამკურნალო მცენარე.

ყოველწლიურად, წლის ბოლოს მზადდება ,,ბუნების მატიანე“, რომელშიც აღწერილია ეროვნული პარკის მიერ გაწეული საქმიანობა ერთი წლის მანძილზე და იგზავნება დაცული ტერიტორიების სააგენტოში;

ყაზბეგის ეროვნულ პარკში ყოველი წლის ბოლოს მზადება სტატისტიკური მონაცემები ფლორისა და ფაუნის შესახებ, რომელშიც მითითებულია იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი, მოწყვლადი, წითელ წიგნსა და წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები;

ყაზბეგის ეროვნულ პარკში აქტიურად ხორციელდება ფლორისა და ფაუნის მოვლის, დაცვის და აღდგენის ღონისძიებები, რაც გამოიხატება სხვადასხვა აქციებით - გამწვანების - გაზაფხულზე, დასუფთავების - ზამთრის სეზონის გარდა;

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ალგეთის, ყაზბეგის, კინტრიშისა და ფშავ-ხევსურეთის ადმინისტრაციების თანამშრომლებს ჩაუტარეს ტრენინგი

რომელიც კვლევა-მონიტორინგის სპეციალისტებისთვის იყო განკუთვნილი ; ტრენინგი კავკასიაში დაცული ტერიტორიების ხელშეწყობის პროგრამის - საქართველო (ეკორეგიონული კონსერვაციის პროგრამა, ფაზა III) ფარგლებში ჩატარდა. ტრენინგის ფარგლებში კვლევა-მონიტორინგის სპეციალისტებისა და რეინჯერებისათვის ჩატარდა პრეზენტაცია დაცული ტერიტორიების, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და მისი ძირითადი საქმიანობების შესახებ.

ტრეინინგის მეორე ნაწილს წარმოადგენდა საველე ტრეინინგი სანიმუშო ფართობების დათვალიერება და გაცნობა.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია


2016 წლის განმავლობაში ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ გასწია სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა. საქმიანობების ძირითად მიზნობრივ ჯგუფებად ითვლება როგორც სასწავლო დაწესებულებები და ადგილობრივი მოსახლეობა ასევე ორგანიზაციები.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ ყაზბეგის რაიონის საჯარო სკოლებში სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ჩატარდა პრეზენტაციები და ლექცია-სემინარები საქართველოს დაცული ტერიტორიებისა და ყაზბეგის ეროვნული პარკის შესახებ. მოსწავლეები დეტალურად გაეცნენ საქართველოს დაცული ტერიტორიების და ყაზბეგის ეროვნული პარკის მიზნებს, საქმიანობებს, მართვას და ეკოტურისტულ პოტენციალს.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით ხშირად ტარდება შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომლის ძირითადი მიზანია ეროვნული პარკის საქმიანობის გაცნობა, და მასზე ცნობიერების ამაღლება

მოხდა არსებული ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა, განახლება და დიფერენცირება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფის მიხედვით. განახლდა ზოგადი პრეზენტაცია დაცულ ტერიტორიებზე და ყაზბეგის ეროვნულ პარკზე, მომზადდა თემატური პრეზენტაციები ეროვნული პარკის ფრინველების, ჰიდროლოგიის, სამკურნალო მცენარეებისა და მთების შესახებ, რომელთა შეთავაზებაც მოხდება სკოლებისათვის. სკოლა თავად გადაწყვეტს რომელი თემატიკის პრეზენტაციის ჩატარება სურს ეროვნულ პარკს ადმინისტრაცი ისაგან. მიმდინარეობს მუშაობა პრეზენტაციათა თემატიკის უფრო გამრავალფეროვნებისათვის.







ყველა საჯარო სკოლაში მწვანე კალენდრის მიხედვით ტარდება, ლექცია-სემინარები თვეში დაახლოებით 2-3-ჯერ.

3 თებერვალს ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის დღესთან დაკავშირებით საჯარო სკოლაში ჩატარდა სემინარი, რომლის მიზანი იყო ჭარბტენიანი ტერიტორიების გაცნობა და მათი მნიშვნელობის საქართველოს ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით.

10 თებერვალს მოეწყო შეხვედრა დაბა სტეფანწმინდის სასულიერო სემინარიაში, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ჩატარდა პრეზენტაცია დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის, ეროვნული პარკის მიზნებისა და კანონმდებლობის შესახებ. პრეზენტაციის ბოლოს მოეწყო ვიქტორინა, მოსწავლეებმა უპასუხეს პრეზენტაციის შესახებ დასმულ კითხვებს

3 მარტს დაბა გუდაურის საჯარო სკოლაში ჩატარდა ლექცია-სემინარი.

21 მარტს ტყის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დაბა სტეფანწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე და ტყის მნიშვნელობაზე, მოსწავლეებმა ასევე ნახეს ფილმი „საქართველოს დაცული ტერიტორიები“;



28 მარტს სოფ. სიონის საჯარო სკოლაში ჩატარდა კონკურსი ,,რა, სად, როდის; რომლის ძირითადი მიზანია დაცულ ტერიტორიებზე, მათ შორის ყაზბეგის ეროვნულ პარკზე, მის ბიომრავალფეროვნებაზე ცნობიერების ამაღლება; კონკურსი ჩატარდა ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის თანადგომით;

22 აპრილს ,,დედამიწის დღესთან'' დაკავშირებით ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით სოფ. არშის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო დასუფთავების აქცია. აქციაში ეროვნული პარკის თანამშრომლებთან ერთად მონაწილებდნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები



4 მაისს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით და მეგობართა ასოციაციის ორგანიზებით დაბა გუდაურის საჯარო სკოლაში პირველად ჩატარდა გამწვანების აქცია საჯარო სკოლის შემოგარენში დაირგო 50 ზე მეტი არყის ხის ნერგი. აქციაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა; აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებმა თვითონ აიღეს მზრუნველობა თავისივე დარგული ხის მოვლაზე





5 მაისს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით და ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის თანადგომით ჩატარდა დასუფთავების აქცია, სადაც პარკის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ სოფ. სიონის საჯარო სკოლის მოსწავლეები

ბიომრავალფეროვნების დღესთან დაკავშირებით ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით სოფ. სნოს სჯარო სკოლაში ჩატრდა ლექცია-სემინარი; სემინარის თემა იყო ყაზბეგის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიის მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სახეობათა კონსერვაციის საქმეში; შეხვედრას ესწრებოდნენ მე-8-10 კლასის მოსწავლეები და პედაგოგები;

30 მაისს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით სოფლების სიონის და არშის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის მოეწყო ეკოტური სოფ. სიონის ტყეში; მოსწავლე-ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს არყნარში ფერომონების დაკიდების პროცესში; ეკოტურის ძირითადი მიზანი იყო ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების გაცნობა; გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება




31 მაისს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით დაბა სტეფანწმინდის საჯაროსკოლის და სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეებისათვის მოეწყო ეკოტური ,, ელიას" ტყეში; მოსწავლე- ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს ფიჭვნარებში ფერომონების დაკიდების პროცესში; აღნიშნულ აქციაში მონაწილეობდნენ პედაგოგებიც ეკოტურის ძირითადი მიზანი იყო ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების გაცნობა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება




მიმდინარე წლის 17 აგვისტოს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ორგანიზებით მოეწყო დასუფთავების აქცია, აქციაში ადგილობრივ მოხალისეებთან ერთად აქტიურად ჩაება ბაწარა ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორი გიორგი სიმონიშვილი ოჯახის წევრებთან ერთად. დასუფთავდა სოფ. ფანშეტის მიმდებარედ არსებული მინერალური წყლის ,,ვეძა'' -ს ტერიტორია

და საცურაო აუზი; აღნიშნულ ტერიტორიაზე ზაფხულის განმავლობაში საკმაოდ ბევრი დამსვენებელი იყრის თავს, რის გამოც მას ხშირად ესაჭიროება დასუფთავება



მიმდინარე წლის 17 სექტემბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია შეუერთდა საერთაშორისო აქციას ,,დავასუფთაოთ მსოფლიო, დავასუფთაოთ საქართველო", დასუფთავდა გველეთის ჩანჩქერის მიმდეარე ტერიტორია; სადაც მრავალი ტურისტი იყრის თავს. აქციაში აქტიურად ჩაებნენ კინტრიშის დაცული ტერიტორიის თანამშრომლები, კინტრიშის დაცული ტერიტორიის მეგობართა ასოციაცია, რომელთაც ამ პერიოდში სამუშაო შეხვედრა ჰქონდა ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციაციასთან და ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან





25 ოქტომბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით დაბა სტეფანწმინდის საჯარო სკოლაში ჩატარდა სემინარი, რომლის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს დაცული ტერიტორიებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ასევე ყაზბეგის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების გაცნობა,ღირსშესანიშნაობები; მსგავსი ტიპის შეხვედრები მომავალშიც იგეგმება, რაც ხელს უწყობს, მოსწავლე ახალგაზრდობის გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლებას და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას.

26 ოქტომბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით დაბა სტეფანწმინდის სასულიერო გიმნაზიაში ჩატარდა სემინარი, რომლის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს დაცული ტერიტორიებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ასევე ყაზბეგის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების გაცნობა,ღირსშესანიშნაობები; მსგავსი ტიპის შეხვედრები მომავალშიც იგეგმება, რაც ხელს უწყობს, მოსწავლე ახალგაზრდობის გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლებას და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას.

27 ოქტომბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით სოფ. გორისციხის საჯარო სკოლაში ჩატარდა სემინარი, რომლის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს დაცული ტერიტორიებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ასევე ყაზბეგის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების გაცნობა; მსგავსი ტიპის შეხვედრები მომავალშიც იგეგმება, რაც ხელს უწყობს, მოსწავლე ახალგაზრდობის გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლებას და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას.




31 ოქტომბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით სოფ. სნოს საჯარო სკოლაში ჩატარდა სემინარი, რომლის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს დაცული ტერიტორიებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ასევე ყაზბეგის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების გაცნობა; მსგავსი ტიპის შეხვედრები მომავალშიც იგეგმება, რაც ხელს უწყობს, მოსწავლე ახალგაზრდობის გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლებას და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას.

8 ნოემბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით მოეწყო ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიება; რაიონის ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, რომელნიც აქტიურად იყვნენ და არიან ჩაბმული ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, მოამზადეს პრეზენტაციები; მოვისმინეთ 7 პრეზენტაცია; უნდა აღინიშნოს რომ მოსწალე ახალგაზრდებმა შესანიშნავად გაართვეს თავი ამ ღონისძიებას; ყველა მოსმენილი პრეზენტაცია იყო საინტერესო იმ თვალსაზრისით, რომ მათ გადმოსცეს თავიანთი აზრი და დამოკიდებულება გარემოსადმი, ბუნებისადმი; ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით; იყო შენიშვნები და წინადადებები როგორც მოსწავლეების, ასევე პედაგოგების მხრიდან; ღონისძიებას ესწრებოდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ თათარაშვილი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, რაიონის განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელი, საჯარო სკოლების დირექტორები და პედაგოგები, ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის დირექტორი ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია აქტიურად აგრძელებს ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობას





8 დეკემბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით დაბა სტეფანწმინდის საჯარო სკოლაში ჩატარდა ლექცია-სემინარი, სემინარს ესწრებოდნენ მე-9 კლასის მოსწავლეები და 2 პედაგოგი; ახლოვდება ახალი წელი, მოსწავლე ახალგაზრდობამ კარგად უნდა გაიაზრონ, რატომ არ უნდა მოჭრან ფიჭვი; შეხვედრა საკმაოდ საინტერესო გამოვიდა, მოვისმინეთ მათი გონივრული დამოკიდებულებები ტყესთან და ზოგადად ბუნებასთან.

13 დეკემბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა პრეზენტაცია დაბა სტეფანწმინდის საჯარო სკოლისა და სტეფანწმინდის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეებთან საუბარი იყო დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის შესახებ, ამავე დროს მოსწავლე - ახალგაზრდებმა, რომელთაც ნოემბრის თვის ბოლოს მოინახულეს კოლხეთის ეროვნული პარკი და ქობულეთის დაცული ტერიტორიები, დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებები; დაისვა საინტერესო კითხვები როგორც მოსწავლეების, ასევე პედაგოგების მხრიდან; შეხვედრას ესწრებოდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს გამგებელი, ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის დირექტორი




15 დეკემბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით სოფ. სიონის საჯარო სკოლის მოსწალეებთან და პედაგოგებთან ჩატარდა ლექცია -სემინარი; ახლოვდება ახალი წელი, მოსწავლე ახალგაზრდობამ კარგად უნდა გაიაზრონ, რატომ არ უნდა მოჭრან ფიჭვი; შეხვედრა საკმაოდ საინტერესო გამოვიდა, მოვისმინეთ მათი გონივრული დამოკიდებულებები ტყესთან და ზოგადად ბუნებასთან. ამავე დროს მოსწავლე - ახალგაზრდებმა, რომელთაც ნოემბრის თვის ბოლოს მოინახულეს კოლხეთის ეროვნული პარკი და ქობულეთის დაცული ტერიტორიები, დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებები; დაისვა საინტერესო კითხვები როგორც მოსწავლეების, ასევე პედაგოგების მხრიდან; შეხვედრას ესწრებოდნენ საჯარო სკოლის დირექტორი და პედაგოგები

23 დეკემბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით სოფ. გორისციხის საჯარო სკოლაში ჩატარდა ლექცია-სემინარი - გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ დედა ბუნებას; სემინარი ძირითადად ითვალისწინებდა ახალი წლის მოახლოებათან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პრობლემას- ნუ მოვჭრით ფიჭვს , მოვრთოთ მე 10 კლასის მოსწავლეებმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს აღნიშნული თემა; სადაც ნაჩვენები იყო ტყის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ყაზბეგის ეროვნული პარკისა და ზოგადად ხევისათვის, ასევე, რა ზიანი შეიძლება მოყვეს მის თანდათანობით გაჩეხვას, გამოითქვა საინტერესო მოსაზრებები მოსწავლეების და პედაგოგების მხრიდან ნაძვის ხის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების შესახებ (ხელოვნური ნაძვის ხე, მოტეხილი ტოტები,), ერთ- ერთმა ბავშვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ იგი საკუთარ ეზოში მდგომ ფიჭვს მორთავს გარეთ, ეს აზრი ყველას მოგვეწონა, სემინარმა საინტერესოდ და ხალისიანად ჩაიარა; მსგავსი სემინარები ჩატარდა ყველა საჯარო სკოლასა და სასულიერო გიმნაზიაში




ხატვის კონკურსი და გამოფენა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში ჩატარდა ხატვის კონკურსი ორ ეტაპად; პირველ ეტაპზე შიდა სასკოლო კონკურსი გაიმართა, ხოლო გამარჯვებულმა მონაწილეებმა კონკურსის მეორე ეტაპში მიიღეს მონაწილეობა, საბოლოოდ გამოვლენილი გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით. პრიზებად გადაეცა მაისურები, კალმები, ჭიქები - ეროვნული პარკის სიმბოლიკითა. ამგვარი კონკურსები ჩატარდება ყოველწლიურად, და ყოველ ჯერზე ახალი გამარჯვებულები გამოვლინდებიან, რათა უფრო მეტ ბავშვს მიეცეს გამარჯვების შანსი.





ფოტოგამოფენა

7 ივნისს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით და ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ფინანსური თანადგომით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის შვიდივე საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა ფოტოკონკურსი; კონკურსის ძირითადი მიზანი იყო მოსწავლე ახალგაზრდების მიერ დანახული გარემო, ბუნება; უნდა აღინიშნოს , რომ მონაწილეებმა შესანიშნავად გამოავლინეს თავიანთი ხედვა და დამოკიდებულება ბუნების მიმართ ჟიურიმ გამოავლინა საუკეთესო ნამუშევრები, რომელთაც გადაეცათ ფასიანი საჩუქრები ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ და გამგებელმა, ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის დირექტორმა, რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, პედაგოგებმა.





2016 წლის 28-29 მაისს SPPA- ,,დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში- საქართველოს'' ფარგლებში ალგეთის ეროვნული პარკის ინიციატივითა და ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის მხარდაჭერით ინტელექტუალურ შეჯიბრში ,,რა, სად, როდის'' მონაწილე 17 მოსწავლისათვის მოეწყო ორდღიანი ტური ყაზბეგის ეროვნულ პარკში; მოსწავლეებმა მოინახულეს არაერთი ღირსშესანიშნავი ადგილი; ამასთან ერთად ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მოსწავლეებს წარმოუდგინეს პრეზენტაცია ყაზბეგის ეროვნული პარკის შესახებ; მოსწავლეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს თექის ნამუშევრები ადგილობრივ ტრადიციული ხელსაქმის სახელოსნოში, და მიიღეს მონაწილეობა თექის დამზადების პროცესში;





25 - 27 ივლისის ჩათვლით ალგეთის ეროვნულ პარკის ორგანიზებით და ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის დაფინანსებით გაიმართა ეკო-ბანაკი, რომელში მონაწილეობა მიიღო სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის, ქობულეთის მუნიციპალიტეტისა და მანგლისის საჯარო სკოლის 10-11 კლასის მოსწავლეებმა. თითოული დაცული ტერიტორიიდან 12 მოსწავლე და 2 მათთან თანხლები პირი;

მოსწავლე ახალგაზრდებმა გაიცნეს ალგეთის ეროვნული პარკი, მისი ბიომრავალფეროვნება,, ტურისტული ბილიკები, ჩაერთნენ სხვადასხვა შემეცნებით გასართობ ღონისძიებებში,





2016 წლის 25-27 ნოემბერს, SPPA-საქრთველო (დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში) პროგრამის ფარგლებში, ეკო-საგანმანათლებლო კომპონენტის ქვეშ, ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით და ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ფინანსური დახმარებით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სკოლების 23 მოსწავლისთვის მოეწყო ექსკურსია კოლხეთის ეროვნულ პარკში და ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე. მოსწავლეებისთვის მოეწყო პონტონის ტიპის ნავით 18 კილომეტრიანი ტური პალიასტომის ტბაზე და მდინარე ფიჩორზე. ასევე, მოეწყო საფეხმავლო ტური ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე. მოსწავლეებს თან ახლდა მასწავლებლები, ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლები და დირექტორი, მეგობართა ასოციაციის დირექტორი და ყაზბეგის


მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე შალვა ელოშვილი. ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია მსგავსი ღონისძიებების მოწყობას მომავალშიც გეგმავს.







საგაზეთო სტატიები

ყაზბეგის ეროვნულ პარკში ჩატარებული ყველა ღონისძიების შესახებ ინფორმაცია პერმანენტულად იბეჭდებოდა სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის სასულიერო გიმნაზიის ყოველთვიურ გაზეთში, რომელიც ხელმისაწვდომია მკითხველთა ფართო მასებისათვის





2016 წლის განმავლობაში ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 1500 მოსწავლემ, 100 მასწავლებელმა, სოციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილეობდა 100 რესპოდენტი რეგიონიდან. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 170 ადგილობრივმა მოსახლემ. სულ ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ ეკოსაგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 1800 ადამიანმა. 2015 წლის თვის განმავლობაში ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 1550




ღონისძიებები ყაზბეგის ეროვნულ პარკში

ეკოტურიზმი

2016 წლის განმავლობაში ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიას ესტუმრა 134111 ვიზიტორი, აქედან 63607 იყო ქართველი, 70504 უცხოელი. უცხოელი ტურისტებიდან ჭარბობს რუსი ტურისტი 22489, შემდეგ ებრაელი - 5922, გერმანელი - 3019 , სომეხი- 2818, ჩეხი-2665, პოლონელი-2622, უკრაინელი-2392 , აზერბაიჯანელი - 2387, ავსტრალიელი - 1283 ვიზიტორი.

2016 წელს ვიზიტორთა რაოდენობა 2015 წელთან შედარებით 26%-ით არის გაზრდილი.

SPPA-საქართველო პროგრამის ფარგლებში ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას ტურიზმის საერთაშორისო ექსპერტი სტეფან შულეინი ესტუმრა, რომელიც შეხვდა ადგილობრივ, ტურიზმის სექტორში დასაქმებულ მოსახლეობას და რეკომენდაცია გაუწია ტურისტული სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით. ამასთან ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან ერთად დაიგეგმა სხვადასხვა სირთულის ტურისტული მარშრუტები, გაკეთდა GPS ტრეკები. აღნიშნული მასალები დამუშავების პროცესშია და 2017 წლის თებერვლის თვეში მოხდება დაცული ტერიტორიების სააგენტოს და პარკის ადმინისტრაციასთან ერთად განხილვა, რის შემდგომაც დაისახება სამომავლო გეგმები და პრიორიტეტული მიმართულებები.



ჭაჭუნას აღკვეთილის ადმინისტრაცია

დაცვის სამსახური

2016 წლის დასაწყისში დაცული ტერიტორიისთვის მომზადდა საპატრულო მარშრუტების სქემა. განისაზღვრა ყოველკვირეული პატრულირების მარშრუტები.

2016 წლის 19 თებერვალს ადმინისტრაციის დირექტორმა ჩაატარა თათბირი აღკვეთილის დაცულ ტერიტორიებზე და მის შემოგარენში დაცვის კონტროლის გაუმჯობესება-გამკაცრებაზე.

რეინჯერებს გააცნო სააგენტოს თავმჯდომრის ბრძანება N385 - საზღვრებს მიღმა სამართალდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა დარეკონ ცხელ ხაზზე *** 153**;




სისტემატიურად მიმდინარეობს პატრულირება ჭალის მიმდებარე ტერიტორიებზე. ჭაჭუნას აღკვეთილის დაცული ტერიტორიების დაცვის, კონტროლის გაუმჯობესების, დარღვევების მინიმუმამდე დაყვანისა და დროულად აღმოფხვრის მიზნით, ჭაჭუნას აღკვეთილის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორის მიერ ტარდებოდა მოულოდნელი რეიდები, რაზედაც კეთდებოდა შესაბამისი რეაგირება.

2016 წლის 8 იანვარს შემოწმდა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის ვარგისიანობა და მდგომარეობა. ხანძრის გავრცელების პოტენციურ ადგილებში გაძლიერდა პატრულირება.

ხანძრების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

სახანძრო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით 2016 წ. 12.01-დან 28.01–ის ჩათვლით მოეწყო შეხვედრა დაცული ტერიტორიის მოსაზღვრედ მდებარე მეცხვარეობის ბინების მეპატრონეებთან და ხელი მოვაწერინეთ შეტყობინება-გაფრთხილების ფორმას.

ვატარებთ საუბრებს რეინჯერებთან, ფერმერებთან და მესაზღვრეებთან სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

2016 წლის ივნისის დასაწყისში ჩავატარეთ თათბირი ხანძრის საშიშროებასთან დაკავშირებით, რადგან, ბალახის საფარველი უკვე იწყებს ხმობას.

ჭაჭუნას აღკვეთილის ადმოინისტრაციის დირექტორის ბრძანება N 16 თანახმად, ზაფხულის თვეებში ძლიერი სიცხეებისგან გამხმარი ბალახოვანი საფარველის გადაწვის და

ხანძრის გაჩენის საშიშროების გამო გაძლიერდა პატრულირება ჭაჭუნას აღკვეთილის დაცულ ტერიტორიებზე 2016 წ. 1 ივნისიდან 30 სექტემბრამდე და წესრიგში იქნა მოყვანილი ყველა სახანძრო აღჭურვილობა. კონტროლი და პასუხისმგებლობა ბრძანების შესრულებაზე დაევალა აღკვეთილის

დაცვის სამსახურის უფროსს გია სეფიაშვილს.

2016 წლის 12 თვეში ჩვენს ტერიტორიაზე ხანძრის ფაქტები არ დაფიქსირებულა.

ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანება N 27 -ის თანახმად, ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს აღკვეთილის ტერიტორიაზე უკანონო ნადირობა, ხანძრის გაჩენა და სხვა არალეგალური ფაქტები, 2016 წლის 20 დეკემბრიდან 2017 წლის 1 თებერვლამდე დაცვის განყოფილების თანამშრომლები გადავიდნენ სადღეღამისო პატრულირებაზე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საძოვრებზე არსებული პირუტყვის სულადობის, სადგომების, საძოვრების ფართობების აღრიცხვის მიზნით შემოვლილი ქნა მეცხოველეობის

ზამთრის ბინები. Mმუდმივად ხორციელდებოდა მწყემსების კონტროლი არალეგალური ქმედებების ჩადენის პროფილაქტიკის მიზნით.

ჩვენს მიერ 6 იანვარს რეინჯერებისთვის ჩატარებულ იქნა ტრენინგი სამართალ-დარღვევის ოქმების შევსების სწავლებაზე.N

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მწყემსებთნ ჩავატარეთ პროფილაქტიკური საუბრები არალეგალური ქმედების ჩადენის აღსაკვეთად.

რეინჯერთა პატრულირება ხორციელდებოდა დირექტორის მიერ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

27 მაისს ჩატარდა თათბირი რეინჯერებთან. დირექტორმა-ნოდარ ტეტელოშვილმა ისაუბრა ინფრასტრუქტურის მდგომარეობაზე. დაისახა გეგმები მისი მოწესრიგების და შერემონტების შესახებ. დირექტორმა მოითხოვა, რომ მუდმივად კონტროლდებოდეს სათევზაო ტერიტორიები.

29 ნოემბერს, ცხვრის ფარების ზამთრის საძოვრებზე დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომლებიც მდებარეობს აღკვეთილის ტერიტორიების მიმდებარედ, დირექტორმა-ნოდარ ტეტელოშვილმა დაცვის განყოფილების უფროსთან და რეინჯერებთან ჩაატარა თათბირი- გამკაცრდეს კონტროლი აღკვეთილის მოსაზღვრედ მდებარე საძოვრების მეპატრონეების და მწყემსების მიმართ, რათა არ მოეხდეს ჩვენს ტერიტორიაზე საქონლის შემოყვანა.

2016 წლის 12 თვეში დაცვის სამსახურის მიერ რეინჯერებთან ერთობლივი პატრულირებისას შედგენილია 33 სამართალდარღვევის ოქმი.

აქედან: 26 ოქმი–უკანონო ძოვებაზე, 1 ოქმი - ჩალის ჭრაზე, 2 ოქმი- უკანონო თევზჭერაზე,

3 ოქმი- უკანონო ნადირობაზე, 1 ოქმი-უკანონო ჭრაზე.

სასამართლოს მიერ განხილულია 30 ოქმი. 3 ამინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმზე სასამართლო განხილვა არ დაწყებულა. ჯარიმამ შეადგინა 1400 ლარი.

მიმდინარეობს მობუდარ და გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვება.

№14 კვარტალში ვნახეთ სვავების და ორბების გუნდი.

№4, 5 და 6 კვარტლებში გარეული ბატების, წითელნისკარტა და გარეული იხვების დიდი გუნდები.

№8,9 კვარტლებში კაკბის გუნდები, მკაცრი ყინვების გამო შემცირებულია დურჯის რიცხოვნება, ხოხობი გვხვდება ერთეულების სახით ძირითადად №4 კვარტალში. ვნახეთ გარეული ღორის კოლტის და მგლის ნაკვალევები.

განვაგრძობთ მსხვილ ძუძუმწოვარ ცხოველებზე დაკვირვებას.

აღმოჩნდა, რომ მოიმატა ლელიანის კატას, ენოტის, ტურის რიცხოვნობამ. ჭაჭუნას აღკვეთილის თითქმის მთელს ტერიტორიაზე გვხვდება შხამიანი გველი გიურზა.

დაკვრვებას ვაწარმოებთ მერქნიან მცენარეებზე, მათ შორის წითელი ნუსხის სახეობებზე - სამხ. აკაკი, ჭალის მუხა, ღვია და საკმლის ხე. Aასევე მუდმივ სანიმუშო ფართობებზე. მარტის განმავლობაში დაბალი ტემპერატურის და სიცივის გამო ჯერ კიდევ ვერ განვითარდა ბალახოვანი საფერველი. მარტში მოვიდა ნალექი. მერქნიან მცენარეებზე უკვე შეინიშნებაKკვირტები. აპრილ-მაისში ბოლომდე შეიმოსა ჭალის ტყე. ივნისის ძლიერი სიცხეების გამო ხმობა დაიწყო ბალახოვანმა საფარმა. სექტემბრის ბოლოს აღკვეთილი ჯერ ისევ მწვანედ გამოიყურება. დეკემბერი გამოირჩეოდა მაღალი ყინვებით.

სექტემბერში ჩავატარეთ სასტუმროს ეზოში შაბათობა. მოითიბა ბალახი და გასუფთავდა ეზო.


სამეცნიერო კვლევა-მონიტორინგი

2016 წლის იანვარში მომზადდა ჭაჭუნას აღკვეთილის 2015 წლის ,,ბუნების მატინე.”
ადმინისტრაციის მიერ სისტემატიურად ხდება მონაცემთა შეგროვება თვეების მიხედვით ტემპერატურის, ქარის, წვიმის, ყინვის, თოვლისა და გვალვის შესახებ, რაც ასახული იქნება ერთიან ცხრილში და წარმოდგენილი იქნება 2016 წლის „ბუნების მატიანე“-ში. კლიმატური პარამეტრების შესახებ ინფორმაციის პროცესს ახლავს ფენოლოგიური დაკვირვებები.

ჰაერის მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა თვეების მიხედვით.

თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
მინ. ტემპ.	-12	-19	-1	+7	+12	+30	+33	+33	+25	+15	-3	-4
მაქს. ტემპ.	+5	+7	+17	+22	+28	+40	+42	+45	+30	+22	-12	-14

ხორციელდება ,,წითელი ნუსხის ფრინველების“- ბექობის არწივი, ბატკანძერი, სვავი, ორბი, სარსარაკის მონიტორინგს. მიმდინარეობს დაკვირვება ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიაზე მობინადრე მნიშვნელოვან სახეობებზე-კაკაბი, ხოხობი, დურაჯი და სხვა წვრილი ფრინველები. დაფიქსირებულია- ბექობის არწივი, სვავის, ორბის, ქედნის გუნდები, ხოხობი და კაკაბი ერთეული სახით, მწყერი, კვირიონი, შაშვი, ჩხართვი დიდი რაოდენობით. სარსარაკი IUCN-ის „წითელ ნუსხა“-ში და საქართველოს“წითელ ნუსხა“- ში შეტანილი მიმომფრენი ფრინველია. ზამთარს ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიაზე ატარებს. ტერიტორიაზე დიდი რაოდენიბით შედის დეკემბერში, მარტში კი ტოვებს აღკვეთილს. 5 აპრილს დაფიქსირდა გარეული ბატის და იხვის გუნდები, რომლებიც ბუდობენ დალის მთის წყალსაცავზე. აგვისტოს ბოლო რიცხვებში დაიწყო და სექტემბერში გაგრძელდა გადამფრენი ფრინველების, კერძოდ მერცხლების, წეროების, გარეული ბატების მიგრაცია თბილი ქვეყნებისკენ.



ადმინისტრაცია სისტემატიურად ახდენს ,, საქართველოს წითელი ნუსხის“ და სხვა მსხვილი ძუძუმწოვრების მონიტორინგს. მურა დათვი აღკვეთილის ტერიტორიაზე გვხვდება ერთეულების სახით. ის პერიოდულად მიგრირებს აზერბაიჯანიდან აღკვეთილის ტერიტორიაზე. მომატებულია ფოცხვერის რაოდენობა. რეინჯერების მიერ ნანახი იქნა ფეკალიები და კვალი, რომელიც სავარაუდოდ ფოცხვერის კვალს ეკუთვნის. საგრძნობლად მოიმატა ლელიანის კატის რიცხვოვნობამ. ფოტოხაფანგმაც მრავალჯერ დააფიქსირა ეს ცხოველი.
მიმდინარეობს მსხვილ ძუძუმწოვარ ცხოველებზე დაკვირვება. გამოვლინდა მგლის და ტურის რიცხოვნობის ზრდა. შედეგები ასახულია ცხრილში. ცხოველებზე დაკვირვებას ვახდენთ კვალის აღრიცხვის მეთოდით, რიცხოვნობის დადგენით. რეინჯერები ტერიტორიაზე პატრულირების დროს აღწერენ ყველა შეხვედრილ ნადირ-ფრინველს და ცხოველთა ნაკვალევებს.

დაფიქსიებულია გარეული ღორი №6-16 კვარტლებში. მგელი და ტურა თითქმის ყველა კვარტალში. შემცირებულია მელიის რაოდენობა. მომატებულია მაჩვი, მაჩვზღარბა, ნუტრია. უკანასკნელი თვეების განმავლობაში რეინჯერების ჩანაწერების საფუძველზე და დაცვის სამსახურთან ერთად, ტერიტორიაზე ჩატარეთ სამუშაოები ცხოველთა სახეობების გავრცელების არეალის დასადგენად.

მუდმივად წარმოებს ფენოლოგიური დაკვირვებები. თებერვალში და მარტში მოხდა მონაცემთა შეგროვება მერქნიან მცენარეებზე, მათ შორის „წითელი ნუსხის“ სახეობებზე - სამხ. აკაკი, ჭალის მუხა, ღვია და საკმლის ხე. ასევე ვაკვირდებით მუდმივ სანიმუშო ფართობებს და ტერიტორიაზე მოზარდ სხვა მერქნიან მცენარეებს - ვერხვი, თელა, ნეკერჩხალი, იალღუნი, ტირიფი, ჯაგრცხილა და სხვა ფოთლოვნები. ზამთარი იყო თბილი და უნალექო. მარტში და აპრილში მოვიდა უხვი ნალექი. აყვავდა კოწახური, ვერხვი, საღსაღაჯი, ტყემალი და შინდი. მაისში აყვავდა იალღუნი. მაისში მაქსიმალურად გადამწვანებულია ჭალის ტყე.

ივლის აგვისტოში ძალიან გაუჭირდა ხე-მცენარეებს მაღალი ტემპერატურის და გვალვის გამო. 29 აგვისტოდან საგრძნობლად აგრილდა, მოვიდა ნალექიც და სექტემბრიდან ისევ ამწვანდა ბალახოვანი საფარი, მაგრამ ძლიერ გვალვიანი ზაფხულის გამო გახმა ზოგიერთი ხე, ძირითადად ახალაღმონაცენები.

მუდმივად წარმოებს მდ. იორის ტერასაზე შერჩეულ სამ მუდმივ სანიმუშო უბნის მცენარეულ საფარზე და ახალი აღმონაცენების ზრდა-განვითარებაზე დაკვირვება.მუდმივად წარმოებს მდ. ივრის ტერასაზე შერჩეულ მუდმივ სანიმუშო უბნის მცენარეულ საფარზე და ახალაღმონაცენების ზრდა-განვითარებაზე დაკვირვება. კარგად მიმდინარეობს ბალახოვანი საფარის, ჭალის მუხის, ვერხვის, თელის, ფშატის, იალღუნის და ახალაღმონაცენების ზრდა-განვითარება.

აღკვეთილის ადმინისტრაციის მიერ მიმდინარეობს ფენოლოგიური დაკვირვება კავკასიის ენდემურ სახეობებზე-ქართული კოწახური, ქართული ზამბახი, ეიხლერის ტიტა.

აპრილში დაცვის სამსახურთან ერთად ტერიტორიაზე ჩატარდა სამუშაოები მცენარეთა ენდემური სახეობების გავრცელების არეალების დასადგენად. მარტში დაიწყო ეიხლერის ტიტას და ქართული ზამბახის ვეგეტაცია, აპრილის III დეკადაში კი აყვავდნენ.

ჭაჭუნას აღკვეთილში ჩატარებული სამეცნიერო კვლევები და პროექტები

ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიაზე განხორციელდა შემდეგი სამეცნიერო კვლევები და პროექტები:

- „საძოვრების შესწავლა“- ილიას უნივერსიტეტის მეცნიერმუშაკები,
- შ.პ.ს,,ელკანა“, ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლები, გერმანელი მეცნიერები;
- „გეობოტანიკური აღწერები“, ბოტანიკური ბაღის მეცნიერთანამშრომლები.
- ილიას უნივერსიტეტის მეცნიერთანამშრომლები.
- „ლეშიჭამია ფრინველებზე დაკვირვება“, უცხოელ მეცნიერთა და სტუდენტთა ჯგუფები; ილიას უნივერსიტეტის მეცნიერთანამშრომლები.

,,დენდროლოგიური კვლევები“ გერმანელი მეცნიერები.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

2016 წლის იანვარში მომზადდა ეკოსაგანმანათლებლო პროგრამა მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან, რესურსცენტრის და საჯარო სკოლების ხელმძღვანელებთან საქმიანობასა და თანამშრომლობისთვის.

2016 წლის განმავლობაში ჭაჭუნას აღკვეთილის ადმინისტრაციამ ჩაატარა შემდეგი ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებები:


ადმინისტრაციული შენობის მუზეუმში მოწვეულ სტუმრები და მოსწავლეები ათვალიერებენ მუზეუმს, ადმინისტრაციის თანამშრომლები ესაუბრებიან დაცული ტერიტორიების შექმნის მიზეზებზე და მიზნებზე, ჭაჭუნას აღკვეთილის ენდემებზე, წითელი წიგნის და წითელი ნუსხის ცხოველებსა და მცენარეებზე, მათ მნიშვნელობასა და დაცვის აუცილებლობაზე. საკონფერენციო დარბაზში უტარდებათ პრეზენტაციას ჭაჭუნას აღკვეთილის მრავალფეროვნების შესახებ, ფოტომასალას. პასუხობენ შეკითხვებს, ურიგდებათ საქართველოს სხვადასხვა დაცული ტერიტორიების ლიფლეტები.

სკოლებში შეხვედრებისას ტარდება ლექცია-სემინარი ჭაჭუნას აღკვეთილის შესახებ, აჩვენებენ ფოტოხაფანგებით შეგროვილ მასალას, ჭაჭუნას აღკვეთილის ამსახველ ფოტომასალას. იმართება კითხვა-პასუხი. მოსწავლეებს გადაეცემათ საქართველოს დაცული ტერიტორიების ლიფლეტები.

თებერვალში სააქტო დარბაზში ჩატარდა შეხვედრა და პრეზენტაცია თემაზე ,,იუნესკოს ბიოსფერული რეზერვატები.“

პრეზენტაცია ჩაუტარდა სოფ. სამრეკლოს და N2 საჯ. სკოლების მოსწავლეებს, მასწავლებლებს, შემდგომ კი მოსახლეობას. ისაუბრეს დაცულ ტერიტორიებზე, ჭაჭუნას აღკვეთილის ფლორასა და ფაუნაზე, ბუნების დაცვაზე, გაიმართა კითხვაპასუხი.

29 თებერვალს მოეწყო შაბათობა ადმინისტრაციის ეზოში ვაშლოვანის და ჭაჭუნას აღკვეთილის თანამშრომელთა მონაწილეობით. დასუფთავდა ადმინისტრაციის ეზო და ბაღი. შეიცვალა და შეიღება ადმინისტრაციული შენობის მესერი.




1 მარტს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ვეჟანმა“, ჩაატარა ქალთა სხდომა, რომლის დევიზი იყო ,,გაერთიანდეს ქალები მშვიდობისათვის ბრძოლაში.“ შეავსეს კითხვარები, გაიმართა პოლემიკა. ესწრებოდნენ ქალები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან.

მარტში შეხვდნენ სოფ. ოზაანის საჯ.სკოლის მოსწავლეებს და პედაგოგებს, შემდეგ კი მოსახლეობას.

22 მარტს წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჭაჭუნას აღკვეთილის დაცულ ტერიტორიაზე თანამშრომლებმა მდინარე ივრის სანაპირო ზოლში ჩაატარეს დასუფთავების აქცია, ხოლო შემდეგ სასტუმრო სახლის ეზოში დარგვის აქცია.





24 მარტს ადმინისტრაციაში მოწვეულ იქნენ სოფ. სამრეკლოს და N1 საჯ. სკოლის მოსწავლეები, ხოლო 28 მარტს ხორნაბუჯის საჯ. სკოლაში ჩავატარე ლექცია-სემინარი თემაზე ,,ადამიანი და ბუნება“





აპრილში მოეწყო დასუფთავების და დარგვის აქციები თანამშრომლების მიერ. დასუფთავდა ბარათაშვილის ქუჩა, ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიები და ეზო. ადმინისტრაციის ეზოში დარგეს დეკორატიულ მცენარეთა ნერგები.

12 აპრილს ქ. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაში მოეწყო პრეზენტაცია ეკოგანათლების და ეკოტურიზმის სფეროში. მოწვეული იყვნენ ტუროპერატორები, საოჯახო სასტუმროს მფლობელები, მოსწავლეები და პედაგოგები, დაინტერესებული პირები.




აპრილში ადმინისტრაციაში მოწვეული იყო არბოშიკის საჯ. სკოლის მოსწავლეები. ესაუბრნენ აღკვეთილის ფლორასა და ფაუნაზე, ღირსშესანიშნაობებზე, აჩვენეს ფოტო და ვიდეომასალა.

22 აპრილს-,,დედამირის დღესთან“ დაკავშირებით კერძო სკოლა ,,ბენაურის“ მოსწავლეებთან ერთად ჩატარდა დასუფთავების აქცია სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე. შეხვდნენ სოფ.არხილოსკალოს მოსწავლეებს, შემდეგ კი მოსახლეობას.

ილიას უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით მოეწყო ეკოტური ჭუნას აღკვეთილში.

მაისში ადმინისტრაციას ეწვია არბოშიკის საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები. ესაუბრნენ აღკვეთილის ღირსშესანიშნაობებზე, აჩვენეს ფოტომასალა.

ასევე ადმინისტრაციის თანამშრომლები შეხვდნენ ქვემო ქედის სკოლის მოსწავლეებს და პედაგოგებს. გააცნეს ჭაჭუნას აღკვეთილის ფლორა და ფაუნა და დაპატიჟეს ექსკურსიაზე. ერთი კვირის შემდგომ კი მოეწყო ეკოტური აღკვეთილში ქვემო ქედის მოსწავლეების და ბიოლოგიის მასწავლებლის მონაწილეობით.




სოფ. ხორნაბუჯის საჯ. სკოლაში ჩატარდა ლექცია-სემინარი თემაზე: „საქართველოს დაცული ტერიტორიები" და „ჭაჭუნას აღკვეთილი". აჩვენეს შესაბამისი ფოტო-მასალა, პასუხი გასცეს მოსწავლეთა და პედაგოგების შეკითხვებს.

23 მაისს „ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღესთან" დაკავშირებით გაიმართა შეხვედრა რაიონის N 2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან.

25 მაისს შევხვდნენ გამგეობის თანამშრომლებს, ხოლო 30 მაისს ნიკორციხის ქუჩის მოსახლეობას. ასევე ევდოშვილის ქუჩის მცხოვრებთ. ესაუბრნენ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, ბუნების დაცვაზე, უპასუხეს კითხვებს.

4 ივნისს შეხვდნენ სოფ.ოზაანის საჯ. სკოლი VI-VIII კლასის მოსწავლეებს და პედაგოგებს, აგრეთვე ოზაანის მოსახლეობას. გააცნეს ჭაჭუნას აღკვეთილის შექმნის მიზეზები და ზოგადად დაცული ტერიტორიები.

5 ივნისს „გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან" დაკავშირებით ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში მოიწვიეს დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის საშ. სკოლის მოსწავლეები.


17 ივნისს „გაუდაბნოებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან" დაკავშირებით ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში მოიწვიეს ქ. Dდედოფლისწყაროს მაცხოვრებლები. ესაუბრნენ ანთროპოგენულ ფაქტორებზე, მისგან გამოწვეულ კლიმატურ ცვლილებებზე, დათბობის და გაუდაბნოების საფრთხეებზე. განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილეს თავიანთ რაიონზე, სადაც უფრო მეტად იგრძნობა ეს პრობლემები და მოუწოდეს გაუფრთხილდნენ გარემოს.

ივლისში, აგვისტოში და სექტემბერში ეტაპობრივად გაიმართა შეხვედრები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის მოსახლეობასთან. საუბარი გაიმართა საქართველოს და დედოფლისწყაროს რაიონის დაცული ტერიტორიების შესახებ, რაიონში მკვეთრად გამოხატულ გაუდაბნოების პრობლემებზე, გააცნეს ჭაჭუნას აღკვეთილის ფლორა და ფაუნა, გაიმართა კითხვა-პასუხი.

5 ოქტომბერს—ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა სოფ. ჯაფარიძის საჯარო სკოლაში. მოსწავლეებს ესაუბრნენ ცხოველთა დაცვაზე და დაცულ ტერიტორიებზე.

ოქტომბერში მოეწყო მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან შეხვედრა მუნიციპალიტეტის დარბაზში, შეხვედრა და პრეზენტაცია მირზაანის და გამარჯვების საჯარო სკოლებში და მოსახლეობასთან.

ჩატარდა შეხვედრა და პრეზენტაცია ადმინისტრაციის დარბაზში არბოშიკის საჯარო სკოლის მოსწავლეების და მასწავლებლებისთვის.
ნოემბერში ჩატარდა დარგვის აქცია მწვანეთა მოძრაობის წევრებთან და N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად ელიის მიმდებარე ტერიტორიაზე. დაირგო იფნის და აკაციის ნერგები.
ჩატარდა ლექცია-საუბარი არხილოს, მეზემო ქედის, ოზაანის, N1 საჯ. სკოლაში.
დეკემბერში შეხვდნენ რაიონის N1 საჯარო სკოლის და სოფ. ჭოეთის საჯ. სკოლის მოსწავლეებს და პედაგოგებს. ადმინისტრაციას ესტუმრა სოფ. გამარჯვების საჯ სკოლოს მოსწავლეები და პედაგოგები.




ღონისძიებები ჭაჭუნას დაცულ ტერიტორიებზე


ეკოტურიზმი

ჭაჭუნას აღკვეთილში დაინერგა ახალი ტურისტული სერვისი სპორტული/სამოყვარულო თევზაობა, ხოლო მტირალას ეროვნულ პარკში რეკრეაციული თევზაობა.
ჭაჭუნას აღკვეთილს 2016 წლის განმავლობაში ესტუმრა 2994 ერთდღიანი და 298 რამოდენიმედღიანი ვიზიტორი, ვიზიტორთა 55% ქართველი (1822 ვიზიტორი), ხოლო – 45% (1470 ვიზიტორი) უცხოელია. ვიზიტორთა 70% (2289 ვიზიტორი) არის მამრობითი სქესის, ხოლო 30% (1003 ვიზიტორი) მდედრობითი.
ტურისტული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 5459 ლარი, რომელიც გადანაწილდა შემდეგნაირად: ერთადგილიანი ნომერი - 975, ორადგილიანი ნომერი - 3500, საკარვე ადგილი - 255, თევზაობა - 729
2016 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჭაჭუნას აღკვეთილში განხორციელებული მარშრუტებიდან ძირითადად დატვირთული იყო ერთდღიანი მარშრუტები.
ვიზიტორთა დიდი ნაწილისათვის აღკვეთილში ვიზიტის მოტივაციას წარმოადგენდა სამეცნიერო საქმიანობა, ველური ბუნება და ბიომრავალფეროვნება, უსაფრთხო ლაშქრობის შესაძლებლობა.

საინფორმაციო წყარო წინა წლებთან შედარებით განსხვავებულია. ვიზიტორთა უმეტესმა ნაწილმა აღკვეთილის შესახებ შეიტყო ინტერნეტის საშუალებით. კვლავ მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროდ რჩება პირადი რეკომენდაცია.



2016 წლის 12 თვის მონაცემებით გამოკითხული ვიზიტორების 34%-ის(1115 ვიზიტორი) შეფასებით ვიზიტორთა მომსახურება არის მაღალი, ხოლო 66%-ის(2177 ვიზიტორი) შეფასებით საშუალოა და შეიძლება მისი გაუმჯობესება.



გამოკითხული ვიზიტორების 34% (1115 ვიზიტორი) თვლის, რომ რომ ტურისტული ინფრასტრუქტურა კარგია, ხოლო 66% (2177 ვიზიტორი) მიიჩნევს, რომ საჭიროებს შეკეთებას. გამოკითხული ვიზიტორების 80% (2633 ვიზიტორი) აპირებს სხვა დაცული ტერიტორიების მონახულებას, ხოლო 20%-ის(659 ვიზიტორი) პასუხია – არ ვიცი.

გამოკითხული ვიზიტორების 21%(691 ვიზიტორი) უპირატესობას ანიჭებს სამანქანე ტურებს, 25%(823 ვიზიტორი) საფეხმავლო ტურებს და 54% (1778 ვიზიტორი) კომბინირებულს. გამოკითხული ვიზიტორების 11%(362 ვიზიტორი) მოგზაურობს მარტო, 8% (264 ვიზიტორი) – ოჯახთან ერთად, 81% – (2666 ვიზიტორი) მეგობრებთან ერთად.

ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

დაცვის საქმიანობა

მინიმუმამდე არის დაყვანილი სამართალდარღვევები. ფოტოხაფანგებს, შენიღბვის არ არსებობის გამო, იშვიათად ვიყენებთ. მომავალში ვგეგმავთ რელიქტურ ტყეში დაყენებას, სადაც გარეული ღორები ბინადრობენ. რეინჯერებმა პატრულირების დროს გაიარეს ფეხით

7069 კმ-ზე მეტი, ხოლო ავტომობილით = 49652 კმ-ზე მეტი. ჩატარებული პატრულირების რაოდენობა შეადგენს 1571. ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული რეიდების რაოდენობა შეადგენს-320.

როგორც მოგეხსენებათ ჯავახეთის დაცული ტერიტორიები არ არის ხანძარსაშიში, სანამ თეთრობის ტყის აღკვეთილი მოგვემატებოდა. თეთრობის აღკვეთილისთვის ვამუშავებთ ხანძარსაწინააღმდეგო სტრატეგიას. სპეციალური გადაწვები, რაც მიღებული იყო ვითომდა უკეთესი ბალახის მისაღებად - აღვკვეთეთ. ამისათვის საკმაო მუშაობა და დრო დაგვჭირდა. ვიზიტორებს ვუხსნით თუ სად შეიძლება კოცონის ანთება და წასვლამდე კოცონის ჩაქრობის აუცილებლობას უფრო მეტ დროს ვანდომებთ.

ნადირმა დამხმარე ზონის სოფელ სულდასთან დაგლიჯა ცხენი (ჩვენი ტერიტორიის გარეთ). მოსახლეობამ ჩივილი დაიწყო და ნადირობის ნებართვა ითხოვა. დამხმარე ზონის სოფელ სამებასთან 12 მგელმა დაგლიჯა 7 ცხვარი, მეორე დღეს კი - 2 მოზვერი.

საძოვრებზე საქონლის სულადობა ზოგიერთ არენდატორთან უმნიშვნელოდ აჭარბებს - მათ გაფრთხილებები მივეცით. 6 არენდატორს კი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შევუდგინეთ.

ჯავახეთის დაცული ტერიტორიებზე ეროზირებული და დეგრადირებული ტერიტორიების რუქა შეადგინა გერმანელმა სპეციალისტმა მარინუს გეფჰარდტმა, რომელიც ყოველ წელს ჩვენს ტერიტორიებზე იმყოფება და გამოკვლევებს ახორციელებს. ჩვენ უკვე გვყავს სპეციალისტი ამ დარგში და ჩვენ თვითონ ვაწარმოებთ ამ პრობლემატურ საკითხებზე მუშაობას.

რეინჯერებს ჩატარებული აქვთ ტრენინგები GPS-თან დაკავშირებით. ყველა თანამშრომელი ფლობს საჭირო ცოდნას - შეუძლია მიაგნოს საჭირო კოორდინატს, აიღოს კოორდინატი, აზომოს ფართობი, დაადგინოს ფართობების საზღვრები, გაიგნოს და აზომოს მარშრუტები.

ფრინველებზე დაკვირვება ხდება მუდმივად. რეინჯერები ყოველდღიურად ატარებენ დაცულ ტერიტორიებზე ნანახ ცოცხალი არსებების (ფრინველების, ცხოველების, მწერების, ქვეწარმავლების) აღრიცხვას და ყოველკვირეულ ანგარიშს წარმოადგენენ ადმინისტრაციაში.

უკვე გვაქვს 300მმ-იანი ფოტოობიექტივი და აქედან გამომდინარე გვექნება სურათები ყოველთვიური ანგარიშები ჯამდება და კვარტალური ანგარიში იგზავნება სააგენტოში.

ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის გრაფიკი არა გვაქვს.

ადმინისტრაციაზე რიცხული ავტომობილების ვიზუალური დათვალიერება ხდება ყოველთვის, სურათების გადაღება და გადააგზავნა ხდება კვარტალში ერთხელ.

ჯდტ-ის ადმინისტრაციაზე რიცხული იარაღის მდგომარეობა და შენახვის მდგომარეობა კარგია.

ხე-ტყის რესურსი თეთრობის ტყის აღკვეთილში 2016წ-ს გვაქვს სულ 311,51 კუბა მეტრი, რომელიც გამოყოფილია ორ კვარტალად №2 და №3 კვარტალი. №2 კვარტალში არის 171.71 მ$^{3.}$ №3-ში 139.8 მ$^{3.}$ მეორე კვარტლიდან გამოწერილია და ტყიდან გატანილია 165.45 მ$^{3.}$ ნაშთი - 6,26მ^{3} №3-დან გამოწერილია და ტყიდან გატანილია 84.16 მ$^{3.}$ 4-მა ჯერ ვერ გაიტანა დიდთოვლობის გამო) ნაშთი - 55,64მ$^{3.}$

თეთრობის ტყის აღკვეთილში გეგმიური და საკონტროლო რევიზიები ვერ ჩავატარეთ დიდთოვლობის გამო.

შემოსავლების პროგნოზირება ჯდტ-ში საკმაოდ ძნელია - უცვლელი რჩება საძოვრებიდან შემოსული შემოსავალი, ტურიზმი ახლა ვითარდება, თევზჭერიდან და სუვენირების რეალიზაციიდან შემოსულია 8222 ლარი.

საძოვრებიდან შემოსული თანხა უნდა შეადგენდეს 42114 ლარსა და 44 თეთრს.

ფაქტიურად შემოსულია 37756.94 ლ. 4357.50ლ კანონიერმა მოიჯარე ივანე ფეიქრიშვილმა არ შემოიტანა, რადგან საძოვარი გამოიყენა ამირან გაბროშვილმა, რომელსაც არ ჰქონდა უფლება ტერიტორიაზე შესვლისა და საძოვრის გამოყენების უფლება იმის გამო რომ მას დაცული ტერიტორიების სააგენტომ იჯარის ხელშეკრულება გააუქმა 2015 წლის იჯარის გადასახადის გადაუხდელობის გამო. ამირან გაბროშვილი ამ საქმესთან დაკავშირებით მიცემულია პასუხისგებაში.

სამართალდარღვევის ოქმების ხარჯვის კონტროლი ხდება ყოველთვიურად და კვარტალის ბოლოს ანგარიშის წარდგენა ხდება სააგენტოში. გახარჯულია 18 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ჯავახეტის ეროვნული პარკის კარწახის მხრიდან შესასვლელთან აშენდა ხის კოტეჯი, დამზადდა ავეჯი.

სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

მუდმივად ხდება მონაცემების შეგროვება და სააგენტოში გადმოგზავნა. ადმინისტრაციის თანამშრომლებს რამოდენიმეჯერ აქვთ ჩატარებული ტრენინგები ფრინველებისა და ცხოველების მონაცემთა შეგროვების შესახებ (ტრენერები - ალექსანდრე აბულაძე, დავით თარხნიშვილი).


ადმინისტრაციის მიერ ფრინველების მონიტორინგი ტარდება. ფრინველებზე დაკვირვება ხდება მუდმივად. რეინჯერები ყოველდღიურად ატარებენ დაცულ ტერიტორიებზე ნანახ ცოცხალი არსებების (ფრინველების, ცხოველების, მწერების, ქვეწარმავლების) აღრიცხვას და ყოველკვირეულ ანგარიშს წარმოადგენენ ადმინისტრაციაში.

ადმინისტრაციის მიერ გროვდება ფოტომასალა.

ეკოგანათლება და ინტერპრეტაცია

ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება ძირითადად დამხმარე ზონის სოფლების სკოლების მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან. რამდენჯერმე ჩატარდა ღია გაკვეთილი. მოსწავლეები დიდი ხალისით მოდიან ადმინისტრაციის შენობაში, გამოფენის დასათვალიერებლად. მოსწავლეები დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობენ დასუფთავების აქციებში.

შეხვედრები დამხმარე ზონის სოფლის მოსახლეობასთან ხშირად ტარდება. ტურიზმი არაა განვითარებული იმ დონეზე, რომ მოსახლეობამ სარგებელი ნახოს, მაგრამ ის კი გაათვითცნობიერეს, რომ ეროვნული პარკი მათ არ აზარალებს, რისი შიში მათ ადრე ჰქონდათ. საძოვარი და სათიბი საკმარისზე მეტი აქვთ. პრობლემები და გაუგებრობები ყოველთვის ხელოვნურია.



ღონისძიებები ჯავახეთის ეროვნულ პარკში

ეკოტურიზმი

2016 წელს 2015 წელთან შედარებით ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა 62%-ით, და შეადგინა 6803, აქედან საქართველოს მოქალაქე - 4173, უცხოელი - 2630. თევზჭერისა და სუვენირების რეალიზაციიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 8 222 ლარი.

